

კვირის პალიტრა



მზა

SOS!

„ოვს ვეღარ
გაღვიტანო, აფხაზები
აშოვწყდებით“ ...



**ინტერვიუ
ორაზროვალ
აფხაზთან**

№18 (412) 11.07.2009

ფასი 80 თეთრი



აღსარება!

**ხუთი წელი
წამაღვა**

**და ღორებისთვის
დაყრილი
მარგალიტები**

**ცოდვები, რომლებიც ღალი
მორჩობიანა და კაბუბ მოიწინა**

**შეპარდნაქის
შვილიშვილი
გერქან გიზნესქენვა
თხოვდება**



**ბრილიანტის თვლებით
განყოფილი ქართული ფეხსაცმელი**



**გერიანადმი
მიქვნილი
ღეხი და
განბიღებული
ავტორი**



**გახდი აღმაშენებლის თანამედროვე!
იკითხა გოჩა მანველიძის ახალი რომანი!**

ISSN 1987 - 5029



იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor

D I V I S I O N

აOIKOS

Paint

D I V I S I O N

აOIKOS

Facade

D I V I S I O N

აOIKOS



OIKOS

მზის გზის გზნილები

ჟურნალი ჟურნალი




განცხადება
ნაციონალური
ოქისში „მეგრეთს“
10 საათზე! ღისაც ელექტრონიული
საათი აქვს – 1000-ზე!”



უთემოდ



კონსულტაცია



ფოტოგრაფია

39-70




№18 (412)
1 - 7 მაისი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

- **მინიატიურები**
საარჩევნო ბელა SALE ანუ ფასიანი და უფასო
პოლიტიკური რეკლამა 5
- **შაქები და კომენტარი**
„ქართველი ერი რელიგიურად ვპლიერდებით“ 6
- **ჟორ-მართალი**
ეპსარაზიღანის შვილიშვილის საიღუმლო
ჟორნიება 7
- **ზღაპრზე**
როგორ სსოვრობენ კოშკიანის ზონაში
ქართველები და აფხაზები ომის მოლოდინში 8
- **ჟურნალისთვის როლი**
ღორებისთვის დაჟარილი მარბალიზები და
მსახირობის 5-წლიანი „სროკი“ 10
- **ფანტივალი**
ბრადისიად ქსეული „სამომბლოსთან დაახლოება“
აგვარად სპანეთში, მხანა მიწოროზა დასრულება 14
- **ქარიშხალი**
„მხეხარ... ჩემი ოჯახი მესოლება“ იოზაფ
ფრისება საზარელი დანაშაული აღიარა 18
- **ანტიდუკანანი** 20
- **ბანდუმი**
მომობრების დუბი და მოსკოვი
ბასტროლისთვის სამზადისი 20
- **ეკრუმიტი**
გორა ჟოჯუას საიღუმლო 22
- **მოღა**
როგორია ბრილიანისა და სპაროქის
თვლებით განყოფილი ფანსაქმელი 24
- **საპაბრკლო**
„როდის უსქება მუღაბას სიყვარულის ბუბი“ 25
- **აღმინი, როშელის არასოღეს დამაჟიფება**
მარაბ კოქოზაშვილის მიარ ბარიასადმი მიძღვნილი
პირველი და უქანასქმელი ლექსი 27
- **წითისოფალი**
სულაბის საუფლოს მსაიღუმლო 28
- **თინეიჯერიული პონებაი**
✓სისორობასთან ბაიბიზაჟული
თანამდროვე სტილი 30
- ✓„ქალი ყველაზე მყარ და კლიერ სიყვარულსაჟ
ქი ანბრავს“... 32

გონა ჟოჯუას საიღუმლო...

როცა უხასიათოდ არის, უნ-
სგონ ჩერჩილის „II მსოფლიო
ომს“ კითხულობს. ლიგერატორუ-
ლი პერსონაჟებიდან მეგობრად,
„ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს
ირჩევს. აქვე წიგნის მოპარვის
ფაქტსაც არ მალავს და საიღუმ-
ლოს მანდობს: წიგნი ჩემს
საუკეთესო მეგობარს მოგპარეო.



22

სამზადისი მოსკოვი ბასტროლისთვის



„მეგობრობისთვის, კიდე
უფრო აუცილებელი, ხასიათე-
ბით შეწყობაა. მე და ვერიკო
ამ მხრივ, ერთმანეთს კარგად
ვუგებთ. ერთად ყოფნა ყო-
ველთვის გვახარებს“.

20

– მბიძე ომი მოგველის,
ხევისთავო! მთელი მილე-
თი ჩვენ წინააღმდეგ
დაბრულა. მეფე გიორგი,
მისი ძე დავითი, მალიქ შა-
ჰის სულჟენი. კლდეკარის
ერისთავი ლიპარიგ ივ-
ანეს ძე ბაგრაგოვანთ
მიმხრობია.



didgoris caze
frenda is jvari

– ლიპარიგ?!
გაუკვირდა ბერდიას. რამდენჯერმე შესვედრო-
და კლდეკარის ერისთავს და ისიც კარგად იცო-
და, რომ ლიპარიგი არასოდეს გაუშვებდა ხელ-
იდან ბაგრაგოვანთათვის სისხლის დაღენის შესა-
ძლებლობას.

82

■ შემოქმედელი	
28 წლის ასაკში მიღებული გადაწყვეტილება და პარიზის ნახვლად, კლხანოვზე ნახევარი რეჟისურა	34
■ ჯანმრთელობა	
✓ როსა ირვლივი ყველაფერი ყვეანის	37
✓ „მინუსი“ ხელს არ შეგვიშლის	38
■ ჟურნალი ჟურნალში	
გზავნილები	39-70
■ ნამდვილი აბაჯი	
ნატოს პაპროვანი კოსნა, „ტიმანიის“ მომხიბვლელი ღიმილი და სვანი მისაზღვრების ფოტოგრაფია	71
■ ფსევზი	
ირანელმა გურჯამა ქართულ-სპარსული ლექსიკონი შეადგინა	72
■ თანამშრომელი	
უხსოვრის სის ქვეშ	72
■ როშანი	
სვამა კვარაცხელია. ქარის სიღრმე... (ბაგრძელება)	74
■ ტივი-აუტი	78
■ საკითხავი ქალებისთვის	
✓ 15 წუთი სილაგისთვის	80
✓ რჩევები მათთვის, ვისაც შინ ბირანი მუდღე ყვავს	81
■ ისტორიული რომანი	
გორა მანუჩიკა. დიდგორის ხაზა ფრანდა ის ჯვარი (ბაგრძელება)	82
■ ტაქარი	
ქართულეზს საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ადგილი ეპყრათ ივრუსალიმის აღმშენებლის ტაქარში	86
■ რეპორტაჟი	
„მოვიღუპი“ სიყვარული	88
■ ვარსკვლავები	
✓ ლეონდის დაბრუნება	89
✓ ჯონ ლენონის თაყვანისმცემლებმა იოკო ონოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს	90
✓ ბარბრა სტრეიზანდმა ისრაელს უარი უთხრა...	90
■ ჩემი სსოვრების გზა	
დაღინაძვალსა და ბავშვთა სახლს შორის „ბაჭრილი“ ბიჭუნა და თეატრალური შეთხვევით მოხვედრილი	92
■ მემკვიდრეობა	
„სანამ ერთ მუჟად ქვეულა მუხუთვი, მიწდა, კულტურის მინისტრს მივმართო“	94
■ ბელადი	
მხლართმთავარი სტალინი (ბაგრძელება)	96
■ არჩევანი	
„ხელისუფლების არ მნამს, ოპოზიციის არ მჯერა!“	98
■ დამჯანსი	100
■ ავტო	101
■ სოკრტული მოყნიკა	102
■ სკანოტრი	104
■ ტანტი	105
■ არღმწოზი	106

ბარეკანვა: ირმა ლიპარტალიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკოპური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით გასვით „კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სულგის საფლოს მისიღუელა



„ბევრი უცნაური საფლავია პანთონში. მაგალითად, ერთზე კოჭლი მამალია დახატული. რაგომაა დახატული, რა მიზეზით – არავინ იცის, თანაც, საფლავს არავინ აკითხავს...“

28

„მოვიღუპი“ სიყვარული

მგზავრებმა ყველა ფანჯარა ჩაგმანეს და, რბილად რომ ეთქვათ, უსამოეო სურნელში აღმოჩნდი წინ დიდი გზა. მძლილს უკან, სახით მგზავრებისკენ ვბივარ და ძალაუბებურად, ყველას ვხედავ ჩემ წინ 15-16 წლის გოგონა მის, გელეფონს ჩასცქერის და დაკვეცილი თითებით რაღაცას წერს.



88

პარიზის ნახვლად, კლხანოვზე ნახევარი რეჟისურა



„ჩემი პროფესიული მთამსვლელობა თეატრმა შეიწირა, თუმცა ჩემი გული ახლაც მთაშია. ეს არის ჩემი ცხოვრების ყველაზე საკრალური, წმინდა და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და ეს ჩემს შემოქმედებამდე გადმოდის“.

34

– უკვე გათხოვილი იყო, რომ გავიცანი. ეგ იყო მთავარი უბედურება, ქმრიანი ქალი შემეყვარდა. რომ დავინახე, მივხვდი, ჩემი ბედისწერა ეგ იქნებოდა. ვერაფრით მოვერეე თავს. მიშამ გამეცნო, მაგის ძმაცაცის ცოლი იყო. ეჰ რად ვინდა, გრძელი ამბავია, არ დაგვლი მაგის მოყოლით.



– არა, რას ამბობთ, პირიქით, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, სიამოვნებით მოგისმენთ. ბიძინა წამით ჩაფიქრდა, ნაღვლიანი მხერა მესროლა, ოღნავ ჩემკენ მოგრიალდა, მოხერხებულად მოეწყო გახტმე და დაბალი ხმით დაიწყო.

74

საარჩევნო წელე SALE ახე ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამა



ნათქვამია, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. ამიტომ მთავარია, კარგად დამთავრდეს არჩევნები და ჩვენც მოვითმინთ ამ ტვინიზგამბურღავ რეკლამებს, ასე უხვად რომ გადის ყველა არხზე. თუმცა გაანია, არჩევნების კარგად დამთავრება ვისთვის რას ნიშნავს. ეს კი სწორედ იმ რეკლამების დახმარებით უნდა გაარკვიოს ამომრჩეველმა, რომლებიც მთელი სულითა და გულით დაგვიმზადდეს ჩვენმა პოლიტიკათმრთველებმა. ახლა, რაც რეკლამებში ითქმება, ყველაფერი ასრულდება-მეთქი, რომ ვთქვა, ტყუილი გამოივიდა, მაგრამ ამ რგოლებში ჩანს იმ ადამიანების გემოვნება, გულწრფელობა და აღსანიშნავობა, რომლებიც ჩემი და თქვენი ცხოვრების უკეთეს მოწყობას აპირებენ.

იქნებ, საარჩევნო ბარიერის ნ პროცენტამდე დაწვავამც უშველოს და რაც შეიძლება მეტი პარტია მოხვდეს სკამებზემცირებულ პარლამენტში?! თვითონაც ხომ სულ ამას ამბობენ, — ახალი სახეები სჭირდება ქართულ პოლიტიკასო! ქართულ პოლიტიკას რამდენად სჭირდება (სახესაც გაანია), არ ვიცი, მაგრამ ჩემს პროვოკაციებს ნამდვილად სჭირდება — აბა, სულ ჯონდის ჟესტებზე, დავითაშვილის ხინკალ-შაურმასა და თარგამაძის მჭევრმეტყველებაზე როდემდე შეიძლება წერო?! ამიტომ, ძალიან მახარებს პარლამენტარობის კანდიდატთა ოპტიმიზმი, უეჭველად გავიმარჯვებთო. ზოგი კიდევ აქვთ გვახადლის მის მოსვლას პარლამენტში და ამბობს, — ჩვენ მზად ვართ არჩევნებში გამარჯვებისთვისო!.. უპ, აგაშენა ღმერთმა! თქვენ კი ხართ მზად, მაგრამ ერთი, ჩვენც გვკითხე, თუ ვართ მზად შენი გამარჯვებისთვის?! თუმცა გამარჯვებაც ფარდობითი ცნებაა და ვისთვის უმრავლესობით მოსვლას ნიშნავს, ვისთვის კი — პარლამენტში თავის შეყოფას.

მოკლედ, ჩემი სურვილიდან გამომდინარე, — ყველა პარტია მოხვდეს რაღაც წარმომადგენლობით, პარლამენტში, მინდა, რჩევებიც მივცე, რომ უფრო ეფექტური რეკლამები გაუშვან ეთერში, ვიდრე ახლა ცოდვილობენ. ზოგიერთი პარტიის ლიდერი სწორედ იმ თანამიმდევრობით ჩნდება სარეკლამო რგოლში, როგორც სიაშია დანომრილი; ზოგი პარტიის რეკლამა კი უფრო ზოგადი კადრებითაა აწყობილი და ლიდერი არ ჩანს ან ვერ ჩანს, ხალხმა რომ არ გაიგოს, ვინ არის ამ პარტიაში.

ზოგ პარტიას იმდენი ფული აქვს, რომ ფასიან საეთერო დროსაც თამამად იყენებს, ზოგი კი მხოლოდ უფასოს სჯერდება, სამაგიეროდ, ერთ გაჭრაში 3-4-ჯერ ტრიალებს. მაგრამ მთავარი მინც დამაჯერებლობაა, რასაც რეკლამას ის კადრებიც სძენს, რომლებიც ამ პარტიის ნამოღვაწის ასახავს. მაგალითად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სარეკლამო რგოლში კარგად ჩანს, როგორ უყრის ფერმის მუშა ძროხას თივას, როგორ სინჯავს ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სოფლის ექიმი შიმშილისგან გულნასულ პაციენტს; განახლებული ჯარი, საპატრულო პოლიცია და ა.შ. ლეიბორისტების რეკლამაში კი 10-15 საუკუნის წინანდელი ძეგლებით ვტყვებით: სალომ, ძმაო, შალვას! არც ეტყობა ასაკი!..

მე, როგორც პროვოკატორი, აბსოლუტურად ნეიტრალური ვარ და რომ იტყვიან, ყველა პარტია ერთნაირად მტკიცეა — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, — ამიტომ, მინდა ყველას თანაბრად დავუხმა-

რო: აი, კვიციანი ხმა ძალიან უხდება მმართველი პარტიის რეკლამას, მაგრამ უფრო ეს სლოგანი მოუხდებოდა: „**Ларису Ивановну ХОЧУ** — საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ — ხომ კარგად ჟღერს? რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიაც ჩანს და საქმის კეთების სურვილიც; ჩვენი პარტიების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე არსებული ცნობილი რეკლამების გამოყენება არ იქნებოდა ურიგო. მაგალითად: „აგიყვავებთ ეკონომიკას და გავზრდით ბიუჯეტს 3-ჯერ, დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს და ანაბრებს. გავზრდით სამომხმარებლო კალათას, დაგაპურებთ და გააძლიბობთ, — ამას ყველაფერს მონებება უნდა, **rafaqolin C**...“

„დროების“ ჟურნალისტთა პარტიას — „სნიკერს“ ვურჩევდი: ტკბილია, კალორიული და პოლიტიკურად მომგებიანიც იქნება სლოგანების გაერთიანება — „ცვლილებების დროა, არ გაჩერდე, ნაუსნიკერსე!..“

მრეწველები ჯიუტად დგანან თავიანთ აზრზე, რომ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ამიტომ მეტი დამაჯერებლობისთვის, იქნებ, ახლა მინც რომ გაჭრას, სლოგანი „გავაპირინციპულოთ“: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს-მეთქი, ვის ვუბნებენ?!“

ლეიბორისტულ პარტიას ვურჩევ, ამოიღოს ფრჩხილებში ჩასმული „შრომა“: ხომ ხედავ, მინც არავის სჯერა! რეკლამის „გაკარგებისთვის“ კი შეეშვან რეზო ჩიკვიშვილს, კაცი გერმანიაშია თავისთვის და ის სალომე გასვიანიც გაიზარდა უკვე და ჭკუა-გონებაც მოემტა. პარტიას, რომლის ლიდერს ფუძის ანგელოზი ეძახის, „ბაუნტის“ რეკლამა მოუხდება: „ლეიბორისტული პარტია, აქ ძნელია მიხვდე, სად მთავრდება რეალობა და სად იწყება ოცნება“. ან, კიდევ უკეთესი: „ნათელაშვილი, გუგავა, შატბერაშვილი, ძაგანია, ერგელიძე — ღვთაებრივი ნეტარება!..“

მოკლედ, დანარჩენებსაც დაგეხმარებთ, არაა პრობლემა, მაგრამ ნეტაც, ტყუილად ხომ არ ვწვალობთ მეც და თქვენც?! რაღაც კულუარული ინფორმაცია გავრცელდა, არჩევნების გადატანა უნდათო და ვის ან რატომ უნდა, ვერ ვერ გავიგენსით, ოპოზიციას არ უნდა აძლევდეს ხელს, რადგან ერთი სული აქვს, როდის მოვა ხელისუფლებაში. არც ხელისუფლებას აძლევს ხელს, რადგან ერთი სული აქვს, როდის დარჩება კიდევ ოთხი წლით ხელისუფლებაში. და თუ მაინცდამაინც კორივეს გინდათ, — კი, ბატონო, მაგის რეკლამაც მზად მაქვს: „25-60-60 — არჩევნების გადატანის სერვისი, პი-პი...“

- PS. დიალოგი სარეკლამო სააგენტოში:**
- საარჩევნო რეკლამა მინდა პარტიისთვის.
 - რას ჰპირდებით ხალხს?
 - იმდენ რამეს ვპირდებით, რომ მინდა, თავი ზღაპარში ეგონოს.
 - მაშინ „მოვალისის“ რეკლამას გირჩევთ, იმიტომ, რომ ზღაპრულ ცხოვრებას რომ ჰპირდებით და ვერ აუსრულებთ, „დაგიპადიებდებენ“ და გირტყამენ დალურჯებამდე. ამ დროს კი ტკივილ-გამაყურებელი — მისწრებაა...

პროვოკატორი

„ქართველი პრი რელიგიურად ვპლიარდებით“ ...

რამდენიმე დღეა, მართლმადიდებლურმა სამყარომ ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ ეს დღესასწაული გახლდათ. ზოგი კი კვირის მოვლენებს შორის, წინა პლანზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით გაზრდილ დაძაბულობას აყენებს და რუსეთ-საქართველოს შორის აგრესიული დიალოგის გამო დიდ შეშფოთებას გამოთქვამს...

„ხალხი დაიღალა ამდენი ცყუილი დაპირებით“...

ნათია ჰივიკა

ირინა აბუაშვილი, ჟურნალისტი, 47 წლის:

— გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაკვირველია, ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იყო, რომელსაც პირადად მე, ბევრი სხვა ქართველივით, ტაძარში შევხვდი. სამწუხაროა, ფული რომ არ მაქვს, თორემ ჩემი დიდი ხნის ოცნებას ავისრულებდი და ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ამ დღესასწაულს იერუსალიმში, ქრისტეს საფლავზე შევხვდებოდი. გულით მინდა, ისრაელის წმინდა ადგილები მოვილოცო. იმედს მაინც არ ვკარგავ, მჯერა, რომ ოდესმე ამ ოცნებას ავისრულებ. მსურს, ყველა ქართველს ალდგომა სულითა და გულით მივულოცო. უფალი გვფარავდეს! ქრისტე აღდგა!

ნანა კვარაცხელია, დიასახლისი, 33 წლის:

— ქართველებს ილია მეორე რომ არ გვყავდეს, რა გვეშველებოდა? მან ხომ გასულ კვირას ძალზე მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა: იმ ოჯახს, რომელსაც ოთხი ან მეტი შვილი ჰყავს, ერისთვის თავდადებულის წოდება მიენიჭებაო. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზაა. კათოლიკოს-პატრიარქის ამ მოწოდებას გულითა და სულით მივესალმები. პირადად მე, უკვე ოთხი შვილის დედა ვარ. ერისთვის თავდადებულის წოდება კი არ მხიბლავს, უბრალოდ, ჩემი ქვეყანა მიყვარს, ღმერთის მწამს და რამდენსაც ღმერთი მაჩუქებს, იმდენ შვილს გავაჩენ და გავზრდი. რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახი მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის, მაგრამ უფლის იმედი მაქვს და მომავალში კიდევ რამდენიმე შვილს აუცილებლად გავაჩენ...



დავით პირბითიძე, ეკონომისტი, 46 წლის:

— მნიშვნელოვანი და ამაღლებელი მოვლენა — იერუსალიმში ქრისტეს საფლავზე გადმოსული ცეცხლია. ტელევიზიით ცეცხლის გადმოსვლის კადრებს რომ ვუყურებ, ყოველთვის ვნერვიულობ. ყოველ წელს მეშინია, ერთხელაც ცეცხლი რომ არ გადმოვიდეს... ამბობენ, თუ ეს მოხდება, იმ წელს მსოფლიოში ცუდი მდგომარეობა იქნებაო. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, პირველი და მეორე მსოფლიო ომები იმიტომ დაიწყო, რომ სწორედ იმ წლებში ქრისტეს საფლავზე ცეცხლი არ გადმოსულაო. საბედნიეროდ, მე არც ერთ ომს არ მოვსწრებივარ, მაგრამ საბჭოთა კავშირის პერიოდში ვარ დაბადებული-გაზრდილი და ვიცი, რომ მაშინ ამ ამბის არავის სჯეროდა. ახლა კი ეჭვიც არ მეპარება, თუ ოდესმე



ცეცხლი არ გადმოვა, მართლმადიდებელ ერს რალაც პრობლემა შეგვექმნება. ისე, ძალიან მიკვირს, სხვა რჯულის წარმომადგენლები ასეთ სასწაულებს რომ უყურებენ, როგორ არ უნდათ, რომ ისინიც მართლმადიდებლებად მოინათლონ?..

გიორგი ნადირაძე, იურისტი, 37 წლის:

— ძალიან გამიხარდა, საფრანგეთმა ირაკლი ოქრუაშვილს პოლიტიკური თავშესაფარი რომ მისცა და ჩვენმა სასამართლომ მისი გასამართლება ვერ მოახერხა, თორემ რას უზამდნენ, კაცმა არ იცის. მიუხედავად მის მიერ ჩადენილი შეცდომების სიმრავლისა, ამ ადამიანს მაინც დიდ პატივს ვცემ, რადგან ვაჟკაცია... რაც შეეხება ცუდ მოვლენას, — არ მესიამოვნა, რუსეთის მიერ გავრცელებული ინფორმაცია: მისი თქმით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში რუსი სამშვიდობოების რიცხვი გაიზარდა. მხოლოდ მე კი არა, თითქმის ყველა ქართველ ადამიანს ომის „სუნი გაცემს“, რაც ჩვენთვის ყველაზე დიდი ტკივილი იქნება. ჯერ ცხინვალსა და აფხაზეთში წლების წინ დაღუპული ადამიანები ვერ მოგვინებია და მათ რიცხვს რომ კიდევ მივმატოს, რალა დავრჩებით?! ამიტომაც გვაქვს დემოგრაფიული პრობლემა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ამ ამბავში პატრიარქიც ჩაერიოს, ჩვენს პრეზიდენტს რჩევები მისცეს და მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აგვაცილონ...

ზურაბ ცერცვაძე, პროგრამისტი, 32 წლის:

— ქვეყანაში არჩევნების ჩატარება მნიშვნელოვანი მოვლენა კი აღარ არის, არჩევნები უკვე მოდამიც კი შემოვიდა. ქართველი ხალხი დაიღალა ამდენი არჩევ-

ნებით და პოლიტიკოსების ამდენი ტყუილი დაპირებით. წინასაარჩევნოდ ყველა მათგანი კეთილი ხდება. ყველას მაშინ ახსენდება: უპატრონო ბავშვები, მოსუცები, გაჭირვებულები და ა.შ. ასეთი ადამიანებისთვის ალბათ არჩევნების სისხშირე უკეთესიცაა, რადგან საქართველოში რაც მეტჯერ ჩატარდება არჩევნები, მით უფრო მეტად დაეხმარებიან მათ... სიმართლე რომ გითხრათ, საქართველოში კარგი და მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, ცუდი და უარყოფითი კი თქვენც კარგად იცით...

კითხვან გელაშვილი, დიასახლისი, 48 წლის:

— რამდენიმე დღის წინ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ვიზეიმეთ, რა უნდა იყოს ამაზე მნიშვნელოვანი?! ახლა კი ბრწყინვალე შვიდეულის კვირაა. ქართველებს, ჩვენი ხელისუფლებისა და ოპოზიციის შემხედვარეს, მხოლოდ ღმერთის იმედითაა გვაქვს. ძალიან მიხარია, ტაძრებში მრევლმა რომ იმატა. წირვა-ლოცვებზე ყველა ტაძარში იმდენი ადამიანია, რომ ბევრ მათგანს ეზოში, დინამიკების საშუალებით უწევს ლოცვის მოსმენა. ქართველი ერი რელიგიურად ვძლიერდებით. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ სულიერადაც გავძლიერდებით და ქვეყანაში არსებულ პრობლემებს სხვებისგან დამოუკიდებლად მოვავგარებთ...

ლავა კირსელიძე, სტუდენტი, 21 წლის:

— გასულ კვირას, რაგბიში საქართველოსა და ესპანეთის ნაკრები გუნდების თამაში შედგა. როგორც ცნობილია, აღნიშნული მატჩი ქართველების გამარჯვებით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელებს მხოლოდ 2 ქულით მოუუგეთ, ერთა თასის მფლობელები, უკვე მეორედ, ქართველები გახდით და ეს გამარჯვება ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მიხარია, სპორტში ასეთი ძლიერები რომ ვართ. ეს ჩვენთვის ნამდვილად საამაყოა. ძალიან გამიხარდა, ლადო გურგენიძემ რაგბისტების შრომა რომ დააფასა და ნაკრებს 100 ათასი ლარი გადაურიცხა. გული მწყდება, ფეხბურთშიც ასეთი მაგრები რომ ვერ ვართ...

თაბარ ნიალაური, პედაგოგი, 52 წლის:

— აღდგომის დღესასწაულზე მნიშვნელოვანი არაფერი შეიძლება იყოს. ამიტომ ყველა ქართველსა და მართლმადიდებელს ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი ყოფილიყოს მათი და მათი ოჯახების მფარველი. ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა...



ქსარაზიანის შვილიშვილის საიღუმელო ჟორნიანა

თბილისური ბომონდი გრანდიოზული ჟორნილისთვის ემზადება. შაბათს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილის — თამუნა მოსაშვილისა და ჩვენთვის უცნობი, ბერძენი ბიზნესმენის შეუღლებას იზეიმებენ. თამუნა ქალბატონი მანანა შევარდნაძის ქალიშვილია, პირველი ჟორნიანებიდან. ის კომპანია „მაგთიკომში“ იურისტად მუშაობს.

თამუნა ერთხელ უკვე იყო გათხოვილი, მაგრამ პირველი ჟორნიანება უიღბლო აღმოჩნდა. მომავალი ჟორნილის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია რომ მოგვეპოვებინა, ექსპრეზიდენტის შვილიშვილის ერთ-ერთ ახლობელს დაუკავშირდით, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, პატარაძის მეგობარმა გვთხოვა, მისი ვინაობა არ გავგეგმვილა. მიუხედავად ამისა, ისიც ძალზე მცირე ცნობების მონოდებით შემოიფარგლა, კერძოდ:

— თამუნას რჩეულის გვარ-სახელს, მისი ნებართვის გარეშე, ვერ გაგიმჟღავნებთ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის ახალგაზრდა ბერძენი ბიზნესმენია, ათენში ცხოვრობს, მაგრამ ბიზნესინტერესები საქართველოშიც აქვს. წყვილმა ერთმანეთი თბილისში გაიცნო. მერე დამეგობრდნენ და სიყვარულიც მალევე ეწვიათ. თამუნა ძალზე თბილი, თავმდაბალი ადამიანია, არასდროს სარგებლობს იმ პრივილეგიებით, რასაც შევარდნაძის შვილიშვილო-

ბა ანიჭებს. ბაბუას ხშირად სტუმრობს. ბატონ ედუარდს მისი გათხოვების შესახებ რომ გაუგია, გული ასჩუყებია, უთქვამს: ჩემთან ისე ხშირად ვეღარ მოხვალ... ჟორნილის შემდეგ ახალშეუღლებულები სამოგზაუროდ, ევროპაში გამგზავრებას აპირებენ. როგორც ჩემთვის ცნობილია, ჟორნილი სულ 250 სტუმარია მიწვეული, მათ შორის — ბევრი ცნობილი ქართველი და უცხოელიც იქნება...



ბატონ ედუარდს მისი გათხოვების შესახებ რომ გაუგია, გული ასჩუყებია

როგორ ცხოვრობენ კონფლიქტის ზონაში ქართველები და აფხაზები ომის პოლოღინში



წლების განმავლობაში საქართველოს ამ რეგიონში მშვიდობა არ ყოფილა, თუმცა არც ომი იყო. გალის რაიონში ე.წ. შუალედურ ვითარებას იმდენად შეეჩვივნენ, რომ იქაურებისთვის რომ გეკითხათ, — რა ხდება კონფლიქტის ზონაში? — ზოგი ასეც კი უპასუხებდა: მშვიდობა, რა უნდა ხდებოდეს? ქართულ ტელეკომპანიებს ნუ უსმენთ!.. მაგრამ ბოლო დროს საქართველოსა და რუსეთს შორის გაზრდილი დაძაბულობის კვალობაზე, რეგიონში ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ ომზე უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ.

„ქიდევ ერთი შეხება თუ მოხდა, აფხაზური ეთნოსი ამოწყდება“

ლალი კაპასკირი

გალის მოსახლეობა ყოველდღე ხედავს, როგორ იზრდება რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი და მასთან ერთად — სამხედროების გავლენა აფხაზეთში. სამხედრო ტექნიკა იქაურებისთვის, გასული საუკუნის 90-იან წლებთან ასოცირდება: აფხაზებს საომარი მოქმედებების განახლების შიში იპყრობს. მათი თქმით, კიდევ ერთი შეტაკება აფხაზურ ეთნოსს საშუალოდ გააქრობს. რა განწყობილებაა ენგურს მიღმა, რაში თანხმდებიან და რა საკითხებში აქვთ განსხვავებული მოსაზრებები კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს? ჩიხიდან გამოსასვლელად, რა გზას ხედავს უბრალო ხალხი? — ყოველივე ამის გარკვევას ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შევეცადეთ.

როლიანდი, 63 წლის, ოჩამჩირელი აფხაზი:

— ვისაც საკუთარი თვალით უნახავს, რა ხდებოდა აფხაზეთში ამ 15 წლის წინ, ყველაფერი უნდა დათმოს და ომი არ უნდა დაუშვას. უშვილო კაცი ვარ, მაგრამ სამი ძმისშვილი მომიკლეს, ცოლის ოჯახი კი საერთოდ ამოწყვიტეს. ოჩამჩირეში ქუჩა არ არის, სადაც 5-6 სახლი არაა დამწვარი. ჩემ უკან გუდაუთის ქუჩა იყო. იქ მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, იქაურობა ახლა ტყედად არის ქცეული... კიდევ ერთი ომი თუ მოხდა, აფხაზური ეთნოსი გადაშენდება. მეორე მსოფლიო ომის დროს არ დაგვიკარგავს იმდენი ადამიანი, რამდენიც 90-იან წლებში. ეს უნდა ესმოდეს საქართველოს ხელისუფლებას და თუკი მართლა ფიქრობს აფხაზებთან თანაცხოვრებაზე, ამ პრობლემის გადაჭრა საომარი მოქმედებების გზით უნდა გამოიკეთოს.

— ამაზე ქართული მხარე წლების განმავლობაში ლაპარაკობს. თქვენ რა გზას ხედავთ, პრობლემის გადასაჭრელად?

— მე ადგილობრივ სკოლაში ვმუშაობ და ამ საკითხზე კოლეგებთან ხშირად ვსაუბრობთ... ყველას გვემის, რომ ორივე მხარეს რუსეთი გვირეცს ტვინს. ქართველების არ ვიცი, მაგრამ მოსკოვი ჩვენ იმის მუხედსაც არ გვისრულებს, რასაც გვირდება. აფხაზური ტრადიციები თანდათან იკარგება. მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ როცა საქართველოს ხელისუფლება გვეუბნება, — თქვენთვის ყველაფერი კარგი მინდაო, — მისი სიტყვების მიღმა კბილების კრაჭუნი ისმის... ახლა, როგორც არასდროს, ჩიხში ვართ მოქცეულნი.

— კონკრეტულად, რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ქართული მხარის მიერ შემოთავაზებული, გაფართოებული ავტონომია, მხოლოდ ფორმალური სტატუსი იქნება და სხვა არაფერი. როგორც კი ამაზე დავთანხმდებით, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში მაშინვე თავდაცვის ჯარს განალაგებს და იტყვის, — შსს-ს ქვედანაყოფებიაო, — ისე, როგორც ახლა კოდორის ხეობაში არსებულ ძალოვნებზე ამბობს. აფხაზები მაშინაც ისეთივე უფლებები ვიქნებით, როგორიც ახლა ვართ და რა მნიშვნელობა აქვს, ვისი უღლის ქვეშ ვიქნებით?!

— საქართველოს ხელისუფლებას კონსტიტუცია პირდაპირ ავალდებულებს, რომ აფხაზეთისა და ოსების განვითარებაზე იზრუნოს...

— კონსტიტუცია თქვენს ხელისუფლებას, ისევე, როგორც ჩვენსას, ბევრ რამეს ავალდებულებს, მაგრამ რას ასრულებენ — ეს სხვა საკითხია... მე ვაპირებდი, სათავეში ჩავდგომოდი იმ აფხაზების სიას, ვინც მიხეილ სააკაშვილისთვის თხოვნით მიმართავს აპირებდა, რომ მას ძალისმიერი გზით აფხაზეთის დაბრუნებაზე უარი ეთქვა. თქვენ მეტყვიეთ, — ის ამას არც არასდროს აპირებდაო, — მაგრამ ვიცით, რომ აპირებდა და მის ინიციატივას ამერიკის სენატმა არ დაუჭირა მხარი. თუმცა ახლა, როცა რუსეთი ამაზე ღიად ლაპარაკობს,

არავინ იცის, რა მოხდება... თუკი გამოცდილი დიპლომატიებით არის დაკომპლექტებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რატომ არ შეიძლება, რუსეთთანაც მოძებნონ საერთო ენა? თუკი ასეთი ძვირფასია თქვენთვის აფხაზები და მათთან თანაცხოვრება, დაუთმეთ რამე რუსეთს, ჩვენს სანაცვლოდ...

— თქვენი აზრით, რის სანაცვლოდ დათმობს რუსეთი აფხაზეთს?

— ეს პოლიტიკოსებმა უნდა მოიფიქრონ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. რატომ არ შეიძლება, ალიაროს საქართველოს ხელისუფლებამ ჩვენი დამოუკიდებლობა? ამით ჩვენს ხელისუფლებას შემოირიგებს და გზა ხსნილი იქნება. მერე, როცა თანდათან, ქართული და უცხოური ინვესტიციები შემოვა აფხაზეთში, მისი ეკონომიკა ქართველების ხელში გადავა. ამის მერე კი აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან და ხალხთან ურთიერთობის აწყობა ძალიან მარტივი იქნება. ამა თუ იმ რეგიონს იმ ქვეყნის მთავრობა აკონტროლებს, ვისი კაპიტალიც ტრიალებს. რუსეთმა ასე მოიკიდა ფეხი აფხაზეთში. რატომ არ შეიძლება, იგივე გააკეთოს საქართველომაც? ხალხს მატერიალურად ძალიან უჭირს და სოჭის ზამთრის ოლიმპიადის იმედი ჰქონდა. სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში თუ რამე დანგრეული იყო, ან გაარემონტეს, ან საერთოდ დაანგრეს და მის ადგილზე ახალ შენობას აშენებენ. გალისა და ოჩამჩირის მოსახლეობამ სამაშაოდ, იქაურობას მიაშურა. მარტო სეზონური შემოსავლით ცხოვრება ძნელია და ხალხმა გამოსავლის პოვნა თვითონ მოისურვა. ასეა თუ ისე, სამაშაოდ ქართველები და აფხაზები ერთად დადიოდნენ. ურთიერთობაც ჰქონდათ და ყინული თანდათან ღვებოდა. თუ კიდევ ერთხელ მოხდა ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკება, დამიჯერეთ, ვეღარასდროს შევრიგდებით. არადა, ფაქტია, რომ საომრად ორივე მხარე ემზადება.

რაზე ატყობთ?

— მთელ აფხაზეთში სამხედრო მობი-
ლიზაციაა გამოცხადებული და დენტის
სუნი ტრიალებს. ყველამ ვიცით, რომ ეს
საქმე ასე არ მიჩუმათდება. სხვა თუ
არაფერი, რუსეთს რომ რაღაც არ
ჰქონდეს ჩაფიქრებული, აფხაზეთში ამ
რაოდენობით სამხედრო ტექნიკას არ
შემოზიდავდა. მათ აქ მილიონობით ფული
აქვთ ჩადებული და ამას ასე ადვილად
არ დაკარგავენ. ფაქტია, რომ გულს-
ელდაკრეფილი არც საქართველოს ხე-
ლიუფლებს იჯდებიან. თუ ომი დაიწყო,
ეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კი
არაა, რუსეთ-ამერიკის ომი იქნება.

**თეიმური, 46 წლის, გალის რაიონ-
ის სოფელ ქვემო ბარდების მკვიდრი,
ქართველი:**

— როგორც კი ენგურს მიღმა გადა-
ვიდვარ, ვგრძნობ, რომ ყველა რაღაც სა-
ფრთხის მოლოდინშია. ხალხი უკვე ღიად
ლაპარაკობს ომზე, რომელიც არავის უნდა,
თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასე ცხოვრებაც
შეუძლებელია... დედა სომეხი მყავს. 90-
იანი წლებში მან ჭიკვარზე წარწერა გაა-
კეთა, — აქ სომეხი ცხოვრობს... ორი
სახლი მაქვს, ერთი — აჩადარაში, მეორე
— ბარდევში, მაგრამ ვერც ერთგან დავრ-
ჩებოდი, რადგან ვიბრძოდი. ერთი პერი-
ოდი დედა მართო ცხოვრობდა. მას აფხ-
აზები არ ერჩოდნენ, მაგრამ რამდენჯერმე
ქართველები შეუტყვივდნენ. ჩვენი ოჯახი
რალაცნაირად, შუაზე იყო გაყოფილი, მა-
გრამ როგორღაც ვუძლებდით ამ ყვე-
ლაფერს. მოგვიანებით კი მეუღლე გარდ-
ამეცვალა და ბავშვებს ქალის ხელი სჭირდ-
ებოდათ. შვილებს დედინაცვალს ხომ არ
მოუყვანდი და სოფლიდან მოხუცი დედა
ჩამოვიყვანე. სახლ-კარი კი მეზობელს და-
ვუტოვე, — მიმიხედ და შენც ისარგე-
ბლე-მეთქი, — მაგრამ სხვისთვის მიბარე-
ბული საქმიდან ხეირი ვის უნახავს, მე
რომ მენახა?.. უკაცობა მაშინვე დაეტყო
სახლს. იქ ცხოვრებას თავს ვარიდებდი,
მაგრამ თბილისში ვერაფერი გააკეთე-
სახლ-კარი გამიპარტახდა. ასე ვინვალე
დიდხანს, მერე კი მოკვიდე დედასა და
შვილებს ხელი და სოფელში წავიყვანე.



მთელ აფხაზეთში
სამხედრო მობილიზაციაა
გამოცხადებული და
ღენტის სუნი ტრიალებს

წელიწადში ტონა-ნახევარი, ხან კი — ორი
ტონა თხილი მომყავს. მართალია, ცოტა
აფხაზებსაც მიაქვთ, მაგრამ სამყოფი მინც
მრჩება... ახლა ისევ ომი რომ დაიწყოს,
ყველაფერი თავდაყირა დადგება და ისევ
ტყე და სარეველა წაიღებს იქაურობას.

რატომ გგონიათ, რომ ომი
დაიწყება?

— ვხედავთ, აფხაზეთში რანაირი ვი-
თარებაც არის. სახლის უკან შეიარაღებულ
ძალებს რომ დაგიყენებენ, ეს კარგს არაფერს
უნდა ნიშნავდეს. ჩემი თვლით დავინახე,
როგორ ჩამოაგდო ქართული უპილოტო
თვითმფრინავი გულდაუთის მხარისგან წა-
მოსულმა რუსულმა თვითმფრინავმა. ქარ-
თული საფრენი აპარატი
ძალიან ნელა მოფრინავდა
და მისი წარმომავლობის
გარკვევა ძნელი არ იყო. მისი
ნამსხვრევები ზღვაში ჩაცვიფ-
და. არც რუსული თვითმ-
ფრინავის გარკვევა იყო ძნე-
ლი... ვნახეთ ყველაფერი, მა-
გრამ ვის გინდა უთხრა?..
მეორე დღესვე აფხაზმა და
რუსმა სამხედროებმა ჩამ-
ოიარეს და მოსახლეობა
დაჰკითხეს, — რომელი მი-
მართულებით მოფრინავ-
დაო? მერე ნამსხვრევებს
დაუწყეს ძებნა, მაგრამ ვერ
იპოვეს. ყველას ერთნაირი

პასუხი გვეკონდა: არ ვიცო, არ შეგვიმჩნე-
ვია... ახლა წნეხი გაათამაგებულია, მაგრამ
ბოლო დღეებში მათი ქმედებები აუტანე-
ლი გახდა. რამდენჯერმე პირდაპირ მკითხ-
ეს, — შენი მინის დაცვამ თუ მოგინია,
მტერს შეებრძოლებო?

მტერში ქართველებს გულისხ-
მობდნენ, არა?

— რა თქმა უნდა. მე ხშირი ურთიერ-
თობა მაქვს აფხაზებთან, არც მათ უნდათ
ომი. აქამდე, მუდმივ სტრესს შეჩვეულები
ვიყავით, ახლა კი ყოველდღე ტანკების
გრუხუნები უკვე შიშის ზარს სცემს მოსახ-
ლეობას. არადა, მართალია, გალის რაიონ-
ი კუნძულივით იყო, ბოლომდე არც ერთი
მხარის კანონი არ მოქმედებდა, მაგრამ
ყველაფერს შეჩვე-
ულები ვიყავით და
როგორღაც ვძლებ-
დით... რაღაცებში
ჩვენი ხელისუფლებაც
სცოდავს, რუს ბიზ-
ნესმენებს ინტერ-
პოლს გადაეცემთო!
— გაიძახიან. ახლა
გაახსენდათ, რომ
ისინი იქ დანაშაულს
სჩადიან?.. შეიძლება,
იქ არავინ იცოდეს,
მაგრამ აქ თითქმის
ყველამ იცის, რომ
აფხაზეთში არალე-
გალური ქართული
ბიზნესი ტრიალებს.
ეს შევარდნაძის

დროიდან ასე იყო, მაგრამ მაშინ თითქ-
მის ღიად მოქმედებდნენ, ახლა რამდენიმე
გაბედული კაცი მუშაობს. როგორც ჩანს,
ნახეს, აქ რა ფულიც კეთდება და ამიტო-
მაც იბრძვიან ასე. ხალხზე არც ერთი მხ-
არე არ ზრუნავს...

პარლამენტის ტერიტორიული მთლი-
ანობის აღდგენის საკითხების დროები-
თი კომისიის თავმჯდომარე შოთა მო-
ლაშხია მიიჩნევს, რომ ნახსენები გადან-
ყვეტილება (რუს ბიზნესმენებთან დაკავ-
შირებით) მხარეებს შორის ურთიერთო-
ბის გამწვანებას კი არა, ვითარების განმუხ-
ტვას ემსახურება. მისი თქმით, საქარ-
თველოს ხელისუფლებას აფხაზეთის დას-



ბოლო დღეებში მათი
ქმედებები აუტანელი გახდა

აბრუნებლად, ერთადეთი გზა დარჩა —
საერთაშორისო სამართალი.

შოთა მოლაშხია:

— საქართველოს ხელისუფლება, იმ
რუსი ბიზნესმენების მიმართ, ვინც აფხ-
აზეთში, ლეგიტიმური მთავრობის გვერ-
დის ავლით ბიზნესს ახორციელებს, ინ-
ტერპოლი სისხლის სამართლის საქმის
აღძვრას აპირებს და ეს ნორმალურია.
შესაბამისი პაკეტი უკვე მომზადებულია
და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საერ-
თაშორისო ორგანიზაცია ამ საკითხით
დაინტერესდება, არ არის გამორიცხული,
რომ მათი ბედი აფხაზმა სეპარატისტებ-
მაც გაიზიარონ.

სომ შეიძლება, ეს მიმა-
რთვა უფრო ადრე გაგვეგზავნა,
სანამ ორ ქვეყანას შორის ურთიერ-
თობა ასე დაიძაბებოდა?

— 2007 წელს, როცა აფხაზეთში რუსუ-
ლი ბანკები განსაკუთრებით დიდი რაოდე-
ნობით შემოვიდნენ, მაშინაც ერთი ამბავი
ავტეხეთ და ვთქვით, რომ რუსი ბიზნეს-
მენებისა და კომპანიების მოქმედება დან-
აშაულებრივი იყო. მას შემდეგ იმ რე-
გიონში მათი ქმედებები საკმაოდ შემცირ-
და. თუ ადრე შ2-მდე ბანკი მოქმედებდა,
20-მა აფხაზეთი დატოვა. მოგვიანებით,
საერთაშორისო დონეზე გავიტანეთ, ფი-
ჭურ კომპანიებთან დაკავშირებული საკ-
ითხებიც — „მაგთისა“ და „ჯეოსელის“
წარმომადგენლებს მივმართეთ თხოვნით,
წარმოედგინათ ხარჯთაღრიცხვა — თუ

გაგრძელება იხ. გვ. 98

სოფო ზონიშვილი

ქურნალისტი - ლალი მოროშკინა
რესპონდენტები - პაპუ

— კაბუ, ჩემო სიცოცხლე, ძალიან მომენტურად, ამდენ ხანს სად იყავი? რატომ დაიგვიანე? გელოდებოდით...

— ოო... ამხელა კაცი ვარ და კიდევ, „რაზბორკებზე“ დავდივარ, რაღაც საქმე იყო და ახლობელს გაყვევი (იციინის). ცოტა დავიგვიანე, იმედია, არ გამიბრაზდები.

— უფრო ადრე, რამდენიმე წლის წინ, სად იყავი, ძალიან მენატრებოდი?

— „ძილში“...

— დიდხანს გეძინა?

— საკმაოდ, 5 წელი...

— მოდი, გულწრფელად მითხარი, რამ გამოგადვიდა?

— ...ცხოვრება მომენტურად. რაც ახლა ძალიან შემიყვარდა, 5 წლის განმავლობაში ასე არ მიყვარდა. ამჯერად, ცხოვრება ისე მიყვარს, როგორც არასდროს. მიყვარხარ შენც, ჩემო საყვარელო, კიდევ — დედიკო, მამიკო, დაიკო და ჩემი შვილები...

— ჩვენი პრეზიდენტი არ გიყვარს?

— ზოგჯერ კი (იციინის), სიმართლეს ვამბობ: სანამ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იქნება, ის ყოველთვის ჩემი პრეზიდენტიც იქნება!

— კახა, შენ თქვი, რომ 5 წელი გეძინა. ხანდახან ასეთი „ძილიც“ საჭიროა იმისთვის, რომ კარგად გაარკვიო, შენ გარშემო ვინ ვინ არის. გამოფიზიოლოგების შემდეგ, შენი ცხოვრებიდან თუ „გაცხრილე“ ზოგიერთი მათგანი?

— ეს იყო სიზმარი, რომელშიც მაჯლაჯუშნებს ვხედავდი. სწორედ ისინი აკუთებდნენ ცუდ საქმეს! ამ სიზმარმა ისეთი ადამიანები მაჩვენა, რომლებიც ჩემთან ახლოს არასოდეს ყოფილან და არც მო-

მეც შენსავით 5 წელი „მეძინა“



ლორეანისთვის დაუჩინი მარბანციბაზი

„ფურნალისტის როლი“
ლალი მოროშკინა და კაბუ (კახა აბუაშვილი) ერთმანეთს შეეახვედრეთ. ინტერვიუში თითოეულმა თავისი განვლილი ცხოვრება გაიხსენა და ერთგვარი აღსარებაც გამოუყვინდათ, რადგანაც გაიარეს, რომ ისინი წარსულში საკუთარ ნამოქმედარს კრიტიკულად აფასებენ და რაღაც რაღაცებს ინანებენ კიდევ. აქვე ისიც აღიარეს, რომ ცუდი, რის გამოც გული სტკივთ, ცხოვრებისგან მოწყობილი ერთგვარი გამოცდა თუ გაკვეთილი იყო და მსგავს სოსულელეს მომავალში აღარასდროს გაიმეორებენ.



და მსასიოზის 5-წიანი „სროკი“...

„შინჯანჯად ამოქვნი თავისთქოლოში ჯამია!“

მავალში იქნებოდა. უბრალოდ, ის იყო, რომ ერთ სიზმარში, ერთ კოშმარში მოვხვდით. ერთმანეთს შემთხვევით გადავეყარეთ. მიუხედავად ამისა, ამ ყველაფერს არ ვნანობ. რომ არა ეს კოშმარი, საკუთარ შესაძლებლობებში ასეთი დარწმუნებული, როგორიც ახლა ვარ, ვერ ვიქნებოდი. ვიგრძენი და დავინახე ის, რომ ჩემი პროფესიის გარეშე, ჩემს ცხოვრებას აზრი არა აქვს.

— გარდა იმისა, რომ კარგი მსასიოზი ხარ, კარგი რეპორტიც ბრძანდები...

— გეთანხმები, მე აგრესიული რეპის წარმომადგენელი ვარ! თან ნაომარი რეპერი ვარ. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, მეორე კურსზე ვიყავი, იარაღი ხელში ავიღე და საომრად წავედი.

— ესე იგი, პატრიოტი რეპერიც ხარ?

— რატომაც არა...

— კაბუ, მინდა გავიხსენო ის პერიოდი, როცა ყოველ შენს სექტაკლზე ანშლაგი იყო, უამრავი ფანი გეხვევდა და საოცრად პოპულარული იყავი... ეს ისევე განმეორდება?

— ყველაფერი ლევან ნულაძის დამსახურება გახლდათ. თუკი რაიმე ვიცი და საერთოდ რამეს წარმოვადგენ, მას უნდა ვუმაღლოდე. დამეთანხმები იმაში, რომ მლიქვნელი კაცი არ ვარ. აფხაზეთის ომის შემდეგ, შეიძლება ითქვას, „ტალახში“ ვიყავი ჩაფლული, მოვიდა ლევანი და ამ ტალახიდან ამომიყვანა; თეატრში წამომიყვანა, სადაც ნელ-ნელა ფეხი ავიდგი.

შემდეგ იყო ანშლაგები, თავიანთსმცემლები, ფანები... ღვთის წყალობით და ლევან ნულაძის დახმარებით, ალბათ, ეს ყველაფერი ისევე განმეორდება.

— რა განწყობილებით უბრუნდები პროფესიულ საქმიანობას?

— წარმოიდგინე, მეოთხეკურსელი ბიჭუნა, რომელსაც ყველაფერი წინ აქვს, რწმენა — წარმატებული მომავლის და ა.შ. სწორედ ასეთი განწყობილებით ვარ განმსჭვალული. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თამაში საოცრებაა. მიხვდები, რომ ეს ჩემი ცხოვრების მიზანია, მერე რა, რომ...

— ჩემი, როგორც მეგობრისა და ამ შემთხვევაში ფურნალისტის რჩევა იქნება, ამ ყველაფრის მიმართ სინანული ნაკლებად გამოხატო. შენ ისეთი არაფერი დაგიშავებია, რომ საკუთარი თავი ასეთი თვითგვემისთვის გაიმეტო. მინდა, წარმატება გისურვო. ყველას არ აქვს უნარი, ცხოვრების რამდენჯერმე თავიდან დაწყება შეძლოს; შენ კი ეს შეძელი! აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მეც შენსავით 5 წელი „მეძინა“. მოკლედ, მე და შენ 5-წლიან „სროკზე“ ვიყავით (იციინის). მთავარია, რომ საკუთარ თავში, ცხოვრების გაგრძელების ძალა და სტიმული იპოვე. თეატრში წარკოშვნიან როლს თუ ითამაშებდი?

— დიდი სიამოვნებით, თანაც სიღრმისეულად (იციინის).

გაგრძელება გვ. 12

«ჯანმრთელობის სახლი»

— ადგილი, სადაც თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავენ...

ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტი, გასტროენტეროლოგი — ირაკლი სმაღლაძე 20 წელზე მეტია, რაც პაციენტებს ემსახურება. ბოლო წლებში, ამ პროფილის ავადმყოფთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. უხარისხო საკვები, არასწორი კვება... დაავადების გამომწვევი მიზეზების ჩამონათვალი მრავალია. ექიმი ირბაქლი სმაღლაძე გასტროენტეროლოგიური და პეპათოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანებს „ჯანმრთელობის სახლში“ იღებს და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო ირაკლი, რამდენიმე თვის განმავლობაში ისრაელში იმყოფებოდით და სტაჟირებას მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან



ან გადიოდით. რა პრინციპით მოხდა თქვენი შერჩევა და რას გვეტყვით ისრაელის კლინიკაში გატარებულ დღეებზე?

— დიხს, წილად მხვდა ბედნიერება, 3 თვის მანძილზე, მემუშავა შიბა ტელეშუმერში. ეს დაახლოებით რუსთავის ზომის სამედიცინო ქალაქია, სადაც უამრავი კვლევითი ცენტრია განთავსებული. საქართველოდან 3 ექიმი ვიყავით. მე და პედიატრები — ნინო ჯაშიაშვილი და თამარ ბალანჩივაძე. ჩვენი შერჩევა კონკურსის საფუძველზე მოხდა. კონკურსი ისრაელის საელჩომ გამოაცხადა. ისრაელში, 3 თვის მანძილზე, ისეთი ძლიერი და მაღალკვალიფიციური პეპათოლოგის გვერდით მომინია მუშაობამ, როგორც პროფესორი პერეს დეისია. მას თბილისშიც ხშირად იწვევენ. მამავის პროგრამის გავლა ყველა ექიმისთვის დიდი პატივია. ამის შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ გვეძლევა. შემდეგ ჩვენი მონაცემები კომპიუტერულ ბაზაში შედის. ისრაელის მთავრობის მხრიდან მამავის პროგრამაზე მაღალი ექიმის მიმართ ნდობა დიდია. საზღვარგარეთ წასულ თავის მოქალაქეებს ასეთ ექიმებთან მისვლას ურჩევენ. ამ ქვეყანაში ჯანმრთელობას დიდ ყურადღებას აქცევენ. იქ ყვე-

ლა მოქალაქე დაზღვეულია. ებრაელი პაციენტი მეც მყავს.

— ინფექციურ და გასტროენტეროლოგიურ დაავადებათა რიცხვმა იმატა?

— საგრძნობლად იმატა. გასტრიტი, გასტროდუოდენიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, რეფლექსუზოფაგატი, ენტერიტები, გასტროენტერიტები, ქრონიკული კოლიტი, დისბაქტერიოზი — ეს დაავადებები ბევრი ადამიანისთვის პრობლემას წარმოადგენს. დისბაქტერიოზი ბავშვობიდან, მეტწილად ანტიბიოტიკების არამიზნობრივად გამოყენების შედეგად ყალიბდება. კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებულ პრობლემებს ხშირად ორსული ქალბატონებიც უჩივიან.

— თქვენ მიერ ჩამოთვლილი დაავადებები მკურნალობას რამდენად ექვემდებარება?

— ეს დაავადებები, სწორად შერჩეული კურსით, მკურნალობას ექვემდებარება. მთავარია, პრობლემას რაციონალურად მივუდგეთ. კუჭზე, ნაღველზე, ნაწლავებზე ცალკე მკურნალობა შედეგის მომტანი ვერ იქნება. ამას ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებაც ადასტურებს. ჯერ არ შემხვედრია პაციენტი, რომელიც ნაღველის ბუშტთან დაკავშირებული ჩივილებით მოსულიყო და მას კუჭ-ნაწლავის პრობლემები არ ჰქონოდა. ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიღების პარალელურად, დიეტის დაცვაც აუცილებელია. ასევე შედეგის მომტანია კურორტული მკურნალობაც. ჩემს პაციენტებს ბორჯომში დასვენებას ხშირად ვურჩევ.

— როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელი კუჭი?

— ჯანმრთელი ცხოვრების წესი მხოლოდ ვარჯიშს არ გულისხმობს. არასწორი კვება ორგანიზმისთვის დამლუშველია. დღის განმავლობაში 4-ჯერ, მცირე ულუფებდა უნდა მივიროთავით. რაც მთავარია, საკვები ხარისხიანი უნდა იყოს. წყლულოვანი დაავადების დროს შავი პურის მიღება არ შეიძლება. პურისა და კარტოფილის, პურისა და მწვადის ერთად მიღება არ არის სასურველი. კუჭი არის ორგანო, რომელიც ტკივილს დიდხანს ითმენს და არ შეგანუხებს, თუ სერიოზულად არ გაუჭირდა.



— როგორ ჩნდება კუჭის წყლული?

— კუჭის წყლული უმეტესად არასწორი კვების შედეგად ჩნდება. ჯერ მისი ლორწოვანი გარსი ზიანდება, შემდეგ კი კუჭის წვენი ზემოქმედებით ხდება კუნთოვანი ნაწილის დაზიანებაც. ჩნდება წყლული, რომელიც თანდათან იზრდება და თუ დროულად არ ვუმკურნალებთ, შესაძლოა, კუჭის გახვრეტაც გამოიწვიოს, რაც შემდეგ პაციენტის გარდაცვალებასაც იწვევს.

— თქვენ გასტროენტეროლოგიურ თან ერთად, ინფექციურ დაავადებებსაც მკურნალობთ?

— დიხს, „ჯანმრთელობის სახლში“, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს (ყოფილი არამიანცის) ტერიტორიაზე, წინანდლის ქუჩის №9-ში მდებარეობს, ხდება ინფექციური დაავადების მკურნალობაც. A ჰეპატიტით (ის, რასაც ჩვენ ბოტკინს ვუწოდებთ) უმეტესად ბავშვები ავადდებიან. ჩვენთან ხდება B და C ჰეპატიტებით დაავადებულთა მკურნალობაც. ის ძირითადად, 20-50 წლის ახალგაზრდებშია გავრცელებული და მათი უმეტესობა ნარკოტიკების მომხმარებელია. „ჯანმრთელობის სახლში“ თითქმის ყველა სპეციალისტის მაღალკვალიფიციური ექიმები მუშაობენ. დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით ხდება.



საქართველოდან 3 ექიმი ვიყავით. მე და პედიატრები — ნინო ჯაშიაშვილი და თამარ ბალანჩივაძე

დასაწყისი გვ. 10

ქართული – კავშირის მკვლევარი – ლალი მოროშკინა

— ლალი, შენ თქვი, 5 წელი მეც მეძინაო, რატომ?

— 5 წელი სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი, რომელიც ძლივს დასრულდა, იმ ადამიანის როლს ვთამაშობდი, რომელიც სინამდვილეში მე არ ვიყავი. ეს საშინელებაა, როცა საკუთარ „მეს“ შორდები და სხვის დაკრულზე „ცეკვავ“. თქვი, რომ ჭოლა კარგი რეჟისორია, როლებს კარგად მირჩევსო, აი, მე კი ცუდი „რეჟისორი“ შემხვდა — შესაფერისი როლი ვერ შემირჩია.

— მაშინ ის მითხარი, შენი როლი რა არის?

— ჩემი როლი „ლალი მოროშკინაა“! ლალი საზოგადოებისთვის ცოტათი მისაღებია და ცოტათი — მიუღებელი; გიჟიც არის და ნორმალურიც; უღალატო მეგობარია, კარგი პარტნიორი და კარგი დედა, უბრალოდ ქალი...

— მე შენ უბრალოდ ქალს ვერ გინოდებ, მაშინ უნდა ვიყო ღორი, რომელსაც შენ მარგალიტები დაუყარე...

— მოდი, ახლა მკითხველს ავუხსნი, რას ნიშნავს „ღორებისა და მარგალიტების“ ამბავი: რამდენიმე დღის წინ, მე და კაბუ, „რუსთავი 2“-ის დილის ეთერში მიგვიწვიეს, წამყვანმა მკითხა: რას ნანობო? — მე ვუპასუხე — იმას, რომ „ღორებს მარგალიტები“ დაუყარე-მეთქი; სტუდიაში სიცილით ლამის ამოყირავდნენ. რა თქმა უნდა, ღორებში მარტო მამაკაცები არ მიგულისხმია.

— მსახიობი რომ ყოფილიყავი, რა როლს შეასრულებდი?

— მსახიობობა ძალიან გამიძინებდა, რადგან მიჭირს ისე-

თი რაღაცების კეთება, რაც მეორდება... ანუ იმას, რასაც ერთხელ გავაკეთებ, ვეღარ ვიმეორებ. ვინც ჩემი მეგობარია, ყველამ კარგად იცის, რამდენად უპრობლემო ხასიათი მაქვს. ცეკვასა და გართობაზე დიდი ხვეწნა-მუდარა არ მჭირდება, მაგრამ ამას ვაკეთებ მაშინ, როცა ამის სურვილი თავად მაქვს; ხოლო როცა რაღაცის გაკეთებას მავალდებულებენ — ვერ ვაკეთებ, არ გამოდის. ასეა ოჯახურ სიტუაციაშიც, როგორც კი ეს ყველაფერი ვალდებულებაში გადადის, საოცრად ვიცვლები... ძალდატანების გარეშე, ადამიანური და ნორმალური გახლავარ, აი, „ჩარჩოში“ ჩასმას კი ვერ ვიტან, რადგან შინაგანად თავისუფალი ვარ! კარგად ვიცი, სად გადაის ზღვარი თავისუფლებასა და აღვირახსნილობას შორის.

— მე და შენ ერთმანეთს ძალიან ვგავართ...

— ჩვენნიანი ადამიანებისთვის, დღევანდელი ყოფითი ცხოვრება ძალიან მძიმეა. ჩემი გარეგნული მონაცემები შინაგანს არ შეესაბამება, რადგანაც გარეგნული მონაცემებით თითქოს ქალური ქალი გახლავარ, შინაგანად კი ვგრძნობ, რომ მამაკაცი ვარ. ამიტომაც, ალბათ, რომ მე და ჩემი შვილი სანდრო, რომელიც 21 წლისაა, ვმამაკაცობთ.

— „მარგალიტების“ დაკარგვას ხომ არ ნანობ?

— ვნანობ, აბა, რა?! ასეთი იოლი მოსაპოვებელია მარგალიტი?!

— გაინტერესებს თუ არა, შენზე იმ საზოგადოების აზრი, რომელშიც ცხოვრობ?

— მაინტერესებდა და სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე. მერე მივხვდი, რომ რაც არ უნდა გავაკეთო, მათთვის მაინც რუსად დავრჩები, მაინც ის ადამიანი ვიქნები, ვისაც მუდმივად „კბენენ“. ამ თემაზე საოცრად დიდხანს ვინერვიულე, ბოლოს კი მივხვდი, რომ არ ღირდა. ჭორებზე საშინლად ვნერვიულობდი, მერე ბებიამ ამ დამამშვიდა: რა განერვიულებს, ხედავ, ჩემზე აღარავინ ჭორაობსო. მიჩვენია, ძლიერი ქალის იმიჯი მქონდეს, ისეთი, როგორც მაქვს, ვიდრე



მე შენ უბრალოდ ქალს ვერ გინოდებ, მაშინ უნდა ვიყო ღორი, რომელსაც შენ მარგალიტები დაუყარე.

ვიღაცას ვეცოდებოდე! ეს ცხოვრება საპნის ბუშტია, საკუთარ თავს, ნერვებს, ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდე, თორემ სხვა ყველაფერი უკან დაგრჩება.

— ლალი, შენ „საზოგადოებრივ მათწმინდებულზე“, ხელმძღვანელის პოსტზე გინდოდა გასვლა. ამის შესახებ რას გვეტყვი?

— ამ თანამდებობაზე, ჩემი ახლო მეგობარი დაინიშნა. მიმაჩნია, რომ ის ამ პოსტზე ჩემზე მეტის გაკეთებას შეძლებს. მიხარია, ყველაფერი ასე რომ მოხდა. მე სამეურვეო საბჭოს წევრობა ნამდვილად არ მინდოდა.

— ხომ არ ფიქრობ, რომ ტელევიზიას ისევ დაუბრუნდებ?

— არა, ამ საკითხზე აღარ ვფიქრობ. მინდა, ის საქმიანობა წამოვიწყო, რასაც ადრე ვაკეთებდი. იმ აზარტს, რაც სამინისტროში მუშაობიდან შემომრჩა, ვერაფერს ვუხერხებ. კონფლიქტურ ზონებში — აფხაზეთი, ოსეთი — მუშაობა ძალიან მაინტერესებს... ამასთან ერთად, მინდა, დამატებითი შემოსავალიც მქონდეს. ერთი საქმის ბოლომდე მიყვანასაც ვაპირებ — რეგიონებში ლამის კლუბების ქსელს ვხსნი. პერიფერიაში ყველაფერი ჩამკვდარია, მიმაჩნია, რომ სიცოცხლეს მხოლოდ დედაქალაქში არ უნდა ჩქეფდეს. ამ ეტაპზე ჩავდივარ რაიონებში, ვანარმოებ მოლაპარაკებებს და ველოდები არჩევნების დამთავრებას.

— გამორიცხული არ არის, რომ ისევ ჩინოვნიკის პოსტზე გინილოთ?

— გამორიცხული არაფერია (იცინის).

— დიდი მადლობა, საყვარელო, წარმატებებს გისურვებ.

— მეც, ჩემო სიცოცხლე.



„ჩარჩოში“ ჩასმას კი ვერ ვიტან, რადგან შინაგანად თავისუფალი ვარ!



ავერსი ბიზნესში

საგადასახადო უზრუნველყოფის სერვისები!



ტრადიციად ქცეული „სამშობლოსთან დაახლოება“, ამჯერად სვანეთში, მწვანე მინდორზე დასრუდება

მუსიკის III საერთაშორისო ფესტივალი — „აღდგომიდან ამაღლებამდე“ თბილისში 1-ელ მაისს გაიხსნა. წელს ფესტივალი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა. ორგანიზატორი გახლავთ აკაკი რამიშვილის ფონდი, კონკრეტულად კი ქალბატონები — მარიამ დავითაშვილი, ირინე სასამბერიძე და მანანა ხვედელიძე. საორგანიზაციო ჯგუფს პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის გენერალური მენეჯერი — ირაკლი ქადაგიშვილი ხელმძღვანელობს.

გვესაუბრება ერთ-ერთი ორგანიზატორი, „რადიო 2 — ქართული რადიო“ ხელმძღვანელი, მუსიკათმცოდნე მანანა ხვედელიძე:



ფესტივალის ორგანიზატორები უწმინდესსა და უნეტარესთან, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-სთან სტუმრობისას

ოვრებ ბავშვებს?

— ჯერჯერობით, საქართველოში მცხოვრებთ. წელსაც ბავშვების ხელოვნებით იხსნება ფესტივალი.

— ორგანიზატორებთან ერთად ვინ არჩევს ფესტივალის მონაწილეებს?

— სამხატვრო ხელმძღვანელს, ყოველ წელს ვცვლით — პირველ წელს ახალგაზრდა პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი გახლდათ, შარშან — ბატონი ბიძინა კვერნაძე, კონსულტანტი კი ანზორ ერქომაიშვილი იყო. წელს — ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია მსოფლიო დონის ვარსკვლავი, ცნობილი მევიოლინე — ლიანა იასაკაძე, რომელიც ამავ დროს, ერთ-ერთი კონცერტის ორგანიზატორიც გახლავთ.

— წლებანდელ ფესტივალზე უცხოეთიდან ვინ მოიწვიეთ?

— ათი მუსიკოსი მოვიწვიეთ: მეცოსოპრანო — ნანა ქავთარაშვილი და სოპრანო — ქეთევან ქემოკლიძე იტალიიდან; გიორგი ხარაძე და ირაკლი ცხადაია გერმანიიდან; უნიჭიერესი ხატია გუნიათიშვილი ავსტრიიდან; ამერიკის შვერთებულის შტატებიდან ედიშერ სავიციკი, რომელიც ათი წელია, საქართველოში არ ყოფილა და პირველად მართავს სოლო კონცერტს თბილისში; ქალბატონი ლიანა იასაკაძე; იაპონიიდან გიორგი ბაბუაძე და საფრანგეთიდან მევიოლინეები — ზაზა ფურცელაძე და ნინო მელიქიშვილი. საბედნიეროდ, მათი საქართველოში ჩამოყვანა შეეძლებოდა და ძალიან ბედნიერები ვართ.

— ჰონორარს უხდით?

— არა. ზოგიერთმა უცხოეთში წინასწარ დაგეგმილ სერიოზულ კონცერტსა და ჰონორარზე უარი თქვა, ოღონდაც აქ ჩამოსულიყო. მათ ჩვენ მხოლოდ გზის დანახარჯი ავუნაზღაურეთ. წარმოიდგინეთ, მათთვის ყოველი დღე შემოქმედებითი და, შესაბამისად, შემოსავლიანია, მაგრამ როგორც კი შეიტყვეს, რომ შანსი მიეცათ, საქართველოში, საერთაშორისო ფესტივალში — „აღდგომიდან ამაღლებამდე“ მონაწილეობა მიეღონ, დაარღვიეს კონტრაქტები, მოელაპარაკნენ იმპრესარიოებს და აქ ამოვიდნენ.

— როგორც ვიცო, საფესტივალო კონცერტები მხოლოდ თბილისში არ მოეწყობა...

— მართლაც ბრძანებთ, მაგრამ ვიდრე პროგრამას გაგაცნობთ, იმასაც გეტყვით, რომ რეჟისორად მოვიწვიეთ ხათუნა ბედელაძე, რომელიც შარშანდელი ფესტივალის რეჟისორის — გოჩა კაპანაძის მსგავსად, უანგაროდ გვემსახურება. როგორც

იმრა ხარშილაძე

— ლიანა იასაკაძის ფონდის დირექტორი — მარიამ დავითაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის ოჯახის უახლოესი ნათესავი გახლავთ. ნოე რამიშვილის ვაჟს, ან გარდაცვლილ აკაკი რამიშვილს სურდა, მამაზე წიგნი დაეწერა, რომელსაც — „მამაჩემის შეცდომებს“ დაარქმევდა. მე და მარიამმა გადავთქმევინეთ ბატონ აკაკის და საბოლოოდ, წიგნს დაერქვა — „ჩვენი შეცდომები — 1918-21 წლები“. სწორედ მაშინ გადაწყვიტეთ აკაკი რამიშვილის ფონდის შექმნაც. ფონდს დავარქვით — „ტრადიცია და ინოვაცია“ და მისი ერთ-ერთი მიზანი უცხოეთში გაბნეული ემიგრანტების ერთმანეთთან და სამშობლოსთან დაახლოება გახლდათ. ამ ფონდმა, 2005 წელს, საქართველოში სააღდგომო ფესტივალი დააფუძნა, რომელიც სრული-

ად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა; საქართველოს პატრიარქის საქველმოქმედო ფონდი კი ამ პროექტის განხორციელებისას შემოგვიერთდა. ფესტივალი — „აღდგომიდან ამაღლებამდე“ პირველად 2006 წელს ჩატარდა. ამ დროისთვის ბატონი აკაკი რამიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო. დაფუძვნირდით სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ და უცხოეთში წარმატებულ სახელოვან ადამიანებს — ქართველებს, რომელთა ნაწილი სწირად ჩამოდის საქართველოში, ნაწილი კი ამას ვერ ახერხებს. მათი ფესტივალზე თავმოყრით პოპულარიზაცია გაეწვიეთ არა მარტო აკადემიურ, კლასიკურ მუსიკას, არამედ ხალხურ შემოქმედებასაც. უწმინდესისთვის კი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ბავშვებისადმი განსაკუთრებული ყურადღებაა. ჩვენს საფესტივალო ბუკლეტებშიც ვბეჭდავთ პატრიარქის ქადაგიებიდან ნაწყვეტს: „...უცილებელია მომავალი თაობის აღზრდა უნიკალურ ქართულ კულტურასა და მსოფლიო კლასიკურ ხელოვნებაზე დაყრდნობით, რომ მათ, შემდეგ თვითონ გააკეთონ სწორი არჩევანი ცრუ და ნამდვილ ხელოვნებას შორის. ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ამ მიზნის განხორციელებისთვის იზრუნებს... ის იქცევა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო საშემსრულებლო კულტურის საუკეთესო ძალების მოზიდვის ასპარეზად“... ამიტომაც, ყოველ წელს, ერთი კონცერტი განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ და გამორჩეულ ბავშვებს ეძღვნება.

— ემიგრანტი მშობლების შვილებს თუ საქართველოში მც-



ედიშერ სავიციკი

ვასენე, ფესტივალს ბავშვები ხსნიან რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში. დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ფრიდონ სულაბერიძეს, რომელიც ხალხური შემოქმედების კუთხით კონსულტანტი გახლავთ, ასევე, ანსამბლ „ნაბადს“. ამ კონცერტში 13 წლამდე ასაკის ძალიან ნიჭიერი ბავშვები მონაწილეობენ. მეორე კონცერტზე გამოვლენ გიორგი ხარაძე და ირაკლი ცხადაია — ჩელო და ვიოლინო; ზიანისტი თამარ ლიჩელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორკესტრი, რომელსაც ნიკა მემანიშვილი უდირიჟორებს. მესამე კონცერტიც ძალიან მნიშვნელოვანია: ამ დღეს უცხოეთიდან მოწვეულ შემსრულებლებთან ერთად გამოვლენ თემურ გუგუშვილი და სულხან გველესიანი...

— ქალბატონი ლიანა ისაკაძე როდის და სად ჩაატარებს სოლო კონცერტს?

— 6 მაისს, თბილისში, სწორედ მისი კონცერტით იხურება ფესტივალის თბილისური ნაწილი. კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქალბატონი ლიანა და ზაზა ფურცელაძე, ნინო მეღვიპეშვილი, გიორგი ბაბუაძე, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის პირველი ვიოლინო, ბატონი კონსტანტინე ვარდელი ამ კონცერტს უძღვნიან პედაგოგ ლეო შიუკაშვილის დაბადების 100 წლისთავს. ამ დღეს შესრულდება ვივალდის კონცერტი, ოთხი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის. ასე რომ, წინ დიდი სიამოვნება გველის.

— საქართველოს რომელ ქალაქში ატარებდნენ ფესტივალს?

— ამჯერად, გურჯაანში გავმეგზავრებით. იქ გვიმასპინძლებს იქაური სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი.

— გურჯაანში ფესტივალის ჩასატარებლად შესაფერისი დარბაზი არის?

— კარგია, რომ დარბაზი ასხენეთ. გურჯაანში ნამდვილად არის კარგი დარბაზი, თუმცა ნელს, ამაღლების წინადაღეს, ფესტივალის დაიხურება მწვანე მინდორზე — საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ნერტილში, მესტიის რაიონის სოფელ ლატალში.

— რატომ მინდობდნენ ლატალში?

— იმიტომ, რომ იქ შესაბამისი შემოქმედებითი ენერჯიაა დაგროვილი — გვხვდება 75-კაციანი გუნდი, რომელიც არაჩვეულებრივად ასრულებს სვანურ ფოლკლორს. ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს ლატალის საზოგადოება, რომელიც დაგვეხმარება, რომ სერიოზული დელეგაცია ეწვიოს სვანეთს.

— თუ იცით, რომ სოფელ ლატალში 67 ეკლესიაა, რომელთაგან ზოგიერთი დანგრეულია, თუმცა საძირკველია შემორჩენილი და ერთ-ერთი უნიკალური ფორმისაა — სეფისკვერი ჰგავს?..

— იმიტომაც მივიღვართ სამი დღით, რომ ყველაფრის ნახვა და დათვალიერება მოვასწროთ. ნელს „საზოგადოებრივი მუხრეხი“ პირველად გადაიღებს ფილმს ამ

ფესტივალზე. ასევე, ნელს პირველად ამ ფესტივალის ორგანიზაციაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სრულფუნქციანმა ელჩმა ისრაელსა და კვიპროსზე, ლაშა ჟვანიამ. იდეაც გაუჩნდა, ფესტივალის კვიპროსზეც ჩაგვეტარებინა. გარდა ამისა, როდესაც ქალბატონმა ნანა ქავთარაშვილმა შარშანდელი ფესტივალის ვიდეომასალა თავის იმპრესარიოს იტალიაში უჩვენა, ის გაოცდა, — როგორ შეიძლება, ასეთ პატარა ქვეყანაში ამ დონის ფესტივალის ტარდებოდესო?! — და გადამწყვიტეს, უწმინდესისადმი მიძღვნილი სამდღიანი ფესტივალის მიღება ახლოს, პატარა ქალაქ პავიაშიც ჩატარდეს. ასე რომ, სექტემბერ-ოქტომბრის მიჯნაზე, იტალიაში გავმეგზავრებით. აი, შემდეგ კი ალბათ, კვიპროსზეც წავალთ.

— ანუ საქართველოში დაბადებული ფესტივალის მოგზაურობასაც იწყებს?

— ჩვენ — აკაკი რამიშვილის ფონდს ამის გამოცდილება გვაქვს. ერთ-ერთ პროექტს პარიზში წელიწადში ორჯერ ვახორციელებთ — საქართველოდან ძალზე ცნობილი მუსიკოსები მიგვყავს, ქართველი მუსიკოსები სხვა ქვეყნიდანაც ჩამოდიან და იქ კონცერტებს ვატარებთ. სხვათა შორის, ერთ-ერთ ასეთ კონცერტში კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას ვაჟებიც მონაწილეობდნენ. ასე რომ, იმედი მაქვს, „მოგზაურობა“ არ გაგვიჭირდება.

— ნარმატებას გისურვებთ.

სილაგაზის იუველირი

ემსახურო სილაგაზს — მისი პროფესიული არჩევანია, იყო სულით ლამაზი და გულისხმიერი, ღვთისგან მონიჭებული თვისება. ბედნიერი ხარ, როცა ასეთ ადამიანს გაიცნობ და მისგან მიღებული სათნოება სულიერად გამშვიდებს. ამ წერილში გამოძინელებს, ჩავატო მთელი სიტბო და სიყვარული, რაც ქალბატონ ციციწი შურლაიას მიმართ გამოჩნდა, როგორც მადლიერ პაციენტს. თუმცა შევეცდები, მისი კეთილშობილების სიბლი სხვებსაც გავუზიარო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უნიჭიერესი ქალბატონი უკვე 25 წელია, პლასტიკური ქირურგიის ჯადოქარია, არამედ უფრო იმის გამო, რომ ზედმიწევნით მზრუნველია და უანგაროდ თანგადაყოლა იცის.

საქმისადმი სიყვარულით უამრავი პაციენტისთვის გაულამაზებია ცხოვრება საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. თავისი საქმის უბადლო ოსტატია და არაჩვეულებრივი ადამიანი. ბევრი განსაცდელი გადაუტანია და მაინც, ხალისიანია, ოპტიმისტი, მუდამ მოლიმარი, საოცარ სინათლეს ასხივებს. სწორედ ამით არის მშვენიერი. მადლიანად შრომობს, დაღლილობას არ იმჩნევს, თითქოს უშრეტი ენერჯია ჰქონდეს. გულით ინდომებს, თავისი ხელების მაგიური

ძალა უშურველად დახარჯოს მშვენიერების სამსახურში. ჩინებულადაც გამოსდის. სხვანაირად ნარმოუდგენელია. შესანიშნავი ექიმა და შესანიშნავი პიროვნება. ნატიფი ბუნება აქვს და ხელნერაც დახვეწილია, იუველირივით აკეთებს ოპერაციას. საუკეთესო ხუთეულში დასახლება მისი პროფესიონალიზმის ჭეშმარიტ დაფასებას ნარმოადგენს. თუმცა ნარმატებულ ქალბატონს გაცილებით ახარებს კმაყოფილ პაციენტთა აღფრთოვანება. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც ქალბატონი ციციწის ნიჭს უსაზღვროდ ემადლიერება.

ჩემი გულის ნადების გადმოსაცემად ერთი წერილი ცოტაა. მაგრამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ გულითად მილოცვას, ვფიქრობ, დაიტევს. ამიტომაც საჯაროდ მივმართავ უსაყვარლეს ქალბატონ ციციწის:

მადლობა უფალს, რომ გაგაჩინათ. მადლობა უფალს, რომ გაგიცანით და მადლობა უფალს, რომ მოგცათ სხვათა გალამაზების უნარი. იცოცხლეთ დიდხანს, ჩვენდა გასახარად!

თქვენი გულისხმიერებით მოხიბლული,
თამუნა მშხპარი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

კონკურენციაა მომხმარებელს ინტერნეტზე ფასი გაუიფა

„ინტერნეტდავის“ რამდენიმე დეტალი

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელს დღეს არჩევანის საშუალება ეძლევა. ბაზარზე ბოლო დროს ახალი მიმწოდებელი გაჩნდა – „გაერთიანებული ტელეკომი“. ეს კომპანია ყოველდღე საკუთარ ქსელში 100-ზე მეტ აბონენტს რთავს, რითაც სერიოზულ კონკურენციას უწევს წარსულში უაღტერნატივო ლიდერს, „ჯავახას ონლაინს“. ორ ყველაზე მსხვილ კომპანიას შორის ბოლო დროს სკანდალური დავა მიმდინარეობს, რაც მომხმარებელში ზოგჯერ არასტაბილურობის განცდას აჩენს. თუმცა, ამ დაპირისპირებამ ერთი სიკეთე მაინც მოიტანა: გაჩნდა ახალი ფასები და ინტერნეტის მიღების ალტერნატიული გზები. ამ საკითხებზე „გაერთიანებული ტელეკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ივა მარტიაშვილი გვესაუბრება.

— 2007 წლის სექტემბერში „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ DSL ტექნოლოგიით ინტერნეტსერვისის დანერგვა დაიწყო, მარტის თვეში კი საერთაშორისო ოპერატორისგან ოპტიკური ქსელის მეშვეობით ინტერნეტი უკვე ევროპიდანაც შემოგაქვთ. თქვენი კომპანია სერიოზულად ცდილობს ინტერნეტბაზარზე თავის დამკვიდრებას...

— აქამდე კომპანია რუსეთის და „რკინიგზის ტელეკომის“ არხებით სარგებლობდა. ყველაზე მსხვილ ოპერატორთან „თურქტელეკომთან“ მიერთებით გაჩნდა ალტერნატიული, ევროპული არხი, რომლითაც კომპანია შეძლებს არა მხოლოდ აბონენტებისთვის, არამედ სხვა ოპერატორებისთვის (ინტერნეტპროვაიდერებისთვის) ინტერნეტის მიწოდებას. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია ინტერნეტის განვითარებისთვის საქართველოში, რადგან გაჩნდა ალტერნატიული, მაღალი ხარისხის ინტერნეტწყარო ევროპიდან. აღნიშნული პროექტის ამოქმედებით გაუმჯობესდა „გაერთიანებული ტელეკომის“ DSL-სერვისის ხარისხი და სიჩქარე, ამასთან, სულ მალე ეს ოპტიკური ქსელი კავკასიის რეგიონში თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის დამაკავშირებელი არხის ფუნქციას შეასრულებს.

რაც შეეხება კომპანიის DSL-სერვისს, დღეში 100 მსურველი ერთვე-

ბა ამ მომსახურებაში. ამჟამად კომპანიას 8 ათასზე მეტი ინტერნეტ-მომხმარებელი ჰყავს. ფასი, რომლითაც „გაერთიანებული ტელეკომი“ მომხმარებელს ინტერნეტს აწვდის, აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. თბილისის ბევრ უბანს ინტერნეტი თვეში 20 ლარადაც კი მიეწოდება.

— ცოტა ხნის წინ თქვენ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიმართეთ და „კავკასუს ონლაინს“ სერვერებზე დასაშვებად საკითხის დარეგულირება ითხოვეთ...

— „გაერთიანებული ტელეკომის“ ინტერნეტმომხმარებელი დღესდღეობით შეფერხებით სარგებლობს „კავკასუს ონლაინის“ სერვერებზე განთავსებული საიტებით. ჩვენი აბონენტებისთვის შეზღუდულია ლოკალურ/ქართულ გვერდებზე დაშვება, რაც დაბრკოლებას უქმნის „გაერთიანებული ტელეკომის“ აბონენტებს და მატერიალურ ზარალს აყენებს კომპანიას. ამ ეტაპზე მხარეებს შორის გაფართოებული ურთიერთჩართვა 1 გბიტ/წმ სიმძლავრით ხორციელდება, რაც საკმარისი არ არის „გაერთიანებული ტელეკომის“ მომხმარებელთა მზარდი რაოდენობისათვის. კომპანიის არაერთი მოთხოვნა სიმძლავრის 1 გბიტ/წმ გაზრდის თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული „კავკასუს ონლაინის“ მხრიდან, რითაც დაირღვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილებები (№452/16 10.08.07 და №469/16 17.08.07) ADSL და DSL ტექნოლოგიით მომხმარებლისათვის შეუზღუდავი და შეუფერხებელი მიწოდების თაობაზე.

— თქვენს კომპანიასა და „კავკასუს ონლაინს“ შორის სადავო საკითხი მრავლადაა. ეს

არის იურიდიული, ტექნიკური თუ ფინანსური საკითხები?

— სამივე ერთად... მთავარია, დღეისათვის „გაერთიანებულ ტელეკომს“ არანაირი სახელშეკრულებო ვალდებულებები „კავკასუს ონლაინის“ მიმართ არ გააჩნია. ბოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც ამ კომპანიასთან იყო გაფორმებული, 2007 წლის 1-ელ სექტემბერს დასრულდა. „გაერთიანებული ტელეკომის“ არაერთი მცდელობა, შეეთანხმებინა პირობები და მოეხდინა ახალი ხელშეკრულების გაფორმება, უშედეგოდ დამთავრდა. აღნიშნულის მიუხედავად, საკუთარი მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, კომპანია აგრძელებს შპს „კავკასუს ონლაინის“ დაშვებას ფართოზოლოვან რესურსთან, რათა მოახდინოს აბონენტების ჩართვა ინტერნეტში, DSL ტექნოლოგიით.

— **თუმცა, „კავკასუს ონლაინ“ რეგში მდგომ მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას, რომ რეგები და შეფერხებები განპირობებულია „გაერთიანებული ტელეკომის“ მხრიდან ნებართვების შეჩერებით, რომ „გაერთიანებული ტელეკომი“ ხელოვნურად აფერხებს სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი რესურსების გამოყოფას, რათა პროვაიდერმა ვერ შეძლოს ახალი აბონენტების ჩართვა ინტერნეტქსელში.**

— არაერთი მაგალითი გვაქვს, როცა შპს „კავკასუს ონლაინისაგან“ აბონენტების განაცხადები ერთი თვით და ზოგჯერ მეტი ხნის დაგვიანებით შემოდის. მსგავსი პრეცედენტები კომპანიამ მოიპოვა აბონენტების ზარების შესწავლის საფუძველზე. შპს „კავკასუს ონლაინი“ ყოველგვარი წინასწარი მოკვლევის გარეშე აბონენტებს აწვდის მცდარ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს მათი ჩართვა ინტერნეტქსელში ფერხდება „გაერთიანებული ტელეკომის“ მიზეზით და მათ შესაბამისად „გაერთიანებულ ტელეკომში“ ამისამართებს. სშირ შემთხვევაში ასეთი ზარების შესწავლით ირკვევა, რომ განაცხადი „კავკასუს ონლაინიდან“ არც შემოსულა.

ამ მომსახურებაზე ინტერნეტ-

პროვაიდერისაგან შეკვეთების მიღება და მათი დაკმაყოფილება წარმოებს ინტერნეტპროვაიდერებთან შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად. მ.წ. 2008 წლის იანვარში ქალაქის სატელეფონო ქსელში გადაცემული 1050 განაცხადიდან დაკმაყოფილდა 778. თებერვლის თვეში კი 20 დღის განმავლობაში, შპს „კავკასუს ონლაინიდან“ შემოსულია 800 განაცხადი. შესწავლის შედეგად „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ დადებითად დააკმაყოფილა 431 განაცხადი, ტექნიკური გაუმართაობის გამო უარი ეთქვა განაცხადების დარჩენილი ნაწილის 10%-ს, ხოლო 90% განაცხადების შემოტანის პროცესში ინტერნეტქსელში სხვა პროვაიდერის მიერ უკვე ჩართული იყო.

— როგორც ჩანს, ტექნიკური საკითხებიც დგას დღის წესრიგში?

— წლების განმავლობაში კაბელების განთავსება სატელეფონო კანალიზაციაში უკონტროლოდ ხდებოდა, რის გამოც კაბელების ოდენობა თითოეულ არხში გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ნორმითაა დადგენილი. სატელეფონო კანალიზაციის არსებული მდგომარეობა და თავისუფალი რესურსის უქონლობა არ იძლევა საშუალებას დამატებით ახალი კაბელების გასატარებლად. სატელეფონო საკანალიზაციო საშუალებები, რომლებიც რამდენიმე ათეული წელია ექსპლუატაციაშია, მონტაჟს და სერიოზულ ინვესტიციებს საჭიროებს. ჩვენი კომპანია, როგორც შპს „კავკასუს ონლაინი“, ისე სხვა მომხმარებელს სატელეფონო კანალიზაციაში კაბელების მონტაჟზე სწორედ ამ მიზეზით ეუბნება უარს.

— რაც შეეხება ტარიფებს და ორ კომპანიას შორის ფინანსურ ურთიერთობებს?

— ფართოზოლოვან რესურსთან და სახაზო-საკაბელო წყვილთან დაშვების დღევანდელი ტარიფი მარეგულირებელი კომისიის მიერაა დადგენილი. თუმცა, „კავკასუს ონლაინი“ მუდმივად ადანაშაულებს „გაერთიანებულ ტელეკომს“ ტარიფების ზრდაში.

კომპანია „გაერთიანებული ტელე-

კომი“ ყველა ინტერნეტპროვაიდერს მარეგულირებლის მიერ დადგენილი ტარიფით უწევს მომსახურებას. მაგალითად, იგივე „კავკასუს ონლაინს“ — სახაზო-საკაბელო წყვილით მომსახურების დადგენილ ტარიფზე ნაკლებ ფასს: ნაცვლად 15,15 ლარისა (დღგ-ის ჩათვლით), „კავკასუსი“ „გაერთიანებულ ტელეკომს“ 11,65 ლარს (დღგ-ის ჩათვლით) უხდის.

მარეგულირებელი კომისიის მიერაა დადგენილი სახაზო-საკაბელო წყვილით მომსახურების ტარიფი, რომელიც 2005 წელს 3,5 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ოდენობით განისაზღვრა, ხოლო შემდგომ, 2007 წლის აგვისტოში კომისიამ ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების ზღვრული ტარიფი შეიმუშავა და ეს ტარიფი 11,68 ლარი გახდა (დღგ-ის ჩათვლით). ამას დაემატა ასევე კომისიის მიერ დადგენილი სახაზო-საკაბელო წყვილის ხმოვან რესურსთან დაშვების ღირებულება (3,5 ლარი) და, საბოლოოდ, სახაზო-საკაბელო წყვილის ფასი 15,18 ლარით (დღგ-ის ჩათვლით) განისაზღვრა.

— ცოტა ხნის წინ „კავკასუს ონლაინ“ საიჯარო ქირის გადაუხდელობაში დაადანაშაულეს და ეს საკითხი პროვაიდერმა თქვენს კომპანიას დაუკავშირა...

— გასული წლის გაზაფხულზე ე.წ. „ტელეგრაფის“ შენობის პრივატიზაცია განხორციელდა და შენობის ნაწილი გასხვისდა, რომელიც ამჟამად წარმოადგენს „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის“ საკუთრებას. თუმცა, რუსთაველის გამზირის 31/13-ში მდებარე ხსენებული ფართი წილობრივი საკუთრების უფლებით აგრეთვე ეკუთვნის სხვა იურიდიულ პირებს, მაგალითად კომპანია „ტელენეტს“ და „გაერთიანებულ ტელეკომს“. „კავკასუს ონლაინს“ ფინანსური ვალდებულებები გააჩნია სწორედ ახალ მესაკუთრესთან, რომელთანაც, როგორც ჩემთვის ცნობილია, „კავკასუს ონლაინის“ გარდა, ყველა მოიჯარეს აქვს გაფორმებული ახალი ხელშეკრულებები. მხარეებს შორის დავასთან ჩვენი კავშირი საფუძველს მოკლებულია.

„ვჭუსვარ... ჩიმი ოჯახი მიცოდება“ იოზეფ ფრიცლმა საზარელი დანაშაული აღიარა


სარლაფი გამოჩვენდა ქალიშვილი ამისგან 7 შვილი გააჩინა...

ავსტრიის ქალაქ ამშტეტენში რამდენიმე დღის წინ გამოაშკარავებულმა საზარელმა დანაშაულმა მთელი მსოფლიო შეძრა. ფრიცლების ოჯახზე, რომელიც თურმე აქამდე უბანში საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, დღეს კომარულ ამბავს ჰყვებიან. სახლს კი სადაც წარმოუდგენელი სადიზმი წლების მანძილზე გრძელდებოდა, ნამდვილ ჯოჯოხეთს უწოდებენ...

კვირას, 27 აპრილს შემზარავ დანაშაულს ფარდა აეხადა. საქვეყნოდ გახდა ცნობილი, რომ მამას საკუთარი ქალიშვილი 24 წლის განმავლობაში გამომწყვდეული ჰყავდა და მასთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა. ეს სისტემატურად, საიდუმლო სარდაფში ხდებოდა. ამ ხნის მანძილზე, ქალიშვილმა მამისგან 7 შვილი გააჩინა. 3 მათგანი, დედასთან ერთად, სარდაფში ცხოვრობდა. კვირას მათ დღის სინათლე პირველად იხილეს...

ბავშვებს შორის, რომლებსთვისაც 73 წლის იოზეფ ფრიცლი ერთდროულად მამაც იყო და ბაბუაც, პრივილეგირებულ მდგომარეობაში მხოლოდ სამი აღმოჩნდა: ისინი ფრიცლის სახლში, ნორმალურ პირობებში ცხოვრობდნენ. ბებია და ბაბუა მათ, როგორც შვილიშვილებს, ისე ზრდიდნენ და ამბობდნენ, რომ ახალშობილი ბავშვები მათ გადაკარგულმა ქალიშვილმა კართან დაუტოვა, მათზე მზრუნველობა კი მშობლებს წერილით სთხოვა. ერთ-ერთი ბავშვი ცოლ-ქმარმა იშვილა, დანარჩენ ორზე მეთურვობა გააფორმა. დღეს უკვე გაირკვა, რომ სარდაფში გამომწყვდეულ ქალიშვილს მშობიარობის დროს მამა ეხმარებოდა, სამედიცინო დახმარება კი არასდროს მიუღია. ასეთ პირობებში ერთ-ერთი მშობიარობისას, გოგონამ ტყუპი გააჩინა. მათგან ერთ-ერთმა ახალშობილმა, რომელიც განსაკუთრებით უსუსური იყო, აუტანელ პირობებს ვერ გაუძლო და დაბადებიდან მესამე დღეს გარდაიცვალა. იოზეფ ფრიცლმა მამინ გვამის განადგურებაზეც იზრუნა და ღამით, საკუთარი შვილის ცხედარი სახლის ეზოში გაყენებულ პატარა ბაღში დანვა...

ყველაფერი 1977 წლიდან დაიწყო. 11 წლის ქალიშვილს — ელიზაბეტს ფრიცლმა თვალი დაადგა და ერთ დღესაც გოგონა გააუპატიურა. მამა შვილს საშინლად ტანჯავდა, თან აფრთხილებდა, ეს ამბავი არავისთვის გაემხილა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუტანელი წამებით ემუქრებოდა. ელიზაბეტმა სახლიდან გაქცევა რამდენჯერმე სცადა,



მაგრამ — უშედეგოდ. მამას მასზე მინც მიუწვდა ხელი და შინ დაბრუნა. ბოლოს გოგონამ, 18 წლის ასაკში, კიდევ ერთხელ გაბედა გაქცევა, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდა. მამა ქალიშვილს განზრახვას მიუხედავ, თუმცა ზომები მაშინვე არ მიუღია: გადაწყვიტა, ეს ფაქტი გამოეყენებინა და შვილის „ოინები-სთვისაც“, ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაესვა. ფრიცლმა გეგმა შეიმუშავა: ქალიშვილს ჩაუსაფრდებოდა და როცა ის გაპარვას დააპირებდა, დაიჭერდა, სარდაფში ჩაიყვანდა და იქ საშუადაოდ გამოკეტავდა. ოჯახის წევრებსა და გარშემო მყოფებს კი აცნობებდა, რომ შვილი მართლაც, გაიქცა და მის კვალს ვერსად მიაგნო...

ჩანადიერი ზუსტად განახორციელა. 1984 წლის 28 აგვისტოს იოზეფ ფრიცლმა გოგონა საკუთარი სახლის სარდაფში ხელბორკილებით დააბა. შემდეგ, პოლიციამი მივიდა და შვილის გაუჩინარების შესახებ განცხადება დანერა. სამართალდამცველებს მან ქალიშვილის პოვნაში დახმარება სთხოვა... გაუჩინარებული გოგონას კვალს პოლიციამ ვერსად მიაგნო. გარკვეული პერიოდის მანძილზე, სამართალდამცველები თუ ახლობლები მშობლებს ამოად ანუგეშებდნენ და აიმედებდნენ, შემდეგ, სკანდალი თანდათან ჩაცხრა და ბოლოს ამ თემაზე საუბარი საერთოდ შეწყდა. იმ დღიდან მოყოლებული, ელიზაბეტ ფრიცლი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.

დაახლოებით ერთ წელიწადში, ცოლ-ქმარმა ყველას შეატყობინა, რომ მათი ქალიშვილი ცოცხალია და გამოჩნდა; მართალია, პირადად არ უნახავთ, მაგრამ კართან ახალშობილი და წერილი დაუტოვებიაო... ასეთი სპექტაკლი

„ბაბუამ“ კიდევ ორჯერ გაითამაშა. წლების მანძილზე ელიზაბეტმა კიდევ სამჯერ იმშობიარა, მაგრამ იოზეფ ფრიცლს ეს შემთხვევები არ გაუხმაურებია. თუ რის მიხედვით მიანიჭა მან პრივილეგია ზემოხსენებულ სამ შვილს, ჯერჯერობით უცნობია. დაკითხვისას ფრიცლმა სამართალდამცველებს ამ შეკითხვაზე გაურკვეველი პასუხი გასცა.

მოძალადე მამამ სარდაფის კარზე ელექტრონული, კოდირებული საკეტი დაამონტაჟა და იქ შესვლა ოჯახის წევრებს კატეგორიულად აუკრძალა. ფრიცლის ცოლი ამბობს, რომ მან არ იცოდა, თუ რა ხდებოდა სარდაფში; აკრძალვას დამორჩილდა და იქ შესვლით არასდროს დაინტერესებულა, არც არაფერი უეჭვია. ვინმეს რომც ეცადა იქ შესვლა, ალბათ ვერ მოახერხებდა, რადგან, კოდირებული საკეტის გარდა, ფრიცლმა უსაფრთხოების სხვა ზომებიც მიიღო. სარდაფის კარი არსად ჩანდა. საიდუმლო შესასვლელი ფრიცლის კაბინეტში იყო და მას წიგნების კარადა ეფარებოდა. „სარდაფი რამდენიმე ოთახადაა გატანული. 1,7 მეტრის სიმაღლის, ვინრო შესასვლელიდან პირდაპირ საძინებლის მაგვარ ოთახში შედიხარ. იქვე დგას ტელევიზორი, მაგიდა და სხვა აუცილებელი ნივთები. არის პატარა სამზარეულო და სანტექნიკის ოთახი, რომელსაც დედა და შვილები, როგორც ჩანს, საპირფარეოდ იყენებდნენ. ალსანიშნავია, რომ ეჭვმიტანილს ოთახების კედლებზე რბილი საფარი აუკრავს, რათა სარდაფიდან გამომაველი ხმა მთლიანად ჩაეხშო. იოზეფ ფრიცლი ქალიშვილსა და ბავშვებს სისტემატურად აკითხავდა და მათთვის საკვები და ტანსაცმელი შეჰქონდა“, — ამბობს გამომძიებელი.

სადისტური დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებმა სრულიად შემთხვევით შეიტყვეს. სარდაფში მცხოვრები ერთ-ერთი შვილი — 19 წლის გოგონა უიშვიათესი სენით დაავადდა. ჯერჯერობით უცნობია, როგორ, მაგრამ ელიზაბეტმა როგორცაა მოახერხა მამის დაყოლიება, რომ მას ციებცხელებიანი გოგონა საავადმყოფოში წაეყვანა. ფრიცლი დათანხმდა და შვილი კლინიკაში მიიყვანა. ექიმებს უთხრა, რომ უჯინო მდგომარეობაში მყოფი შვილიშვილი სახლის ეზოში იპოვა და იქვე აღმოაჩინა ქალიშვილის მიერ დატოვებული წერილიც, სადაც ნათქვამია: „ეს ჩემი ქალიშვილია, სასწრაფოდ სჭირდება ექიმების დახმარება და გთხოვთ, მიხედოთ“. ფრიცლის თქმით, ამის თაობაზე არავისთვის უთქვამს, რადგან დრო რომ არ დაეკარგა,

იქიდან პირდაპირ კლინიკისკენ გასწია. ექიმებმა ბაბუას გამოუცხადეს, რომ გოგონა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, საბოლოო დიაგნოზის დასასმელად კი დედის გამოკვლევა იყო საჭირო. ფრიცლმა ექიმებს გამოუცხადა, რომ ვერაფრით დაეხმარებოდა, რადგან მისი ქალიშვილის ადგილსამყოფელი დიდი ხანია, არ იცოდა.

კლინიკის ადმინისტრაციამ საქმეში პოლიცია ჩარია და ელიზაბეტ ფრიცლის მოძებნა სთხოვა. გამომძიებლის თქმით, იმავე დღეს საავადმყოფოში ანონიმური ზარით, ელიზაბეტ ფრიცლის ადგილსამყოფლის შესახებ ცნობა მიიღეს. დასახელებული ადგილი, სარდაფი არ ყოფილა. ელიზაბეტი სამართალდამცველებმა ერთ-ერთი ქუჩიდან მიიყვანეს საავადმყოფოში. ვერსიის თანახმად, ფრიცლმა მას საავადმყოფოში მისვლის უფლება მისცა და სარდაფიდან დროებით გამოიყვანა. კლინიკაში მიყვანილ ქალს უცნაურობა და დაძაბულობა მაშინვე შეამჩნიეს. თავდაპირველად მან სარდაფის თაობაზე არაფერი თქვა, მაგრამ მოგვიანებით, როცა საავადმყოფოსა და პოლიციის თანამშრომლებმა ის საკუთარ უსაფრთხოებაში დაარწმუნეს, ელიზაბეტმა საშინელი საიდუმლო გაამხილა და შველა ითხოვა...

პოლიციამ იოზეფ ფრიცლი იმავე დღეს დააკავა. ექვმბიტანილმა დანაშაული მაშინვე აღიარა. ჩვენებისას მხოლოდ ის თქვა, რომ ოჯახის წევრები ებრალებოდა: „ვნანობ, რაც მოხდა, ჩემი ოჯახი მეცოდება“, — უთხრა მან სამართალდამცველებს. შემთხვევის ადგილზე მის-

ულ პოლიციას სარდაფის კარი თვითონ უჩვენა და ისინი იქ გამომწყვდეულ თავის ორ ვაჟთან (ამავდროულად, შვილიშვილებთან) შეიყვანა...

როგორც გარშემო მყოფები, მეზობლები, ახლობლები და მეგობრები ამბობენ, ვერაფრით წარმოდგენდნენ იოზეფ ფრიცლი მანიაკი თუ აღმოჩნდებოდა; აღნიშნავენ, რომ ამ ოჯახზე ცუდი წარმოდგენა არასდროს ჰქონიათ და ბავშვებიც ყოველთვის მოსწონდათ. „ნორმალურად აღზრდილები ჩანდნენ. მათთვის რაიმე განსაკუთრებული უარყოფითი თვისება არ შეგვიმჩნევია“, — ამბობენ ისინი. რაც შეეხება მათ ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ფიზიკური განვითარების დონეს, — ექიმებმა ამ მხრივ დეფექტი ვერ აღმოუჩინეს. აღნიშნავენ, რომ ისინი საესეებით შესაბამებიან თავიანთ ასაკს, როგორც გარეგნული, ასევე გონებრივი მონაცემებით. ექსპერტ-ფსიქოლოგების თქმით, ბავშვების ინტელექტუალური დონეც დამაკმაყოფილებელია.

ასოლუტურად განსხვავებულია იმ სამი ბავშვის მდგომარეობა, რომლებმაც დაბადებიდან, ცხოვრება სარდაფში გაატარეს. უფროსი — 19 წლის გოგონა, შუათანა ბიჭი — 18-ის, ხოლო უმცროსი ვაჟი — სულ 5 წლის გახლავთ. ბავშვები უსუსურები, დაუძლურებულები და, როგორც მოსალოდნელი იყო, გონებრივად ჩამორჩენილები არიან, თუმცა გარეგნული ნაკლი არ აღენიშნებათ. ექსპერტების წინასწარი დასკვნით, მათი დაბალი ინტელექტი იზოლირებულად ცხოვრების შედეგია, თუმცა რა დოზით მიუძღვის ამაში ბრალი გენეტიკურ დარღვევებს, სპეციალისტები უკვე იკვლევენ და დასკვნას ახლო მომავალში გააკეთებენ.

დედის ფსიქიკური მდგომარეობა კი, როგორც ჩანს, საგრძნობლად შერყეული, რადგან ექიმებმა მისი დაუყოვნებლივ გამოკვლევა და ფსიქიატრიული კლინიკაში გადაყვანა მოითხოვეს. ამჟამად ტარდება დნმ-ის ექსპერტიზაც, ბავშვებისა და ექვმბიტანილის ნათესაური კავშირის საბოლოოდ დასადგენად...

აღსანიშნავია, რომ ეს ავსტრიისთვის პირველი მსგავსი შემთხვევა არ გახლავთ. ანალოგიური სადისტური დანაშაულის მსხვერპლად, 10 წლის ნატამა

კამპუშიც იქცა: 1998 წლის 2 მარტს, სკოლისკენ მიმავალი გოგონა მანიაკმა დაიჭირა და სახლის ქვეშ არსებულ, 5 კვადრატული მეტრის ფართის სარდაფში გამოკეტა. გოგონამ სარდაფში 8 წელი გაატარა. 2006 წელს, უკვე 18 წლის ნატამამ მანიაკის მოტყუება და მისი კლანჭებიდან დასხლტომა მოახერხა. „ამ გეგმაზე ყოველ წამს ვფიქრობდი. მს-



ოლოდ იმ იმედით ვარსებობდი, რომ ერთ დღეს მას გავუცტოდი და ამ საშინელი ტყვეობიდან თავს დავიხსნიდი. თავს ვუბნებოდი — იმისთვის არ გაჭენილვარ, რომ მთელი ცხოვრება სარდაფში გამომწყვდეულმა გავატარო-მეთქი. ამ სიტყვებით, ძალას ვიკრებდი. ერთ დღეს ის დავიყოლიე, რომ ჩემთვის სახლში ასვლისა და ცოტა ხნით ტელევიზორის ყურების უფლება მოეცა. დამთანხმდა. რა თქმა უნდა, მაშინ არ გავცეულივარ. ისევ სარდაფში დავბრუნდი და ამით მისი ნდობა მოვიპოვე. ყოველთვის მუუბნებოდა, — იცოდე, რომ გამეცე, თავს მოვიკლავო. მის სიტყვებში ეჭვი არ მეპარებოდა. შემდეგ თვითონ შემომთავაზა ტელევიზორის ყურება. ეს ზედიზედ რამდენჯერმე განმეორდა. იმ დღეს ვიგრძენი, რომ უნდა გავცეულიყავი. ისეთი გრძნობა მექონდა, თითქოს ბოლო შანსი მექონდა. არ ვიცი, როგორ, ღონე მოვიკრიბე და მთელი სისწრაფით გავიქეცი...“ — ამბობს დაზარალებული გოგონა ჟურნალისტთან ინტერვიუში. ნატამას გაქცევის შემდეგ, მანიაკმა — 44 წლის ელექტრომექანიკოსმა ვოლფგანგ პრიკლოპილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ის მატარებელს შეუვარდა...

მსგავსი დანაშაული დაფიქსირდა ასევე უნგრეთშიც. 2006 წელს ცნობილი გახდა, რომ ციხის ზედამხედველი 13 წლის მანძილზე აუპატიურებდა საკუთარ ქალიშვილს. 13 წლის განმავლობაში სრულ სიბნელეში ცხოვრების გამო, 27 წლის ახალგაზრდა ქალის კანი არაბუნებრივად თეთრი, სხეული კი განუვითარებელი დარჩა. „14 წლის ქალარათმიანი გოგონა — აი, ასე გამოიყურებოდა 27 წლის დაზარალებული, როცა ის სამალავიდან ამოვიყვანეთ“, — აღნიშნავენ სამართალდამცველები ჟურნალისტებთან საუბრისას.

გონა მანიაკმა

მბღვაბი

4

ბამოვიდა!
ი-პითონათი
წიგნის გადაწიგნა

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოსი დვალის უბის წიგნაკრები:

1. ვალდებულებები ტყის ქათამია.
2. „ბნკალი“ და „ხინვი“ სინონიმებია.
3. ტაკუკი მომცრო საღვინე ქურჭელია.
4. ნახევარი წლის ძროხას ბარაკვეული ჰქვია.
5. ჰიტლერი 165 სანტიმეტრი იყო სიმაღლეში.
6. ფიჭინ თაფლს კიპრუჭი, მეორენაირად კი გოლეული ჰქვია.
7. ეგზარქოსი ავტოკეფალიას მოკლებული ეკლესიის მღვდელთაგანია.
8. კარაველა სამანძიანი ესპანური ან პორტუგალიური ხომალდი იყო შუა საუკუნეებში.
9. გერმანიის ბუნდესვერში სამხედრო მოსამსახურეთა 8 პროცენტს ქალები შეადგენენ.
10. ქაქუცა ჩოლოყაშვილს თბილისის მთავადაზნაურო გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული.
11. ამერიკელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი ლაინუს პოლინგი ნობელის პრემიის ორგზის ლაურეატი.
12. მსოფლიოში პირველი მეტროპოლიტენი ლონდონში 1863 წელს გაიხსნა. მის ვაგონებს თავდაპირველად ფანჯრები არ ჰქონდა.
13. „ხოჩეშ, შტობი მუჟ ნე ვერტელ შეიეი, ნადა ნა ნეი სიდუტ“, — რჩევას აძლევს ერთმანეთს რუსი ქალბატონები.
14. ყურძნის მტევნის მხარს, რომელზეც ორისამი მარცვლია, კომპალი ჰქვია, მტევნის რტოს, რომელზეც ორისამი კომპალია — კუფხალი.
15. მდინარე დუნაი გერმანიის, ავსტრიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, უნგრეთის, ხორვატიის, სერბეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის ტერიტორიაზე მიედინება.
16. ყოველწლიურად დიდ ბრიტანეთში სანაგვეზე 2 მილიონამდე ტელევიზორი და 2 მილიონამდე კომპიუტერი იყრება. მათი ნაგავში დატოვება არ შეიძლება, რადგან ამ ტექნიკის დეტალები ტყვიას შეიცავს და დამლუხველია ეკოლოგიისათვის. ამის გამო მათი სპეციალური გადაამუშავება ხდება.
17. იტალიურს კაშხლის მშენებლობისას, ბრაზილიაში, დასაბოლოო ტერიტორიებში ჯუნგლის უზარმაზარი ნაწილი მოყვა. საჭირო გახდა იშვიათი ჯიშის ცხოველების, ფრინველებისა და რეპტილიების გადარჩენა. 129 სახეობის ფრინველი, 38 სახეობის ძუძუმწოვარი და 9 სახეობის რეპტილია იქნა დაჭერილი და დასაბოლოო ტერიტორიიდან გაყვანილი.
18. სახელგანთქმულ მხატვარ-მულტიპ-



კახა კუხიანიძე
და ვერიკო ტურაშვილა,
სანგრძლივი პაუზის შემდეგ
დუეტი ჩანერეს, როგორც
თვითონ ამბობენ,
იმ დღიდან „დაიქოქნენ“
და გაჩერებას აღარც
აპირებენ.



მეგობრების ლუბი და საზოგადოების მოსკოვიური გასტრონომიის

სოფო ჭონიშვილი

— თუ შეგიძლიათ, გაიხსენეთ, ერთმანეთი სად და როგორ გაიცანით?

ვერიკო:

— დაახლოებით 9 წელი იქნება, რაც მე და კახა ერთმანეთს ვიცნობთ. ადრე, კახას ძმას — გიგას ჩამწერი სტუდია ჰქონდა და ერთ-ერთი სიმღერის ჩანერის დროს, კახაც იქ დამხვდა. გაცნობის დღიდანვე ერთმანეთს კარგად გავუგებთ და დავმეგობრდით კიდევ.

კახა:

— ვერიკო არაჩვეულებრივი ადამიანია. მეგობრობისა და მეგობრის ფასი კარგად იცის. მიხარია, რომ ის ჩემი უახლოესი მეგობარია. ვერიკოს ჩემი ოჯახის წევრად მივიჩნევ. ერთმანეთის ოჯახებთან თბილი და ახლო ურთიერთობა გვაქვს.

— თქვენი აზრით, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ კარგი მეგობარი იყო?

— მეგობრობაშიც და საერთოდ, ნებისმიერი სახის კარგი ურთიერთობისთვის აუცილებელი პირობაა ერთგულება. თუ ადამიანს ერთგულება არ შეუძლია... პირადად მე, ძალიან ერთგული და უბოროტო ადამიანი ვარ. მეგობრობისთვის, კიდევ უფრო აუცილებელი, ხასიათებით შეწყობაა. მე და ვერიკო ამ მხრივ, ერთმანეთს კარგად ვუგებთ. ერთად ყოფნა ყოველთვის გვახარებს.

ვერიკო:

— ერთმანეთს დისკომფორტს არასოდეს ვუქმნით. მყარი მეგობრობა ადამიანს სიმტკიცესა და

სიძლიერეს მატებს. კახას ყველაფერში ვენდობი, მჯერა, რომ ცუდს არაფერს გამიკეთებს. პირიქით...

— ერთმანეთისგან არასდროს არაფერი გწყენიათ?

— საერთოდ, ბუნებით, კონფლიქტური ადამიანი არ ვარ. ადამიანის წყენას და გულისტყვენას ყოველთვის ვერიდები, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი უახლოესი მეგობარია. ასეთია კახაც — ძალიან მშვიდი, წყნარი და განონასწორებული.

კახა:

— თუკი მაინც მოხდა ისე, რომ ერთმანეთისგან რაღაც გვეწყინა, ამის შესახებ ყოველთვის დაუფარავად ვეუბნებით ერთმანეთს, გულში ბოლმის ჩადება არ გვჩვევია.

ვერიკო:

— წყენის გულში ჩადებამ შეიძლება, უახლოესი ადამიანი დაგაკარგინოს. სიმართლის თქმა ყველა სიტუაციაში გამართლებულია.

— ერთმანეთს რჩევებს თუ აძლევთ და საერთოდ, შეცდომებზე თუ მიუთითებთ?

— რა თქმა უნდა! აბა, მეგობრო-



ვერიკოს ჩემი ოჯახის წევრად მივიჩნევ

ბა სხვა რაღაა?!

კახა:

— შემიძლია, ვერიკოს ნებისმიერ დროს დავურეკო და რჩევა ვკითხო. ცხოვრებაში ისეთი რაღაცები ხდება ხოლმე, რომ გადანყვეტილების მიღება გიჭირს და ვილაცის რჩევა გჭირდება.

ერთმანეთის თვისებები კარგად იცით?

— ძალიან კარგად... ვერიკოს ერთი ცუდი თვისება აქვს. ვერიკო, უნდა ვთქვა, იმედია, არ გენყინება (იცინის).

ვერიკო:

— ვიცო, რის თქმასაც აპირებ.

კახა:

— დამალვას აზრი აღარ აქვს.

ერთმანეთს დისკომფორტს არასოდეს ვუქმნით



ვერიკო ძალიან არაბუნებრივი ადამიანია, სულ აგვიანებს. ამას უკვე შეჩვეული ვარ. თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ უამრავი დადებითი თვისება აქვს, რომელიც ამ ერთ ნაკლს ფარავს. ძალიან მხიარული ადამიანია. რაც უნდა ცუდ ხასიათზე იყო, შეუძლია, უცებ კარგი განწყობილება შეეკმნას.

ვერიკო:

— მოდი, მე, ამ შემთხვევაში, დაგინდობ და შენზე ცუდს არაფერს ვიტყვი (იცინის)... თუმცა, როცა ვფიქრობ, ცუდი არც არაფერი მახსენდება. ერთადერთი, რაც შემიძლია კახაზე ვთქვა, არის ის, რომ ძალიან ერთგული ადამიანია. ყოველთვის შემიძლია, კახას, როგორც საუკეთესო მეგობარს, დავეყრდნო და ჩემი პრობლემა თუ გასაჭირი გავუზიარო. ვიცი, რომ დამეხმარება, კარგ რჩევას მომცემს.

— ახლა ის მითხარით, დუფტ-

ის ჩანერის იდეა რომელს გეკუთვნით?

— რაც ერთმანეთი გავიცანით დუფტის ჩანერას მის შემდეგ სულ ვგემავდით. ხან რა პრობლემა შეგვექმნა, ხან — რა... სიმღერა, რომელიც მე და კახამ ერთად ჩავწერეთ, კახას ძმამ, გიგამ შემოგვთავაზა. პირველად რომ მოვუსმინე, ისე მომეონა, მინდოდა, ჩაწერა იმნუთშივე დაგვეწყო. ცოტა ხნის წინ, მე და კახამ, რაღაც შემოთავაზებები მივიღეთ, ამიტომ, აუცილებელი იყო, ერთი დუფტი მაინც ჩავწერერა, სწორედ ამ შემოთავაზებებმა დააჩქარა ამდენი ხნის წინ დაგვეგმილი დუფტის ჩაწერა. სიმღერა 3 საათში ჩავწერეთ.

ტექსტის ავტორი ვინ არის? კახა:

— სიმღერის ტექსტი ჩემმა ძმამ და ვერიკომ ერთობლივად დანერგეს.

ვერიკო:

— მუსიკის ავტორი გიგაა, არანჭირვებაც მას ეკუთვნის. სიმღერის თემა — სიყვარულია.

სიმღერაზე კლიპის გადაღებას არ აპირებთ?

— ცოტა ხანში კლიპის გადაღებაც დასრულდება, რეჟისორი ბასა სამხარაძეა. ძალიან სადა და ლამაზი სანახავი კლიპი გამოდის.

უფრო კონკრეტულად გვითხარით, ვისგან და რა შემოთავაზებები მიიღეთ?

კახა:

— ერთი შემოთავაზება მოსკოვიდან მივიღეთ. იქ ჩემი და ვერიკოს დუფტი და სოლო სიმღერებიც გავგზავნეთ. ჩვენი შემოქმედება ძალიან მოეწონათ. უახლოეს მომავალში მოსკოვში გავემგზავრებით და რამდენიმე სოლიდურ კლუბში ვიმღერებთ.

ვერიკო:

— რამდენად სისტემატურ სახეს მიიღებს ეს ყველაფერი ჯერჯერობით არ ვიცი. ყველაფერს პირველი კონცერტის შემდეგ გავიგებთ.

თქვენი პროდიუსერი ვინ არის?

— პროდიუსერი არ გვყავს. მოსკოვთან მოლაპარაკებებს გიგა კუხიანიძე აწარმოებს. შემოთავაზება გვაქვს ასევე ბაქოდან. ამ კონცერტის ორგანიზებას ყოფილი ტელენამყვანი სალომე გოგიაშვილი აწარმოებს.

ბაქოში მარტო მიემგზავრებით თუ შოუბიზნესის სხვა წარმომადგენლებიც მოდიან?

— ჩვენთან ერთად, კახას რძალი — ნინო ძონენიძე მოდის.

წარმატებებს გისურვებთ!

— გმადლობთ.

ინფორმაციულ-ჟეპეხეპიტი კოლაჲ

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:




ლიკატორს, უოლტერ ლანცს თაფლობის თვე გაუმწარეს კოდალებმა, რომლებიც გაუთავებლად უკაკუნებდნენ კოტეჯის სახურავს, რომელშიც ახალგაზრდა წყვილი იყო დაბინავებული. სწორედ ამ უსიამოვნო გარემოებამ გაუჩინა მხატვარს იდეა, შეექმნა მულტიპლიკაციური გმირი ვუდი ვუდბეკერი.

19. „ახ სკოლკოვე პოდ ეტიმ იასნიმ ნებომ, დასტალოს ნამ ნეგზოდ, ტრაგედიი, ზიმი, ნაროდ, შტო მაკარონი ზაედაეტ ხლებომ, ვოისტინუ, ვოვეკ ნემობედიმ“, — წერს რუსი ხალხის შესახებ ანდრეი ალიაკინი.

20. განთქმული ფირალი დათიკო შევარდნაჲ უზადლო მსროლელი ყოფილა. მაუზერით მავთულებს წყვეტდა თურმე. მისი ცოლი ჰყვებოდა, — ერთხელ მთვრალი მოვიდა, თავზე ვაშლი დამადო, ორმოცი ნაბიჯი გადათავალა, ესროლა და გახფრიტაო.

21. ინგლისის დედოფლის, ელისაბედ მეორის ქმარმა ფილიპმა ერთ-ერთ მოსამსახურეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მცირეწლოვან პრინც ჩარლზს წინ გადაუსწრო და კარი გაუღო: „ჩემი შვილი ინვალიდი ხომ არ გგონიათ?! მე მსურს, ყველაფერი თავად აკეთოს!“



22. ცნობილია, რომ ჩინელთა უმრავლესობას ორგანიზმში არ გააჩნია ფერმენტი, რომელიც რძის შაქარს — ლაქტოზას შლის, რის გამოც ჩინეთში რძის პროდუქტები ნაკლებად პოპულარულია. ერთადერთი პროდუქტი, რომელზეც ჩინელები უარს ვერ ამბობენ, ნაყინი გახლავთ.

23. როდესაც გალაკტიონ ტაბიძეს სასმლის საყიდლად ფული არ ჰყოფნიდა, მეტუფეტეს გირაოდ, ლენინის ოქროს ორდენს უტოვებდა.

24. ერთხელ კოლაუ ნადირაძეს კატეგორიულად მოსთხოვეს სამუშაო კაბინეტის კედლიდან გრიგოლ რობაქიძის პორტრეტის ჩამოსხნა. მან ჯინაზე, მეორე პორტრეტი ჩამოკიდა. პოეტი ხშირად იმეორებდა მანდელშტამის სიტყვებს: „ია ნე ოტრეკაიუს ნე ოტ ჟივის, ნე ოტ მიორტვის“.

25. ლადო გუდიაშვილი წყნეთში 84 წლის ასაკში საკუთარი შვილიშვილის, ანანო მელივას პორტრეტის ხატვისას გარდაიცვალა. P.S. რიპარდ ვესტმა მის მიერ აღმოჩენილ ვარსკვლავს ქართველი მხატვრის სახელი უწოდა.

გოჩა ჯოჯოხას საიდუმლო...

ვის რა მოჰხარა პარლამენტარმა?

პარლამენტარი გოჩა ჯოჯოხა „ერუდიტი“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. შეხვედრისას კი მითხრა: როცა დროს გამოვნახავ, სამეცნიერო, დიპლომატიურ, მემუარულ ლიტერატურას უფრო ვკითხულობ, ვიდრე გასართობსო. მისი საყვარელი მწერალი ვაჟა-ფშაველასაა. თანამედროვე ქართულ მწერლობას ნაკლებად ეცნობა, თუ არ ჩავთვლით მერაბ შაბაიძის შემოქმედებას, რომელიც მისი მეგობარია. როცა უხასიათოდ არის, უინსტონ ჩერჩილის „11 მსოფლიო ომს“ კითხულობს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად, „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს ირჩევს. აქვე წიგნის მოპარვის ფაქტსაც არ მალავს და საიდუმლოს მანძობს: წიგნი ჩემს საუკეთესო მეგობარს მოვებარეო. იმის გამო, რომ შესაძლოა, ეს ინტერვიუ მისმა მეგობარმაც წაიკითხოს, წიგნს არ ასახელებს“.



თაყუნა კვიციანი

— დაასახელეთ ნოუ-იორკის ცენტრში, კუნძულ მანჰეტენის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი ქუჩის სახელი, რომელიც აშშ-ში საფინანსო ელიტის სინონიმად იქცა.

— (ფიქრობს).

— მიგანიშნებთ: ამ ქუჩაზე მსოფლიოში უდიდესი საფონდო ბირჟა მდებარეობს.

— ვერ გიპასუხებთ.

— უოლ-სტრიტი. 11 მსოფლიო ომის დროს, რუხველტსა და ჩერჩილს შორის, ოპერაცია „ენ-ვილთან“ დაკავშირებით მცირე უთანხმოება წარმოიშვა (ოპერაცია სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ძალების გადმოსხმას ითვალისწინებდა). ჩერჩილი ამ ოპერაციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა, ფარ-ხმალი დაეყარა. 1994 წლის 15 აგვისტოს ოპერაცია „ენვილი“ დაიწყო, მაგრამ ამ დროისთვის „დრაგუნის“ სახელწოდება მიიღო. სახელი ჩერჩილმა შეცვალა და ამით მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის პოზიციას. გადათარგმნეთ სიტყვა „დრაგუნი“ ქართულად.

— ვერ გეტყვით, არ ვიცი, ეს სიტყვა ქართულად რას ნიშნავს.

— ჩერჩილი აიძულეს, სამხრეთ საფრანგეთში შეჭრილიყო — ამ წინადადებადანი გამომდინარე გამოიტანეთ დასკვნა.

— ვერა, ვერ ვხვდები. ვიცი, რომ დრაგუნთა პოლკი არსებობდა, მაგრამ კითხვასთან ამას არანაირი კავშირი არა აქვს.

— „დრაგუნი“ იძულებას ნიშნავს. დაასახელეთ ოქროს 20-ფრანკიანი მონეტა, რომელსაც ნაპოლეონ I-ის დროს საფრანგეთში ჭრიდნენ.

— ნაპოლეონდორი.

— ეს სიტყვა არაბულად „მოადგილეს“ ნიშნავს, მაგრამ საერო და სასულიერო ხელისუფლების მეთაურთა ტიტულია. ისლამის დასაბამიდან, მუჰამედ მოციქულის მოადგილეს, შემდეგ კი — ალაჰის მოადგილესაც ნიშნავდა.

— იმამი?

— ცდებით, ხალიფა. ვის გადასცა ლმერთმა ქვის ფილებზე დაწერილი 10 მცნება?

— მოსეს.

— რომელი სახელმწიფოს დიქტატორი იყო ფრანკო ესპანეთის, საბერძნეთის თუ იტალიის?

— ესპანეთის.

— ვინ არის სახელმწიფოს მეთაური იაპონიაში?

— მეფე (ფიქრობს). მაპატიეთ, შეცდომით ვთქვი, იმპერატორი.

— ავსტრალია, აფრიკა, ჩრდილოეთ ამერიკა,

სამხრეთი ამერიკა — ჩამოთვლილთაგან რომელი კონტინენტი გამოირჩევა სეისმური მდგრადობით?

— აფრიკა, ის ხომ უძველესია.

— სწორი პასუხია — ავსტრალია. რა ჰქვია აშშ-ში შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს?

— (ფიქრობს).

— დაგესმარებით: ეს თანამდებობა ცნობილ მსახიობს არნოლდ შვარცენეგერსაც უკავია.

— (იცინის) რამ დამაბნია? გუბერნატორი.

— ადამიანის რომელი ჯირკვალი გამოყოფს ადრენალინს?

— სავარაუდო პასუხებს ვერ მეტყვით?

— კუჭქვეშა, ფარისებრი თუ თირკმელზედა?

— ადამიანის ანატომია კარგად არ ვიცი, ვერ გიპასუხებთ.

— თირკმელზედა. საქართველოს რომელი კუთხის ისტორიული მხარეა ბორჩალო?

— ქართლის.

— რამდენქომიანია თურქეთის დროშაზე გამოსახული ვარსკვლავი?

— ხუთქომიანი.

— რომელი მხედართმთავარი აარსებდა დაპყრობილ ტერიტორიაზე თავის მოსახლე ქალაქებს — ალექსანდრე მაკედონელი, თემურლენგი, ნაპოლეონ ბონაპარტი თუ იულიუს კეისარი?

— ალექსანდრე მაკედონელი.

— ვინ იყო კავკასიის ბოლო მეფისნაცვალი?

— ვორონცოვ-დაშკოვი.

— რამდენი ბანქოს ქალაქი ურიგდებათ „პრეფერანსის“ მოთამაშეებს?

— „პრეფერანსის“ არ ვთამაშობ. როგორც ვიცი, 5-5 ქალაქი ურიგდებათ.

— ცდებით, თითოეულ მოთამაშეს 10 კარტი ურიგდება. რას ნიშნავს ანთროპოფაგია?

— კაციჭამობას, არა?

— დიახ. ვინ იყო ძველი ბაბილონის ყველაზე დიდი კანონმდებელი მეფე?

— ასურბანიფალი.

— პასუხი არასწორია. ეს მეფე ხამურაბი გახლდათ. რამდენ თვეს არ უნდა ალემატებოდეს ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა?

— 9 თვეს.

— რას ნიშნავს აშშ-ის, ინგლისის და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნების იურისპრუდენციაში ტერმინი „ბილი“?

— საკანონმდებლო ორგანოში შეტანილ კანონპროექტს.

— ვინ თარგმნა პირველად მონტესკიეს „კანონთა ბუნებისთვის“?

— ვაიმე! ეს წიგნი მაქვს, მაგრამ ვისი ნათარგმნია, არ ვიცი.
 — დავით ბატონიშვილის. ვინ არის „სიქსტეს მადონას“ ავტორი?
 — რაფაელი.
 — ბაირონი, აქილევსი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, შელი — მათ შორის რომელი არ იყო კოჭლი?
 — შელი.
 — ვისზე დაინერა ირვინგ სტოუნის ბიოგრაფიული რომანი „წყურვილი სიცოცხლისა“?
 — არ ვიცი.
 — ვან-გოგის ცხოვრებაზე. რამდენი მხედარი ჰყავს ჭადრაკის თითოეულ მოთამაშეს?
 — 2.
 — რომელი ქართველი სპორტსმენია შესული გინესის რეკორდების წიგნში?
 — (ფიქრობს).
 — ის ჩვენი თანამედროვეა.
 — ჯუმბერ ლეჟავა.
 — რამდენი სპორტსმენით გადის სათამაშოდ წყალბურთის თითოეული გუნდი?
 — 5 მოთამაშით.
 — ცდებით, 7 მოთამაშით. სად გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები დავით გურამიშვილმა?
 — უკრაინაში.
 — 1986 წლამდე აფრიკის რომელი ქვეყანა ატარებდა სახელწოდებას „სპილოს ძვლის ნაპირი“?
 — არ ვიცი.
 — კოტ-დ'ივუარი. სადაური იყო ზღვაოსანი ვასკო და გამა?
 — პორტუგალიელი.
 — ვინ არის ავტორი ლექსისა — „გოგოვ, განხე ფეხშიშველი“?
 — (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.
 — საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ ამ ლექსის ავტორი თქვენი საყვარელი მწერალია...
 — თქვენ კიდევ უფრო დამაბნეით...
 — რატომ დაიბნენ? ეს ლექსი ვაჟა-ფშაველამ დაწერა.
 — არ მახსოვდა.
 — ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი რომანის მიხედვით, რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში იგდო ხელთ კუკარაჩამ მტრის ტანკი?
 — ფინეთის.
 — ვინ არის კომპოზიტორი, ილია ჭავჭავაძის ლექსზე დაწერილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“?
 — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში რამდენჯერ მიმღერია!
 — მერე, სიმღერის ავტორს ვერ იხსენებთ?
 — ვერა. ისეთი დაღლილი ვარ, ვეღარ ვაზროვნებ.
 — რევაზ ლალიძე. როგორ ამბობს რუსთაველი — „თუ ყვაფი ვარდსა იშოვის...“
 — „...თავი ბუღბული ჰგონია“.
 — დავით აღმაშენებელმა მეფის ლაშქარი 3 ნაწილად გაყო. ჩამოთვალეთ მათი სახელწოდებანი.
 — მეციხოვნეები, მოლაშქრეები და (ფიქრობს) მეფის გვარდია.
 — ვინ შექმნა „წითელი ჯვრის საზოგადოება“?
 — არ ვიცი.
 — ანრი დიუნანსმა. როგორი ფორმით აჯარიმებდნენ რომაელ სენატორებს, რომლებიც სენატის სხდომას არ დაესწრებოდნენ?

— როგორც მახსოვს, მათ ხაზინაში ფული უნდა შეეტანათ.
 — რომელ არგენტინულ კლუბში თამაშობდა დიეგო მარადონა?
 — „ბოკა ხუნიორსში“.
 — ეთიოპია, ზამბია, ომანი — რომელი სახელმწიფო არ არის აფრიკის კონტინენტზე?
 — ომანი.
 — ფაშისტური გერმანიის რომელი თავკაცის ნამდვილი გვარია შიკლგრუბერი?
 — შიტილერის.
 — სადაური ტომები იყვნენ ვანდალები: სკანდინავიური, გერმანული, აზიური თუ სლავური?
 — გერმანული.
 — დედამიწა, მარსი, მერკური, ვენერა — ჩამოთვლილთაგან, რომელია ყველაზე პატარა პლანეტა?
 — ვენერა? არა, ვენერაზე პატარა — მერკურია.
 — ხელოვნებათმცოდნის აზრით, რომელ მხატვარს აქვს ყველაზე მეტი ავტოპორტრეტი დახატული?
 — სავარაუდო პასუხები მითხარით.
 — ვან-გოგს, რუბენსს, რემბრანდტს თუ გოგენს?
 — გოგენს.
 — ცდებით. ყველაზე მეტი ავტოპორტრეტი რემბრანდტს აქვს დახატული. — „ვედრება“, „ჯვარცმული კუნძული“, „ჩვენი ეზო“ — ამ ფილმებიდან, რომელში არ მონაწილეობს თენგიზ არჩვაძე?
 — „ჩვენი ეზო“.
 — რომელმა ისტორიკოსმა აღწერა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“?
 — ჯუანშერმა.
 — დასახელებთ წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძული, სადაც უცნობი წარმოშობის გიგანტური ქვის სკულპტურებია აღმოჩენილი.
 — ვერ ვიხსენებ.
 — მიგანიშნებთ: ამ კუნძულს ქრისტიანული დღესასწაულის სახელი ჰქვია.
 — აღდგომის კუნძული.
 — მარმარილოს ზღვასთან რომელ ზღვას აერთებს დარდანელის სრუტე?
 — ნითელ ზღვას.
 — ცდებით, ეგეოსის ზღვას. და ბოლოს, დაასრულეთ ფრანკლინის ცნობილი გამონათქვამი: „გამოცდილება ისეთი სკოლაა, სადაც ყოველი გაკვეთილი ძვირად გვიჯდება, მაგრამ მაინც კი ერთადერთი სკოლაა, სადაც...“
 — სამწუხაროდ, ფრანკლინის ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს.
 — „...უჭკუონიც კი ჭკუას სწავლობენ“.

ეპიტაჟი (ფრანგ.) — სკანდალური გამოსდომა, საქციელი, რომელიც მიღებულ ნორმებსა და წესებს არღვევს.
არაპატი (ძველბერძნ.) — მთიანი ოლქი პელოპონესის (საბერძნეთის) ცენტრში, რომლის მოსახლეობა ძველად, უპირატესად, მესაქონლეობას მისდევდა; ანტიკურ ლიტერატურაში და მოგვიანებით (XV-XVIII სს.) ასახული იყო, როგორც სამოთხის მგავსი პატრიარქალური წყობილების ქვეყანა, სადაც ყველა უდარდელად ცხოვრობდა.
ასპიტტი (ლათ.) — თვალსაზრისი, რომლიდან გამომდინარე განიხილება საგანი, მოვლენა, ცნება.
მილიტარიზმი (ლათ.) — პოლიტიკური ეკონომიკური, იდეოლოგიურ საშუალებების სისტემა, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის მმართველი წრეები სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების გასაზრდელად იყენებენ.
აუტსაიდიერი (ინგლ.) — გარეშე პირი, ჩამორჩენილი, წარუმატებელი ადამიანი, რომელსაც შევიძრებაში გამარჯვების შანსი არ გააჩნია.

ქალებს უჩვენ, მამის, ძმის ან მეუღლის გარდერობში შეიხედონ...

როგორია ბრილიანბისა და სვაროვსკის თვლით გაფორმებული ფხსაცმელი

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ბევრი ქალბატონი საკუთარი გარდერობის განახლებას ცდილობს, რომ მოდურად გამოიყურებოდეს. ხოლო იმას, თუ როგორი ტანსაცმელი და ფხსაცმელია ახლა მოდაში, დიზაინერებისაგან — ავთო ცეკვიტინიძისა და მადონა სარატიშვილისაგან შეიტყობთ.



ბოდეს, მამაკაცმა როგორ უნდა ჩაიცვას?

— მამაკაცებისთვის ნელში გამოყვანილი პიჯაკები და სწორი შარვლებია მოდაში. ქვემოთ დავიწვინებულ შარვლები ქართველ მამაკაცებს დიდად არ ხიბლავს. ისინი არჩეულ სტილს ხშირად არ ცვლიან და რაც უნდა მოდაში იყოს ყვითელი, ვარდისფერი ან წითელი ფერის სამოსი, მას ქართველი მამაკაცი არ ჩაიცვამს.

მადონა სარატიშვილი:

— ამ სეზონზე ფერში შეზღუდულები არ ვართ. შარშანდელთან შედარებით, კვლავ მოიმატა ქუსლის ზომამ და ნელსაც მაღალქუსლიანი ფხსაცმელია მოდაში. რაც შეეხება ფხსაცმლის ცხ-



მარეზ ჭონიშვილი

ავთო ცეკვიტინიძე:

— ზაფხულის ახალ კოლექციაში გამოვიყენე — ნაცრისფერი, თეთრი, შავი, ზოლიანი ქსოვილები. ამ კოლექციაში ასევე წარმოდგენილი მქონდა დაპლესილი თავსაბურავები.

როგორი კაბებია მოდაში?

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა დიზაინერმა ნელს მოკლე კაბები წარმოადგინა, მე ამ სეზონზე მიდი და მაქსი კაბები შევქმენი, რადგანაც მოკლე კაბები არ მხიბლავს.

შარვლებზე რას გვეტყვი?

— თუ წინა სეზონზე მოდაში ძალიან ვიწრო შარვლები იყო, ნელს შარვლის ტოტები ნელ-ნელა გაფართოვდა. ამიტომ, ჩემს ნამუშევრებშიც ამ სეზონზე ეს ტენდენცია შეინიშნება.

როგორი უნდა იყოს შარვლის სათავე?

— შარვლის სათავემ ოდნავ ზემოთ აინია, თუმცა ბევრმა დიზაინერმა ამ სეზონზე ძალიან მაღალნელიანი შარვლებიც წარმოადგინა.


ჯინსი ისევ მოდაშია?

— ჯინსი ყოველთვის აქტუალურია და თავის ხიბლს არასოდეს დაკარგავს; თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, მალე საღამოს კაბები ჯინსმა შეცვალოს, რადგან ხალხი ბოლო დროს, ძალიან პრაქტიკული გახდა და თავს რაშიც კომფორტულად გრძობს, იმას იცვამს.

აქსესუარებზე რას გვეტყვი?

— ზედმეტად თვალში საცემი, მყვირალა ფერის აქსესუარები ამ სეზონზე მოდაში არ არის. ჩემს კოლექციაში კაბებს ქამრები ამშვენებს, ზოგს — ქსოვილის, ზოგს კი — ტყავის, რომელიც ნელზე ორჯერაა შემოხვეული. ქამარი უნდა იყოს ვიწრო ან ძალიან ფართო. ამ სეზონზე ქალბატონებისთვის ასევე აქტუალურია მამაკაცის პერანგები; მას, ვისაც უნდა, მოდურად გამოიყურებოდეს, მამის, ძმის ან მეუღლის გარდერობში შეარჩიოს პერანგი და მასზე ქამარი გაიკეთოს.

მოდურად რომ გამოიყურებ?



ვირს, — მისი ფორმა მომრგვალებული და ოდნავ აპრეხილია, მაგრამ კვლავ მოდაშია წვრილცხვირიანი ფეხსაცმელი. ეს „კლასიკა“ გახლავთ და არ იცვლება. ასევე აქტუალურია „ფრანცუზულები“.

— დაბალძირიანი, სპორტული სტილის ფეხსაცმელი დარჩა მოდაში?

— სპორტული სტილის, დაბალძირიანი „ტაპები“ და ჯინსის ბოტასები მოდაშია თინეიჯერებისთვის. ჯინსისა და ტყავის, ზამშისა და ჯინსის კომბინაციები ერთმანეთს უხდება და ფეხსაცმელი ძალიან ლამაზი გამოდის.

— მამაკაცის ფეხსაცმელზე რას იტყვი?

— ქართველი მამაკაცები იშვიათად მიჰყვებიან მოდის ტენდენციებს, უჭირთ ექსპერიმენტებთან შეგუება. ამ სეზონზე მამაკაცის ფეხსაცმლის ცხვირი მომრგვალებულია. ასევე მოდაშია სპორტულ-კლასიკური სტილის ფეხსაცმელი, რაც მამაკაცს საშუალებას აძლევს, ის კოსტიუმსა და ჯინსს ერთნაირად შეუთავსოს.

— თქვენს კოლექციაში რა სიახლეა?

— ჩვენ 2008 წლის კოლექციაში მესამე ხაზი შევქმენით. ეს არის ძვირად ღირებული ფეხსაცმელი, რომლის გასაფორმებლად გამოვიყენეთ ბრილიანტი, სვაროვსკის თვლები, ოქრო. ასევე ძალიან ლამაზია მინანქრით გაფორმებული ფეხსაცმელი. ფეხსაცმელს ძვირფასი ქვები ძალიან მოუხდა, მაგრამ ცოტა საშიშიც არის და როცა ჩაიცვამენ, ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ არავინ მოიპაროს.



ჯინსი ყოველთვის აქტუალურია და თავის სიბლეს არასოდეს დაკარგავს

„ჩლიქს უხალავა მუცელსა და ნიჟარს...“

და რით იზიდავს ის მამაკაცებს

ჩვენი რუბრიკის სტუმარი ამჯერად, ცნობილი და ერთობ სკანდალური გოგონა — მუკლატკაა. ის, როგორც ყოველთვის, გულახდილად საუბრობს, როგორც საკუთარ დადებითა და უარყოფით თვისებებზე, ასევე „თამამ“ შეხედულებებზე. ისიც დაუფიქრებლად გაგვიმხილა, რომ გათხოვებასა და ოჯახის შექმნას ჯერჯერობით არ აპირებს. მიაჩნია, რომ ამისთვის, ნებისყოფა აკლია. მოსწონს, სიმპატიური და დამთმობი მამაკაცები.

სოფო ჭონიჭვილი

— მუკლატკა, მოდი, თავიანთსა იტყვი შენი ოჯახი გააძლიერებს შენ?

— შევთანხმდეთ, რომ ამ თემაზე არ ვილაპარაკებთ. მე მხოლოდ საკუთარ თავზე ვისაუბრებ.

— რამდენი წლის ხარ?

— 18-ის. ჰოროსკოპით, ლომი ვარ. ჰოროსკოპს ხშირად ვკითხულობ და რაღაც-რაღაცები ემთხვევა კიდევ.

— როგორი ადამიანი ხარ? საკუთარი თავი დაგვიხსიათ?

— ოო, საშინლად აგრესიული და ფიცხი ხასიათი მაქვს... აგრესიული ძირითადად, მამაკაცებთან ურთიერთობისას ვარ.

— აგრესიულობის საბაზს მამრობითი სქესის წარმომადგენლები ხშირად გაძლევენ?..

— არა, უბრალოდ, მე ვარ ასეთი, ყველაფერი მაღიზიანებს. თუ რაღაც არ მომეწონა, თუნდაც ელემენტარული რამ, — ვცოფდები.

— მოდი, ახლა ის გვითხარო, რა დადებითი თვისებები გაქვს?

— კეთილი და თბილი ადამიანი ვარ. თუ პიროვნებაზე გული მიმივიდა, მასთან ძალიან საყვარელი ვხდები. მოწონებით, ძალიან იშვიათად მომწონს...

— წუნია ხარ?

— ძალიან.

— ესე იგი, შენი მოსაწონი ადამიანი იშვიათად შეგხვდება?

— დიახ.

— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, მასთან ურთიერთობისას შენი აგრესიულობა რომ არ გამოამჟღავნო?

— დამთმობი, ცოტა გიჟი, თბილი და — უნდა მენდობოდეს!

— საყვარელ ადამიანთანაც კი არ შეგიძლია, დამთმობი იყო?

— მაქვს გარკვეული პრინციპები, რომლებსაც არავის და არაფრის გამო დავთმობ. შეიძლება, ჩემი ამ ხასიათის გამო, რაღაც მომენტში წამიგია კიდევ, მაგრამ არასოდეს არაფრის ვნანობ.

— ტირილი შეგიძლია?

— დეპრესიული ადამიანი არა ვარ, ჩემს

ცრემლებს სხვას არ დავანახებ. როცა ნასვამი ვარ, ძალიან მოსიყვარულე და თბილი ვხდები, სიყვარულის ბუშტი მისკდება. ხოლო თუ გვერდით მიზის ის ადამიანი, რომლის მიმართაც სიმპათია მაქვს, მაშინ...

— სიყვარულს უხსნი და ეფიცები, რომ მასზე მეტად, არავინ გიყვარს?

— არა, ცხოვრებაში მამაკაცი არ მყვარებია.



თუ პიროვნებაზე გული მიმივიდა, მასთან ძალიან საყვარელი ვხდები

— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომ შეგიყვარდეს?

— ამ საკითხზე არ მიფიქრია, თუმცა რატომღაც მგონია, რომ რაც უნდა იდეალური მამაკაცი გავიცნო, მასში უარყოფით თვისებას მაინც ვიპოვი. ჩვევა მაქვს: ადამიანში მინუსებს ვეძებ. ვიცი, რომ ეს ცუდი თვისებაა, მაგრამ მაინც ვერ მოვიშალე ეს ჩვევა.

— მაინც, როგორია შენთვის იდეალური მამაკაცი?

— პირველ რიგში, ის ყურადღებიანი უნდა იყოს, არასოდეს მომატყუოს. ყველაზე მთავარი ის არის, რომ დამთმობი იყოს, სხვა შემთხვევაში, მასთან ურთიერთობას ვერ ავანწყობ; და კიდევ — გარეგნულად ძალიან სიმპატიური და მომხიბვლელი.

— ქერა მამაკაცები უფრო მოგწონს თუ შავფერმანები?

— კონკრეტულად ვერ გეტყვი. მთავარია, სიმპატიური იყოს, მნიშვნელობა არა აქვს, ქერა იქნება თუ შავფერმანი.

— მამაკაცთან ურთიერთობისას ან, მით უმეტეს, ოჯახის შექმნისას,

შენი რჩეულის მატერიალურ მდგომარეობას თუ მიაქცევ ყურადღებას?

— ბანკში ანგარიშები აქვს თუ არა — მაგის გარკვევას ნამდვილად არ დავინწყებ. თუმცა ჩემთვის, მომავალი მეუღლის მატერიალურ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თუ მამაკაცი, რომელსაც ცოლად გავყვები, მეყვარება, იმის გამო არ დავინუნებ, მილიონი თუ არ ექნება.

— ახლა ვისთან ერთად ცხოვრობ?

— მე და ჩემი დაქალი ვცხოვრობთ ერთად.

— საოჯახო საქმეების კეთება გეზერება?

— საოჯახო საქმეების კეთება „ჯეობარში“ ვისწავლე, მანამდე არაფერი ვიცოდი. იქ 3 კვირის განმავლობაში მშვენიერი დისასხლის ვიყავი. საქმელების მომზადებაც იქ ვისწავლე.

— ყველაზე გემრიელად რა კერძს ამზადებ?

— ძალიან გემრიელ ბოსტნეულის სალათებს ვამზადებ.

— უთოობა და რეცხვა გეზერება?

— მსგავსი რაღაცების გაკეთება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, უბრალოდ, არ მჭირდება...

— ზარმაცი ხარ?

— არა, უბრალოდ, თავისუფალი დრო არ მაქვს: ხან გადაღებაზე მივრბივარ, ხან — სამსახურში, სულ გადარბენაზე ვარ.

— სად მუშაობ?

— ერთ-ერთ ჟურნალში, ჟურნალისტად.

— ხელსაქმე თუ იცი — ქსოვა, კერვა, ქარგვა?

— ბავშვობაში ვქსოვდი და ვქარგავდი კიდეც. სხვათა შორის, ძალიან კარგადაც გამომდიოდა. ახლა ამისთვის ვეღარ ვიცლი. სამაგიეროდ, ვიცლი კლუბებსა და ბარებში გასართობად.

— ყოველდღე კლუბებში ათენებ?

— ყოველდღე — არა, მაგრამ კვირაში 3-ჯერ მივდივარ.

— ახლა ძალიან თავისუფალი და ლალი ცხოვრებით ცხოვრობ, ოჯახის შექმნის შემდეგ შეძლებ, ერთფეროვნებას შეეგუო?

— ალბათ, იმას გულისხმობ, ერთად აღამიანთან გავძლებ თუ არა. ხომ?..

— თუნდაც...

— ჯერჯერობით ამაზე არ მიფიქრია. მიმაჩნია, რომ ასეთ საკითხებზე ფიქრი ჯერ ადრეა.

— იმაზე თუ გიფიქრია, ოჯახი როდის უნდა შექმნა?

— 21 წლის რომ გავხდები, ამ თემაზე მაშინ ვიფიქრებ.

— თაყვანისმცემლებზე რას გავტყვი?

— ვლიზიანდები, როცა უცნობები მობილურზე მირეკავენ და გაცნობას მთხოვენ.



ლობა და ნებისყოფაა საჭირო.

— შენი ჩაცმის სტილი ზედმეტად თავისუფალია. მეუღლემ რომ აგიკრძალოს ასე ჩაცმა, რას იზამ?

— ამ საკითხს, სანამ ცოლად გავყვები, მანამდე მოვავაგრებ. იმედია, არ დამიშლის და თუ დამიშალა, ესე იგი, მას ჩემი არ ესმის და ის არაფერში მჭირდება...

— თუ გყავს ისეთი ადამიანი, რომლის რჩევებსაც ითვალისწინებ?

— არავინ არ მიყვარს, შესაბამისად, არც არავის აზრს ვითვალისწინებ. თუმცა მყავს ადამიანი, რომელიც მომწონს.

— როგორია ის ადამიანი? იდეალური?

— რამდენად იდეალურია, ვერ გეტყვი, მაგრამ ჯერჯერობით მომწონს.

— როგორ ფიქრობ — ყველას მოსწონსა?

— კი. გამიხარდება, თუ გავიგებ, რომ ვილაცხას არ მოვწონვარ...

— შენი აზრით, მამაკაცების მოხიბვლას რით ახერხებ?

— ალბათ, გარეგნობით, ქცევებით (იცი-ნის)... საერთოდ, ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს. ადრე მამაკაცს რომ გავიცნობდი, 3 დღის შემდეგ აღარ მომწონდა, ახლა მას ერთი თვე ვუძლებ. მამაკაცი ქალთან ურთიერთობისას ისე არ უნდა მოიქცეს, რომ ქალს მასთან ყოფნა აღარ მოუხდეს.

P.S. სიმპათიური მამაკაცებო (მულატკას მხოლოდ ასეთი მამაკაცები მოსწონს!) იაქტიურეთ, გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(98) 23.09.21. ის ერთ-ერთ თქვენგანთან შეხვედრაზე თანახმაა, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით — ბექჰემს და გატუზოს მაინც უნდა ჰგავდეთ. წარმატებას გისურვებთ.

უცნაური წითელი ნათება არიზონის თავზე

რამდენიმე დღის წინ, საღამოს 9 საათზე არიზონისა და ფლორიდის მოსახლეობა ცაზე უცნაურმა წითელმა ნათებამ შეაშფოთა. მაგრამ ის, რაც თვითმხილველებმა ამოუცნობ მფრინავ ობიექტად მიიჩნიეს, ქალაქ ფინიქსის მცხოვრები მამაკაცის ხუმრობა აღმოჩნდა, რომელმაც სასიგნალო ცეცხლი ჰელიუმით სავსე საჰაერო ბუშტებს ძუით მიაშარა და ცაში გაუშვა. ერთ-ერთმა მოქალაქემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ გაუშვა მისმა მეზობელმა ცაში საჰაერო ბუშტები. ციმციმი კი საგარეუდოდ, თვითმფრინავმა გამოიწვია, რომელმაც ბუშტებს ახლოს ჩაუფრინა. პოლიციის წარმომადგენლებმა ეს განმარტება სარწმუნოდ მიიჩნიეს. სადღესასწაულო ფარების მწარმოებელი ერთ-ერთი კომპანის საიტი იუწყება, რომ ფარანი 20 წუთის განმავლობაში იწვის, 1,5 კმ სიმაღლეზე ადის და დიდი მანძილის გადალახვა შეუძლია.



„პიტაგორის კოსმოსი“ გვიჩვენებს: „სტალინთან შედეგებით კი ~ შეგუბავს“ ...

მერაბ ჯორჯაძის მიერ ბარინასადმი მიძღვნილი პირველი და უანასხანელი ლექსი



„მე და დედა სუფრას პირისპირ ვუსხედით და ვსადილობდით. — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და ყველაფერი უნდა იცოდეთ, — მითხრა მან. მერე შეყოვნდა, თხრობა მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: „მამაშენი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლია. თვითონ განსაჯე, იყო თუ არა ის დამნაშავე.“ — მიყვება რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, რომელიც ამ რეპრესიების სასაუბროდ, სიამოვნებით დამთანხმდა. ის ახლა დიდი სიყვარულით იგონებს იმ ადამიანებს, ვინც მის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვეს.

თამუნა კვინიკაძე

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მეხსიერებაში დღემდე არაერთი ადამიანი ცოცხლობს, პირველ რიგში, დედას გავისხენებ. მან ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა. ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, სიმართლისადმი დამოკიდებულებაც მასწავლა. გიმნაზიაში, ჩემს კლასში, ცეკვას მდივნის — კანდიდ ჩარკვიანის შვილი მერაბი სწავლობდა. ჩვენს საკლასო ოთახს „სტალინის ოთახს“ ეძახდნენ. კედლებზე დიდი ბელადის, ლენინის, ბერიას ფოტოები და მათი ლოზუნგები — „სწავლა, სწავლა და სწავლა“, „მოსწავლის გმირობა, ეს არის ფრიაღზე სწავლა“ — იყო გამოფენილი. ასეთ გარემოში გვზრდიდნენ. ერთ დღეს, მასწავლებელმა გაკვეთილზე ლექსის დანერა დაგვავალა. როგორც ჩანს, კედლებზე მიმოფანტული ფოტოების გავლენით, კლასელების უმრავლესობამ ლექსი სტალინზე დანერა. მე კი ჩემი პირველი ლექსი ლავრენტი ბერიას მიუძღვნე.

— ის ლექსი დღეს თუ გახსოვთ?

— ლექსი — არა, მაგრამ მახსოვს ის განცდა, რომელიც იმ დღეს, ლექსის ჩანერისას მქონდა. მოგეხსენებათ, მამაჩემი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. დედა, ოჯახი რომ ერჩინა, ორ ადგილას მუშაობდა, სახლში გვიან ბრუნდებოდა. იმ დღეს კი, როცა პირველი ლექსი დავწერე, სახლში ჩვეულებრივზე მეტად დაავიანდა. არადა, ერთი სული მქონდა, მას ბერიასადმი მიძღვნილ ლექსს როდის წავუკითხავდი. ის კი არა და არ ჩანდა... დავწექი, მაგრამ ვერა და ვერ დავიძინე... ბოლოს, როგორც იქნა, დედაც მოვიდა. ჩემს ოთახში შემოსვლისთანავე ვახარე: დედა, ლექსი დავწერე-მეთქი! მომეფერა და მთხოვა, რომ წამეკითხა. მეც არ დავიზარე, ამ წუთებს რამდენი ხანი ველო-

დებოდი, მაგრამ... დედამ, მოსმენის შემდეგ, მკაცრად გამაფრთხილა: მერაბ! არ ვნახო, ოდესმე ლექსი დანერო! იმ დღის შემდეგ, ლექსი მართლაც, აღარ დამინერია.

— დედათქვენი სთვის ეს თემა განსაკუთრებულად მტკივნეული იქნებოდა...

— დიახ. 2 წლის ვიყავი, როცა მამა დააპატიმრეს, 13 წლისას კი დედამ პირველად გამიმხილა, რატომ არ მყავდა მამა.

— როგორი იყო თქვენი რეაქცია, როცა მამაზე სიმართლე შეიტყვეთ?

— ერთხელაც, მე და დედა სუფრას პირისპირ ვუსხედით, ვსადილობდით. — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და ყველაფერი უნდა იცოდეთ, — მითხრა მან. მერე შეყოვნდა, თხრობა მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: „მამაშენი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლია, თვითონ განსაჯე, იყო თუ არა ის დამნაშავე...“ დედის სიტყვების შემდეგ, თვალზე ცრემლები მომანვა და ჩემ წინ მდგარ, კერძით სავსე თევზში ჩაენვეთა. არ ვიცო, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ მამასთან დაკავ-



13 წლისას კი დედამ პირველად გამიმხილა, რატომ არ მყავდა მამა

შირებით, ერთი ეპიზოდი მაგონდება. კარში ჩამაყენებდა და ბურთს მეთამაშებოდა ხოლმე. უფრო მეტიც, იმ ბურთის ფერიც კი მახსოვს... ჩვენს ოჯახში დედაჩემის დეიდა ცხოვრობდა. მასთან მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ, მათ შორის იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილი — ციცნა. მაგიდას მიუხსდებოდნენ და საუბრობდნენ. მეც მათ შორისაა ვჭრალავდი. განსაკუთრებით კი მაგიდის ქვეშ შეძრომა მიყვარდა: მაგიდას სქელი სუფრა ჰქონდა გადაფარებული და იქ ხშირად ვთამაშობდი. ერთ დღეს, სტუმრები ჩვეულებისამებრ, შეიკრიბნენ. ომის წლებია, მე მაგიდის ქვეშ ვთამაშობ და თან ჩემი სტუმრების საუბარს ვუგდებ ყურს. ციცნა ჩოლოყაშვილმა თქვა: „პიტაგორის კაცობაა...“ ბებიამემა უპასუხა: სტალინთან შედარებით, ის ვეგეტარიანელია... მაშინ მათ ნათქვამზე დიდხანს ვი-



მეორე რიგში ციცნა — გიორგი შერგელაია, მარჯვნივ — მერაბ კოკოჩაშვილი; დანან მარცხნიდან მეორე — გიორგი ანდრონიკაშვილი, მესამე — ელდარ შერგელაია წაღვრი, 1945 წ.

ფიქრე. ეს სიტყვები არასდროს დამავიწყდება. მე იმქვეყნიური ცხოვრების მჯერა. ესეც დედის დამსახურებაა, ამაში მან დამაწინააღმდეგა. გარდაცვალებამდე, 3 დღის განმავლობაში, მის საწოლს არ მოვშორებივართ — მე, ჩემი მეუღლე და შვილი. დედა, როგორც ჩვენ, ასევე გარდაცვლილი მეუღლის, მამის, ძმისა და დის ლანდებს ესაუბრებოდა. — რას ამბობ დედა, აქ მხოლოდ ჩვენ ვართ-მეთქი! — შეცბუნებული ვეუბნებოდი. — არა, ისინიც აქ არიან, აი, ასლა მამაშენს ვხედავო, — მარწმუნებდა... დედაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შემიძლია. როცა დამირკვეთ და მითხარით, თუ რა თემაზე უნდა გვესაუბრა, დედის შემდეგ, ჩემი გარდაცვლილი მეგობრები დამიდგნენ თვალწინ. შეუძლებელია, არ გავისხენო გურამ მელაძე, ბავშვობის მეგობარი, რომელიც მუდმივად ჩემს კარიკატურებს ხატავდა. საბავშვო ბალიდან ვმძაკავლობდი. ასევე, 3 წლის ასაკიდან ვმეგობრობდი ირაკლი თაქთაქიშვილთან.

ანაც, სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით. ირაკლი ჩოგბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა უნივერსიტეტში გააგრძელა. ამ დროს გაირკვა, რომ მას გულის უმძიმესი დაავადება ჰქონდა. სიცოცხლისთვის ასეთი მებრძოლი ადამიანი იშვიათად მინახავს. 3 რთული ოპერაცია გადაიტანა და დაავადების აღმოჩენის შემდეგ, კიდევ 50 წელი იცოცხლა. ის პროფესიით გეოლოგი იყო, შესანიშნავი მეცნიერი გახლდათ. ბოლოს დაავადება იმდენად მოერიდა, რომ მხედველობაც დაკარგა. ასე დიდხანს ვერ გაეძლებო, — ამბობდა. მეცნიერულ ნაშრომებს წერდა. წერა რომ ვეღარ შეძლო, მიუღღეს და ახლობლებს უკარნახებდა. ბოლოს თვალზე ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. საავადმყოფოში გავეყვი. ბუნებრივია, ოპერაციის შემდეგ თვალეზავი დაავადებები ექიმმა უთხრა, რომ დოღბანდის ასხნა მეორე დღემდე არ შეიძლებოდა. დილით ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ყურმილი ავიღე თუ არა, ირაკლის ხმა გავიგონე: ვხედავ, მერაბ, ვხედავო!!! — უსაზღვროდ გახარებული იყო. სამწუხაროდ, ამ ამბიდან 3 თვეში გარდაიცვალა... როცა მეგობრები შევიკრიბებოდით, ჩვენი სუფრის უცვლელი თამადა, გივი გიგინეშვილი იყო. ის იმპროვიზაციის საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ცნობილ ადამიანებს ისე ჰბაძავდა, გაოგნებულნი ვუყურებდით. სამწუხაროდ, ნაადრევი გარდაცვალებით გული ძალიან დაგვწყვიტა... იმ ადამიანთა ჩამონათვალი, რომლებიც არასდროს დამავინწყდებიან, ძალზე ვრცელია.

სუღახის საუფდოს მუსაიდ უფდა

„ქესაილასჟე ამა ჯამ, თოჟო ქეზალე ჯამ...“



„გზა არის ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო შარა — ვრცელი და ბილიკი — ვინრო, ხოლო ქაშანი — შამბნართა ანუ თოვლთა ზედა გატკეცილი სავალი და ნაჯარანა — კლედათა ზედა ვინრო რამე ნადირთა სავალი“, — ასე განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი სიტყვას — „გზა“. ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ჩვენ ხან „ზომიერი კაცთა სავალი“ გზაზე გვინწევს სიარული, ხანაც — ვინრო ბილიკზე, ხან მალლა აყვავართ ჩვენი ოცნებების აღსრულებისკენ მიმავალ, ლამაზად მოკირწყლოლ აღმართს, ხანაც — ოღორჩოლორ დღამართთა ჩვენი სავალი, ხოლო ორმოები — მოულოდნელი წინააღმდეგობები. ერთი რამ კი უდავოა: გზას ყოველთვის სადღაც მივყავართ. ამქვეყნური ცხოვრების დასასრულს კი ჩვენს

უსულოდ დარჩენილ სხეულს, როგორც ჩვენი წინაპრებისას, სასაფლაოს გზას გაუყვანებენ, სადაც უკანასკნელად მოგვაგებენ პატივს, მინას მოგვაყრინ და გვეტყვიან: მინა იყავ და მინად იქეცო.

მანანა ჭირაქაძე

სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როდესაც წითელ პარასკევს ჩვენი მანქანა სოფელ დიღმის ოღორჩოლორ გზას მიუყვებოდა. ამ პატარა დისკომფორტის ატანა ღირდა, რადგან ამ გზის ბოლოს, ჩემი დღევანდელი რესპონდენტი — 73 წლის ისაკო იმესაშვილი მელოდებოდა.

ძია ისაკო უკვე მრავალი წელია, უვლის მუხათგვერდის პანთეონს და სასაფლაოსკენ მიმავალ დანგრეულ გზაზე თითქმის ყოველდღე უხდება სიარული.

— რამდენი წელია, რაც მუხათგვერდის პანთეონს უვლით?

— იქნება ასე, 25 წელი. ადრე ზემოთ, უბრალო სასაფლაოს ვუვლიდი, მერე პანთეონში ჩამომიყვანეს.

— გზა მუხათგვერდის სასაფლაოსკენ სულ ასეთი დანგრეული იყო?

— არა, ადრე, კომუნისტების დროს, მანქანა სულ სრიალ-სრიალით ადიოდა იქამდე. ახლა აღარ აქეცევენ ყურადღებას. ყველგან წყალი

იყო, ონკანები იყო, სპეციალური საქაჩი აპარატით წყალს ქვემოდან ქაჩავდნენ და კანტორასთან დიდი აუზი იყო, იქიდან კი მთელ სასაფლაოს ჰყოფნიდა. კომუნისტების შემდეგ, საქაჩი მოტორი მოიპარეს, მიღები კი მინაში დაღაპა...

— ერთ ადგილას გზა ყველაზე სასიფათოა: მენყურია ჩამონოლილი და ყოველ წელს, აღდგომის წინ ქალაქის მერიის სამსახური ამ გზას სრეშს აყრის ზემოდან, ჩვენ კი ნაცარს — თვალში. ახლა რა ხდება? როდესაც მერაში დაფრეკე და ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს, ტიტე რუხაძეს ვესაუბრე, მან მითხრა, — უკვე მიმდინარეობს გზის დროებითი შეკეთება.

— კი, წელსაც, როგორც შარშან, რალაცას აკეთებენ — ზედაპირულად, რომ აღდგომას არავინ გადაიჩნოს სრამში, თორემ ვისაც ამ გზაზე სიარული უწევს, იცის, რომ ასე „გარემონტებული“ გზა ერთ კვირაზე მეტხანს არ გაძლებს. კაპიტალურად კი ვინ მიხედავს, შვილო?! დიდი ფული უნდა ალბათ...

— ძია ისაკო, მოგ-



ძია ისაკოს შვილიშვილი



მერაბ კოკჩაშვილი, ირაკლი თაქთაქიშვილი და არჩილ მიქელაძე, გელაშენი, 1959 წ.

— როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ გარშემო მყოფთ მუდამ ვახსოვდეთ?

— პირველ რიგში, სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ, თვით ცხოვრება უნდა გვიყვარდეს. ჩვენი სარწმუნოება ხომ სიყვარულს ქადაგებს. მოყვასი შენი საკუთარი თავივით უნდა გიყვარდეს! თუ ასე ცხოვრებას შევძლებთ, მუდამ კარგად მოგვიგონებენ, არ დავავინწყდებით...



წონთ თქვენი საქმე? იცით, რომ თქვენს ერთ კოლეგას — მესაფლავეს გალაკტიონმა ლექსიც კი მიუძღვნა?

— მე მესაფლავე არა ვარ, მილიონიც რომ მომცენ, მესაფლავე ვერ გავხდები. მე უფრო მეზალე ვარ, საფლავეებს ვუვლი, ყვავილებსა და ხეებს ვრგავ.

— ამდენი ხანია, საფლავეებს უვლით, რის მიხედვით იმასსოვრებთ საფლავეებს? გვარები თუ გახსოვთ? ბევრია უცნაური სასაფლაო!

— კი, ბევრი უცნაური საფლაგია პანთეონში. მაგალითად, ერთზე კოჭლი მამალია დახატული. რატომაა დახატული, რა მიზეზით — არავინ იცის, თანაც, საფლავეს არავინ აკითხავს, ძალიან ძველი საფლაგია... არის სხვანაირი, გამორჩეული საფლაგებიც. მაგალითად — ჯინვაშვილების, პანთეონის შემოსასვლელში. კარგი ხალხია, წინაპრებს არ ივიწყებენ, ხშირად ამოდინან, მეც პატივსა მცემენ.

— ბევრია მიტოვებული საფლაგო?

— სამწუხაროდ, ბევრია. ერთი დამწუხრებული, შუახნის კაცი იყო ამას წინათ ამოსული, დედამისის საფლავეს ვერ პოულობდა. იქ მყოფმა ჭირისუფალმა ჩხუბი დაუწყო: დედაშენის სიკვდილს, შენ მომკვდარიყავი,



სუთი ძროხა მყავს, დანარჩენი, ზოგი — დეკუელი, ზოგიც — ხორია

ჯობდა, საფლავეს დედაშენი არ დაკარგავდაო!..

— თქვენ რთი დადისართ, ამ უგზობაში, მუხათგვერდის პანთეონში?

— ჩემს დისშვილს „მერსედესი“ ჰყავს და ამ მანქანით დავდივართ ყოველ დილით სოფელ დილმიდან.

— „მერსედესი“?.. ეტყობა, კარგად გიხდინან, რომ ასეთი პრესტიჟული მანქანა შეიძინა თქვენმა დისშვილმა...

— (იცინის) მიწები ჰქონდა, გაყიდა და იმ ფულითაა ნაყიდი ეს მანქანა. რა უნდა გადამიხადოს ჭირისუფალმა ისეთი?! თანაც, სულ თითზე ჩამოსათვლელია მიცვალებული,

რომელსაც კარგი პატრონი ჰყავს. უმეტესობა წელიწადში ერთხელ ძლივს ამოდის ამ უგზობაში.

— ხალხმრავლობა ძირითადად, როდისაა სასაფლაოზე, რომელ რელიგიურ დღესასწაულზე?

— რა თქმა უნდა, აღდგომას. ზოგი კვირას ამოდის, უმეტესობა — ორშაბათს.

— დიდი ოჯახი გაქვთ, მეუღლე, შვილები. რამდენი შვილიშვილი გყავთ?

— ოთხი ვაჟიშვილი მყავდა, ორი პატარაობისას დამეღუპა. მეუღლე — თამარ არაბული ხევსურია. ერთხელ მეზობელმა წამიყვანა ხევსურეთში. მომეწონა, ძალიან ლამაზი ქალი იყო და წამოვიყვანე. ასლა ცოტა დამიბერდა. ორი ბიჭი მყავს, ორივე კარგი ხელოსანია, სულ რიგები უდგათ, ცნობილი და შეძლებული ხალხის ბინებს არემონტებენ. სუთი შვილიშვილი მყავს, ყველა — ლამაზი და განათლებული, ერთიმეორეზე უკეთესები არიან. ბედნიერი კაცი ვარ...

— ეზოში დიდი სათბურთ დავინახე, ვამჩნევ, ძროხებიც გყავთ...

— სუთი ძროხა მყავს, დანარჩენი, ზოგი — დეკუელი, ზოგიც — ხორია. კიდევ — ქათმები და ორი ძაღლი — ბროლია და მურა. თქვენ რომ შემოგვებებთ, ის — მურაა. ბროლია სახლის უკან არის.

— სათბურებს აღარ „ამუშავებთ“?

— მხოლოდ ზაფხულობით, ზამთარში სანვავი გაძვირდა და ვეღარ ავუდივართ. იცი, რამდენი მოსავალი მომყავდა ადრე?! მთელი თბილისის ბაზრებს ვამარაგებდი. 60 ათასი მანეთი მქონდა

ბანკში, წიგნაკზე. ფული რომ შეცვალეს და გაგვძარცვეს, მაშინ დავკარგე სულ ეს თანხა, მარტო წიგნაკილა დამრჩა.

— სულ სასაფლაოზე გინვით ყოფნა, ეს თქვენს გუნება-განწყობილებაზე არ მოქმედებს?

— ძალიან ვარ შეჩვეული იქაურობას. შემიძლია, ნებისმიერ საფლავეთან ჩავიძინო, არაფრის მეშინია. ერთხელ, ადრე დილით, გაზაფხულზე ავედი სასაფლაოზე.



ძალიან ლამაზი ქალი იყო და წამოვიყვანე. ასლა ცოტა დამიბერდა (მეუღლესთან ერთად)

ძალიან შემეცვიდა, მოვიბუზე ერთ საფლავეთან და ეს ლექსი დავწერე: ამოდი, მზეო, ამოდი, შენ დაგვითბუნე მთებო,

შენ დაგვითბუნე სამშობლო, შენ დაგვითბუნე ძვლებიო, ღმერთისგან გამოგზავნილო, მზეო, თავაზიანო,

სულ ყოველ დილით ამოდი, არასდროს დაავიანო.

დავლოცავ იმ მაღალ ღმერთსა, ვინც რომ შენ გაგაწინაო.

მზეო, შე კეთილშობილო, მზეო, შე თავაზიანო,

არასდროს მოსწყდე ზეცასა, არადსროს დაიგვიანო,

შენ სულყველაზე კეთილო, შენ მრავალსხივებიანო.

— რაზე ოცნებობთ, ძია ისაკო?

— მინდა მოვესწრო იმას, რომ მუხათგვერდის გზა, ბოლოს და ბოლოს, მართლა კაპიტალურად შეაკეთონ. ნეტავ, ერთხელ მაინც მოუხდეს სააკაშვილს აქეთკენ, ამ გზაზე გამოვლა — მაშინ ხომ ნამდვილად შეაკეთებდნენ. მაგრამ აქეთ, ეტყობა, არავინა ჰყავს დასაფლავევებული... მინდა, ჩემი შვილიშვილები გალიმებულ, გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრობდნენ, სადაც გზებიც კარგი იქნება და ამ გზებზე მოსიარულე ხალხიც, სადაც ცოცხალსაც პატრონი ეყოლება და მკვდარსაც... ■




შემიძლია, ნებისმიერ საფლავეთან ჩავიძინო, არაფრის მეშინია



სისუფრისთვის პაიპივარული თანამედროვე სტილი

და კომპლექსა, რომელსაც ქართული ტრადიცია ქალვას ატოვებს

თინეიჯერების უმეტესობას მშობლებთან ურთიერთობა რომ უჭირს, ამას ზოგი ქართულ ტრადიციებს აბრალებს. ანუ ტრადიციებზე აღზრდილ ძველ თაობას არ მოსწონს ახალგაზრდების ჩაცმის სტილი, უკომპლექსობა და ა.შ. მოზარდები კი მიიჩნევენ, რომ XXI საუკუნე — ცვლილებების ეპოქაა და რომ ყველა ტრადიციის გათვალისწინება შეუძლებელია, რადგანაც თუ ასე იცხოვრებენ, თანამედროვეობას ფესვ ვერ აუწყობენ და დაიღუპებიან. თუმცა, არსებობენ გამონაკლისებიც: უფროსები, რომელთაც სიახლეები იზიდავთ და დისკოკლუბებში თავს უკეთ გრძობენ, ვიდრე ქართულ ტრადიციულ სუფრაზე და — ახალგაზრდები, რომლებიც ტრადიციებს პატივს სცემენ და ამის გამო, თანატოლებს ვერ უგებენ.



ლიპა ქაჩიაი

ჩვენ სახელდახელო სატელეფონო გამოკითხვა (ძირითადად, ახალგაზრდებთან) ჩავატარეთ და დაახლოებით 25 ადამიანს დავუკავშირდით. აქედან, 15-მა ქართული ტრადიციების მხოლოდ უარყოფით მხარეზე ისაუბრა, დანარჩენები კი ან ნეიტრალურები იყვნენ, ან მას თავგამოდებით იცავდნენ და თანამედროვე ცხოვრების სტილს უხამსი სიტყვებით „ამკობდნენ“. ყველაზე ენაწყლიან რესპონდენტებთან ინტერვიუც კი ჩავწერეთ (თუმცა, არ ვიცო, რამდენად გულწრფელი არიან) და ახლა სწორედ მათ გთავაზობთ.

ინო, 20 წლის:

— ქართულ ტრადიციებს პატივს ვცემ და ზოგიერთ მათგანს ვიცავ კიდევ, მაგრამ რომ გითხრათ, თითოეული მომწონს-მეთქი, მოგატყუებთ. ტრადიციები ყველა ქვეყანასა და ერს აქვს, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულად მოვითხოვთ ყველაფრის დაცვას. არადა, ახლა ხომ XXI საუკუნეა, მართლაც რომ ცვლილებების ხანაა და ზოგიერთ რაღაცას უნდა შევეფუოთ კიდევ.

— **მაგალითად, რას უნდა შევეფუოთ?**

— იმას, რომ ქუჩაში თამამად ჩაცმული ახალგაზრდები დადიან. როცა ჩემი მშობლების თაობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ჩვენ ისე არ ვიცვამთ, როგორც საჭიროა, ეს საოცრად მაღიზიანებს. რა, მათი თაობა ჩადრით დადიოდა და არაფერი უჩანდა?! არა მგონია, ასე ყოფილიყო და ამას ძველი ფოტოსურათებიც გვიდასტურებს. თანაც, ვყიდულობთ იმას, რასაც უფროსები გვანვდიან.

— **რას გულისხმობ?**

— ბაზრობაზე შეგვედრია ისეთი სამოსი, საიდანაც რაიმე არ გამოგჩინდება?.. მაშინ, ნუ გაყიდებიან ისეთ ტანსაცმელს, რაც მათსავე უკმაყოფილებას ინვესტს და ჩვენც იძულებული ვიქნებით, ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილებმა ვიაროთ. თუმცა, არსებობს

ერთი „მაგრამ“: ასეთი ტანსაცმელი ძალიან ძვირი ღირს და, მაგალითად, ჩემი მშობლები მას ყოველ სეზონზე ნამდვილად ვერ მიყიდებიან. აქედან გამომდინარე, ან სეზონისთვის შეუფერებლად ჩაცმულმა უნდა ვიარო, ან კიდევ — შიშველმა. ჰოდა, რა უფრო ცუდია — ტიტლიკანა თინეიჯერების სირბილი თუ ის, რომ მხოლოდ წელი მოუჩანდეთ?..

— **არა მგონია, უფროსი თაობის ადამიანები თქვენგან ეროვნული სამოსით სიარულს ითხოვდნენ...**

— ეს ძალიანაც უნდათ, მაგრამ არაფერი გამოუვთა. მით უმეტეს, რომ თავადაც მინიჭებდებოლოები და ტანზე მოტმასნილი კაბები ეცვათ. კაცებს კი ასეთი ჩაცმულობა უფრო აღიზიანებთ, ვიდრე ვთქვით, ჩაჩაჩული ჯინსის შარვალი ან ფართხუნა, მოკლე მაისური. კაცებს კიდევ, ახლა რომ უკვიროთ, ბიჭებს „შლაქსები“ რატომ აცვიათო და ამის გამო, ყველას, ცისფრობას აბრალებენ, თავის დროზე რა ეცვათ? ბევრი ფოტო მინახავს, სადაც კაცებს წელზე ისეთი მოტმასნილი „შლაქსები“ აცვიათ, გეგონება, სადაცაა, ტანზე შემოეხევათო, მათ სახეს კი უცნაურად შეკრეჭილ-დაყენებული წვერი ამშვენებს, რაც თურმე, კაცობის დამადასტურებელი იყო. ახლა კი პირისახის ასეთ „ვარცხნილობას“ უბრალოდ, ბლანჟეს ეძახიან და „ძველები“ ამასაც ცისფრობის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ბევრჯერ გამიგონია: რა არის ეს, ნიკაპთან რომ დაუტოვებია წვერი?! თხას ჰგავს და თავი მაგარი ბიჭი ჰგონია; რას უგავს ცხვირ-პირი, კიდევ ეს ბლანჟე უნდოდაო?! — და ა.შ. მოდი, რა, ყველა ასეთმა ადამიანმა სარკეში ჩაიხედოს და ახალგაზრდების ლანძღვის რეალური მიზეზის ძებნა დაიწყოს.

— **მგონი, უფროსი თაობის ადამიანებისგან განსხვავებული ხარ... როგორ ფიქრობ, რა არის რეალური მიზეზი იმისა, რომ უფროსე-**

ბი გაკრიტიკებენ, თქვენი ჩაცმის სტილი, ქცევა და სხვა ამგვარი არ მოსწონთ?

— ის, რომ ისინი ასაკში შედიან, ფორმას თანდანობით კარგავენ და შესაბამისად, იმას ვეღარ იცვამენ, რისი ჩაცმის სურვილიც აქვთ — ანუ შურის მომენტიცა, რა! ახლა, თუ ერთ თინეიჯერს რაღაც არ უხდება (ვთქვათ, გაბანჯგულული მუცელი აქვს, მაგრამ მაინც „ტოპი“ აცვია), ეს, მთელი თაობის კი არა, პირადად მისი პრობლემაა და მას შეიძლება, რაღაც ურჩიონ, თორემ ყველას ერთ ტაფაში რომ წვავენ, რა წესია?!

— **ჩაცმულობის გამო შენ თუ გაუღმძღობინარ ვინმეს?**

— მსგავსი შემთხვევა ხშირად ყოფილა და ყველა „ადგილზე მომისვამს“. მაგრამ ვერ ვივინყებ ამბავს, რომელმაც საოცრად აღმამოფოთა. ავტობუსში ვიჯექი. ჩემ უკან ორი ქალი იჯდა. ერთ-ერთი აქაქანდა: „ეს, როგორი უსირცხვილო თაობა მოდის, როგორ დადიან, არც კი რცხენიათ! კაცო, ზოგს ჭიპი უჩანს, ზოგს — უკანალი და სანყალ ბიჭებს ასე აწონებენ თავს. ეს ბიჭები კიდევ, მგონი, საღ ჭკუაზე აღარ არიან, სულელებივით, აწინილ-დანწინილები დადიან...“ მას გვერდით მჯდომი არაფერს პასუხობდა. მივხვდი, ამ ქალის კაკანი გულზე არ ეხატებოდა, ის კი ისევ თავისას „უბერავდა“: „რას გაჩუმებულხარ, მოგწონს ასეთი თაობა?.. არა, სანყალ ბიჭებს რას ვერჩი? კაცო, გასაკვირი ისაა, რომ საღად აზროვნების ცოტადენი უნარი მაინც შერჩათ. აბა, ასეთი შიშველი გოგონების დანახვისას, თმა ყალყზე მე მიდგება და ამათ რა მოუვდა, ხომ წარმოგიდგენია?.. მერე, რაღაც რომ მოხდება, კაცებს აგინებენ და პოლიცია-

ში ჩივილით ემუქრებიან... არა, არა, სულ წავიდნენ ხელიდან...“ ალბათ, გვერდით მჯდომი ქალბატონი მისმა საუბარმა ძალიან შეაწუხა და თანამგზავრს უთხრა: „კარგი, რა, გეყოფა ბავშვების ლანძღვა. მომსვენე, რა იყო, შე ადამიანო, რა გახვრიტე თავის ტვინი!“ ავტობუსში ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეტყობა, იმ ქალს ლაპარაკის საღერღელი აშლილი ჰქონდა და კვლავ დაიწყო: „გახსოვს, რა გოგოები ვიყავით? კაცებს სიშიშვლით კი არა, ჩვენი სილამაზით, სინაზით ვუბრმავებდით თვალებს; ეჰ, რა დრო დაგვარგეთ?! ამით ყველაფრით ვჯობდით. საოცრად ლამაზი ქალები ვიყავით, ახლა კი ეშმაკის მამხალეებს ჰგვანანო...“ მეც, მეტი ველარ მოვითმინე და ის ქალი კარგად გამოვლანძღე. საბედნიეროდ, უფროსი თაობის ადამიანებს ჩემთვის შენიშვნა არ მოუციათ, პირიქით, იმ ქალს სიჩუმისკენ მოუწოდეს, თორემ არ ვიცი, რას ვიზამდი (იციან)...

ელენე, 15 წლის:

— მე ქართულ ტრადიციულ ოჯახში ვიზრდები და ამაში სამარცხვინო არაფერია. ძალიან მომწონს ქართული სუფრის, „ქალიშვილობის ინსტიტუტის“, ნიშნობა-გათხოვების და ა.შ. ტრადიციები. როცა გათხოვებას გადავწყვეტ, საქმროს მოვთხოვ, რომ ჩემს ოჯახში მოვიდეს და მშობლებს გაეცნოს. მერე, ჩვეულებისამებრ, დამნიშნოს და რალაც პერიოდის შემდეგ, ცოლად მომიყვანოს, დიდი (300-კაციანი მაინც) ქორწილი გადაიხადოს (იციან). იცით, კარგი იქნებოდა, შინ მანქანით კი არა, ეტლით მოვეყვანე, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია.

— დისკოკლუბებში არ დადინარ?

— არა, ასეთი დანახებულებები არ მაინტერესებს. იქ ერთხელ ვიყავი და მეორედ წასვლის სურვილი აღარ გამჩენია.

— რატომ? შენი თანატოლები ხომ იქ მშვენივრად ერთობიან!

— არ გეგონოთ, რომ მშობლები რაიმეს მიკრძალავენ და კლუბში ამიტომ არ მივდივარ. უბრალოდ, იქაური სიტუაცია არ მომწონს — უაზრო მუსიკა, საშინელი ხმაური, ბიჭების ლაქუცი... იქ ყველა შენს შებმას ცდილობს, მერე კი „ზასაობის“ სურვილი უჩნდება და... არც სიგარეტის მოწვევის სურვილი მაქვს და არც სპირტიანი სასმელი მომწონს. ასეთი რალაცების გარეშეც მშვენივრად ვერთობი.

— კლუბში ამ ყველაფრის გარეშე გართობას ვერ ახერხებენ?

— ალბათ, ვერა, რადგან ყველა ცდილობს, „კაიფი მიიღოს“ და ამას სხვადასხვა გზით ცდილობენ... მე მომწონს ქართული სუფრა. თან, კარგად ვმდერ, ვცეკვავ და ასეთ დროს არასდროს ვინყენ.

— ისიც მოგწონს, კაცები ძალიან ბევრ ღვინოს რომ სვამენ

და მერე ჩსუბობენ?

— ჩსუბი შეიძლება, ფხიზელ ადამიანებსაც მოუვიდეთ. უნდა დალიონ, აბა, რა უნდა ქნან?! მამაჩემს თამადაობა ხშირად უნევს და შესაბამისად, შინ მთვრალი ბრუნდება, მაგრამ ჩვენ არ გვანუხებს. პირიქით — გვართობს, კარგ განწყობილებაზე გვაყენებს და მერე — იძინებს.

— ასეთი აზროვნების გამო, თანატოლებთან ურთიერთობა არ გიჭირს?

— რატომ უნდა მიჭირდეს?! უბრალოდ, ამ საკითხის გამო ხშირად ვვამათობთ, მაგრამ ისინი ჩემი მეგობრები არიან და განსხვავებული გემოვნების გამო, ერთმანეთი რატომ უნდა დაგვარგოთ?

გიო, 16 წლის:

— მოიცა, რა, ტრადიცია, არა!.. რა უნდა მომწონდეს, სუფრასთან გამართული ღრუბა და მთვრალი ხალხის ყურება თუ ის, რომ გოგო მანამ არ უნდა გაგვეპაროს, სანამ ცოლად არ მოიყვან?... რა სისულელეა, რომელი საუკუნეა?!

— გასაგებია, რომ ქართული სუფრის ტრადიცია არ მოგწონს. და მაინც, როცა ასეთ სიტუაციაში სვდები, როგორ იქცევი?

— ჩვეულებრივად, ისევე, როგორც სხვები, მაგრამ ასეთ ადგილებში მოხვედრისგან თავის დაღწევას მაქსიმალურად ვცდილობ. ქეიფის დროს აუცილებელი სულაც არაა, ჭამით გასკდე და მერე, ვილაცის ცემის ხასიათზე მოხვიდე, შენი ხუმტურები დაიკმაყოფილო და მეორე დღეს ნამოქმედარის შეგრცხვეს.

— შენ როგორ ერთობი შენთვის ნამდვილი დროს ტარება რასთან ასოცირდება?

— ყველაფერ ზომიერთან. კაიფში უნდა იყო, მაგრამ ისეთში, რომ საკუთარ საქციელზე პასუხს აგებდე. ბევრი ცეკვა, სიცილი, გართობა — ესაა ნამდვილი ქეიფი და არა უაზრო ჭამა-სმა, ვილაცისთვის ჯობრში ჩადგომა, ღვინოში ჩახრჩობა და ა.შ.

— როგორც მიგვხვდა, შენ „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ არ მოგწონს...

— რა აქვს ამ ტრადიციას მოსაწონნი? ამის გამო, ზოგიერთი ქალი ამ ქვეყნიდან ისე მიდის, რომ „კაცის გემოს“ ვერ იგებს. ჩემი აზრით, ეს უსამართლობაა. ყველას აქვს ბედნიერების უფლება. ჰოდა, ყველა ქალმა თავისი ჭია რომ გაახაროს, ამაში ცუდს და დასაძრახს ვერაფერს ვხედავ.

— გიო, და გყავს?

— კი, ორი და მყავს და ერთი ძმა.

— ჰოდა, ერთ დღეს შენი და რომ მოვიდეს და გითხრას, — კაცთან ვინეჭო, — როგორი რეაქცია გაქნება?

— იცი, სულაც არაა სავალდებულო, რომ ეს ამბავი გამიმხილოს, მაგრამ თუ მეტყვის, სკანდალს ნამდვილად არ მოვუწყობ. პირიქით — ვეცდები გავუგო და მხარში ამოვუდგე.

— ეცდები თუ?..

— (მანყვეტირებს) ნამდვილად გავუგებ. თუმცა, ჩემი ძმა, ჩემგან განსხვავებით, ბევრად ტრადიციული ადამიანია (24 წლის გახლავთ) და შეიძლება, მან ხელიც კი გაართყვას და თავიც მოაჭრას (იციან)...

— ნუთუ, არც ერთი ქართული ტრადიცია არ მოგწონს?

— (ფიქრობს) არა მგონია, რომელიმე მომწონდეს... უბრალოდ, ვაფასებ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც, დამნაშავეს, პოლიციას კი არ აბარებენ, არამედ დაზარალებული მხარე მას თავად უსწორდება. მე რომ ვილაცამ და ან ძმა მომიკლას, მისი ციხეში გამოკეტვა რას მომიტანს?! დამნაშავეს ისეთი სიკვდილი უნდა ერგოს, როგორსაც იმსახურებს. კაცის მკვლეელი მიწას არ უნდა ამძიმებდეს!

— მაგრამ სისხლის ალების შემდეგ, მიწას შენც ხომ დაამძიმებ!

— კი, მაგრამ მე სუფთა სინდისი მექნება და უფლის არ შემეშინდება.

— ნათქვამია: მედალს ორი მხარე აქვსო...

— კი და ამის მთქმელს მეც ვეთანხმები. მე ვამბობ, რომ სისხლის ალების ტრადიცია მომწონს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სურვილის მიუხედავად, შეიძლება, მსგავსი რამ ვერ გავაკეთო.

— ღმერთმა გაშოროს!.. დაბოლოს, მიწა გკითხო, ცოლად ისეთ გოგოს თუ მოიყვან, რომელმაც ქალწულობა სხვას ჩააბარა?

— თუ შემეყვარდება, რა თქმა უნდა, მოვიყვან.

— იმ შემთხვევაშიც, თუ გეცოდინება, რომ მას არაერთი კაცი ჰყავდა გამოცვლილი?

— (იციან) ინტრიგა გინდათ, არა?! მე ვთქვი, რომ არაქალიშვილს, მაგრამ მაინც წესიერს შევირთავ და არა — ბოზს.

— აკი თქვი, ყველამ თავისი ჭია უნდა გაახაროს, ბედნიერების უფლება ყველას აქვსო?

— ჰო, მაგრამ თუ კაცების ცვლაში ვილაც ბედნიერებას პოუვს, არა მგონია, ჩემ გამო ამ სიამოვნებაზე უარი თქვას (იციან)... კარგი, მეტი დრო არ მაქვს, მეჩქარება, მელოდებიან.

— კი, ბატონო, ვერ დაგაკავებ, მაგრამ კიდევ ერთ კითხვას დაგინვა: მშობლებმა არაქალიშვილი გოგოს ცოლად მოყვანა თუ აკიკრძალეს, როგორ მოიქცევი?

— მათ თავიანთ მშობლებს ჰკითხვს, — ვინ მოვიყვანო ცოლად ან ვის გავყვეო?... ასე რომ, ამას ჩემგანაც ვერ მოითხოვენ. თუმცა, არა მგონია, მათ ამ საკითხში ვერ გამიგონ. ისინი ახალგაზრდულად აზროვნებენ და ეს ჩვენს ურთობობაზეც აისახება.



„ჩანი უნდაა მყარ და ქიარ სიყვარულსაჲ კი ანგრავს“...

„ის ზიქი იხუჯათუჯათი იყო, პოეტოუზინუ და სხვა შერით“

„გზის“ №17-ში დაიბეჭდა შორეს მესიჯი. შეგახსენებთ, გოგონას შეყვარებულია, რომელიც ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს, ცოლად სხვა შვირთო, შორეს კი ნუგეშად მხოლოდ ასეთი ახსნა-განმარტება დაუტოვა: რა ექნა, ის ლოგინში მაშინ ჩამიგორდა, როცა მთვრალი ვიყავი; ახლა ფეხმძიმედაა და ცოლად თუ არ მოვიყვან, მისი მშობლები მიჩივლებენო. გოგონა თანატოლებს ეკითხებოდა: როგორ ვფიქრობთ, მართლა ამ მიზეზის გამო მიმატოვა თუ უბრალოდ, თავიდან მომიცილაო?

მამა:

„მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვიყავი და გული ძალიან მტკიოდა, სიკვდილი მინდოდა. ჩვენც უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი და ვიცი, ახლა რასაც განიცდი. ჩემო კარგო, თუ კარგად დაფიქრებდი, მიხვდები, რომ ის ადამიანი შენი ცრემლების ღირსი არაა. არა მგონია, მას იძულებით ეთქვა სიტყვები, რომლითაც გული გატკინა. გთხოვ, შეეცადე და ის ადამიანი დაივიწყე“.

პაპა:

„ჩემი აზრით, იმ ბიჭს ან არ უყვარდი, ან მაგრად იტანჯებდა, მაგრამ არაფერს იმჩინეს. თანაგიგრძნობ. კიდევ ერთხელ დაელაპარაკე და ყველაფერი გაარკვიე: უფალი გვარავდეს“.

პარფილა:

„შორე, ძალიან მინდა, დაგეხმარო და ტკივილი ცოტათი მაინც შეგიმსუბუქო. ნ წელია, შეყვარებული მყავს და ცხვდები, ახლა რასაც გრძნობ. დაშვიდე, ცხოვრება გრძელდება! იცოდე, ჩვენ ყველა სირთულეს უნდა გავეულოთ. დარწმუნებული ვარ, ის ბიჭი იძულებული იყო, მიეტოვებინე და სხვა შერითო. რაც შეეხება მის სიტყვებს, რომელსაც შენ საზიზღარ სიტყვებად იხსენიებ, არა მგონია, ეს გულით ეთქვა. უბრალოდ, სურდა, რომ მისი დავიწყება არ გაგძნელებოდა. რა ვიცი, მე ასე ვფიქრობ და...“

ლურჯინა:

„ჩემო კარგო, გირჩევ, ის ბიჭი დაივიწყო (მგონი, ეს არც გაგიჭირდება, რადგან შენ-აც ძალიან შორსაა). ვიცი, ძნელია, როცა იცი, რომ შენი საყვარელი ადამიანი სხვას ეკუთვნის, მის შვილს მუცლით სხვა ატარებს, მაგრამ რას იზამ?.. თან, მინდა გითხრა, რომ „შეტენვა“ არ არსებობს, რა, ის გოგო ხომ არ გააუბატიურებდა?“

ცოხნი, 27 წლის:

„ჩემო გოგონა, როგორმე მოახერხე და მისი ახლობლებისგან გაიგე, ნამდვილად ბედნიერია თუ არა. თუ ასეა, მართლა უნდა „დაიკიდო“, ხოლო თუ უბედურია, „იგნორი“ გაუკეთე, იმიჯი შეიცვალე, გამხიარულდი და შინ არ გამოიკეტო. ჰოდა, თუკი ისე უყვარხარ, იტყვიანებს და შენთან მოკუთხულებდა“.

ვისო:

„ჩვენი რჩევა რად გინდა? შეეშვი, რა, და მასზე ფიქრსაც თავი დაანებე. კაცები დაილია? P.S. ენვი, არ ვიცოდი, „გზაში“ ამ

ნიკით ვინმე თუ ამხსიჯებდა. ბოდიშს მოგიხდი და ნიკს ვიცვლი“.

ბარიკ:

„იცი, რას ვფიქრობ, სიხარულო? მას შენი მოშორება უნდოდა. ალბათ, სხვის ხარჯზე ცხოვრება მოსწონს. თუ ბედნიერია, არც შენ ჩამორჩე — არაფერზე იდარდო, გამხიარულდი. ვიცი, ტკივილის დავიწყება ძნელია, მაგრამ თავს უნდა მოერიო. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

იკუშპაპი:

„სალამი, ლიკუნა. შორეს მესიჯი ყურადღებით წავიკითხე და თავს უფლება მივეცი, მისთვის რაიმე მერჩია (მოუსხედავად იმისა, რომ გოგო ვარ). ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, რომ მას ძალიან უყვარდი, მაგრამ სამწუხაროდ, იძულებული გახდა, მიეტოვებინე. ქალი ისეთი ეშმაკი და მაცდური არსებაა, რომ ყველაზე მყარ და ძლიერ სიყვარულსაც კი ანგრევს. საკუთარი თავის რწმენას ნუ დაკარგავ! მესმის, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვა ძნელია, მაგრამ ეტყობა, იმ გოგოს მაგრად ჰყავს „გამოჭრილი“... და მაინც, ცხოვრება მშვენიერია. თავს ნუ დაიტანჯავ, თორემ დეპრესია შემოგიტყვს და ყველაფერი თავზე დაგენგრევა. წარმატებებს გისურვებ!“

უცხო:

„შორე, მგონია, რომ შენი „ლოკე“ იმ გოგოზე იძულებით დაქორწინდა. ვფიქრობ, მასთან ბედნიერი ვერ იქნება და დრე თუ გვიან, დაშორდებიან!“

DJ TIESTO:

„ბევრმა არ იცის (დაახლოებით, ადამიანების 60%-მა), რა არის სიყვარული. ზოგს ჰგონია, რომ ვიღაც უყვარს, მაგრამ სინამდვილეში, უბრალოდ, მასთან ერთობა, დრო გაჰყავს. მეც ვ წელი მიყვარდა. მეგონა, ისიც იმავს გრძნობდა, მაგრამ მოულოდნელად მომასტავა, — არ მიყვარხარო. გირჩევ, თავი დაანებო. შენს თავს ეცი პატივი“.

ნათი, 14 წლის:

„რომ ჰყვარებიო, შენ გამო ყველაფერზე წავიდოდა და არც გულს გატკენდა შეკითხვით: შენ არ თხოვდებიო? ალბათ, მამობა მაგარია, მაგრამ თუ ადამიანი არ გიყვარს, მასთან ვერაფერი გააჩერებს. ბექა ან მხდალი მამაკაცია, ან უსაზღვროდ ცინიკოსი, რომელთანაც ბედნიერი ვერ იქნებოდი. მოდი, ვიმეგობროთ. ვფიქრობ, ერთმანეთს

კარგად გავუგებთ... და კიდევ, ცხოვრება უაზრო ადამიანის გამო არ დაინგრიო, რადგან მალე უკეთესს შეხვდები და ის საერთოდ დაგავინწყდება. ხომ იცი, დრო ყველაფრის მკურნალია...“

ბანირული:

„მესმის, რომ იმ ბიჭს ადვილად ვერ დაივიწყებ, მაგრამ სხვა გზა არ გაქვს. ასე რომ, ცხოვრებას ფხიზელი თვალთ უყურე“.

ბანა:

„შენ რა, სირაქლემის კომპლექსი გჭირს? შენი „ლოკე“ უკვე ცოლშვილიანია და რაღას ეკონტაქტები? რა, ოჯახი მიატოვოს და შენ შეგირთოს? თუ ღმერთი გნამს, შეეშვი და საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე იფიქრე. თუკი ერთმანეთი მართლა გიყვარდათ, ვ წელი რას ელოდებოდით, რატომ არ დაქორწინდით? კარგად დაფიქრდი“.

მია:

„ლიკე, „პრივეტ“, როგორ ხარ? აუ, შორე, რა ბანალური მესიჯი მოგიწერია — რომ ვკითხულობდი, „საანის ოპერა“ მეგონა. გენაცვალე, ნუთუ მის გამო ტანჯვა ღირს?! გირჩევ, გამხიარულდე და ცხოვრება გაიხალისო. ჩემი აზრით, ბექას არ უყვარხარ. რა ვიცი, შენი წერილიდან ასე ჩანს“...

მეგრული მამა:

„ჰმ, იცი, ამით რა გითხრა?.. გაგრძობინა, რომ ვითომ ძალიან ბედნიერია. არ უნდა, რომ მასზე ფიქრი დაიტანჯო. რატომ-ღაც, ასე ვფიქრობ. მას უყვარხარ, მაგრამ უკან დასახევი გზა არა აქვს — პანია ცყოლება და მასზე უარს ვერ იტყვის. ისე, შეიძლება, ერთად ყოფილიყავით, ბავშვისთვის კი სითბო და ყურადღება არ მოეკლო. ვფიქრობ, ის გეგო დიდი ვერაგე და თუქსუსი ვინმეა. მან ხომ ერთმანეთს დაგამორათ და ფაქტობრივად, საქმრო „აგახია“. თანაგიგრძნობ“.

GREEN GIRL (ნათათ):

„შო, გავა დრო და სიმართლეს გაიგებ. თავად, რალაცის გამოძიება არ დაიწყო, თორემ შეიძლება, გული ძალიან გეტკინოს. ეცადე, ბექას აღარ დაელაპარაკო. ის შენთან დაბრუნდება! გული არ გაიტყვო და იცოდე, დრო მხოლოდ სიყვარულს დაინდობს“.

პატარა ძალუპა:

„შენი ამბავი გულთან ახლოს მივიტანე. გჯეროდეს, დრო გავა და ერთად იქნებით. ის კი ვინც შენს შეყვარებულს ლოგინში ჩაუგორდა, უსინდისოა. შორე, გოგოების უმეტესობა კაცების გამოჭერაზეა გადასული. მერწმუნე, მალე ბექა ყველაფრისთვის პატივებს გთხოვს“.

თინაპო:

„დამიხვედია, სიშორეს სიყვარულის გაქრობა შეუძლია. თანაც, ბიჭები ხომ ყველაფერს ჩვენსავით არ განიცდიან. ვიცი, გაგიჭირდება, მაგრამ აუცილებლად უნდა დაივიწყო“.

ნინო:

„არ ვიცი, რა გირჩიო. აშბო: არ მითხრათ, „დაიკიდო“, და როგორ გითხრა, „დაიკიდე“-მეთქი?.. თავმოყვარეობა არ გაქვს?! საყვარელი ადამიანი მსგავს რალაცას რომ გაგიკეთებს, ის მართლაც, უნდა „დაიკიდო“.



ბანის გაიხივლი, თელავიდან:

„პირველ რიგში, საკუთარი ემოციების მოთოვვა ისწავლე. იმ ბიჭს ტესტოსტერონი „აუდუღდა“ და არჩევანიც გააკეთა. ჰოდა, სულში ხელებს რატომღა უფათურებ? თავს ნუ მოიტყუებ და უფრო ღირსეულს დაელოდე. მერნშუნე, შენი წილი სიყვარული აუცილებლად გენწევა“.

ნატა:

„შენს მდგომარეობაში შევდივარ, მართლა ძალიან შეშფოთდა. შორე, საკუთარ თავს ძალა უნდა დაატანო და ის ბიჭი დაივინყო. შეიძლება, მას შენთვის კარგი უნდა, იცის, რომ ვეღარ დაგიბრუნდება და გულს გტყენს, რათა მისი დაივინება არ გაგიძნელებს“.

ეკლა, 20 წლის:

„ძალიან ვწუხვარ, ასეთი რამ რომ შეგემთხვა. მეც მყავს შეყვარებული და ვერ გეტყვი, რას მოვიმოქმედებ, თუ ის ამის მსგავსად მომეცევა. თუ მართლა ბედნიერია, ე.ი. თავის დროზე ისე არ ჰყვარებხარ, როგორც შენ გგონა. გირჩევ, მას მიპაძო და ცხოვრება თავიდან დაიწყო. შეიძლება, თავიდან (რადნიერე თვე) ძალიან გაგიჭირდეს, მაგრამ მერნშუნე, შეუძლებელი არაფერია“.

ძალადმართი ნიკა:

„შენი მესიჯი რომ წავიკითხე, ჩემი ბიძაშვილი გამახსენდა — შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ ცოლად სხვა მოიყვანა, რადგან იმ გოგოს შობილები დაემუქრნენ: მოგკლავთო! ის ახლა საზღვარგარეთ აპირებს გაქცევას:(შენმა ყოფილმა მართლა „დაგიკიდა“ ან მიხვდა, რომ შენს გაბედნიერებას ვერასდროს შეძლებს და ცდილობს, თავი შეგაძულოს. ისე, ის გოგო კარგი ნაშაა?“

ბარბა:

„ჩემო კარგო, მართალი ხარ, ვერ დაივიწყებ იმას, რაც თქვენ შორის წლების მანძილზე იყო. მაგრამ უცადე, სხვა რამეზე ან ვინმეზე გადაერთო. არც ერთი ადამიანი არაა იმის ღირსი, რომ მისი დაკარგვის გამო ცხოვრება დამთავრებულად მიიჩნიო“.

ნინი:

„პრივეტ“, ლიკ. როგორ ხარ? იცი, დილით გავიღვიძე და ვიგრძენი, რომ რალაც ახალი მჭირდებოდა. დავილაღე ერთფეროვანი ცხოვრებით. ჰოდა, გარეთ გავედი, „გზა“ ვიყიდე და ჩემთვის საინტერესო „თინიჯიკური“ პონტაჟის“ კითხვას შევუდექი. შორეს წერილმა გამაკვირვა... შორე, გენაცვალე, ჯობია, ის ადამიანი დაივინყო, რადგან მას აშკარად, არ უყვარხარ. ეს რეალობაა, ხოლო ის, რომ თითქოსდა ვილაც „შეგტენა“, მხოლოდ და მხოლოდ ფარსია... შორე, არაფერზე ინერვიულო, უფალი გფარავდეს!“

ლალიტა:

„თუ მართლა უყვარდი, ახლაც ეყვარები. ეტყობა, ეს ყველაფერი ბავშვის გამო გააკეთა, სხვა გზა არ ჰქონდა. ერთმანეთს უნდა გაუგოთ. P.S. ლიკ, დიდი მადლობა, წინა ნომერში რომ არ „დამბლოკე“. ძალიან მინდა, „თინიჯიკური“ პონტაჟის“ ხშირი სტუმარი ვიყო და იმეღია, მიმიღებო“.

თათა 17:

„იცი, რას გეტყვი?... წურაფერს სთხოვ ან მოსთხოვ? ჩემო კარგო, საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდე და კიდევ, ლოგიკურად იაზროვნე, რა“...

ჰუსი:

„ჩემი აზრით, ბექას არ უყვარხარ. რომ უყვარდე, გულს არ გატყენდა, საზიზღრობებს არ გეტყოდა და არც ცინიკურად გკითხავდა: თხოვდები თუ არაო? შეიძლება, ოდესღაც მოსწონდი, მაგრამ ფაქტია, არ ჰყვარებხარ. რომ თქვა, — „შემეტენაო“, — იცრუა. შეიძლება, იმ გოგოსთან ცხოვრებით ბედნიერი მართლაც არაა, მაგრამ ალბათ, მისი შერთვა კარიერის აწყობაში სჭირდებოდა. გამაგრდი, ცხოვრება გრძელდება“.

ანაში (პახელო):

„ჩემი აზრით, არ უყვარდი და ბავშვი — საბაბი იყო, რომ თავიდან მოეცილებინე. ის შენი სიყვარულის ღირსი არაა, დაივიწყე!“

ღამის სტუმარი, ჩუმი:

„შორე, ამბობ, მის დავიწყებას ნუ მირჩევთ, ამას მინც ვერ შევძლებო. არადა, მერნშუნე, თუ მოინდომებ, ყველაფერს შეძლებ. ვიცი, შენი „ლოვე“ ძალიან გიყვარს, მაგრამ ცხოვრებამ თქვენი გზები გაყო. ის მალე მამა გახდება და ბავშვის წინაშე თავისი მოვალეობები დაეკისრება... მისი დავიწყება შენთვისაც აჯობებს. თუმცა ეს შენი ცხოვრებაა და თავად უნდა გადაწყვიტო. რას იზამ, წარმატებებს გისურვებ!“

ბარი, ათენი:

„შენი მესიჯის წაკითხვისას, საკუთარი ტკივილი გამახსენდა. შორე, მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი — გაცივანი ბიჭი, რომელიც ციხეში იჯდა და მას ბევრჯერ დავგმარე კიდევ. ერთმანეთი ძალიან გიყვარდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი ოჯახის წევრებიც იცნობდნენ ურთიერთს. ის ციხიდან მალე

გამოვიდა. დაქორწინებას ვაპირებდით, მომავალზე ვფიქრობდით, როცა დაურევს და უთხრეს, რომ ვილაც გოგო, რომელთანაც ადრე იწვა, მისგან ბავშვს ელოდებოდა. მე ეს ამბავი არ გამიხსილა, მაგრამ მეორე დღეს დამირევს და მითხრეს: ცოლი მოიყვანაო. რა უნდა მექნა? ვერც ვერაფერს გავანებდი. რას იზამ, ყველას ხომ არ გაგვიმართლებს?! გირჩევ, ბექას შეეშვა. გავა დრო და მას და მისნაირებს უფალი სამაგიეროს მიუზღავს. ჩვენ კი შეგვიწყალეს. მე ამჟამად ათენში ვცხოვრობ და თუ მიგაჩნია, რომ შენს დახმარებას რაიმეთი შევძლებ, შეგეხმანე და აუცილებლად დაგესმარები“.

პროპოზიტი 2:

„ჰაი!“ ჩემო კარგო, შენი ბექა მართლაც, უნდა „დაივიდო“. თან, მწარედ. არ მესმის, მასზე რატომღა ფიქრობ? არა მგონია, იმ გოგოსთან მხოლოდ ერთხელ ჰქონოდა ურთიერთობა. რა იყო, ერთხელ — ისიც, სიმთვრალეში — ჩაუწვა ლოგინში და ვერცე დააფხმძიმა? შენი ბექა მატყუარა ბიჭია, რომელმაც ადვილად დაგარწმუნა თავის უდანაშაულობაში და დარწმუნებული ვარ, რომ დაბრუნდეს, აუცილებლად ხელგამოღობი მიიღებ. ხომ ამბობენ, — ქალის ტვინი თხამ შეჭამაო :) წარმატებებს და ახალი სიყვარულის პოვნას გისურვებ“.

ბარი:

„პატარავ, მე ათენში ვცხოვრობ და ვიცი, აქ როგორი სიტუაციაა. ბექას არ ჰყვარებხარ. ვერ გრძნობ, რომ დაგცინის? ბერძენი არ „შეგეტენა“, ეს გამოიცხეულია. შეიძლება, მართლა ძალიან გაგიჭირდეს, მაგრამ შენი „ლოვესნაირი“ ადამიანები უნდა „დაივიდო“. გელოდები, შეგეხმანე“.

„ანარქია მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და“...

„მის გარეშე თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ“

ბარო:

„გამარჯობა, ლიკ! ბოდიში, ასე გვიან რომ განუხებ, მაგრამ შენი დახმარება მჭირდება. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ. მიყვარს გოგო, რომელიც ჩემგან ძალიან შორსაა. ის მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და მოულოდნელადვე გაუჩინარდა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ნომერი, რომლითაც ვეკონტაქტებოდი, უკვე 2 ვიკრიაა, გამოთული აქვს და მის გარეშე თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. მე ის ძალიან მიყვარს. ვიცი, ამ მესიჯს წაიკითხავს. მინდა, ამით ვისარგებლო და ვუთხრა: ანი ანუ ანარქია, ძალიან მიყვარხარ. რამდენადაც ჩემგან შორს ხარ, 10 იმდენჯერ მიყვარხარ და მენატრები. გთხოვ, დამიკავშირდი, უშენოდ მართლა ძალიან ცუდად ვარ. შენს სახელზე ყოველდღე სანთელს ვანთებ და ღმერთს ვვევადრები, რომ საქართველოში მალე ჩამოხვიდე და ჩაგისუტო. ლიკა, როგორ მოვიქცე? მინდა, „გზის“ ერთგულმა მკითხველებმა რაიმე მირჩიონ. მე ის მართლა ძალიან მიყვარს, მაგრამ არ ვიცი, როგორ დავაჯერო ამაში... ლიკ, გთხოვ, ეს „ესემესი“ დამიბუჭდე. შენ ამით დიდ სიკეთეს გამოიკეთებ და ამისთვის ღმერთი დაგლოცავს, გაგახარებს. შენი იმედი მაქვს და არ დამალაბატო, ძალიან გთხოვ, გემუდარები. მინდა, ეს წერილი ანიმაც წაიკითხოს“.

P.S. თუ ბაროს წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს და კიდევ თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდავას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გასურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.



28 წლის ასაკში მიღებული რადიკალური გადაწყვეტილება და პერიოდის ნახევარი, ზღვარსაღივად ნახევარი რეჟიმში

„ჩემი მოკრძალებული ბიოგრაფია პრეცედენტია იმისა, თუ როგორ გახდა პროფესიონალი თეატრმცოდნე, პროფესიონალი რეჟისორი“, — ამბობს **ქოტი აბაშიძე**, რომელსაც თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საკმაოდ წარმატებული თეორეტიკოსის კარიერა ჰქონდა. აქტიურად წერდა და პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა, ტელევიზიაში გადაცემებზეც მუშაობდა. 25 წლის ასაკში, როდესაც ასპირანტურაში სწავლობდა, თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამომცემლობის დირექტორი გახდა. მერე იყო აფხაზეთის ომი — სამხედრო-ჟურნალისტური საქმიანობა...

ლალი ფაჩია

— ომმა ეტყობა, ჩემზე ფსიქოლოგიური და მორალური ზემოქმედება მოახდინა და გადაწყვეტილება მოახდინა და გადაწყვეტილება, საკუთარი ცხოვრება, შემოქმედებითი თვალსაზრისით, რადიკალურად შემეცვალა. სხვათა შორის, ირგვლივ ყველა მენინალმდეგებოდა, ძალიან განიცდიდნენ სახლშიც. ლელავა ჩემი პირველი მასტრო — ვასო კიკნაძე, რადგანაც ამ შემთხვევაში, გარანტია იმისა, რომ რაიმე ფასეულს შევქმნიდი, მოქმედუნარიანი გავხდებოდი, არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ 28 წლის ვიყავი, მქონდა შესაბამისი ფუნდამენტური ბაზა — პროფესიონალური, ზოგადი ინტელექტი, ცხოვრებისეული გამოცდილება, — მაინც, რეჟისორისთვის ეს საკმარისი სულაც არ არის...

— როგორც ვიცო, საბოლოოდ, რეჟისურის შესწავლა მიხეილ თუმანიშვილთან დაიწყო. როგორ შეხვდა დიდი მასტრო თქვენს ასეთ სურვილს?

— ჩემმა პედაგოგმა მიხეილ თუმანიშვილმა მაშინ მითხრა: ის, რაც შენ აქამდე შეგიქმნია, ფასეულია, მაგრამ შენი ახალი გადაწყვეტილების გამო, იცოდე, ამ ყველაფერს რისკის ქვეშ აყენებ, რადგანაც თუ ახალი საქმე ისე არ აწეწო, როგორც საჭიროა, პირველ პროფესიაში მიბრუნება რთული იქნებაო... მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი, რისთვის, რატომ და ვისთან მივდიოდი...


— თან, როგორც აღნიშნეთ, ამ ნაბიჯს 28 წლის ასაკში დგამდით...

— სხვათა შორის, მიხეილ ივანიჩს არ უყვარდა, როდესაც რეჟისურაში ახალგაზრდები სკოლის მერხიდან მოდიოდნენ. დიახ, 28 წლის გახლდით და ამიტომ, ჩემი ეს არჩევანი არც ხუმტური გახლდათ, არც ილუზია და არც აჩემება. ჩვენი ჯგუფი თუმანიშვილის ბოლო გამოშვება იყო (მაესტრო, მეოთხე კურსზე რომ ვიყავით, მაშინ გარდაგვეცვალა). სწავლა ომის შემდგომ პერიოდში მოგვიხდა. მოგეხსენებათ, რა რთული ცხოვრება იყო: ძარცვა, რბევა, თოფიანი კაცების თარეში, საშინელი სოციალური პირობები...

— რას გეუბნებოდათ ბატონი მიშა?

— რომ ის ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა, წარმავალი და დროებითი იყო და რომ მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან ბევრი უნდა გვემუშავა; რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამ ყველაფრისგან დაღლილი საზოგადოება დიდი ხელოვნებისკენ, ჭეშმარიტი ფასეულობებისკენ მობრუნდებოდა, ჩვენ კი არ გვექონდა უფლება, მას მზად არ

თემურ ჩხეიძესთან პეკერბურგში



დავხედროდით და არ მიგვეცა ის, რაც მას ყველაზე მეტად სჭირდება.

— მკაცრ პირობებში გინედათ ბატონი მიშასთან მუშაობა?

— მართლაც, საოცრად მკაცრი რეჟიმი გვექონდა!

— ყველა მისი ნასტუდენტარი ბატონი მიშას უდიდესი სიყვარულით იხსენებს. თუკი ის საოცრად მკაცრი იყო, მის მიმართ ასეთი სიყვარულს რაღა აჩენდა?

— ამ სიყვარულს, პირველ რიგში, იწვევდა მისი პროფესიონალიზმი, ნიჭი, მისი, როგორც პერსონის, მრავალნახნაგოვნება, მისი საოცრად საინტერესო სამყარო. როდესაც სარეჟისოროზე ჩაბარება გადავწყვეტიე, ერთი ასეთი ფაქტი მოხდა: იყო ასეთი თვალის ექიმი, უზარმაზარი ფიგურა მედიცინაში — სვიატოსლავ ფეოდოროვი. ის დედაჩემის ექიმი გახლდათ და მას მხედველობა დაუბრუნა (ჩემზე მშობიარობისას, დედა ორივე თვალით დაბრმავდა). ის მისი მესამე პაციენტი იყო. ფეოდოროვს ძალიან უყვარდა ის ხალხი, ვინც მას ენდო და შეგნებულად წავიდა ასეთ სარისკო ნაბიჯზე — თვალში ხელოვნური ბროლი ჩაედგა. მიაჩნდა, რომ სწორედ მათ შექმნეს ფეოდოროვის სახელი და დიდება, ვისაც ექიმმა მხედველობა დაუბრუნა...

— 100%-ით დაუბრუნა მხედველობა?

— ერთ თვალში — 70%-ით, მეორეში — 90%-ით... ექიმსა და პაციენტს ერთმანეთთან დიდი მეგობრობა ჰქონდათ. ერთხელაც, მათი მორიგი სატელეფონო საუბრისას, ფეოდოროვმა დედაჩემისგან შეიტყო, რომ რეჟისორობა მქონდა გადაწყვეტილი. რა განერვიულებს? რეჟისორი ბრუკი ჩემი პაციენტი იყო; კოტეს სტიპენდიას მე დაუწინაშავ და პარიზში, ბრუკთან სტუდიაში გავგზავნი სასწავლებლად... სახლში მოსულს, დედამ ფეოდოროვის ამ წინადადების შესახებ მითხრა. მაშინვე უარი ვუთხარი: არა-მეთქი. უარი სამი მიზეზის გამო ვთქვი: მიმაჩნია, რომ მიშა თუმანიშვილი უფრო დიდი რეჟისორია, ვიდრე პიტერ ბრუკი. უბრალოდ, ბატონი მიშა „ბედკრული საქართველოს შვილი

იყო“, ხოლო ის — ცივილიზებული ევროპის. მეორე — რისი სწავლაც მე მინდოდა, ამას ბატონი მიშა უკეთესად ასწავლიდა... და მესამე — 1992 წელს ამ გაჭირვებული ქვეყნიდან გაფუფუნებულ პარიზში ვერ წავიდოდი და აქ დედასა და 8 წლის შვილს ვერ დავტოვებდი. მართალია, ფეოდოროვმა ვერ გაიგო, რატომ იყო თუმანიშვილი ბრუკზე დიდი რეჟისორი, მაგრამ თქვა: კარგი, თუ კოტემ ასე გადაწყვიტა, ასე იყოს, ოღონდ, რომ დაამთავრებს, ბრუკ-

სპექტაკლით ტკბობის უნარი. ამ კოდს ძალიან ვუფრთხილდები, ვიცი, რომ ეს მნიშვნელოვანია... ინსტიტუტი რომ დავამთავრე, პროფესიულ სცენაზე უკვე 5 სპექტაკლი მიქონდა გაკეთებული...

— **ესე იგი, 28 წლის ასაკში მიღებულმა გადაწყვეტილებამ — კრიტიკოსობისთვის თავი დაგენებინათ და რეჟისორი გამხდარიყავით, გაამართლა?**

— აბსოლუტურად გაამართლა. იმიტომ, რომ ვაკეთებ იმას, რისი კეთებაც მინდა და მეტ-ნაკლებად, შემიძლია. ვარ სრულად რეალიზებული, სულ ვმუშაობ. თუ ახალი სპექტაკლი არ მაქვს დაწყებული, საშინელ ხასიათზე ვდგები, არაფერი მახარებს. როგორც კი სარეჟეტიციო პროცესი იწყება, იმშუთასვე ვმშვიდდები, ვხდები თბილი, ტკბილი... ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია პედაგოგიური მოღვაწეობაც, რომელიც თეატრალურ უნივერსიტეტში 1999 წელს, ასევე ძალიან ფრთხილად დავიწყე.

— **რა მიგაჩნიათ პედაგოგისთვის ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად?**

— მოთმინება, ტაქტი, ემოციების მოთოკვა — ეს ის თვისებებია, რომლებიც პედაგოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ასევე — ცოდნის გადაცემის განსაკუთრებული, უანგარო ნიჭი. თუმანიშვილს შეეძლო ეს და იგი ამით ცხოვრობდა. პედაგოგობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა და ჩემს თავს დიდხანს ვამონმეზდი — მიქონდა თუ არა ეს უნარი. საკუთარ თავზე ამ პასუხისმგებლობის აღებას უზარმაზარი შინაგანი ძალა სჭირდება. სულ ვამბობ: პროფესიაში თეორიული აზროვნება ვასო კიკნაძემ მასწავლა, პრაქტიკული — მიხეილ თუმანიშვილმა, — თუმცა ყოველთვის დამოუკიდებლად ვაზროვნებდი. ამ ყველაფრის თანხვედრა მოხდა.

— **რა ხდება თეატრალურ უნივერსიტეტში დღეს? რამდენად პერსპექტიული თაობა მოდის?**

— ამ დალოცვილ მინაზე, უფლის ნებითა და ქართული გენეტიკის წყალობით, ნიჭიერი ხალხი არ დაიღუპა. ამიტომ, დღევანდელი თაობა არის

ნიჭიერი, ისეთივე, როგორც ყველა, რომელსაც ჩვენს უნივერსიტეტში უსწავლია. უბრალოდ, ამ თაობას აქვს სერიოზული და დიდი პრობლემები. ისინი მოვიდნენ სრული ქაოსიდან: ქაოსია სახლში, რადგანაც ადამიანები იმაზე არიან გადასული, რომ როგორმე სარჩო-საბადებელი მოიპოვონ, გადაიხადონ კომუნალური გადასახადები, როგორმე თავი გაიტანონ... აღმზრდელობით სისტემაში უამრავი ხარვეზი გვაქვს. ეს ოჯახების ბრალი არ არის. ეს იმ ეკონომიკური სინამდვილის ბრალია, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს. ამასთან, აბსოლუტურად მოშლილია სკოლა და იქ სრული ქაოსია. ნუ ავყვებით ილუზიებს და ვაღიაროთ, რომ განუკითხაობაა სახელმწიფოშიც... ამრიგად, ბავშვები თეატრალურ უნივერსიტეტში მოდიან სრული ქაოსიდან და ხედებიან ისეთ სისტემაში, სადაც არაფერი შეიძლება — მუშაობის, დისციპლინის, რეჟიმის გარდა. ახალგაზრდებს ამასთან შეეუება უჭირთ. ამიტომ, მთელი პირველი კურსი სისტემაში მათ მოყვანას ეწირება. თაობას, ელემენტარულად, შინაგანი დისციპლინის დეფიციტი აქვს.

— **როგორც გატყობთ, მკაცრი პედაგოგი ხართ...**

— ამბობენ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ და სულ მეცინება, როდესაც მესმის საკუთარ თავზე, რომ მკაცრი ვარ. თუმცა, ალბათ არც უმაგისობა... მკაცრი იყო თუმანიშვილი...

— **სტუდენტების დასჯის რამეთოდს მიმართავენ?**

— მრავალნაირს. საერთოდ, პრობლემა უმაღლეს უნდა გადაიჭრას. ბოლომდე უნდა განვიხილოთ და გავანალიზოთ არა თვითონ ფაქტი,



პეგერბურგში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე

თან ერთწლიან სტაჟირებაზე, ევროპაში მაინც გაემგზავროსო. ამის მერე ფეოდოროვი მალე დაიღუბა და ჩემი ევროპაში სტაჟირებაც აღარ გამოვიდა... მაგრამ თუმანიშვილი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ მე მას ამის შესახებ ვერ ვუთხარი: ენა ვერ მომიბრუნდა და ვერ ვუთხარი. მაშინ, ისიც უნდა მეთქვა, — თქვენ უფრო დიდი რეჟისორი ხართ, ვიდრე ბრუკი-მეთქი, — ის კი ვერ იტანდა ასეთ ქებას... თან მეგონა, რომ თუმანიშვილი სულ ცოცხალი იქნებოდა... ასე რომ, რეჟისორობის სწავლა, პარიზის ნაცვლად, პლუხანოვზე, თეატრის პატარა გაყინულსა და ბნელ ოთახში დავიწყე... მოხდა ისე, რომ... პირველი სპექტაკლი ძალიან მალე დავდგი — მეორე კურსის ბოლოს — „დარისპანის გასაჭირი“, სოხუმის თეატრში. ძალიან ნერვიულობდა მიხეილ ივანიჩი... სწავლის პროცესში, ოთხი წლის განმავლობაში, ჩემთვის არც ერთი კომპლიმენტი არ უთქვამს, რადგანაც მიაჩნდა, რომ იმაზე, რაც კეთდება და მეტ-ნაკლებად ნორმალურია, ლაპარაკი არ ღირს, ხოლო იმაზე, რაც არ კეთდება, — აი, ამაზე კი უნდა ვილაპარაკოთ. მან, თავის მოსწავლეებს, ისეთი თვითკრიტიკოსი და თვითცენზორი „ჩაგვისვა“, რომ ალბათ არასდროს მექნება საკუთარი



ამ თაობას აქვს სერიოზული და დიდი პრობლემები

არამედ პრობლემის არსი. ეს მტკივნეული პროცესია, რადგანაც ამ დროს, გულახდილი უნდა იყო საკუთარ თავთან ანუ ბოლომდე უნდა გამოიფრო ინციდენტი. ეს უნდა აუხსნა ახალგაზრდას, რაც საკმაოდ რთულია... ბა-

ტონ მიმას დასჯის სულ სხვა მე-
თოდები ჰქონდა: ნ-კაციან ჯგუფში
მას, ვინც დასჯილი ჰყავდა, ისეთი
შეგრძნება უჩნდებოდა, თითქოს იქ
არ იყო, მაგრამ ისე კი არა, რომ
მასთან არ მუშაობდა ან არ ელაპარ-
აკებოდა, უბრალოდ, აბსოლუტურად
იგნორირებული ჰყავდა ისე, რომ სას-
ნავლო პროცესის დროს მასთან კონ-
ტაქტი მაინც არ წყდებოდა...

— რას იტყვით თეატრალური
უნვერსიტეტის იმ სტუდენტებზე, რომ-
ლებიც ტელეშოუებსა და სერიალებში



ჩემი გული ახლაც მთაშია

მონაწილეობენ?

— არ მიყვარს, როდესაც ისინი
შოუში მიდიან, შოუმენები ხდებიან,
სერიალებში მონაწილეობენ. მიმაჩნია,
რომ ეს არის ის საქმე, რომელიც
ვიღაც სხვამ უნდა აკეთოს.

— მართლაც, ვიღაცამ ხომ უნდა

აკეთოს და აკეთებენ კიდევ ამას —
მაგალითად, „შაბათის შოუს“ მას-
ობები...

— რაც შეეხება „შაბათის შოუს“
(ანუ „Comedi-შოუ“), — ამ სიმბინჯეს,
უგემოვნო, უნიჭო მარაზმს, ამ სიტყვის
პირდაპირი მნიშვნელობით (მაინცდ-
ამაინც გული ნუ დასწყდებათ „შაბათის
შოუს“ მესვეურებს, ასეთივე აზრი მაქვს
ნებისმიერი შოუს მიმართ), — აქ პოლი-
ტიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე:
რატომღაც, სადღაც სხვაგან გადაწ-
ყვიტეს, რომ თაობა უნდა აღიზარდოს
ასეთ იაფფასიან, უნიჭო, არაფრის მო-
მცემ, „ცარიელ“ სანახაობებზე. იმიტომ,
რომ კლდიაშვილზე, ჩეხოვზე, კლასიკურ
მუსიკაზე, საგამოფენო დარბაზებში, თე-
ატრებსა და ბიბლიოთეკაში აღზრდილი
თაობა სხვის ჭკუაზე არ ივლის. ის
ძალზე რთული სამართავია, რადგანაც

პ ი რ ო ვ ნ ე ბ ე ბ ის გ ა ნ... შედგე-
ბა. გლობალიზაცია-ინტეგრაციის პრო-
ცესს, იმ იდეოლოგიას, რომელიც ქვეყ-
ანაში ღვივდება, აბსოლუტურად არ
აძლევს ხელს ინტელექტუალური, ჭკვი-
ანი, მოაზროვნე მასა. ამიტომ გადაწყ-
და, რომ ასეთ იაფფასიან შოუებზე,
„საპნის ოპერებზე“, სერიალებზე,
საშინელ ესტრადაზე უნდა აღიზარდოს
და განვითარდეს. მასა, რომელიც ერთ-
ნაირად აზროვნებს და ერთმანეთისგან
არ განსხვავდება, ჰგავს ცხვრის ფარას,
რომელსაც, საითაც გინდა, იქით გარეკავ,
ხოლო პიროვნებებისგან შემდგარი სა-
ზოგადოება რთული სამართავია. ამ-
რიგად, მიმდინარეობს ეროვნული ცნო-
ბიერებისა და თვითშეგნების ამოძიკ-
ვა-მოსპობა. ის, რასაც მასმედია, ეს-
ტრადა დღევანდელ თაობას აწვდის,
გარკვეული იდეოლოგიის ჯაჭვია, რაც
ჩემთვის მიუღებელია. მინდა, თქვენი
ყურადღება კიდევ ერთ ფაქტზე შევაჩ-

ერო: ეს არის ფეხბურთის ფან-კლუბე-
ბი. ერთია, როცა საქართველოს ნა-
კრებს გულშემმატიკვირობენ, ჩვენ ერთი
გუნდი ვართო, — ამბობენ, და სულ
სხვაა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატის
დროს, თბილისის ქუჩებში მოდის კოტ-
დ'ივუარის დროშის ფერებში (მაისური,
კეპი, შარვალი, ბოტასი) გამოწყობილი
150 ქართველი თინეიჯერი. ვინ დამა-
რწმუნებს, რომ 150-მა ბავშვმა იცის,
რას წარმოადგენს კოტ-დ'ივუარი,
გულშემმატიკვიროს მას, ყველამ ცალ-
ცალკე იშოვა ბოტასი, შარვალი, კეპი,
მაისური და ამიტომ არის ამ ფან-
კლუბის წევრი?! აქ სხვა რამ არის:
ვიღაცამ 150 ქართველ მოზარდს ჩააც-
ვა ამ ქვეყნის ნაკრების ფორმები... იქ,
სადაც ფანატიზმია, აზროვნებაზე ლაპარ-
აკი ზედმეტია... ეს შემთხვევა ზუსტად
იმ იდეოლოგიის ნაწილი და გაგრ-
ძელებაა, რომელზეც ვილაპარაკე. მოდი,
რა, დაუძახე და უთხარი ბავშვებს, რომ
ილია ჭავჭავაძის ფან-კლუბის წევრი
ხარ. აუხსენი, რას ნიშნავს ეს: რომ მან
იმ ფასეულობებითა და კრიტერიუმე-
ბით უნდა იცხოვროს, რომლებსაც ერის
მამა და მოძღვარი ქადაგებდა და ქმ-
ნიდა.

— თავად როგორ ზრდით შვილს?

— ჩემი შვილი 23 წლისაა. ის უკვე
გაზრდილია, ლაპარაკობს 4 უცხო ენაზე,
აქვს ძალიან სერიოზული სამსახური
და თავის სფეროში საკმაოდ სოლი-
დური თანამდებობა. აღზრდილია
ქართულ კულტურაზე, ბიბლიოთეკა-
ში, კონსერვატორიის დარბაზში, თე-
ატრში, მთაში და მთამსვლელებთან,
ჭეშმარიტ ფასეულობებზე... არჩევანში
არასდროს შემიზღუდავს, ის ყოველთვის
დამოუკიდებლად იღებდა გადაწყ-
ვევტილებას, უბრალოდ, ოჯახმა
მივეციტო ის ფუნდამენტი და რესურსე-
ბი, რომლებიც მას არჩევანის გაკეთე-
ბისთვის სჭირდებოდა და სჭირდება...

— პროფესიული მთამსვლელიც
ყოფილხართ...

— საქართველოში თუკი რაიმე
მთამსვლელთა ნაკრები იყო, ყველას
წევრი გახლდით. თუმცა ძალიან დიდი
ხანია, აქტიურად აღარ ვმოღვაწეობ,
მაგრამ ყოფილი მთამსვლელი არ არ-
სებობს, რადგანაც მთამსვლელობა არ
არის მხოლოდ მთაში სიარული — ეს
აზროვნების წესია, ისევე, როგორც
ზრდილობა. ჩემი პროფესიული მთამს-
ვლელობა თეატრმა შეინირა, თუმცა
ჩემი გული ახლაც მთაშია. ეს არის
ჩემი ცხოვრების ყველაზე საკრალური,
წმინდა და ყველაზე მნიშვნელოვანი
ნაწილი და ეს ჩემს შემოქმედებაშიც
გადმოდის. ეს უზარმაზარი სამყაროა
და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ
სამყაროს ისეთივე სრულფასოვანი ნაწ-
ილი ვარ, როგორც ის არის ჩემთვის.

გერმანიის ავტოსადგომები ტახების საყვარელ აღგილად იქცა

ბოლო ხანებში გერმანიის ავტობანე-
რის გასწვრივ მდებარე ავტოსადგომები
ტახების საყვარელ ადგილად იქცა. ცხ-
ოველებს მძღოლებისა და მგზავრების
მიერ დატოვებული საკვების ნარჩენები
იზიდავს. საგზაო პოლიცია მძღოლებს
აფრთხილებს, რომ ბოლო ხანებში მანქა-
ნის სავალ ნაწილზე ცხოველების მოხ-
ვედრის რისკი საგრძნობლად გაიზარდა.
სპეციალისტები მძღოლებს კატეგორიუ-
ლად აფრთხილებენ, რომ ავტომობილთან
შეჯახების შემთხვევაში მგზავრები მხეცს
არ მიუახლოვდნენ, რადგან დაჭრილი ტახი
განსაკუთრებით საშიშია!



რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

როსა ირგვლივ ყველაფერი ყვავის

სილამაზის ერთ-ერთი სალონში ასეთი შემთხვევა მოხდა: მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პარიკმახერმა კლიენტს თმა მოხდენილად გაკრიჭა, ღამაზად დაუვარცხნა, მაგრამ როგორც კი თმის ფიქსაციური შეასხურა, ქალს კანი ნითელი ტაქებით დაეფარა და გული წაუვიდა...



ექიმ-ალერგოლოგთა პრაქტიკაში მრავალი მსგავსი მაგალითია აღწერილი. შოკოლადის ნატეხი, ერთი ყლოში შამპანური, სუნამოს წვეთი და ყვავილების თაიგული არაერთხელ გამხდარა აცრემლების, კანის ქავილის, სპაზმური ხველის და ცხვირში საშინელი ღიტიანის შეგრძნების მიზეზი. თუ ადრე ალერგიული ადამიანები თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ახლა ამ სენით ქალაქში ყოველი მეოთხე ადამიანია დაავადებული.

ალერგენის გამოვლენა თვალთ პრაქტიკულად შეუძლებელია, — მედიკოსებისთვის 20 ათასზე მეტი სახის ალერგიაა ცნობილი! აყვავებული ხეები და ბალახები, ოთახისა და წიგნის მტვერი, ცხოველთა ბენჯი, ბოსტნეული, საწებლები... სია გამუდმებით იზრდება.

დაავადება ხშირად, ბანალური სურდოთი, გაცივებით, რესპირატორული დაავადებით, ბრონქიტით ინიღბება. ადამიანი სვამს წამლებს და არც კი ეჭვობს, რომ მისი პრობლემების ნამდვილი მიზეზი — სულ სხვაა.

მატი შვიკაჟოთ მის შესახებ

არსებობს რამდენიმე მცდარი მოსაზრება ალერგიის შესახებ:

შეცდომა 1.
ალერგია მწვავედება გაზაფხულზე, როცა ირგვლივ ყველაფერი ყვავის. თუ ლაპარაკია პოლინოზზე (ალ-

ერგია მცენარის მტვერზე), ამ პათოლოგიის მქონე ადამიანებს ცემინება და ხველა შეიძლება დაენწყოთ გაზაფხულზეც, როცა ხეები ყვავის და ზაფხულშიც, როცა სხვადასხვა ბალახი ხარობს. იენის-ივლისში მათ რიგს ემატება: ქერი, შვრია, ჭვავი, ხორბალი. ზოგიერთი ბალახი მთელი ზაფხულის განმავლობაში ყვავის.

ალერგია მტვერზე, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენაა, რომელიც ამინდზე არ არის დამოკიდებული. ძირითადი ალერგენი მტვრის ტიპის ფეკალიებით გადაიცემა. ერთი ტიპა დღეში 15-მდე „მომშხამავ“ ბურთულას გამოყოფს.

შეცდომა 2.
მცენარეებიდან განსაკუთრებით ცრემლმდენია ღია ფერისა და ძლიერი სუნის მქონე ყვავილები.

სინამდვილეში, მცენარის ალერგიულ თვისებებს განსაზღვრავს არა სუნი, არამედ მტვერი. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მავნეა: თხილნარი, არყის ხე, ალვის ხე, მურყანი, წაბლი, მუხა, ცაცხვი, ტირიფი ხოლო ნაძვის, სოჭის, კედარის შედარებით მსხვილი მტვერი რეაქციას იშვიათად იწვევს.

შეცდომა 3.
თუ ბავშვობაში ალერგია არ გქონდათ, შემდგომში, ის აღარ განვითარდება.

ეს სიმართლე არ გახლავთ. პოლინოზით დაავადებულთა შორის, ბევრია ისეთი, ვინც ბავშვობაში უპრობლემოდ დარბოდა აყვავებულ მინდორში და ერთობოდა აყვავებულ ბაბუნაწვერებით. ალერგიულთა რიგების შევსების შანსი ნებისმიერ ასაკში არსებობს.

ასაკის მატებასთან ერთად, ალერგია მტვერზე, შეიძლება, თანდათანობით შემცირდეს. რთული სეზონისათვის კი ალერგიული ადამიანი სათანადოდ უნდა მოემზადოს. ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, სპეციფიკური ჰიპოსენსიბილიზაცია — დაავადების ჩანყნარების პერიოდში, ალერგენის მცირე დოზების შეყვანა კანქვეშ ან ენის ქვეშ. ასეთი აცრის შედეგად, 10-დან 8 შემთხვევაში, ფორმირდება მდგრადობა გამლიზიანებლის მიმართ.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაჩა	წ. ფაჩა
1. ოჯახის მედიცინა	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	35.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.90	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.90	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.5
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრესის გაკრძელების სააგენტო
ქ. თბილისი
თბილისის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvispalitra.com

ალერგიულთა სამხსოვრო

- იმ მცენარეთა ყვავილობის დროს, რომლებზეც ალერგია გაქვთ, ეცადეთ, გაემგზავროთ ისეთ კლიმატურ ზონაში, სადაც ისინი ჯერ არ ყვავის ან უკვე იყვავილა.
- ქუჩაში გამოსვლისას, სახეზე სათვალე მოირგეთ, შინ დაბრუნებისას კი აუცილებლად მიიღეთ შხაპი.
- ფანჯრებზე დაკიდეთ ტკიპების სანინალმდეგო ბადები ან უბრალოდ, სველი ქსოვილი, რომელზეც მტვერი დაილექება.



„მინუსი“ ხელს არ შეგვიშლის

უარყოფითი რეზუსის მქონე ქალებს სზორად აზინებენ მოსალოდნელი აბორტებითა და მშობიარობის გართულებებით. რამდენად დიდია აღნიშნული რისკი? უარყოფითი რეზუსის შესახებ უამრავი ჭორი არსებობს. სინამდვილეში, საკმარისია, იცოდეთ საკუთარი რეზუს-ფაქტორი და დავიცვათ „რეზუსის უსაფრთხოების“ წესები, რომ მშობიარობათა რაოდენობის მიუხედავად, რეზუს-კონფლიქტის საშიშროება გამოირიცხება.

— რომლის მეშვეობითაც „უცხო სისხლის“ უჯრედების დაშლას ცდილობს. ვითარდება რეზუს-კონფლიქტი, რომელიც საშიშია ქალისთვისაც და ნაყოფისთვისაც.

ერთხელ წარმოქმნილი ანტისხეულები არსად ქრება და აგრძელებს თავის დამლუპველ მოქმედებას მომდევნო ორსულობის დროსაც. ამიტომ მთავარია, სავსებით არ დავეშვათ ანტისხეულების წარმოქმნა. ადრე ექიმები იმით შემოიფარგლებოდნენ, რომ რეზუსუარყოფითიან ქალებს აძლევდნენ რეკომენდაციას, არ გაეკეთებინათ აბორტები, ხოლო ორსულობის დროს, სისტემატ-

რეზუს-ფაქტორი სისხლის უჯრედების — ერთროციტების ზედაპირზე მდებარე ცილაა. იგი ქალების 85%-ს აქვს, ისინი დადებითრეზუსიანები არიან, დანარჩენი 15% კი — უარყოფითრეზუსიანია. თუ მათ სისხლში მოხვდება დადებითრეზუსიანი სისხლი (მაგალითად, დონორის სისხლის გადასმისას ან დადებითრეზუსიანი ნაყოფისაგან — ორსულობის დროს), ორგანიზმი იწყებს თავდაცვას — გამოიმუშავებს ანტისხეულებს

ურად ჩაებარებიანთ სისხლის ანალიზი (რათა დროულად შეემჩნიათ რეზუს-კონფლიქტის დასაწყისი და აღეკვეთათ მათი შედეგები). ეს რეკომენდაციები დღესაც აქტუალურია. მაგრამ დღეს ამ პრობლემის დასაძლევად, უფრო მეტი შესაძლებლობაც არსებობს. შექმნილია პრეპარატი, რომლის ინიექცია თავიდან აგვაცილებს რეზუს-კონფლიქტის განვითარებას. ეს ანტირეზუსული იმუნოგლობულინია. იგი შეჰყავთ ქალის ორგანიზმში ორსულობის 28-ე კვირას (ანტისხეულების არარსებობის პირობებში), იმის მიუხედავად, თუ როგორია ნაყოფის რეზუსი.

პრეპარატის შეყვანა ხდება აგრეთვე, 72 საათის განმავლობაში შემდეგ შემთხვევებში:

- მშობიარობისას, რომლის დროსაც, დადებითი რეზუსის მქონე ბავშვი დაიბადა;
- ორსულობის შეწყვეტისას ან აბორტის საშიშროების დროს;
- საშვილოსნოს გარე ორსულობის გამო ჩატარებული ოპერაციის შემთხვევებში;
- ზოგიერთი საშვილოსნოს შიდაგამოკვლევის (ბიოფსიის, ამნიოცენტეზის) დროს;
- მუცლის ღრუს ტრავმისას.

სიასლა!

ჩანართი გათოვის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

სახლში პაპარა კყავს

ბავშვის პედიატრი



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე



ბავშვის ფსიქოლოგია



როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაბროვე და აკინძე




შარნალი შარნალი

მუსიკანილები

1.05. - 7.05.2008




უთაგოდ

მორატორიუმისგან
გაგშეშდი, მან ჯი
ყვავილები ხელში ჩაიგდო
და გაიქცა. გაოგნებულად
დავცქერილად თაბატს
და ცოტა მხატვრად
ახდავტრებაშიდა...



ფობობასი


დაკვირდი ფოტოებს რამდენიმე
წუთის განმავლობაში და ვარჯიშე,
რომელი ხილი უფრო ახლოსაა
შენს გემოვნებასთან. შეძლებ იხილე
ფოტოგრაფიის პასუხები და გაიგებ,
რას ფიქრობენ
ამერიკელი
ფსიქოლოგები
შენზე.



მათი ცხოვრებისეული
ჯრედო „გამოცდილი
და ძველი, გამოუცდელ
ახალს სჯობს“ – გახლავთ.
ექსპერიმენტები მათი
საქმე არ არის.

ბყუილის ენციკლოპედია

თუ მისი მხერა ძველებური,
მეუშფოთებელი დარჩა, მაშინ
უნდა იცოდე, რომ ეს მხერა
თავიდანვე ყალბი იყო



საუკუნის აფერა და გზაწვლელების პოლიტიკურიენტაცია ანუ — გვეშველება რამე?

მარი ჯაფარიძე

აბდაუბდა

„სალამი, მარიკო. დღეს ვეძებდი მომავალი კვირის თემას, მაგრამ ჰოი, საკვირველებაც რა დაგვარგვია, რას ეძებ? ვერაფერიც ვერ ვნახე მე დავბრმავდი, ვითომ? არა მგონია ჩემმა ძმამაც ვერ იპოვა. იქნებ მე შეხვდა „ბრაკი“ „გზა“? რავი, აბა :) ჰოოდა, მარიკუნა, ალბათ... ალბათ კი არა და, ასე იქნება: ამ კვირაში მგზაწვლელებს ბაირამობა ექნებათ და ვის რა მოაფიქრდება, იმას მოგწერს. იქნებ მეც დამიბეჭდო ეს აბდაუბდა მესიჯი?... კიდევ იმის თქმა მინდოდა, რომ უძაანესად გაგვბრაზდი ნიკა არაბიძესა და ნინო ჩხეიძეზე. თუ არ მოგწონთ, ბატონო, „გზაწვლელები“, ვისაც მოგწონს და გვინტერესებს, გაგვატარეთ. ისე, რა ჩემი საქმეა? ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ არ მესიამოვნა, რა! PS. მარ, ამისთვის არ მიმბლოკო. ნონ სტოპ“.

მარიაკი

„5 წლის ვიყავი, როცა ზაფხულში ჩვენთან სტუმრად ჩემი დეიდაშვილი, ლელა ჩამოიყვანა მამამ. ჩვენმა მამებმა ეზოში წალაშზე მწვადი შეწვეს და ჩაუსტდნენ. ჩვენ კი მიკლუსო მაკლასის პაუხასებივით, დარჩენილ ცეცხლთან ვთამაშობდით. ჰოდა, ცეცხლთან თამაშს რომ თურმე ღამე ჩაფსმა მოჰყვება, იმ ღამეს გავიგე დედამ საიდუმლო ვერ შემინახა და ამაზე ლელა მთელი 11 წელი დამცინოდა. ჰოდა, 16 წლისები ვიყავით, როცა მე ჩავედი მათთან სტუმრად. ლელას დაქალთან ჩემს მუსკულატურას „ვამარიაყუბდი“ და ლელამ მითხრა, — წადი, შე ქვეშაფსიაო! ყველამ დამცინა. ბოლმა ყელში გამეჭდა ძვალვით, მაგრამ ორთქლის გამოშვებისგან თავი შევიკავე და შურისძიება ღამეს მივანდვე როცა დაღამდა და ყველამ დაიძინა, ჩუმად ავდექი, მადულარაში წყალი გავათბე, ჯანში ჩავასხი და ლელას ოთახში შევიპარე. მთვარის შუქზე დავინახე, მძინარე ლელას ცალი ხელი გულზე ედო, მეორე კი გადმოკიდებული ჰქონდა. ქურდვით მივპარე და თბილ წყალში თითები „ლაითად“ ჩავაყოფინე ჩემმა ავანტი-



უთაუთო

ვიცი, რომ მგზაწვლელების უმეტესობა მოუთმენლად ელის ამ კვირის „გზაწვლელებს“, რადგან ნინა კვირაში ჩაგდებულმა ინტრიგამ შედეგი გამოიღო. ამ ბოლო დროს მგზაწვლელები ცოტა მოუშვით, მოდუნდით და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ უბრალოდ, ინერციით აგრძელებდით დამსჯილებას. ჰოდა, ვიფიქრე — რა მოვიმოქმედო, რომ ცოტა გამოვაცოცხლომეთქი? — და მოვიფიქრე — თემამაც — „გულმაფინციობის შედეგი“ — ხელი შემინყო და ნინა ნომრის „გზაწვლელებში“ არც ახალი თემა შემოგთავაზეთ, არც „მოკლე ჩართვის“ კითხვა და არც ჩემი საკონტაქტო ნომერი. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ მესიჯები ისევ დიდი რაოდენობით მოსულიყო (უფრო მეტიც ვიდრე ჩვეულებრივად). უმეტესობამ ეს ჩემს გულმაფინციობას მიანერა და მამშვიდებდა — არა უშავს, ჩვენ არ დავიბნევით და არ დაგაღალატებთო, — ზოგი შეშვოთდა, — „გზაწვლელები“ ხომ არ ისურუბაო? — ზოგიერთი კი არ დაიბნა და თემაც მოიფიქრა და „მოკლე ჩართვის“ კითხვაც.

ურამ სასურველი შედეგი გამიღო და ლელამ საშარდე ბუშტი ისე დაცალა, რომ არც კი გაუგია, დილაზე ტკბილად და თბილად ეძინა. იმის მერე ჩემთვის აღარ დაუცინია. ლელ, ძალიან მიყვარხარ და არ გაბრაზდე, შე ქვეშაფსია, თორემ ამ ამბავს შენს „ლოფს“ მოვუყვები და დარჩები გასათხოვარი. ვის სჭირდება ქვეშაფსია ცოლი?! განძის მაძიებელი, თელავიდან“.

სიყვარულის მსხვერპლი

„მარ, ნინა ზამთარში ბორჯომში, ღამით პატრულირებისას, მტკვრის სანაპიროზე რალაც ხალხმრავლობა შევნიშნეთ. გადავდით და ჩავიხედეთ. ძლივს გავარჩიეთ მტკვარში ჩავარდნილი კაცი და მეორე მამაკაცი, რომელსაც ამოჰყავდა, ის კი უძალიანდებოდა. როგორც იქნა, ამოათრია ნაპირზე, მან კი იშვირა ხელ-ფეხი და ისევ გადაეშვა წყალში... ბოლოს ამოვიყვანეთ და გაირკვა, რომ სიყვარულის ნიადაგზე აპირებდა თვითმკვლელობას, მაგრამ თურმე წყლიდან იმიტომ არ ამოდიოდა,

რომ იქვე კანალიზაცია ჩაედინებოდა და წყალი მაგ ადგილზე თბილი იყო, ჰერთან შედარებით. გარეთ კი ყინავდა. ასე რომ, ნუ დაგლუპავთ, ხალხო, სიყვარული. PS აუ, იმას სუნი ასდიოდა და იმას აკანკალებდა!.. მერე ძლივს ჩავაცვით. ელისო“.

იღბლიანა

„მარ, მსოფლიოში ყველაზე ვიგარი სვანი ყოფილხარ! :) დღეს იმის ფიქრში გავიღვიძე, დამიბეჭდავდი თუ არა მესიჯს. გავიღვიძე და მამინვე მარკეტში გავიქეცი. იქ კი სულ უურნალების ფრიალი დავინიციე ის-ის იყო, „გზა“ ვიპოვე, რომ დაცვამ გარეთ გამომაძევა, ხელიგნური საქციელის გამო. „გზა“ კი ხელში შემეჩრა და გახარებული, „მარშრუტკას“ „მოვასტი“. უკან მოვალათი და დიდი ამბით გადავშალე უურნალი. აი, აქ მოხდა, რაც მოხდა: ჩემი გზაწვლელების დანახვაზე სიხარულისგან ნინაგის ცრემლები გადმომცვივდა (მანც, პირველი გზაწვლელები იყო) რადგან ბიჭი ვარ, ხალხმა ალბათ იფიქრა, სულ ცოტა, გამზრდელი ბებია დეულუპებოდაო. მორჩა, დღეიდან „გზაწვლელებს“

მცხოვრები ვარ. ამიერიდან ხელმო-
ცარული აღარ მერქმევა, იღბლიანა
დამიძახეთ. PS. „გზავნილებს“ მისი
დაარსებიდან ვკითხულობ და ყვე-
ლანი მაგარი ჯიგარსონები ხართ.
გამსაკუთრებით — მარი“.

რა ხდება?

„მარი, სხვა გზა აღარ მრჩება,
ქუთაისის ერთი მტვრიანი უბნის
მცხოვრებნი ძლიერი კვილის ხმით
დატყებებიან. ვისაც ეჭვი ეპარებოდა
ჩემი ხმის ძლიერებაში, ამის შემდეგ,
ეჭვის ნატამალიც აღარ დარჩება.
„გზავნილები“ ჩავიკითხე, ჩემი მესი-
ჯებიც ვნახე, მაგრამ... მომდევნო
ნომრის თემა სად არის? ჰა? ხომ არ
გადანწყობენ, მიგვატოვო? ან იქნებ,
ერთი კვირით შევბუღდება აიღე?
მაგრამ არ უნდა გაგვაფრთხილო?
გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები...
ერთი კვირით გაურკვევლობამ სი-
ცოცხლე უნდა გამიმწაროს? მარ,
გთხოვ, მითხარი, რა ხდება? გვემ-
ველება რამე? თუ რაიმე კითხვითი
წინადადება არსებობს, ყველა მინდა,
რომ მოგწერო: რათა? რათა? რათა?
მარ, ახლა ვწმუნდები, რომ მაგარი
გული გაქვს და არ გემინია ამდენი
გაკვირვებულ-გაგიჟებული მგზავნე-
ლის. ნეტავ, ჟურნალის „ჩემს“ ნომერ-
ში რაიმე შეცდომა ხომ არ გაეპარათ?
ჯერ კისრისტებით გავიქეცი, რომ
„გზა“ მყიდა. ახლა გავრბივარ, რომ
ანგარიში შევავსო და კითხვების
ქარცეცხლი დაგაყარო. თუ რამე
დამემართა, ცოდვები შეგანუხებს,
ჯაფარიძის ასულო. თაისი“.

მიტოვებულები

„ტიტუუუ! ეს რა ნაიკითხა ჩემმა
თოლებმა?! მარტო ჩემი თავი მეგონა,
„რა დამბარე-რა მინდოდას“ სინ-
დრომით შეპყრობილი და თურმე
რამდენი ჩემნაირი, სკლეროზიანი
მგზავნელი „დააბოტებს“ „გზის“
ფურცლებზე! ეჰ, ჩვენ რა გვიმავს,
ჩვენი გულმავინცობით ქვეყანა არ
დაიქცევა. აი, მარიც რომ ჩვენს
რიგებში ჩანერილა და მომდევნო
ნომრის თემა არ შემოუთავაზებია
(„მოკლე ჩართვას“ ვინლა ჩივის?!), ეს
კი „გზავნილ-იორკს“ სამიშროებას
უქადის. თავი უპილოტო თვით-
მფრინავში მგონია. რას გვეჩოდი,
მარი-დედიკო, როგორ აგვაბნიე და
დაგვყარე უპატრონოდ „ამოდონა“,
შვილი, რათა, რათა, რათა? რა ქნას
საცოდავმა „გზავნილ-ფარამ“, რა
გზით წავიდეს?.. მაგრამ არა უშავს,
შენ ისე გამოგვზარდე, ჩვენო მოამაგე
დედავ, რომ არსად გადავიჩებებით
და შინ (შენამდე) მშვიდობით მოვ-
ალთ. აბა, დაუყარით, მგზავნელებო,
უპატარძლო ქორწილია! PS. ისე,

მარი, ეს შენი „შუტკა“ მგონია,
რადგან თემა — გულმავინცობა
იყო. მაგრად გაგვიჩალიჩე, რა.. მიშას
უნდა ჰქონდეს კლიბი „მიშა მაგარია“
და შენ — არა? სადაა სამართალი?!
მიყვარხარ და გკოცნი, ლოყის
გალურჯებამდე კამელია“.

საუკუნის აფერა

„მარი, დღეს საუკუნის აფერა
„გავაჯატავ“ და რომ არ მოგიყვ
გავრეკავ! თბილისში წამოსვლამდე
დედამ 10 ლარის დეპოზიტი შემი-
ვსო ტელეფონზე, მაგრამ 3 დღეში
გოგონებთან და ძმაკაცებთან გართო-
ბაში ანგარიში „დავალანებაზე და-

„გზის“ მსხვერპლი

„მარ, იცი? ხუთშაბათს დილით
რომ ვიღვიძებ (და არა მარტო მე),
გულს სხვანაირი ბაგაბუგი გააქვს.
ჰოდა, ამ დილით ოთარ ქირიას
(„რუსთავი2“) „გზა“ რომ დაფუნახე
მაგიდაზე, ლამის ნერწყვა დამახრჩო.
მომინდა, ხელებში ვწვდომოდი და
ამელლიტა ჟურნალი. ბელ-555-ის
მაგრად შემშურდა. ნეტავ მაგას, რა
მომთმენი ყოფილა, „გზა“ ნაყიდი
მქონდეს და საღამომდე რა გამა-
ძლებინებს? ხომ გასკდა გული!
გამყიდველს მოცემულიც არა აქვს,
რომ ვფურცლავ და შინ მისვლამდე,
თაჭარგული ვკითხულობ ჟურნალს.

დილისნამი

„მარ, ჩემი მუღლლე მომიყვა: თურმე მათ მეზო-
ბლად ცხოვრობდა ოჯახი, 2 წყვილი ცოლ-ქმარი.
ერთი რძალი რუსი იყო, მეორე კი — ქართველი
და დილისნამი ერქვა, შემოკლებით კი — დილის
ეხსდნენ. ჰოდა, ყოველ დილით ძმები რუსი რძლის
მიერ გაშლილ საუბრეს მოუსდებოდნენ და არაყს
რომ გადაკრავდნენ, — დილის მადლი შეგვეწიოსო!
— ამბობდნენ. ასე გრძელდებოდა კარგა ხნის
განმავლობაში. გაბრაზდა ჩვენი რუსის ქალი და
„დამტყრული“ ქართულით გამოთქვა პრეტენზია:
— სუფრას მე გიშლით, გირეცხავთ, გივლით და
თქვენ სულ დილის ადღეგრძელებთ, ჩემი სახელი
ერთხელაც არ გიხსენებიათო. ასე იცის ქართულის
არცოდნამ, გარკვეულ სიტუაციებში ელისო“.

ჯდა“. არადა, დედაჩემი გამწარებული
მიშვებდა ზარებს და არ ვიცოდი, რა
მექნა. ვაკის პარკში სკამზე ვიჯექი.
მოპირდაპირე სკამზე კი მაგარ სპორ-
ტულეში გაჩითული ბიძა იჯდა და
„ლაი-ლაის“ 20-ლარიანი ბარათის
დამცავ საფარს ფხვდა. მერე მე-
სამე თაობის ტელეფონით ვილაცხას
დაურეკა და უთხრა: — აბა, ჩემო
ცუგრუმელავ, „პასტა“ და ფურცელი
აიღე და ნომერი ჩაინერეო. ვერც
მივხვდი, რას ვაკეთებდი. ჩემს „სეკვე-
ტირიერულ“ სინდისის ხმას არც მო-
ვუსმინე, იმპულსურად ტელეფონზე
მისი ნაკარნახევი ციფრები ავკრიბე
და ანგარიშზე 20 ლარი დავსვი. ასე
აღმოჩნდი საჭირო დროს, საჭირო
ადგილზე, მერე კი რეაქტიულით
მოწყვდი ადგილს. ახლა კი იმ ჩემს
მოამაგე, ვაკელ ინკოგნიტო ბიძას
მინდა, „გზის“ მეშვობით ვუთხრა:
გმადლობთ, ბიძია, რადგან შენს
„ცუგრუმელაზე“ მეტად, მე მჭირდ-
ებოდა დასაონსორება და ბოდინი,
რომ ასეთი არააცივილიზებული არ-
გუმენტით ვიმართლებ თავს, მაგრამ
რას „გამიძარიაჟე“, საცოდავ ბიჭს,
20-ლარიანი „ლაი-ლაი“? განძის
მაძიებელი თელავიდან“.

ამიტომაც, ვინ იცის, რამდენჯერ
„მოპფერებია“ ჩემს გვერდებს ავ-
ტომობილი; რამდენი მძლოლისგან
გამიგონია სიგნალს „ადვენებული“
ყვირილი — გაინი, შვილო, რას
მეკვლევივინები, გზას შეხედეო (არადა,
რა უნდოდათ, მე ხომ „გზას“ ვუყ-
ურებდი!..) ვინ იცის, რამდენჯერ
შემშლია სადარბაზო და სხვის კარზე
დამირეკავს ზარი; რამდენჯერ დამი-
ლოცავს ეს მთავრობა (ოღონდ —
მართლა) იმისათვის, რომ ლიფტს
არ გვიკეთებს და 7 სართულის ავლა
ფებით მინევს, ამასობაში თითქმის
ნახევარ „გზავნილებს“ ვკითხულობ.
პირველად რასაც ვფურცლავ, ეს
ინტერვიუა მგზავნელებთან. სული
მელევა, ისე მაინტერესებს მათი ნახვა.
რომ იცოდეთ, როგორ გამიცრუვდა
იმედი, თანაც უკვე ორჯერ, როცა
შენირულისა და კარდიოლოგის
ნაცვლად, მაიმუნმა შემომლია „გზის“
ფურცლებიდან, მაგრამ რას ვიზამ?
ინტერვიუ უნდა ვიკარო. არ შემი-
ძლია, არ აღვნიშნო, რომ ყველა მგ-
ზავნელ-რეჟისონდენტი ძალიან ლამაზი
იყო. ბოლო, გემრიელ ლუქმად კი
„პროვოკატორის“ მინიატიურებს

ვინახავ (მისი ფანი ვარ). PS. ხული-
განკა წუხდა, ვერ მამჩნევნო. განა შეი-
ძლება, შენი არშემჩნევა, ძვირფასო?
აქ ყველას გვიყვარს ერთმანეთი და
არც შეუმჩნეველი გვრჩება ვინმე. თუ
„გზაში“ არ ვწერთ ყველა მგზავნე-
ლის სახელს, სამაგიეროდ, გულში

ომახიანად.
— მდაა... — დაიბნა. — რამდენის
ხარ?
— 19-ის, — ვუპასუხე ამაყად.
დიპლოგი კარგა ხანს გაგრძელდა,
ბოლოს კი ჩაბუჩრებულმა ქალმა
მითხრა, რომ თურმე დაოჯახების

გვარიშვილობას არ ქება), მაგრამ
ჩემს პრინცს საკუთარი თავის იმედი
ჰქონდა და ეგონა, რომ შეძლებდა საკ-
უთარი სიყვარულის დაცვას და მისი
შენარჩუნებისთვის ბრძოლას. თუმცა
ეს ბრძოლა საჭირო სულაც არ იყო,
ჩემთვის. განა არ ვიცი, რომ ძნელია,
მიიღო ოჯახის წევრად ის ადამიანი,
ვინც (მათი აზრით) შეუფერებელია ამ
შემთხვევაში, ილინი მართალი იყო:
ზოგჯერ მგლის შიშით ცხვარი უნდა
განყვიტო, თუნდაც იმიტომ, რომ
ფსიქიატრთან სმირი ვიზიტი და მის
მიერ დანიშნული რეცეპტი აცდეს,
მაგრამ მადლობა უფაღს, რომ დამი-
წუნეს. ძნელია, ვიყო იმ ოჯახის წევრი,
რომელსაც ჩემი თმის ღერის ფასადაც
არ მივიჩნევ, მაგრამ ამ სიყვარულის
მეშვეობით, დამენგრა უდარდელი
ცხოვრება და ახლა მთელი ჩემი დარ-
ჩენილი ცხოვრება ამ ჭრილობების
მოშუშებას უნდა მოვანდომო. ჩემთვის
უსაყვარლეს გამოთქმად გადაიქცა
ეს სიტყვები: იქ მკვდრებს ვაკლივარ
და აქ კი ცოცხლებში არ ვწერივარ.
ნეტაც ისეთი რა დავამაფე, რომ ამხ-
ელა ტვირთი ვზიდო?! ამიტომ მინდა,
ყველა ვერ არ შეყვარებულს ვურჩიო:
ეცადეთ, გონებით გადანყვიტოთ და
გულს არ ენდოთ, რადგან გულით
მიღებული გადანყვიტობა თქვენთვის
სმირად უბედურების მომტანია. PS.
მარი, თუ გქმის ეს ტკივილი, მაშინ
დებეჭდე გრუზინკა“.

დუქანი

„თელაველი ჯონდო მოედანზე იჯდა, მაგარი
მოვრალი „დუქანი“ ლა ჰქონდა და სკამის ზურგზე
იყო მიჯდომილი ამ დროს, ვიღაც ტურისტო ქალები
მოუახლოვდნენ დაინახეს ლა „დუქანი“ და დაიწყეს
სოცლი ჯონდომ ჰკითხა, — ტურისტები ხართო? —
კო — დაათვალიერეთ რამეო? — ვერ არაო —
მერე თქვე ჩემსებო, წადით და ნახეთ, ამ „ჩემსას“
რას მოშტერებხართო? კახელი სალომე“.

ხართ. გერასიმეს დაბრუნება ძალიან
გამიხარდა. გაიხარეთ და ყველას
გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე
დღესასწაულს! კამელია“.

მოსასპობები

„ტელეფონი რეკავდა „გამწარე-
ბული“, ავიღებდი ყურმილს და
მითიშავდა. ასე განმეორდა ოთხჯერ.
მეზუთედ მკითხა: — უკაცრავად,
სად ვრეკავ? — სად და „არასამთა-
ვრობო ფემინისტური მოძრაობა —
საქართველოს ზეციური შვილები,
უსამართლო და გარყვნილი ტი-
რანების წინააღმდეგ“-მეთქი. —
რაო? — გაფუქმორე მთლიანად.
— გოგო, რა არასამთავრობო და
ტირანები აგიტყდა, რაებს უბერავ
და საერთოდ, ვინ ხარო? — ვინ
ვარ და „არასამთავრობო ფემინის-
ტური მოძრაობა — საქართველოს
ზეციური შვილები უსამართლო და
გარყვნილი ტირანების წინააღმდეგ“-
ის დირექტორი-მეთქი. — და რას
ნიშნავსო? — რა, არასამთავრობო
ფემინისტ... — არა, აღარ გააგრძელო,
მიჭვდი უკვეო. — ვაშ! გამოსავა-
ლი ნაპოვნია, მოუტყელეი ხალხის
„მოსასპობად“. ლუნა“.

ვაკანსია

„ამას წინათ მეგობრები შევიკრი-
ბეთ. ყავას ვსვამდით, ვჭორაობდით...
ნუ, „სასონარკვეთილი დიასახლისე-
ბის“ მორიგი თავშეყრა იყო. უეცრად
ერთმა მითხრა: — იცი, სტუდენტების
დასაქმების სააგენტო გაიხსნა, ნომერს
მოგცემ, იქნებ გამოგადგესო. მეც
დავრევე

- ალო!
- დიას, — გაინაზა ხმა ვიღაც
ქალმა.
- ვაკანსიები გაქვთ? — ვკითხე

ცენტრში ვრეკავდი. როგორც აღ-
მოჩნდა, ეგონა, რომ კაცების ვაკანსია
მინტერესებდა. იქ რა ამბავი და
წივილ-კივილი დავატრიალე, ეგ
ცალკე თემა. ახლა ვფიქრობ, მე რა
გავუწალიჩო, რომ ანგარიში გავა-
თანაბრო. ვირუსა-89“.

დესტრუქციულად ინდიფერენტული

„ერთი ლექტორი მყავს, გასათხო-
ვარია და ამასთან ერთად, ფემინის-
ტიცაა, მაგრამ მაინც კაი „ტიპშაა“.
ჰოოდა, ერთ დღეს ჩვენს აუდი-
ტორიაში არეულობის შემომტან
ძალებს (სამიოდე ბიჭს) მიმართა,
დესტრუქციულები ხართო და ერთ-
ერთს უთხრა, აუდიტორია დატოვეო.
აღნიშნული ობიექტი უკვე 2-ჯერ
იყო დელიკატურად გაგდებული
ლექციიდან და „აშშეთოვანებულმა“
იკითხა: — კი, მაგრამ ჩემგან რა გინ-
დათ, პატივცემულოო? — შენგან —
არა, ყველასგან მინდაო, — უპასუხა
დესტრუქციულად ინდიფერენტულ
სტუდენტს ლექტორმა. ვირუსა-89“.

ტკივილი

„მინდა მოვეყ სიყვარულის ისეთი
ტკივილიანი ამბავი, რომელიც ღმერ-
თის მიერ შექმნილმა ცოდვილმა
ადამიანმა ჩემ მიმართ ჩაიდინა. ვინ
მოიგონა ეს ტელეფონი და მესი-
ჯები, რომლითაც ასეთი უბედურება
დამატყდა თავს და ის ადამიანი გავი-
ცანი? საკითხავია, ნეტავ რისთვის, რა
დავამაფე? განა თავიდანვე არ ვუთხარი,
რომ ჩვენ შორის მხოლოდ მეგო-
ბრობა შესაძლებელი, რადგანაც ილია
ჭაჭყავაძე ტყუილად კი არ წერდა,
— ხიღია ჩატყბილი ჩვენ შორისო
(თუმცა ამ შემთხვევაში ეს მონათხრობი

პატარა ჯადოქარი

„ამას წინათ გაჩერებაზე ავტო-
ბუსს ველოდი, ძალიან ცუდ ხა-
სიათზე ვიყავი, წვიმამ კი უფრო
მეტად „დამგრუნა“. არავის დანახვა
არ მინდოდა, არადა, ერთ დროს
როგორ მიყვარდა წვიმა! ხელები
ჩანთისთვის მქონდა ჩავლებული,
მთლიანად ვკანკალებდი და წვიმისგან
და სევდისგან ცრემლებიც კი წამო-
მივიდა, თუმცა ამას მაინც ვერავინ
შეამჩნევდა, რადგან მთლიანად სველი
ვიყავი. როგორ მინდოდა, ვინმე ყო-
ფილიყო ისეთი, რომელიც გულში
ჩამიკრავდა და დამამშვიდებდა.
მოულოდნელად, ჩემ წინ პატარა ბიჭი
გაჩერდა, ასე 10 წლის იქნებოდა,
მოზუხული, საოცრად ლამაზი თვა-
ლებით მიცქერდა. მიჭვდი, ჩემსავით
ცუდად იყო. ხელი, რომელიც უკან
ჰქონდა დამალული, გამოიმინოდა და
დავინახე, ლამაზ ყვავილებს მჩუქნიდა.
მოულოდნელობისგან გავშეშდი, მან
კი ყვავილები ხელში ჩამიღო და
გაიქცა. გაოგნებული დავცქეროდი
თაიგულს და ცოტა მაკლდა აბლა-
ლებამდე. მაინც შეძლო, შეძლო
ვიღაცამ ჩემი გულის გახარება!..
ყვავილები გულში ჩავიხუტე და
ავტობუსშიც ვეფერებოდი. სათუთად

მაქვს შენახული, მაგრამ ჩემი გულ-
მავინყობის შემრცხვა, რადგან გამახ-
სენდა, იმ ბიჭისთვის არც მადლობა
გადამიხდია, არც სახელი მიკითხავს.
პატარავ, ძალიან დიდი მადლობა
ჩემი გახარებისთვის! ლორელია“.

ცრუ

„კურსზე 4 გოგო ვიყავით, ოთხ-
ივე გავთხოვდით და მაგრად დაგ-
მეგობრდით ოჯახებით. გელა და
ნინო სუპერცოლ-ქმარი და ჩვენი
საუკეთესო მეგობრები არიან. ერთ-
მანეთის გარეშე არსად დავდივართ.
საქეიფოსაც რა გამოგვიღვეს?! ჩემს
ქმარს თანამშრომლებთან ერთადაც,
ხშირად უწევს ქეიფი. რამდენიმე
მათგანს გელაც იცნობს. გუშინ მე და
ჩემი მეუღლე თანამშრომელმა თავის
მეუღლესთან ერთად, მახინჯაურის
რესტორანში დაგვპატიჟა (ნუ, დონეა,
რა...) ამ დროს გელამ დაგვირეკა: —
სად ხართ, ქეიფს ხომ არ აპირებთ?
— არა, ბიჭო, რაის ქეიფი, ძალიან
დაღლილი ვარ და არაფრის თავი
არ მაქვსო, — უპასუხა ჩემმა ქმარმა.
სინამდვილეში, უკვე წასასვლელად
ვემზადებოდით. როცა რესტორანში
მივედით, პაატამ (თანამშრომელი)
გვითხრა: რომ მოვდიოდით, გზაში
გელა შეშვდა და მკითხა, — ასე
გამოპრანჭულები სად მიდიხართო?
მეც ვუთხარი, შალვასთან ერთად,
საქეიფოდ მივდივართ-მეთქი. —
აბა, თქვენ იცით, კარგად იქეიფეთო.
თურმე ამის მერე დაურეკავს ჩვენთვის
და რომ ვიცრუეთ, მაგრად გაუტყდა.
ამას ჰქვია — ტყუილს მოკლე ფეხები
აქვსო! ჩვენ კი „სვანურ კოსმუმი“
ისეთი ანგარიში მოგვიტანეს, ათჯერ
ვიქეიფებდით „ქიზიყმი“ და „დაჟე“
„აჭარულ სახლშიც“. აბლაბანუმი“.

ცისფერსისხლიანი

„გახსოვთ, ჩემი მორუსულე
ჯგუფელი? :) მართლა „ანტიკვარია“!
ამას წინათ მეორე ჯგუფელს ჩემს
წარმოშობას „უმარიუბები“: ცის-
ფერსისხლიანი (არისტოკრატი) წინ-
აპრები მყავდა-მეთქი. ეს „ანტიკვარი“
მისმენდა და გულთ მთხოვა, ხელს
რომ გაიჭრი, მაჩვენე შენი სისხლიო.
:) ნუ, რაც მე თითებს ვიჭრიო!
არადა, სად მაქვს დასაღვრელი ცის-
ფერი სისხლი? :) P.S. წინა ნომერში
მგელკაცსაც მე მივმართე და კახელ
მგზავნელებსაც მე ვარ მაგ დიდ-
ბული კუთხის სისხლი და ხორცი!
PPS. მარ, ჩვენს დედულეს გაფიცვბ,
დამიბეჭდე პარიუანკა“.

დაჩაგრული

„აუ, მარ, ეს რა მიქენი, რა სა-
თაურით დამიბეჭდე გზავნილი?!

დამლუბე, ქალო, ეს ახალგაზრდა
გოგო?! ისე მოხდა, რომ ის გზავნილი
ნაცნობებმა წაიკითხეს. რა თქმა
უნდა, მიცნეს და დაიწყო... მარიც
კი მიხვდა, სინამდვილეში რაც ხარო.
გადამაქციეს ეს შველივით გოგო,
ბატ ტასიკოდ. ეჰ, ბედი არ მაქვს,
რა... (ახლა „მარშრუტკაში“ ვზივარ,
სამეგრელოსკენ მივექნები და ერთი
სული მაქვს, როდის ჩავალ, მაგრამ
ვაი, ამ მგზავრობას! ადგილები არ
არისო და დამატებით სკამზე დამ-
სვეს. ვინმეს მაინც ევფენტლმენა... არა,
გენაცვალე, ვერაფერს ვხედავთო...
უკან 2 გოგო ზის. მგონი, დანა-
ძღვედნენ, ვინ უფრო იხმაურებსო,
თან „კვს“ საშინლად იღვებოან. ლამ-
ისაა, ყურში ჩამაფურთხონ. ცოტაც
და ვიფეთქებ, ვზუვის ვულკანივით
და მერე ნახავენ სეირს. ვაი, „გზაც“
ამხიეს, ტო!.. ვიღაც ცუდად გახდა
და ჩემს „გზას“ უფრიალებენ. დამი-
ბრუნეთ! ჩემია! აუ, მარ, ცოცხალი
თუ ჩავედი, იმედია, ვნახავ ამ მესიჯს
დაბეჭდილს. ისე, რა თება გაქვს, არ
ვიცი, „გზა“ წამართვეს. :) ასე რომ,
რასაც ამ წუთში ვგრძნობ, ის მოგ-
წერე მეგრელკა“.

ვისია ეს ბიჭი?

„ჰეჰ, ქართველი კაცების 90%
მატყუარააო, არა?.. მგონი, უმ-
ცირესობაში მოცვენი. რატომ? აბა,
მომისმინეთ და მიხვდებით, რატომაც.
ამ კვირაში 3-ჯერ დამათვრეს. აქედან
2-ჯერ გავილახე (სულ 5-ჯერ მცემეს,
მაგრამ 3-ჯერ ფხიზელი ვიყავი).
ჰოდა, მოვდიოდი გუშინ, კარგად
„შელამაზებული“. ქუჩაში გოგო
მომეწონა. ძლივს ამოვიბლუყუნე, —
გამარჯობა, ლამაზო-მეთქი (თან სის-
ხლს და კბილებს ერთად ვიფურთხ-
ებოდი) ამხედა, დამხედა და გამიცინა,
— ვისი ბიჭი ხარო? თან ხელი
გამომინოდა. გამიხარდა, ვმთხვევი
ლამაზ თათუნაზე-მეთქი, მაგრამ —
შენც არ მომიკვდე! თურმე ხურდას
არ მაძლევს! როგორ ფიქრობთ, რას
ვიზამდი? მივახვევდი სახეში ამ ხურ-
დებს, დედის გინებით, არა? ე მანდ
შეცდით, ბარბაროსი ხომ არ ვარ!
რა ჯენტლმენის საკადრისია ასეთი
საქციელი?! აბა, რა ვქენი? რა ვქენი
და... ღმერთმა დაგლოცოს-მეთქი!
— ვუთხარი და ფართხაფურთხით
გავიქეცი უახლოესი „ბუტკისაკენ“
(აბა, მალაზიაში ვინ შემიმეზბდა, რას
ვგავდი) ჰოდა, იმ თქვენს დაწუნებულ
ხურდაში „მდ“ და არაქისი მომივიდა.
ოჩოპინტრე“.

მარტო სახლში-1

„მარ, იცი, ახლა რას ვაკეთებ?
თან „გზავნილებს“ ვკითხულობ, თან
სააღდგომო კვერცხებს ვღებავ, საჭ

მელს ვიზადებ, ვმესიჯობ, მუსიკას
ვუსმენ, ბოლო ხმაზე და თან ვცეკვავ
:) ეს იმიტომ, რომ სახლში მარტო
ვარ მთელი დღეა და როგორც
ვამბობ ხოლმე, მთელი სამეზობლო
„დავიმზე თავზე“. :) აუ, „რწყილი და
ჭიანჭველა“ აჭარულად, მაგარი იყო.
იმდენი ვიცინე და ვიხტუნე, ლამის
ფანჯრიდან ვისკუპე, აბა! :) ისა
დაა... მომდევნო ნომრის თება რა
არის? :) რალაც ხომ არ დაგავინყდა,
„გზავნილების“ დედოფალო? :) P.S.
ისე, მაგრად გამიხარდა, კამელიამ
მეც რომ მომიხსენია „გზავნილეთის“
„სახელმწიფოში“. ასე მგონია, ფრთე-
ბი გამომეხსა სიხარულით და ახლა
ნამდვილად ვისკუპებ ფანჯრიდან. :)
PPS. აუ, მოვრჩი ახლა სისულელეებს,
თორემ მარი ამასაც აღარ დამიბეჭ-
დავს. :) აფხაზეთის პრინცესა“.

პოლიტორიენტაცია

„ერთ ცინცხალ ამბავს მოგიყ-
ვებით. მეცადინეობაში გართულს,
დაიკო დამადგა თავზე — უნდა გა-
კოცოო. კი გამიკვირდა, არ იცის ამან
ეგეთები, მაგრამ... მოკლედ, დამაკვდა
ლოყებზე და მერე — „ნიჭმი“ უნდა
გაკოცოო! — და შუბლზეც მეამ-
ბორა. :) სიამოვნებისგან დამდნარმა
გავაგრძელე განათლების დონის
ამაღლება. :) 1 საათში კარზე დარეკს.
ლილინით გავმართე გასაღებად და
ხელში ერთ-ერთი პარტიის („გვარს“
არ დავასახელებ) აგიტატორი შემ-
რჩა. არც შემომხედა, ეგრევე მაჯახა:
თქვენი პოლიტორიენტაცია, პირა-
დობა, ხელმონ... — და აქ ასწია
თავი. ჯერ სათვალე მოიხსნა, მერე
გაიკეთა და დამაკვირდა. — სახლში
უფროსი არააო (ალბათ უნდოდა
ეთქვა, პატრონი არა გყავსო?) მერე,
— უკაცრავადო, — და ზევიტვენ
„დაწვა“. :) გაოცებული შევბრუნდი
და ჰოლში დაკიდებული სარკისკენ
გავაპარე თვალი. საკუთარ ტუჩებს
თუ არ ჩავთვლი, კიდევ 6 მუხატა
სახეზე, დაიკოს წითელი პომადით.
:) ეჰ, რა აგიტატორი დავარგეთ!..
ანი, ჯონდის პარტიიდან თუ მოვა
ვინმე, მარტო მას გავუღებ კარს. :)
P.S. ოჩოპინტრე, ლორეს ჩემი ნომერი
გამოართვი, მე 11-ის 10 წუთზე
ვიძინებ. :) პარიუანკა“.

ქირა

„იცი, ახლა რაზე ვფიქრობ?
ნეტავ, ერთ დღეს გავიღვიძო და
მასარონ, — გაქვს უფლება, რომ
შენს მაროორიტასთან ინტერვიუ
ჩაწეროო. ვაიი, ამისთანა რამე
რომ გავიგო, ალბათ სიხარულის-
გან გული დამარტყამს. :) მარ,
შენს შესავალზე ხომ ვაღვარდვარე
სიცხლის ცრემლი და მერე კამე-

ლის მესიჯზე დავაგვირგვინე და დავისივე თვალეზი (მასთანაც დიდი სიაზოვნებით ჩავწერდი ინტერვიუს). მე ამ გზავნილ-ქალაქში არც მოქალაქეობა მაქვს და არც მუდმივი საცხოვრებელი. არადა, როგორ მინდა „ბინა“, გავწყდი ამ „ქირის“ „ფულებით“. :) მართლა ბედნიერი ვარ, რომ აქ „ქირით“ ყოფნის უფლება მაინც მაქვს. რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, თუ დამაგვიანდა? არასრულწლოვანი ვიყავი, ცუდმა „კონსულმა“ კი „ვიზა“ არ მომცა?! :) ბევრი ვიბოდიალე, ხომ?... ისე, თემა არ გვაქვს თუ მეჩვენება? :) მაგრამ სულ თემა არ ხარ შენ, ჩემო ძვირფასო მარორიტა?! გენაცვალე მაგ უზომოდ თბილ გულში... კამელია, ჩემი ფავორიტი ხარ. გენაცვალეთ ყველას. გკოცნით და გეხვევით, თქვენი ამაზონკა“.

„გაბრტყელებიზაცია“

„მარ, უნდა გაიბო, რა ხდებოდა ეკლესიაში. :) „სახარების“ მოსასმენად მივიტანე სანთელი და ცოტა შემავიანდა. ჰოდა, ხალხში გზა როგორ გავიკვლიე, აღარ მახსოვს. მერე დაიწყო ჩემი ფეხის „გაბრტყელებიზაცია“. :) ერთმა მოხუცმა — უფასო მასაჟი კი დავირტყიო, — ჩაილაპარაკა. ერთმა — ვაიო, (სანთელი მოხვდა თვალში!) ზოგს თმა ეტრუსებოდა, ზოგს — გული მისდიოდა. ვინ ვის არიგებდა ჭკუას, ვერ გავიგე :) კარგი აურა იყო, ძალით გამომათრიეს ეკლესიიდან, აღარ მინდოდა წამოსვლა. ყველას ვულოცავ ქრისტიანულ დღესასწაულებს! ვერმახტი“.

ბურატინო

„მარი, იცოდი, რომ თბილისში მოსიარულეთაგან, 90% დალტონიკია? ბურატინოს ქუდი ხომ გახსოვს? აი, ისეთი ქუდი და კაშნი მაქვს, ყვითელ და ყავისფერ ზოლებში. გავივლი და ყველას „ბილაინი“ აკერია სამეტყველო აპარატზე. არაა, ბატონო, „ბილაინის“ ფერები, ყავისფერია, ყავისფერიიიი! გამაგიჟებს ეს ხალხი! ან ფერების ცნობა ისწავლონ, ან საერთოდ, ნუ გამოვლენ გარეთ, ან... აააარა, არა, მარი, მაგას ნუ მეტყვი, ჩემს ქუდსა და კაშნეს ვერ შეველევი! მით უმეტეს, რომ 20 გამვლელიდან 2 მაინც მეკითხება — სად იშოვე, გოგონა, ეს ქუდიო? :) არადა, დედიკომ მომიქსოვა. მოკლედ, დიდად ვარ „აშხ“ თუ „აღშ“... „კაროჩე“ — „ფოთებუღი“... ნელან გზაში პატალა გოგონა შემხვდა და დედას შესცინა — დე-ე, ნაქე, ესა ბაია გოგო ბულატინოაო. :) ილინი“.

მძლოლის მძლოლი

„სად გააქრე, მარამ, ბოლო სიტყვა? ან ახალ თემას რატომ არ გვთავაზობ, ძვირფასო? თუმცა, რა საჭიროა? ჩვენ ხომ ყველაფერზე შეგვიძლია მოგწეროთ. დიდი ხანა, ვლარ გეკონტაქტებით, მაგრამ ყოველთვის თვალყურს გადავწვებთ ახლა წაფიკითხე, გზავნილები როგორ ოცნებობენ, შენი მესიჯი მიიღონ. მე კი მათ ვეცვი მართლაც ძალიან სასიამოვნოა, შენი ყურადღების მოპყრობა შეიძლება, ვერც კი გაიხსენო ახლა, მაგრამ მე ბევრჯერ მიმიღია შენგან, სითბოთი სასვე მესიჯი და წლობით არ ვშლიდი სიხარულო, გახსოვს, ჩემი ცოტნეს ფოტო რომ გამომიქვეყნე? ახლა უკვე 2 წლისაა და უაღრესად ჭკვიანი ბიჭია. ეს წუთია, ვხედავ, ენას მიყოფს თითი დაფუქიე — აბა, როგორ იქცევი-მეთქი? მან კი მიმანიშნა — დედა, შენ — არა, ამ ბაიასო „გზას“ ვკითხულობ, ცოტნე კი თურმე იმ ენაგამოყოფილ, ბრძენ ბიჭს ეთამაშება, „გზავნილების“ ძირზე რომაა „მისკუბუბული“. ახლა მესიჯს გწერ და ერთი საკაიფო რაღაც გამახსენდა გუშინ ჩემი მეუღლის მეგობარი ეწუბებოდა თავის მძლოლს ბიჭო, რთ ვერ შეიგნე, სადმე (ქვიეს გულისხმობს) რომ ვართ წასული, შენ ჩემზე მეტი კი არ უნდა დალიო, რომ მერე სახლამდე ჩემი მისაყვანი გახდე შენ ჩემი მიყვანა გველაბო მძლოლმა უსმინა და საწყლად უპასუხა დავითი, ამდენს რატომ ვდაობთ, ერთი კაი მძლოლი ავიყვანოთ და ორივე კმაყოფილი ვიქნებითო დაბოლოს, მარ, ელისო ახალციხეში არაა დროებით, მაგრამ იქნებ მოგინდოს კიდევ აქეთ ჩამოვლა და მე შემეხმინე ინგა“.

აუქაფებელი

„როგორ ხარ, მარი? თემა არ ვიცი, მაგრამ ახლა ნაცნობმა ერთი კარგი ამბავი მომიყვა. დისტრიბუტორი შესულა მალაზიაში და გამყიდველისთვის უთქვამს — „ქოლგითი“ მაქვს, „არიელ კოლორი“, საწები, პამპერსები და რას აიღებო? ქალმა უპასუხა, — ყველაფერს ავიღებ, „არიელის“ გარდაო. — რატომო? — იმიტომ, შვილო, რომ კარგა არა ქაფდებაო. — ეტყობა, წყალი არ გივარგათო (გურჯაანში ხდება ეს ყველაფერი) — არა, შვილო, რას ამბობ, ახლა ახალი „ტრუბები“ გავიკეთესო (ანუ, გამოცვალეს) — მაშინ, დეიდა, ადექი და თქვენც ცოტა „ფერი“ ან ჟელე ჩაუმატეთ და აქაფდებაო. თავიდან კი დაეთანხმა, მაგრამ მერე, რომ მოწვა, სულ უკან მიაყარა ყველაფერი. დეა პოლუს“.

ჩანახტი ქუთისზე

„ის იყო, „გზა“ ვიყიდე და ფურცელა დავიწყე, მობილური ანკრიალდა. უცხო ნომერს რომ ვხედავ, უკვე ვხვდები, მორიგი მგზავნილია. :) ზოგი მლანძლავს და ჩემს მესიჯებს აკრიტიკებს, ზოგს მარი ჯაფარიძის გამოგონილი ვგონივარ, ზოგიც თბილ სიტყვებს არ იშურებს (რაც მართლა მხარებს). ჰოდა, დღესაც ერთი „ზემლიაკი“ შემეხმინა და

ქუთაისის შეურაცხყოფაში დამდო ბრალი. „რატო, სულ ქუთისლებს რო დაგვცინი? ხომ ხედავ, ქალაქს გვიშენებენ, ქუთისელ კაცს ეგ არ გკადრება“. ამ უკანასკნელმა ისე ჩაიხვია, პასუხიც ვერ გავუცი. იდეა კი კარგი მომანოდა და მეც ქალაქის მშენებელ-აღმშენებლებზე მოგითხრობთ. იმეღია, მარი ჯაფარიძე ამ მესიჯს ძველი თემის გამეორებად არ ჩამითვლის. მამ, ასე ქუთისელები რომ ყველასაგან განცხვავდებით, ეს ბევრჯერ მითქვამს და არავისთვისაა ახალი. გაგელიმება, როცა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მზად მყოფი გოგონა თავგამოდებით გიმტკიცებს, რომ „ბაში აჩუკში“ მთავარ როლს ცნობილი მსახიობი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ასრულებს. ჩვენთან არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ზუსტად იციან, რომ ბადრი პატარკაციშვილი ცოცხალია. უბრალოდ, მან თავი ცოცხლად დაიმარხა, მინაში მშვენივრად ნებივრობს და სულ მალე, პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოგვევლინება. როგორ შეიძლება, არ იამყო ქალაქით, სადაც გაქვს ბედნიერება, ხედავდე უკბილო, უხორცო „ქედნებს“ ან ჭარბორცქონიან „დათუნებს“, რომლებიც ქუთაისელი ბიძების საოცნებო ნაშებად არიან აღიარებულნი და თვალსა და გულს უხარებენ წითელ ხიდზე ამეღელ-ჩამომვლელთ. ვამაყო, ცენტრალურ ბაღში აღმარ-

თული, ნითელი შეფერილობის ხით, კონტრასტებით საესე ბაზრით და მოტოციკლეტის გაუმართავი ძრავას უღერადი ჰანგების სმენით. მთავრობა და მათი მოხელეებიც შესაფერისი გვყავს! უურნალისტობის ყოველგვარ სურვილს დაგაკარგვინებთ ჩვენი გუბერნატორის პრესმდივანი, რომელიც პატივს გვდებს უბრალო მოკვდავთ და, მშობლიური ხონის ტელევიზიით გამოსული, შემდეგ ამბავს გვამცნობს: ქალაქ ქუთაისის მერმა მონინახულა მშენებლები, რომლებიც თავგამოდებით ცდილობენ, სწრაფად

დაასხან ბეტონი. მერმა მათ სანაქებო ბიჭები უწოდა და ხოტბა შეასხაო!.. — პროგრამის დასრულების შემდეგ კი ეს უკანასკნელი ამაყად დააბიჯებს ქუჩაში. კიდევ მეტყვიან, ქუთაისის შეურაცხყოფო. :) უბრალოდ, ასეთია მომავალი უურნალისტის თვალთ დანახული ქალაქი. :) P.S. მესიჯი კი დაგამთავრე, მაგრამ ახლა ის მექცა თავსატეხად, მარის ვინ დაფავიცო, რომ ამ პროვოკატორულ მესიჯს ვეტო არ დაადოს. :) თქვენი ლეო91“.

„გზის“ კაიფი

„გზავნილებს“ აივანზე ვკითხულობდი და სიცილისგან (ეს ხომ აუცილებელი „ატრიბუტია“) ვიხეოდო. მეზობელმა გამოიარა და მკითხა, რა გაცინებსო? „გზა“ დაფანახვე, ხმაამოუღებელი უკან მეორე მეზობელი მოჰყვებოდა. ვერ დაინახა ჩემი უსტი და — რა აცინებსო? — იკითხა. — რავე, კახეთიდან პლანი ჩამოუტანია დაააააო... სალამოს მთელი უბანი მომადგა, სრული შემადგენლობით: ერთი „მასტირკა“ გეწება და, თუ და ხარ, უარი არ გვითხრაო... მეც, რა უნდა მეთქვა?! ავიღე და 3 ცალი „გზა“ გადავუხვიე აპა, გაუვიდეთ, მაგარი კაიფი მოაქვს-მეთქი. პირები კი დარჩათ ღია, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგეს. დღეს „უნიში“ რომ გავბოდი, გზაში ერთ-ერთი შემხვდა და სულ პლანის „ჟმოტი“ მეძახა. :) ილინი“.

ლორდი

„მარი, შენს ქვეყანაში ანუ გზავნილეთში ლორდი გყავს? არა! მაშინ, დღეიდან ახალი წვერი შემოგემატათ, ჩემი ანუ ლორდის სახით. ჰოოდა, რის თქმას ვაპირებდი: ერთხელ უბანში ჩემი ძმაკაცები „დაბოლდნენ“. მაშინ ორმა პირველად მოსწია და ზედმეტი მოუვიდათ. უყურებენ ერთმანეთს და ერთი გაოცებული ეკითხება: ბიჭო, რაღაც სახე დაგელრიცა და რატომო? ამან კიდევ — აუ, ბიჭო, შენც ეგრე გაქვსო! მე კი ძმაკაცს ვკითხებოდი მათზე, — სად წავიდნენ, როგორ გაქრნენ, ბიჭო, რამე არ მოუვიდეთ-მეთქი. ესენი კი ყვიროდნენ — აქ ვართ, ბოზი ვიყო! ჩვენ ჩვენსას მიჯვრებოდი და მაინც არაფერს ვიმწნევდით. ისე „დავგრუხეთ“, რომ მათთვის ეს მოწვევა პირველი და უკანასკნელი იყო. ლორდი“.

სუპერფანი

„მოკლედ, რას გვიშვრება ეს „გზავნილები“ და მარი, ჰა?! :) ვერ იყო და, დედამ და დამ შეშლილად ჩამთვალეს, როცა შევაგროვე ყველა „გზა“, რაც მქონდა, გავიფინე წინ და „ურნალი უურნალში“ სულ ამოვიღე. მერე დაფამაგრე, რომ არ დამლილიყო და ჩანთაში ჩავანყვე. რა თქმა უნდა, არც ძველი „გზავნილები“ დამვინწყია. ვერ მინდოდა, „გზავნილები“ ამომეჭრა, მაგრამ მერე უურნალის „გაუბედურება“ დამენანა. ამიტომ, არც ვაციე, არც ვაცხელე და ისინიც რიგრიგობით ჩავუძახე ჩანთაში. ჩანთაში — რატომო?.. სტუდენტი ვარ, სოფლიდან მოვდიოდი თბილისში და ამიტომ. აუ, ჩანთა ისეთი იყო,

„პრიკოლნახევარა“

„ბებია მეცა, მთლად „პრიკოლი“ არაა, მაგრამ „პრიკოლნახევარა“ აშკარად ჩემი „პრიკოლნახევარა“ ბებუცი დასავლეთში ცხოვრობს და ხანდახან გუკითხავს მონატრებულ ვაიშაამომავლობას ჰოდა, ერთხელ დაჰკრა ამ ჩემმა ბებუციმ ფეხი და ჩამოვიდა თბილისში. ვერაფრით ისწავლა სახლის გზა და ახლაც როგორც ყოველთვის, ბიძაჩემს დააკვლიან ჩემი სახლისკენ, ვაზისუბანში ჩასვა „მარშრუტკაში“ და მძლოლი გააფრთხილა, — „ტრუბასთან“ გაუჭერო (სადაც მე უნდა დაფეხდარიდი). ამ მძლოლს სულ გადავწყვიტე ეს ჩემი ბებუცა და სულ ციმციმ მიიყვანა თურმე ბოლო გაჭერამდე მე კი მოთმინების მსოფლიო რეკორდი მქონდა დამყარებული და უკვე საკუთარი რეკორდის მოხსნას ვაპირებდი, რომ ჩემს ფეხებთან დიდი სიჩქარით მქოლავდა „მარშრუტკაში“ „დაატორმუზა“. გონს რომ მოვედი, ვერ „ფორთოქიდან“, მამის მკვლელის თვალებით მაცქერალი მძლოლი დავლანდე და მერე ფანჯრიდან ბებიჩემის გაბადრული სახე „დაქამოტრე“. ყველაფერს მიფხვდი. ისეთი სიცილი ამიტყდა, მძლოლმა თვალები დაქაჩა მერე კი თვითონაც ჩაბურდა — ჩემი ბოლო რეისი იყო და ბებიაშენის გამო ისევ მომინაო ჩამოსვლამო, — დამანამუსა — კარგად გოუფრთხილდი, 10 წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, აღარც დაგიბრუნებდიო :) ეჰ, ბებუცა ახლაც ისეთ „ვიდზე“ დგას და ისეთი ნარნარი „პასოდკა“ აქვს, თვალები მაგ ბებერს კი არა, კაი ახალგაზრდა ბიჭებსაც დოუდგებათ :) ასე ჩაკომლიმენტებული ბებო ავიყვანე ბინაში თუ არა, ვერ ლიფტის მომგონი „მოიკითხა“, მერე — ჩემს ოთახში გაკრული პლაკატები და კინალამ მეც მიმაცოლა „50 ცენტის“ კლიბ ვაყურებინე და იმ მომენტზე გამახვილა ყურადღება, ცეკვისას „იმ ადგილზე“ რომ იკადებენ ხელს რა სჭირთ, ბებო, ამით, რომ ჩამოიბრდლენეს, ასე ექვებათო?.. ღამე ხანდახან ვარსკვლავების თვლიერება უყვარს მამაჩემს, დურბინდით ჰოდა, იმ ღამესაც არ დაიფინა ტრადიცია მამიკომ და „მამოიხილა“ ცის კაბადონი ბებია დამეჭვებულმა ამომხედა — რას აკეთებსო? — მერე გაჩვენებ-მეთქი, — შეგბრდი მორჩა თუ არა მამიკო თვლიერებას, დაფაღე დურბინდს ხელი და ბებო იმ ფანჯრისკენ გაფახდე სადაც ცოლ-ქმარი ერის გამრავლებით იყო დაკავებული დაინახა თუ არა ბებია ეს წყვილი, ერთი კი ჩაილაპარაკა, — მჭი კი დაფაყრე ჩემს სიძეს, აი, თურმე ყოველღამე რატომ არ იბოძრებს თვალებიდან დურბინდსო! გაბრაზდა სასტიკად და სანამ არ ვუთხარი, რომ ვებუმრე მანამდე უბღვრდა სიძეს თავისი შავი თვალებით ლიმონ-მანოუ“.

მიმიქარავს ჯარისკაცის „რიუგზაკი“, მაგრამ მე გმირულად ვიტანდი და სულ ციმციმ ავიტანე მეცხრე საავადმყოფოდან ტაბიქემდე. მეორე დღეს, დამიმთავრდა თუ არა ლექციები, გამოვწეთე სახლისკენ, ჩაფუჯევი და რა ჩაფუჯევიიი... ისეთი სისხარბით ვკითხულობდი, თითქოს პირველად მენახოს (არ გატყუებთ), კითხვა დაფაშვებ, ნუ იტყვი... ბოლოს მივადექი 2007 წლის „გზაწინაგზა“ და... ოჰო, „მობილი-ზაციაში“ მონასტრის ბიჭი არ გაიჩინა?! თან თავის ნომერს აცხადებდა. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე, გამერისკა და ერთი მგზავნელი გამეცნო, თან — საკმაოდ ცნობილი. დიდი ამბით ავკრიბე ტექსტი, გავგზავნე, მაგრამ „შეგდა ვირზე“ ჩემი მობილი და არ იგზავნება. გვიან მივხვდი და ანგარიში შევამოწმე. რა ჩაგირიცხავს, რას ეძებ?! კიდევ კარგი, გვიანი იყო. ბეზიკოს „ჯაგლაგი“ მობილი მოვიპარე და ჩემს ოთახში ჩავიკეტე (ვითომც აქ არაფერი). უჰ, კაცს რომ ბედი არ ექნება! ნომერი გაუჩუქებია, ახალმა პატრონმა კი, — ვერაფრით დაგეზმარებო, მომწერა. (ასე დამტოვა გალიმბული. ძლივს გავრისკე და... მერე უცნობისთვის ბოდისის მოხდას ვაპირებდი, მაგრამ ჩემს გაგზავნილ მესიჯებს გადავხედე და ვნახე, რომ სიჩქარეში საშინელება მიმიწერია. ისე შემრცხვავა... ვლარაფერი მივწერე. ალბათ იფიქრა, გარეკილია ვი-

ლაცაო და არც გამიკვირდება. ჰოდა, ახლა შემთხვევით მინდა ვისარგებლო და მონასტრის ბიჭის მეგობარს ბოდიში მოვუხადო. ჯერ იმიტომ, რომ ლამის 12-ის ნახევარზე დაგაფთიანე და მეორეც — ისეთი აბსურდული მესიჯით. რა ვენა, ჩემო კარგო, მთლად ჩემი ბრალიც კი არაა. :) ჰო, მართლა, უსაქმური კაცის ამბავი ხომ იცით? მეც მასეთ დღეში ვიყავი და გადავწყვიტე, ყველა მგზავნელის ნიკი ამომეწერა. რა გამომივიდა? 4 ფურცელი გავაგვ, თან აქედან უმრავლესობა — ხშირი მგზავნელია. ეს რამდენი ცოფილვართ?! თქვენ გაიხარეთ და იმრავლეთ ერთიორად! შეწირულს კი მინდა ვუთხრა, რომ მაგარი ადამიანია. მართლა! ლეო?! კი მხიარული და საკაღი ბიჭია. დანარჩენებიც მაგრები ხართ. გაკოცეთ ყველას, ვისაც გინდათ. :) თავუსულა“.

პატივცემი

„პრივებები!“ როგორ ხართ? მე? აბა, როგორ ვიქნები?! ამ კვირაში „გზა“ ვერ ვიყიდე და ვერ ვიცინე თქვენს მესიჯებზე. ჩვენთან ხუთშაბათს თუ არ იყიდე, მეორე დღეს უკვე ყველა ნომერი გაყიდულია (აბა, როგორ უყვართ თქვენი ურუნალი ბათუმში!). ჰოოოდა, აზრზე არ ვარ, რა თემა აირჩიეთ. ამიტომ დღეს თავს უფლებას მივცემ, მოგიყვებ ის

ამბავი, რომელიც ორი დღის წინ ჩემს მაგარ დაქალს შეეძინა. ამაზე ორი დღეა, ვიცინი და ეგებ თქვენც გაგაცინოთ: ჩემი მეზობელი ანუკი სკოლაში მამამის დაჰყვება, მანქანით. ჰოდა, მეორე მეზობელმა, თოკამ სთხოვა, დილით მეც წამოგყვებითო. მეორე დილით, სკოლაში წასასვლელად რომ გაემზადენ, თოკასაც დაუძახეს. თოკამ მანქანის უკანა კარი გააღო და რომ ჯდებოდა, უთქვამს, — მგონი რვეული დამრჩა, ახლავ მოვლო, — და კარი მიუფახუნებია. მისი ნათქვამი არც ანუკის, არც მის მამიკოს არ გაუგონიათ. ეგონათ, რომ ბიჭი მანქანაში ჩასკუბდა და — სკოლისკენ ჰერი, ჰერი!.. ჰოდა, სახლიდან გამოსული, გაოგნებული ბიჭი დიდი სიჩქარით მიმავალ მანქანას გაჰკიდებია, მაგრამ რას დაეწოდა?! ასე გააცდინა თოკამ სკოლის ერთი დღე და ასე დაიმსახურა ანუკის მამამ თოკას ბებიის წყევლა. ასეა, ბატონო, ცოტა ყურები თუ არ გამოვიფხიკეთ, ცუდადა ჩვენი საქმე :) აბა, რას გვიწერება ეს სააკაშვილი!.. თქვენი ემი“.

კოლისძმები

„დედაჩემის პირველი და უკანასკნელი სიყვარული — მამაჩემია, მაგრამ ცოტა უცნაური წყვილი იყო თურმე. იმ გაგებით, რომ მამაჩემი დედაჩემის ძმებზე საკმაოდ დაბალი ყოფილა და არის კიდევ (ბიძაჩემები 2-მეტრიანი ბიჭები არიან, მამაჩემი კი — 1 მეტრსა და ნმ სანტიმეტრს ძლივს „ქაჩავდა“). არადა, რა სიმამათიური მამა მყაავს... :) ჰოდა, უნახავს ერთ-ერთ ბიძას, შეყვარებულობის დროს, კინოდან გამოსული ეს ორი გვრიტი. ნუ, იქ სცენებს ხომ არ მოაწყობდა და სახლში რომ მისულა, უთქვამს: ნანა, ანი, კინოში წასვლა თუ მოგინდება, ლამის 3 საათიც რომ იყოს, მითხარი და წამოგყვები, ოღონდ მაგ პატარასთან ერთად არ დაგინახოო. ეუჰ, რა გამიტყდა, დედაჩემმა რომ მითხრა ეს ამბავი!.. სულ ჩურჩხელით დაგჭრი, პაატა ბიძია-მეთქი, — გავიძახოდი. :) რა სჭირდა მამას მაგის დასაწინი? ახლაც, ფანების არმია დასდევს უკან. მამა! დე და მამა, თქვენი ქორწინების 21 წლისთავს გილოცავთ, გაიხარეთ და ჩვენც გაგვხარეთ ხოლმე! :) შენი ლიმონა-მანიუ“.

კუების ბიზნესი

„ერთი საოცარი ამბავი უნდა გაიშობოთ. შარშან შემოდგომაზე ჩემს ბიძაშვილს ძმაკაცმა 2 კუ მოუყვანა, ერთი — დიდი, ერთიც — პატარა. ბიძაჩემი კერძო სახლში ცხოვრობს

სადაური და... ქართლელი
„გუმნ მკითხე, სადაური ხარო? ჰოოდა, ჩვეფქრდილი... დედა კახელი მეყვ, მამა — ქართლელი, მამინაცვალი — იმერელი, ნათლია — აჭარელი, თავად თბილისში ვცხოვრობ და სადაური ვარ, ჰა? მიდი და გაიგე. ალბათ ამანაც შემინყო ხელი და ყველა კუთხის კილო მაქვს დამულამებული დღეს „ბოტკინან“ აფტობუსში ვიჯექი (სოფითლის გამო შევარქე). ჰოდა, ვისაც ვახსოვდი, ყველამ მომიკითხა :) ზვიადმა დარეკა (აჭარელია): — ჰოოო, რაილა მელირსა შენი ხმის გაგება, არა მოგვცე 100 წელსა, რანდა იქნას, ჩამოხვალ, თუ მე ჩამოიდ ვწოკითმეთქი?.. გავიდა ცოტა ხანი, ქუთაისელმა დაქალმა დამირეკა — რაფერაა, სომონ, საჩქე აგხვეტათ ქუთაისელები ქარმა თუ კიდე დარჩით საცხა-საცხა საბლატაოდთქა? — კი ხანს ვლაპარაკე ისე როგორც ქუთაისელებს შეჰფეროთ და გაფუთიშე. ცოტა ხანში გამახსენდა, რომ დაქალს ჩემი წიგნი ჰქონდა წაღებული და დაფურეკე (კახელია): — დეეედაკაცო, ე ჩემი წიგნი რო წაიღე და დააფექე კრუტივითა, რო გამაჩეკამ, ერთი შენთფი დაიტოვე მაგრამა ხვაალე მჭირდება, დღეი გადმამიტანე, თორე იმდენ გორტყამ, ვრო ყროყინ ქათმი კაკანად მეგეწვენება-მეთქი. გვერდით ქალი მეგდაა ჯერ ხომ მაგრად იცინა ჩემს ლაპარაკზე, მერე მკითხა: გოგონა, სადაური ხარო? — ქართლელიმეთქი. ანაშანაქამი მაიბუნი გინახათ? არც მე-მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისეთი სახე ეწებოდა, როგორც იმ ქალს, ჩემი პასუხის მოსმენისას :) ქართლელი ვარ და ილინი“.

და სახლის უკან ეზო გვაქვს, ხეხილით დახუნძლული. ჰოდა, ეს კუები ნაიყვანეს და ჩასვეს ბალახში. პატარა, როგორც მე ვიცი, ლადომ (ძმაკაცმა) უკან ნაიყვანა. დიდს კი ვუვლიდი და წყალს ვუდგამდი ხოლმე. დაახლოებით 2 თვეში დაგვეკარგა. ვიფიქრეთ, — ალბათ მეზობლის ბაღში გადაძვრა-თქო, — და ბევრი აღარ გვიძებნია. დღეს დილით, ეზოში ვდგავარ და უეცრად, რაღაც ფაჩუნის გავიგონე. ხმას მივყევი და... პატარა კუ! იცით, რა საკაღელია?! მე დავასკვნენი — ალბათ იმ დიდმა კვერცხი დადო და ეს გამოიჩეკა-მეთქი. დათო (ბიძაშვილი) მიმტკიცებდა, — ეს ის პატარაა, მაშინ ლადომ რომ მოიყვანაო. ნუ, ყველა ვარიანტში, მაინც დიდის შვილია. ეზო იარუსებადაა დაყოფილი და „მეორე სართულზე“ ავიყვანე. იქ უფრო მეტი ბალახია. „დიდი კუც აქაა, დათუნაა!“ — იმხელა ვიკვივლე, მეზობელი გამომეხმაურა, — ხომ მშვიდობააო?! :) პირისპირ დავუსვი ერთმანეთს, მაგრამ — არანაირი რეაქცია! პატარა მოტრიალდა და წავიდა. არც კი შეხედა ამ ჩვენს დედიკოს. დიდი ისე სუნთქავდა, მივხვდი, სცხელოდა და წყლის მოსატანად გავიქეცი. ბიძაჩემმა რომ გაიგო, დამცინა — ბავშვებს (მეზობლებს) კურდღლების ბიზნესი აქვთ და შენ კუების(!) ბიზნესი უნდა წამოიწყოო? :) ჯერ პატარას ჩავაყოფინე თავი, მერე დიდს დავასხი (შემეშინდა, ხელში რომ ავიყვანო, ვაითუ, მიკბინოს-მეთქი) და ვტოვებ ორივე და წამოვდი. უკვე შუადღეზე ავაკითხე დიდი იქვე ვნახე, მაგრამ პატარა არსად ჩანდა. მერე გადავჩქრე იქვე დაგროვილი ფიჩხი. იქ შემალულა და დაუძინა. :) მოფერებით გული რომ ვიჯერე, ხელში აყვანილი, დედიკუნას მივუყვანე. იმანაც დიდხანს სუნა. თან მეშინოდა, არ უკბინოს-მეთქი. ბოლოს, ხელი გავუშვი და დავსვი. ასე, 5 წუთი გაუნძრევლად იყო ორივე. პატარა რომ მოტრიალდა, ხელში ავიყვანე. მინდოდა, თავის „საძინებელში“ ჩამესვა, მაგრამ ვინ გაცალა?! პირველად ვნახე მორბენალი კუ! თუ ვაჭარბებდე, მე ვიყო დაუნი. :) გამოიქვიდა. აუ, რა შემეშინდაა!.. პატარა ეგრევე, ცივად დავსვი და უკან დავიხიე. მოვიდა, დასუნა და სადაც პატარა წავიდა, იქით გაჰყვა. თან ჩემკენ იყურებოდა. მერე დაუფუფეი და „გაფუიასნე“, რომ მის პატარას არაფერს ვერჩოდი, მაგრამ რად გინდა?! ცოტა ხანში ისევ ავაკითხე. დიდი ბალახს ჭამდა. რომ დამინახა, არც შეშინებია. ჯერ პატარისკენ გაიხედა, მერე მე დამიდგა წინ. მოდი და ამის მერე თქვი, რომ

კუ უჭკუო ცხოველია, გული არა აქვს, დედაშვილობა ცხოველებში არ არსებობს და მათ მხოლოდ ინსტინქტები აქვთ!.. ჩემს პატარა საიდუმლოსაც გაგიმხელთ: სიგიჟემდე მინდა პატარა. დაქალს ახლა ეყოლა და რომ ვხედავ, როგორ ეფერება და როგორ ინვენს გულზე, ცუდად ვარ (ტირილი მინდებდა) ისე, შურიანი არა ვარ, მაგრამ პანია მეც მინდა. :(თაკუსულა“.

გულმაჯიყი

„გამარჯობა, მარიამული, როგორ გიკითხო? 2 საათია, დავდივარ, პირზე ღიმილშემსკდარი, თქვენ გამო. ანუ „გზავნილებს“ კითხულობდი და თქვენს გულმაჯიყობაზე კარგად ვხალისობდი (აქვე დავამატებ: დედაჩემს ვებმარებოდი თონეში და პურს ვყიდდი), როდესაც ახალგაზრდა ბიჭი შემოვიდა და ღიმილით მითხრა: — 3 გუნდა ცომი და 1 პური მომეცითო. მეც, დიდი ამბით, ჩავულაგე 3 პური პარკში და ერთიც — ხელში დავაჭერინე. რაღაც, საეჭვოდ კი გამიღიმა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე ვიფიქრე, მოვწონე-მეთქი და გავაგრძელე კითხვა. წავიდა და 2 წუთში ბავშვი გამოგზავნა: — ამ პურების ნაცვლად, ცომი მომეცითო. აუუ, მაგრად გამიტყდა. სულ თქვენი ბრალია, უჰ... :) ჩუტყვავილა“.

გადარჩენილი

„რა ხდება, მარიკუნა, ჩვენს თავს? რადგან ხსნა არსაიდან ჩანს, გადავწყვიტე, ჩემი არცთუ ისე შორეული წარსულიდან ერთი ამბავი მოგწეროთ. სკოლა რომ დავამთავრე და ბანკეტზეც მაგრად ვიგოჯე, არც მეტი, არც ნაკლები, მეორე დღეს, ნაბახუსევი და დაღლილ-დაქანცული მომიტაცეს. სასიძო ჩემზე 22 წლით უფროსი და თან, ქურთი აღმოჩნდა. ეს იყო, 21 წლის მანძილზე ჩემს ცხოვრებაში მომხდარი, ყველაზე დიდი ტრაგედია, რომელიც სულ რაღაც 2 საათი გაგრძელდა. მანქანის მძღოლი საკმაოდ კეთილგონიერი აღმოჩნდა და როცა გაიგო, არასრულწლოვანი ვიყავი, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამაბრუნა თბილისში. იმ კაცის დიდად მადლიერი ვარ დღემდე ხშირად, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, სიცილით ვკვდები, მაგრამ მაშინ ნამდვილად არ მეცინებოდა. ასე გადავურჩი მამისტოლა კაცის ცოლობას, თუმცა არავინ იცის, ასეთი ბედი კიდევ როდის მომიკატუნებს კარზე :) გოცინი, მარიკუნა, და ნუ დამბლოკავ თუ შეგიძლია. პატივისცემით, იკუშები“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

სვანი და — სკლეროზი?!

„მარ, მართალია, შემდეგი ნომრის თემა არ შემოგვთავაზებ, მაგრამ შენს ნომერზე ამ კვირაში უფრო მეტი გზავნილი რომ მოვა, ეგ ხომ იცი? პარიუანკას მესიჯი წავიკითხე და ვიფიქრობ, ნიკი არ უნდა შემეცვალა. იამური ვიყავი და არ იფიქროთ, დაიკარგაო. ახლა თაისი ვარ. „სტაჟინებში“ რომ მიმათვალეს, მაგრად გამიხარდა. თაისი“.

„მარი, გამარჯობა, როგორ ხარ? არ გეგონოს, დაგივინყე მე აქ ვარ, თქვენთან. ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიახლე და მიხარია. მინდა, ყველა მგზავნელს, ვინც ჩემი ინტერვიუს მერე დამიბესიჯავ, დიდი მადლობა გადავუხადო ასეთი თანადგომისა და სიტბოსთვის. არ მეგონა, თუ ამდენს აქვს ჩემი ნომერი. ვამაყობ, ხალხო, თქვენით. ძალიან მიყვარხართ ყველა პუბლიკა“.

„ვაუ, რომელია აქ ჩემი უნივერსიტეტელი? ვაკის „ჭავჭავაძიდან“ ვინმე ამესიჯებს? გაიხარე, კიკო, ჩემი შეყვარებული აჭარელია და მაგრად ვხალისობ. პირველად რომ მითხრა — „მინტერესებხარ“, „მინდა გაგიცნა“ და „ხო არ გცხავს?“ — თვალები შუბლზე ამივიდა, მაგრამ ახლა ვკიუდები აჭარლებზე. ონავარი გოგო“.

„ეე, ბედი არ მაქვს, რაა, ის-ის იყო, „გზავნილებში“ დაბრუნება გადავწყვიტე, თემას დავხედე და — ჰოი, საოცრებავ, სადაა თემა?! რა არის, მარი, შენც გულმაჯიყი გაგვიხდი?! თეთრი ვარდი“.

„უი, მარ, ალბათ შენი გულმაჯიყობის შედეგია, რომ „გზავნილების“ ბოლოს შენი ბოლო სიტყვა და ახალი თემა აღარ წერია. ასე? თუ რამე ინტრიგა დევს ამაში? ლორელი“.

„მარი, ეი. მე მაიმუნს ვგავარ, ხომ? თანაც — უკბილოს. :) მგზავნილებს 2, დედალ-მამალი მაიმუნი გყავართ — მე და შენირული და შეგვიფერეთ, დაგიყვავეთ... ისე, ამ ინტერვიუს შემდეგ ძალიან ცნობადი გახვდები. ქუჩაში მაჩერებენ და კანფეტებს მაჭმევენ. :) PS. პარიუანკასთან მინდა ჩაწერო ინტერვიუ. რა ვქნა? გოცინით. კარდიოლოგი“.

„მთაბარ, გულმაჯიყობას მივანეროთ თუ ინტრიგა შეგაქვს „გზავნილებში“? ჩავიკითხე მესიჯები და — სადაა მომდევნო თემა? ლამის გული გამიჩერდა, რა აღარ ვიფიქრე ყველაზე უარესი კი ის იყო: „გზავნილები“ ხომ არ დასრულდამეთქი?... მომავალ ხუთშაბათს იმ იმედით დავლოდები, რომ კვლავ ვნახავ „გზავნილებს“. არა, მაინც, რა

იყო, ჰა? თი-თი“.

„მარი, როგორ ხარ, მგზავნელების სიამაყე? მე ცუდად ვარ, დავილაღე უკვე ჩემი თავით. რატომ? იმიტომ, რომ ან რამე უნდა გადავყირავო, ან რამე დავაქციო, ან კიდევ — გავაფუჭო. უეჭველია, ჯადო მაქვს გაკეთებული. :) აი, ახლაც სუფრას მივუსხედით. ერთი სტუმარი იყო და ოჯახის წევრები. ჰოდა, უეცრად სკამი ამიჯურდა და — ჰოპაა! ძირს მოვვდექი. :) ტკივილს ვინ დაეძება, ვაი, სირცხვილო! ბიძაჩემმა თქვა: — ჩვენ ესვამთ და შენ თვრებიო?! მეშველება რამე? კი, მეშველება! თუ მარი ამ მესიჯს დამიბუქდავს, ჯადო ამეხსნება და მეშველება! იმედი არ მაქვს, მაგრამ იმედი სულ ბოლოს კვდება. გაიგე, მარ?! ამხსენი ჯადო. მიყვარხააარ! ნარჩიტა“.

„მარიკო, გენაცვალე, ჩემი მესიჯი ბოლო იყო და დაგაბნეე თუ რა ჯანდაბა ვქენი, არ ვიცი, მაგრამ შედეგი ნომრის თემა რა იქნება, მიწერა დაგვიწყებია. მოდი, რადგან თემა არ არის, ერთ კურიოზს გავიხსენებ: მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი. ინგლისურში ტესტირება მქონდა და იყო კითხვა: რა გვაქვს სახეზე? სავარაუდო პასუხები: ხელი, ფეხი, ცხვირი და ყური. თქვენი აზრით, რა შემოგვახზე? ჰო, მართალია — ფეხი. :) სოფი სოფი“.

„ახლა „გაუფშტვენ“: დავიჯერო, მე შეძლება რაბიტისანი ნომერი თუ შენ ხარ ლადაობის ხასიათზე და თემა სპეციალურად არ დაწერე?“

„მარი, როგორ ხარ? აი, მეც გამოიწინდი... როგორ ხართ, კარგო ხალხო? ბევრი ახალია და კარგია, მაგრამ სად დაიკარგნენ ძველები? იშვიათო კაცო, კარგად საუბრობ, მაგრამ ბევრ რამეში ალბათ ვერ დაგეთანხმები. არ გინდა, ვიმეგობროთ? მარ, თუ დამიბუქდავ ამ მესიჯს, აწი აღარ დავიკარგები. შეწირული“.

„1 მეგობარი მყავს, მაგარი „ჭკუა-განწყალებულია“. ჰოდა, მამამისმა გურამასთან გაგზავნა, ღვინის შლანგზე. სანამ მივიდა, დაავიწყდა. დაბრუნდა სახლში და 1-2 შემოლანუნების მერე ისევ გურამასთან წავიდა. იმას არ ჰქონდა შლანგი და ამიტომ, ახლა ვახოსთან გაგზავნა. ზუსტად 5 წუთში ისევ გურამას მიადგა რა იყო, ბიჭო? — გამოხედა გურამამ. — აუ, გურამა ძია, მამაჩემმა შენთან რისთვის გამოგზავნა, დამავიწყდაო. მარ, ეს უნიკოდ დამიბუქდე, რა“.

„ჰოდა, მეც შემთხვევით შემოხვტებული, ქალაქში გავლით მყოფი სტუმარი ვარ, რომელიც საცხოვრებლად თქვენს პატარა, ვირტუალურ ქალაქში დარჩენას აპირებს. რას იტყვით, მიმიღებთ? ქეთათი“.

„ლამე მშვიდობის, მარიკუნა. როგორ ხარ, სიხარულო? ჩემი სიყვარულის კუნსკუნა რომ ხარ, იცოდი? აა, არა? ჰოდა, ამის მერე გეცოდინება. ვაიმე, ეს რა არის, მჭივნება თუ მართლა არ წერია მომდევნო თემა? ისე, გიოს მესიჯი რომ არის ჩარჩოში, ვითომ სერიოზულად ინანიებს?! ალბათ იმ გოგოს მაღალმა თანამდებობამ მოხიბლა“.

„ახლა ვკითხულობ „გზავნილებს“. უკვე ბოლოში გავედი და რა თემაა, „ჩორტ ივო ზნაეტ“, არ წერია. ალბათ თემა — „თქვენ თვითონ მოიფიქრეთ“. ჰოდა, მეც ვფიქრობ... გამისივდა თავი და ვერ მოვიფიქრე ფელაშუმა“.

„მარი, ნეტავ, იმდენ ცრემლიან თვალს და სიხარულით ავსილ გულს თუ ნახავს ადამიანი კვირის სხვა დღეს, რამდენსაც ხუთშაბათს? აი, მე კი ჯერჯერობით, ყოველ ამ დღეს ცრემლიანი ვხვდები. ალბათ მარიამმა არ იცის, რა ხდება ჩვენს გულებში; არ გამოუცდია, რას ნიშნავს — ინვალო, დანერო ლამაზი ლექსი დილაზე, ლამის შეტევა დაგემართოს და აღმოაჩინო, რომ ტყუილად გინვალია. მერე კი თვალები ცრემლით ივსება, ოცნება ქრება და უსასარულოდ ვფიქრობ იმაზე, თუ რატომაა ასეთი მწარე, წუთისოფელი. ვიცი, რომ ამ მესიჯს სულ არ მიაქცევს ყურადღებას ის, ვისაც მაინც ყველაფერს ვაბტიობ და მიყვარს, როგორც კარგი ადამიანი, რომელსაც არ უნდა, რომ ვინმეს გული ატკინოს, მაგრამ ძალუნებურად, ვილაც მაინც რჩება ნაწყენი და ცრემლიანი. მარი, ეს ადამიანი შენ ხარ, გენაცვალე გულუკაში. ცისკრის ვარსკვლავი (ნათია)“.

„მარი, სიხარულო, როგორ ხარ? „გზავნილ-იორკიდან“ ცოტა ხნით წავედი და ახლა ისევ დავბრუნდი. ხომ შემომიშვებ? უკვე კარზე გიკაკუნებ... ისე, ეს კრიტიკოსი სად იყო აქამდე? როგორ დამინტერესა. ნეტავ, ჩემზე რას დაწერს? ერთი კითხვა მაქვს: რა აიძულებს ადამიანებს ლალატს? მამაკაცები თუ ყველაზე მეტად აფასებენ ერთ-ერთს, მაშინ, რატომ ლალატობენ უფრო ხშირად მათ, ვინც მათი ერთგულია? ან გოგონები რატომ ლალატობენ დაქალებს და საერთოდ, რატომ არ შეიძლება, ურთიერთობის გარკვევა ულალატოდ? ამაღეთა“.

„მარი, მჭივნება, თვალს დამაკლდა თუ რა ხდება? წუთუ ძველი დრო დაბრუნდა, როცა ჯერ კიდევ თემის გარეშე ვწერდით „გზავნილებს“? აჰ, ეს უეჭველი, გაგვიჩალიჩე და მერე გვეტყვი — ა, ბატონო, გულმავიწყობის შედეგო. ჰო, ჰო, მაგაზე გუბნები, ხოჩა დინა, რომ არსად

წერია შენი ტელეფონის ნომერი და მომდევნო თემა. უკვე რამდენჯერ გადავფურცლე, მაგრამ — ამაოდ. ჰოდა, ამ კვირაში თავისუფალი თემა (თორემ ისე, ძაან ვიზლუდებით და...) გიხაროდენ, მგზავნელებო! მარ, მხიარულ ამბებს გავიხსენებ. ელისო“.

„მარ, ერთხელ, იცი, რა მოხდა? ჩვენ, ყველას, სამსახურში თითის ანაბეჭდებს გვიღებდნენ, ერთიანი საინფორმაციო ბაზისთვის. ერთი ახალი თანამშრომელი მიიღეს და ანაბეჭდები ხელებზე რომ აუღეს, მერე — ფეხებზე გაახდევინეს და... ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა?! მისი ყოფა აღარ ღირდა, ეს ამბავი რომ გაუბაზრეს. ელისო“.

„მარი, რა გჭირს? ჩემს მესიჯებს რატომ არ ბეჭდავ? აა, ალბათ ჩემი ნიკი — სწერვა არ გევალება, ხომ? აბა, სხვას რას დავბრალო? უფ, რაც გინდა ის ქენი, წერვებზე კი „ამთხარე“. სწერვა“.

„მარ, მომავალი თემა სად ჩააკვებ, ვერაფრით ვნახე. :) შენც გულმავინცი ხარ? :) თუმცა, ახლა ბეზიაჩემის სათვალეს გავიკეთებ და იქნებ მივაგნო... დატანჯული გოგო, გამომეხმარე, თუ მხედავ ხოლმე ვერმასტი“.

„წერილს პირველად გწერ და არ ვიცი, მოგწერ თუ არა კიდევ მოკლედ, სტუდენტობისას გოგო მიყვარდა, მან კი შვიდოთახიან ბინაში გამცვალა. სინამდვილეში, მე მის ქმარზე გაცილებით მეტი მქონდა ყველაფერი. არ ვაჩვენებდი, რადგან მაინტერესებდა, რამდენს გაუძლებდა ცოტა რთულ ვითარებაში. მადლობა უფალს, მე ძალიან ლამაზი და ძლიერი ოჯახი მაქვს“.

„მარი, ეს რა კარგი ბიჭი გყოლია ვერმასტი. ვაიმე... ეს რა შემართება... მუხლი მეკვეთება... გული მიმდიის... და სულ მთლად გადავირევი, ეს ყმანვილი თუ არ ჩამეხუტება... მართლა, მართლა. :) ვერმასტი, თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცესას კიდევ ელოდები? :) PS. მარ, ნუ დაიღებ საბრალო პრინცესას ცოდვას და დამიბუქდე, o.k.? :) თუ არ დამიბუქდავ, ჩემს 5 ქმარს და 12 შვილს გეფიცები, არ გადავირჩები, იცოდე. :) აფხაზეთის პრინცესა“.

„გულმავინციობის შედეგი ნამდვილად არ არის ის, რომ დავიკარგე უბრალოდ, „გულში ნალვლის ბუშტი გამისკდა“ და „დებრესიონერა“ დამემართა. ვიცი, „გზა“ საუკეთესო ანტიდებრესანტია, მაგრამ თქვენი მხიარულებისთვის ჩემი ნალვლი ვერ „გავიმეტე“. დღეს გამომწერეს „გულდარდიანთა კლინიკიდან“ და წამლად, „გზავნილები“ დამინიშნეს. მეც ჩავბარგდი და „გზას“ დავადექი. უძლები შვილი დაგიბრუნდა, მარ...

მომენტურით, მიყვარხართ და გოც-
ნით ბევრს. ვირუსსამი”.

„ახლა ნავიკითხე „გზავნილები“
და მომდევნო კვირის თემა ვერ
ვიპოვე. სადაა? მარ, თემა ხომ არ
„გადაგედო“? გულმავინი გახდი?...
მინდა მოვიკითხო ყველა მგზავნილი,
უცნობი თუ ნაცნობი, ახალი თუ ძვე-
ლი, დიდი თუ პატარა... ნუ, მოკლედ,
ყველა... და „გზის“ დედოფლებს,
ლიკას და მარის მინდა ვუთხრა,
რომ ძალიან მიყვარს ორივე და
ბედნიერებას ვუსურვებ. კრიტიკოსო,
რატომღაც, ჩემში დიდი სიმპათია
გამოიწვიე, კარგი ადამიანი ჩანხარ და
შეძებმინა, ვიშვებოროთ. ცრემლუკა,
საყვარელო, მარის გამოართვი ჩემი
ნომერი და დამიმესიჯე. ლეო91,
გამოჩნდი? აღარ დაიკარგო, რაა...
ეჰ, ნავედი ახლა, თორემ დამავიანდა
საავადმყოფოში, მამას აქვს რაღაც
პრობლემები და... გოცნით და
გებვეით. სესი“.

„ოჰ, მარიკვლა, რომ იცოდე, რა
დღეში ვარ... მგზავნილებს ვლოდები
და მთელი ქუთაისის უმუშევრების
ბირუსს ვამაგრებ... ეშმაკუნას მოვკ-
ლაააჰ ვილაკამ „სნიკერსები“ გვიყი-
და. იმედია, ჯადოს არ გვიკეთებს. :)
შენ მაინც იცოდე, არც ერთ პეგმანს
არ ვაცდენ. :) ესმერალდა“.

„პატარა რომ ვიყავი, შეკლული
ფავდი ბებიჩემს. როგორც კი დაინ-
ახავდა, ტელევიზორში ვინმე ჩემი
ტოლი ბავშვი ცეკვავდა ან მღეროდა,
მომბორუნდებოდა და მეტყოდა ხედავ
შენი ტოლია და როგორ ცეკვავს და
მღერისო?! ერთხელაც მივუბრუნდი
და ვუთხარი: — მაგის ბებიაც შენი
ტოლია, მაგრამ შენავით დამლაგებ-
ლი კი არ არის, პროფესორია-მეთქი.
იმის შედეგ ჩემთვის ჭკუა აღარ
დაურიგებია კობრა“.

„აუ, მარი, მე რომ სიხარულით
მთელი ღამე არ მეძინა, — მარიმ
მესიჯი დამიბეჭდა-მეთქი „გზაში“, —
სულყველას ფეხებზე ვვიდა თურმე
კაკომ, — მეტი საქმე არ გაქვითო?!
დედაჩემმა კიდეც, — არ მჯერა, რომ
შენი მესიჯია, დავიჯერო, მარი შენი-
სთანა გიუს მესიჯს დაუბეჭდავდაო?!
რათა ვარ გიჟი, დე?! სხვებმა კიდეც
„გზა“ თუ არსებობს, ისიც არ
იცინა. ჩემი ჭკუისები სხვა უბანში
ცხოვრობენ. ასე რომ, „ოჩინ რაზაჩ-
აროვანი“ დავრჩი, მაგრამ მაინც
ძალიან მიხარია და ამ სიკეთეს არ
დაგივინებ. მიყვარ-ხარ! ეთო“.

„ზოგ-ზოგები (სახელსა და გვარს
არ დავასახელებ) მეუბნებიან, —
მგონი, მარის მესიჯებზე ლალატობს
და იმიტომ არ დანერა შედეგი
ნომრის თემაო, — მაგრამ სვანი და
— სკლეროზი?! მგონი, მარი ჩვენზე
ერთობა და უყურებს, როგორ
დავბორიალებთ თემის გარეშე,

როგორც უყოჩო ცხვრები. ცუდო
შენა.. (რათ გვანვალბე, ჰა?“

„აუ, ახლა თაისის მესიჯს ვკითხ-
ლობ, სადაც წერს, რომ მარის
მესიჯზე ოცნებობს. თავს ვდებ, უკვე
აუხდებოდა ოცნება და ხალხსაც
დაუხეთქავდა ყურის „ბარაბნებს“,
ნივილით“.

„რამდენი ხანია, ერთგული მგ-
ზავნილი ვარ და ჯერ შენი მესიჯი
არ მიღირსებია, მარი. ნეტავ, რას
აკეთებენ ეს, გუშინ გამოჩვეილი მგ-
ზავნილები, მათ რომ სწერ?! მაპატიე
პირდაპირობა, მაგრამ ცოტა გული
დამწყდა. ეჰ, ამასაც გაფუძლებ. :)
PS. იშვიათი კაცი მგონი, მართლა
იშვიათია. სამწუხაროა, ადრე არ ვი-
ცოდი, რომ კაცების 90% მატყუარაა.
პარიჟანა“.

„გული ამიჩქარდა და მეგონა,
წუთი წუთზე საგულედან ამოხ-
ტებოდა, სუნთქვა შემეკრა, მერე
თვლები გამიბრწყინდა... ეს იყო
ჩემი რეაქცია, როცა „გზაში“ ჩემი
პირველი გზავნილი ვნახე. გაიხ-
არე, მარი, ჩემი გახარებისთვის. :)
მარიმ „გზავნილების“ კარი გამიღო.
მასპინძლობას ვინ გამიწვეს, ნეტავ?!
მიყვარხართ ყველა. კახელო-616“.

„მინდა, თანამედროვე გოგონებზე
მოგიტხრო. რომ ჰკითხოთ, ყველა
გოგო ყურადღებიან, თბილ, მოსიყ-
ვარულე, სენტიმენტალურ, ხელოვან
და სიმპათიურ ბიჭს ეძებს. სინამდ-
ვილეში კი ისეთები უყვარდებთ,
იშვიათმა კაცმა „ვაიკაცები“ რომ
აღწერა. გეთანხმები, იშვიათო კაცო,
დღეს აღარც კაცების უმეტესობას
შერჩა კაცობა და აღარც გოგონები-
სას — ჭკუა. თუ რომელიმე გოგოს
მიაჩნია, რომ ვცდები და სურს
დამიმტკიცოს, დაამესიჯეთ „გზა-
ვნილებში“. იშვიათ კაცს კი ვთხოვ
მე ვერსად მივაგენი კარგს და თუ
სადმე გეგულება, გებწვნი, გამაცანი,
დავილალე ამათი ყურებით. გუჩი“.

„ახლა მე და ბებიჩემი 10 აპრი-
ლის „გზავნილებზე“ ვხალისობთ. რა
კარგია „გზა“, თუნდაც — ძველი და
დაგვიანებული, ჩემთვის — ახალი.
ძალიან მენყინა, გერასიმეს ნასვლა
ათენიდან. მაინც, რა მაგრად ახალ-
ისებდა მგზავნილებს!“

„პრივიტ“, მარი! ქალო, არ მიღებ
მგზავნილად, მაგრამ ისე მიყვარხართ
ყველანი, რომ არ მოგწერო, არ შემი-
ძლია! იქნებ, ჩემი ნიკი არ მოგწონს?
მაშინ, ანი „მარტოსული“ ვიქნები.
იმედია, ამას მაინც დამიბეჭდავ ახლა
იმ ამპარტანის გამო აღმფოთებული
გწერ. მამაკაცები „ცალი ჭკუით“
რომ აზროვნებენ, იმიტომ ნანობენ
მერე ნაოქმედარს (იმიტომ ვარ მეც
მარტოსული) ახლა რაღა ფასი აქვს
მის ვიშვილს?! ბოდიშით რამეს და-
გავინყებს?! ოჰ, რა ხართ ეს კაცები?!

ქალის ჭკუა ბარდზე ჰკიდიაო და
კაცის ჭკუა კი არსად არ არის,
ქარივით ფარფატებს. „ვოტ!“ ასე ვარ
გაბრაზებული მამაკაცებზე. თუ ვინ-
მეს პრეტენზია აქვს, მითხრას. მარი,
იქნებ, არ გამწირო და დამიბეჭდო?!
მიყვარხარ, გოცნი. მარტოსული“.

„ისე, კაია, თემა რომ არაა: ხალხს
ბევრი ამბავი აქვს, მაგრამ ერ-
თად არ გწერენ, იზოგავენ. მოდი,
ყველა ნომრის თემა იყოს ასეთი:
გაგაცინეთ! მაგარი იქნება, აღარ
დაზოგავენ ამბებს და „გაასწორებს“.
ისა და... გათხოვბას არ აპირებ? ისე,
მართალი ხარ, ამდენი „გზავლის“ და-
პატიუბა — ზარალია. მეც მაგიტომ
ვიკავებ თავს. განა „მოუნა“, დავწორ-
წინდე და „გზავლები“ მაგიდაზე არ
ვაცეკვო?“

„მარ, მგონი, კარგი საქციელი
არაა, როდესაც ერთი ადამიანის
კარგი, მაგრამ ბევრი უაზრო გზა-
ვნილი 4-5-ჯერ იბეჭდება, ჩემი (არა
მარტო ჩემი) კი ერთიც ვერ ხვდება.
ალბათ შენი ცოდვების გამოა, რომ
მომდევნო თემაც დაგავინყდა. შენი
წყენინება არ მინდა, ძალიან მიყვარ-
ხარ. უბრალოდ, ცუდია იმედების
გაცრუება. საიდან აღარ მოგწერე,
მაგრამ“...

„ეჰ, მარი, არა მგონია, „გზავნილ-
იორკში“ მართლა ისეთი კეთილი
და გამგები ხალხი იყოს, როგორც
ფურცლებიდან ჩანს. აქაც იქნებიან
შურიანი და გაბოროტებული ადა-
მიანები. 9122“.

„უყურე შენ, „გზავნილ-იორკის“
დედოფალი რა იგნორს მიკეთებს?!
რათა, მარი, რა დაგიშავე? ვარ
ჩემთვის, ვაწუხებ ვინმეს თუ?.. ახლა
შენც მართალი ხარ: რამდენს მე
ვიბუჭებ, იმდენი თუ დამიბეჭდე,
კარგად იქნება „გზავნილების“ საქმე
არადა, ვერც გელევიო. ანორექსია
ავიკიდე, თქვენმა გადაამკიდე. ახალი
ნიკიც მერგო წილად, მამაჩემისგან
— გზის მყუდრო. ისე, სულ მეშინია,
კრიტიკოსმა ჩემი მესიჯი გლახა
თვალით არ ნაიკითხოს და არ
გამაკრიტიკოს. ლუნა“.

„ამას წინათ, ჩემი და მომყავდა
ბალიდან და ნამეტანი გამიხურა. გა-
გიგონიათ ასეთი რამე? შუა ტრასაზე
ტასავი მოუნდა. ჰოდა, „წითელზე“
მანქანები რომ გაჩერდნენ, მოვატყუე,
— შენ უნდა ნაგიყვანონ და გაგაყ-
ოლებ ახლა-მეთქი. უცებ „დასპა-
კონინდა“. :-) ახლა, თუ სადმე მანქანა
გაჩერდება, ისტერიკა ემართება, —
არ მინდა, არ წავეცი, არ წავეციო!
— და გარბის. :-) ქაოსა“.

„მარი, იცი, ახლა როგორ გავ-
ბრაზდი? „გზაში“ შემოიღეს რუ-
ბრიკა — ცნობილ სახეებს ვკითხე-
ბინ აზრს უურნალზე ჰოდა, ნიკა
არაბიძე შევხვდებოდა სადმე, საჭირო

დროს და საჭირო ადგილზე და...
 ნუ, მინცდამინც ფეხით სიარულის
 დროს არ იქნებოდა სასურველი ეს
 შეხვედრა. არადა, როგორ ვაფასებდი
 მის იმერულ იუმორს, მაგრამ რად
 გინდა?! ისე, ეტყობა, კითხულობს
 „გზავნილებს“ და ვეტყვი, რომ კარ-
 გად და დაკვირვებით თუ ნაიკითხავს,
 ბევრი იდეა გაუჩნდება. ელისო“.

„მე და მამაჩემი ერთად მოვდი-
 თით. ერთი ქალი ინყევლებოდა
 — ამ, გოდრით ჩამოთრეულმა
 მეგრელებმა რა გაახურეს საქმე?!
 ყველაფერი ამ დამპალმა მეგრელებმა
 იყიდესო!.. მამაჩემმა ჰკითხა, — შენ
 სადური ხარო? — მე აქური ვარ,
 ერეხიდანო. ჰოდა, მივაგინე „9-სარ-
 თულიანები“ და წამოვდით. ვისაც
 მეგრელები არ უყვარს, სისხლს
 გავუთეთრებთ ყველას. მეგრელი
 ფელაშუშა“.

„მარიამულო, მარორიტა! ქალო და
 დედავ მგზავნილებისა! გეზადარები,
 ნუ მბლოკავ, ისედაც იშვიათად
 ვამესიჯებ, მაგრამ იცოდე, სულ
 ვკითხულობ „გზავნილებს“. თემაზე რა
 გითხრათ, ჩემი გულმავნიწყობის ამბავი
 განთქმულია ჩემს ოჯახში, მაგრამ
 „გზავნილები“ არასოდეს მავინყდება.
 ყოველ ხუთშაბათს ფეთიანივით გა-
 ვრბივარ ვიხურში, „გზის“ საყიდლად.
 მარ, დამიბეჭდე, რა, მინდა, ყველას

მოვეფერო და მოვიკითხო ძველი და
 ახალი მგზავნილები“.

„ხუთშაბათის გათენებას ვე-
 ლოდებით ქართველები/ მოთმინების
 რეკორდსა ვხსნით, მარორიტას მგ-
 ზავნილები/ მიტინგს ვაწყობთ ყველა
 ერთად, ვეღარ ვითმენთ 7 დღე/
 თმაში უკვე ჭალარები გვემატება
 დღითი დღე/ მადრიდის „რელს“
 რომ ფანობს, კლუბიც გაგვისხნა
 თელავში/ თავისთან გვეპატიჟება,
 ყველა მასთან ვართ „რელსში“/
 რუსის ბებო ოჩოპინტრემ როცა
 „მიაფანდარასტა“, შეურაცხყოფილმა
 ბებუციმ წამში „გააპიდარასტა“/
 ამ ბიჭუკელას სახელი გაგვისდა
 საძიებელი, თელავის კოლორიტია,
 ეს განძის მძიებელი/ შოკოლადზე
 რაფრა გაგვცვლით, რომც მყაროთ
 მუჭითა/ „გზავნილებში“ მე „სნიკ-
 ერსს“, მირჩენია ლუნტიტა/ პარიჟანკას
 რომ ვათხოვებთ, ჩვენ ზამთარში, იმ
 წელში/ იმ თურქ სიძეს გადაეცით,
 მეც მიყვები მზითევიში/ რომეო და
 ჯულიეტა, თოჯინა და ლიმონა/
 ერთხმად დავლოცოთ ის მარი,
 რომელმაც ჩვენ დაგვიმონა“.

„მარი, ჩვენ მოგვანდევ თემის არჩევა,
 ხომ? უი, რა კარგია! ერთი არ დაგ-
 იბეჭდავს, სულ ვაი „გზა“, ვუი „გზას“
 გაყვირებ. :) ახლა რაც შეეხება თემს,
 თემად ავირჩევ — „უცნაური გაცნობა“

ან „ორიგინალური გამეცანი“.
 „კითხვა მოკლე ჩართვისთვის:
 რომელია ყველაზე ყველაზე ყველაზე
 ლამაზი ქალაქი მთელ მსოფლიოში?
 უუულამაზესი ქალაქია — ბ ა თ
 უ მ ი ! პატარა სამოთხეა, თავისი
 ანგელოზებით. ძაან, ძაან, ძაან მიყ-
 ვარს. კიკო“.

„სინარულო, ეს რა უცნაურობა
 ხდება ჩვენს უორნალში?! კარგი, იმაზე
 არ ვწუნუნებ, რომ ჩემი გულმავნიწყო-
 ბის შედეგი ვერ ვიხილე „გზავნილებ-
 ში“ და გულიც დამწყდა, მაგრამ რას
 გვიპირებ, თუ იცი, მომავალი კვირის
 თემა რომ არ გვამცნე? იმდენჯერ
 გადავიკითხე მთელი „გზა“, რომ
 სათვალავი ამერია. მაგრამ არსად
 ჩანს თემა. ჰოდა, ჩემს თავუკაში
 იმდენმა აზრმა გაიელვა, რომ ლამის
 გავვიყდი. ეს რა გვიქენი, მარ, რა
 თავსატეხი გაგვიჩინე?“

ამჯერად, თემის გარეშე არ
 დარჩებით. მომდევნო ნომრის თემად
 გთავაზობთ — ლამარი. გამოგზავნეთ
 მესიჯები ტელეფონის ნომერზე:
 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოს-
 ტაზე: marita77@yahoo.com. კითხვა
 „მოკლე ჩართვისთვის“ — ჩემი
 სანატრული ფრაზა. ველი თქვენს მეს-
 იჯებს და გემშვიდობებით მომავალ
 ხუთშაბათამდე.

PAPARAZZI

მსკარში

- თუ სუპერმანაბალონა თინეიჯერი ხარ, უნდა იხილო, რომ „ოსკარში“ კინოსა და მუსიკაზე ყოველთვის არის სხალ-სხალი და ამოგზავნი ინფორმაცია!
- ჩვენს ჩათში მთელი საქართველოს თინეიჯერები ამსიკავენ! შენს ლაპარაკსა და გაიხანი თანაბოლავი!
- ოსკარ ბიჭუნა და ბარიკუნა ერთმანეთს ვერ იტანდნენ. „ბარისა“ და „ოსკარის“ გაერთიანების შედეგად კი ვატი ერთმანეთი შეუპარდათ... დაინტერესდები?
- უპირაბ „პარსკლავების აკადემიას“? გაუჩინ ჩვენს პირანულს უნდა კითხულობდე, რათა უფრო გეგი შეიჭყო მონანილაგზე.
- ჩვენ დაინყეთ ახალგაზრდა მწერლის, სანდრო კაპულის სუპერმანაბალონა Love Story-ს „რალიონაგაპის“ გამოქვეყნება. შენს იკითხა და მოიგა პრიზები!
- პოსტერებს, Song Book-ებს, პაპარაზულ ფოტოებს და უპირაბ პრიზს სხვაგან ნუ ეძებ!







ხარ თინეიჯერი?

იკითხე „ოსკარში“!



დააკვირდი ფოტოებს რამდენიმე წუთის განმავლობაში და გაარკვიე, რომელი ხილი უფრო ახლოსაა შენს გემოვნებასთან. შემდეგ იხილე ფოტოტესტის პასუხები და გაიგებ, რას ფიქრობენ ამერიკელი ფსიქოლოგები შენზე.



1. თუ შენი არჩევანი მსხალზე შეაჩერე, ოპტიმისტი ყოფილხარ. შენაირ ადამიანებთან ურთიერთობა იოლია და მუდამ მზარული განწყობილება გაქვს. შენ გარშემო მუდამ მღელვარება და მოვლენების სწრაფი ცვლილებაა. თავადაც კარგი მეგობარი ხარ და თუ დახმარება დაგჭირდება, შენი მეგობრები თავსაც კი განირავენ შენთვის.

2. იტალიელები ფორთოხალს სიყვარულის ვაშლს უწოდებენ. სწორედ ამიტომ, ეს ხილი მოსიყვარულე ადამიანებს მოეწონებათ. შენაირი ადამიანები ენერგიულები, პატივმოყვარენი არიან. უყვართ მასისგან გამორჩევა და საწინააღმდეგო სქესთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებთ. რამდენიმე წამი სჭირდებათ საიმისოდ, რომ ადამიანები თავის მიმართ კეთილგანაწყონ. შეუძლიათ ისევე იოლად დაშორდნენ საყვარელ ადამიანს, როგორც დაუახლოვდნენ.

3. ვაშლის მოყვარულები კონსერ-

ვატორული შეხედულებების მქონე ადამიანები არიან. ისინი ძნელად ეგუებიან ტექნიკურ პროგრესს და სახლს ძველებური ნივთებით ავსებენ. მათი ცხოვრებისეული კრედიო — „გამოცდილი და ძველი, გამოუცდელ ახალს სჯობს“ — გახლავთ. ექსპერიმენტები მათი საქმე არ გახლავთ.

4. მარწყვს ეჭვიანი ადამიანები აღმერთებენ. ასეთ ადამიანებს უყვართ გართობა და ქეიფი. ადამიანებთან საერთო ენას უცებ პოულობენ, მაგრამ თუ მათი საყვარელი ადამიანი სხვასთან ფლირტს გააბამს, სკანდალის მონყობაც შეუძლიათ.

5. თუ უპირატესობას ბალს ანიჭებ, რბილი, კეთილი ადამიანი ხარ. ყველა გრძნობს, რომ გულწრფელი ხარ და საყვარელი ადამიანისთვის მსხვერპლის გაღებაც შეგიძლია. შენაირი ადამიანები სიცოცხლის ბოლომდე ბავშვებად რჩებიან. ძალიან მოგწონს სიურპრიზები და ანცობა.

ჩა უნდა დაუბანო ქანს

ურთიერთობისას სრული გულახდილობა კარგია იმ შემთხვევაში, თუ ის ქვემოთ ჩამოთვლილ 10 პუნქტს არ ეხება.



ბყუილი

არავითარ შემთხვევაში არ გამოტყდე, რომ მოიტყუე. შესაძლოა, მან გაგიგოს და გაპატიოს, მაგრამ სხვა დროს აღარ დაგიჯერებს.

„ბიზნესური“ საპითხაბი

ქალები საკმაოდ მიხვედრილი ხალხია. ასე რომ, ისინი შენს დაუხმარებლადაც შეძლებენ თითოეული მამაკაცის პერსპექტიულობის შესახებ დასკვნის გაკეთებას. საკუთარი ბიზნესალღოიანობის გამო ტრაბახი და საკუთარი საქმიანობის ქალისთვის განდობა არ ღირს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მხოლოდ შენი ბიზნესია!..

საოჯახო

საიღუმლოებაბი

ნუ გადატვირთავ მის მშვენიერ თავს ოჯახურ კონფლიქტებზე ლაპარაკით და ნუ მიატოვებ ქალბატონს მარტო, შენი ნათესავების გარემოცვაში, თუ ის შენთან ოჯახურ ვახშამზეა მოსული. წარმოიდგინე საკუთარი თავი მის ადგილზე — ჯობს, შენი ოჯახის წევრები თანდათან გააცნო და ეს პროცესი მაქსიმალურად განელო. ყველაზე სიმპათიური სუბიექტებით დაინყე.

წარმოდგანა

იღაალის პასახაბ

თუ მაღალი, ქერა, მკერდასავსე ქალები მოგწონს, რატომ გააკეთე არჩევანი ამ პატარა, მომხიბვლელი ქალბატონის სასარგებლოდ?.. გასაგებია, რომ გიყვარს და სიყვარული ბრმაა, მაგრამ თუ იდეალზე ლაპარაკის დროს ენას კბილს დააჭერ, მოგებული დარჩები.

გეცლოებაბი

მართალია, საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. თუ მამაოსგან ცოდვების მიტევებას არ ითხოვ ან გამომძიებელს აღიარებით ჩვენებას არ აძლევ, არ არის აუცილებელი, საკუთარი შეცდომები აღიარო. საეჭვოა, რომ ქალბატონს მოეწონოს იმის მოსმენა, თუ როგორ გამოგიყენა მისმა წინამორბედმა ან როგორ დაგიტხოვეს სამსახურიდან იმის გამო, რომ შეფის მდივანს ეკურკურებოდი. ბოლოს და ბოლოს, მას შენი (თქვენი) მომავალი უფრო აინტერესებს, ვიდრე წარსული.

ღონეანის სია

თუ იმდენად წინდაუხედავი ხარ, რომ ყოფილი ქალების

სახელებსა და ტელეფონის ნომრებს ბლოკნოტში ინერდი, ჯობს, ის ბლოკნოტი სასწრაფოდ რომელიმე ბანკის სეიფში გადაამალო. კიდევ უკეთესი, თუ დანვავ, ფერფლს კი — ქარს გაატან.

კორნოჟუნალაბი

მამაკაცებისა და სექსობათოლოგების თავგამოდებული მტკიცებების მიუხედავად, ქალები მიიჩნევენ, რომ პორნოჟუნალები გასართობად, მხოლოდ გარყვნილ მამაკაცებს იზიდავს. თანაც, თუკი წინაღამის მხურვალე სექსსა და პორნოჟუნალებს შორის მსგავსებას აღმოაჩენ, პატიების თხოვნა შედეგს ვერ მოგიტანს. მხოლოდ ჟუნალების ცენტრალურ მოედანზე, სახალხოოდ დანვა თუ გიშველის.

ფინანსაბი

თანხა, რომელსაც კომერციულ თუ შუშის „ბანკ(ა)ში“ ინახავ, საიდუმლოდ უნდა დატოვო. ქალისთვის მისი ცოდნა აუცილებელი არ გახლავთ, რადგან მას გამუდმებით, მხოლოდ ის „ნულები“ მოელანდება, რომელსაც დაუსახელებ და „კარგ ვარიანტად“, მხოლოდ ამის გამო მიგიჩნევს. მერწმუნე, დროთა განმავლობაში ის თვითონ მიხვდება, რამდენი „ღირხარ“.


მეგობრული

საიღუმლოებაბი

თუ მეგობარმა ლუდხანაში თავისი გულის ნადები გაგიმხილა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ნათქვამი საყვარელ ქალბატონს სიტყვასიტყვით ჩაუკაკლო. ქალებს მამაკაცური საიდუმლოებების მოსმენა ძალიან უყვართ, მაგრამ მოლაყებ მამაკაცებს არ ენდობიან, რადგან მიიჩნევენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, მისი საიდუმლოც გათქვა.

გამოცდილაბა

თუნდაც 2-ჯერ იყო ცოლს გაცილებული და 3-ჯერ ნასამართლავი, ეს არ გაძლევს იმის უფლებას, რომ თავი ქალზე გამოცდილად და ჭკვიანად მიიჩნიო. ყოველ შემთხვევაში, ის სწორედ ასე ფიქრობს.



პოლისიუმის ჰაიმონახელი, ნიკოლს აუსიქაბი

ბაჭია

მართალია, ჟურნალისტობაზე არ ვოცნებობ, მაგრამ მეც მომიხდა, ინტერვიუ ჩამენერა მგზავნელთან, რომელიც პირადად მე, „ფორთხვამდე“ მიყვარს და ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენი გულიც მოიგო. თანაც, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ნიკოლსაც ძალიან უყვარხართ. :-) ბაჭია.

— ნიკოლ, გაეცანი მგზავნელებს.

— მაკა, მაკო, მაკუშა... გვარად ბურჯალიანი ვარ, დავიბადე 1991 წლის 9 ნოემბერს. ვარ XI კლასის მოსწავლე და ვცხოვრობ ქარელის რაიონში.

— მაკო, დედამიწვილები გყავს?

— კი, მყავს: 26 წლის და და 23 წლის ძმა. მე ყველაზე პანია ვარ. :-)

— ისიც გვითხარო, ეს ნიკი რატომ აირჩიე?

— ეს სახელი თანაკლასელებმა შემარქვეს, რადგანაც ძალიან მიყვარს ჯგუფ Pussycat Dolls-ის Nicole.

— როგორ მოხვდი ჩვენი დედოფლის სამფლობელოში?

— „გზას“ დიდი ხანია, ვკითხულობ, „გზავნილებს“ — დაარსების დღიდან. მარი პირველად ჩემმა დაიკომ შეამჩ-

ნია, შემდეგ კი მეც შემოგიერთდით და აგერ უკვე 1 წელია, რაც „გზაში“ დავიკარგე. :-)

— ანუ „ლომკიანთა“ რეგებში შენც ჩაენერე? გამორჩეულად ვისთან მეგობრობ?

— ყველანი ძალიან მიყვარხართ, თითქმის ყველა მგზავნელთან ვმეგობრობ, მაგრამ შენთან, ნელკასა და ბაო-ბაოსთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს (თქვენ კი გენაცვალეთ).

— მომავალში რა გეგმები გაქვს?

— სკოლის დამთავრებამდე ჯერ 1 წელი რჩება, შემდეგ სტუდენტობაზე ვოცნებობ და იმედი მაქვს, მეღირსება ეგ ბედნიერება.

— რა აზრის ხარ გამორჩეულ, ჩარჩოიან მესიჯებზე?

— ძალიან მომწონს, კარგი მოფიქრებაა. კითხვისას ჩარჩოიანებს ბოლოში შემოვინახავ ხოლმე...

— რატომ არ შეიქმნა შენკენ ვიპკლუბი?

— მარიმ მაგარი რამ მოიფიქრა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემკენ არავინ იცნობს „გზავნილებს“. მარტო მე ვარ და მიზეზიც ეგაა.

ამჯერად, გაურკვეველი სახელისა და გვარის მქონე ჟურნალისტიმა, ვინმე ბაჭიამ ნიკოლთან ინტერვიუ ჩაენერა. ინტერვიუ ცოტა მშრალია (თქვენ წარმოიდგინეთ, რომ სათაურის შერჩევაც კი გამიჭირდა), მაგრამ ვინაიდან ამხელა ტექსტი მთლიანად მობილურზე, მესაჯებით მივიღე, ბაჭიას შრომა არ დავუკარგე და ვბეჭდავ. ნუ გამინაწყენდება ნურც რესპონდენტი (ამ შემთხვევაში, მას არანაირი ბრალი არ მიუძღვის) და ნურც ჟურნალისტი, მაგრამ გაუფილს გატეხილი სჯობიაო და მეც ვიტყვი, რომ ერთადერთი სიახლე, რომელიც ამ ინტერვიუდან შევიტყვე, რესპონდენტის გვარი გახლდათ...

ამ მასალის კრიტიკას იმიტომ მივყავი ხელი, რომ დანარჩენმა ჟურნალისტებმა მომავალში გაითვალისწინონ. ახლა კი ბაჭიას „ნამოღვანარს“ გავცნოთ.

— რა იციან, რას კარგავენ?! მაკო, შეყვარებული გყავს? და საერთოდ, რა არის შენთვის სიყვარული?

— არა, შეყვარებული არ მყავს, „სერიოზნად“ არც არასდროს მყვარებია ვინმე. რაც შეეხება სიყვარულს, ის ჩემს წარმოდგენაში ძალიან ლამაზი და მშვენიერია.

— შენს ხასიათზე რას იტყვი?

— რა ვიცი, რა ვთქვა? ვარ მხიარული, მეგობრული, ცოტა ჯიუტი. მოკლედ, როგორც ვასასი იტყოდა, „ბოლმის ბუკეტი“ ნამდვილად არ ვარ.

— დაბოლოს, რას გვისურვებ ჩვენ ყველას?

— დიდ სიხარულს და ბედნიერებას, წარმატებებს. ძალიან, ძალიან მიყვარხართ. გვარავდეთ უფალი!

პარიჟანკის მეგობარი პარიჟანკა

ეს ინტერვიუ ულამაზეს დღეს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ჩვენერე.

თქვენ წინაშეა „გზის“ ძირძველი მოპიკანი, პარიჟანკა. გოგონა, რომელსაც უყვარს ხელოვნება, ეხერხება საოჯახო საქმეები და რაც მთავარია, გატაცებულია ფეხბურთით. ვფიქრობ, მის ქმარს ნამდვილად გაუმართლებს.

ნათაო ჩიქოვანი (GREEN GIRL)

— მე ვარ პარიჟანკა, 19 წლის. ნამდვილ სახელს საიდუმლოდ დავტოვებ, ფოტოს ნაცვლად კი მარის, გოჭუნას სურათის დაბეჭდვას ვთხოვ (იციინის). მაქვს ულამაზესი ოჯახი და საყვარელი საქმე.

— სწავლის გარდა კიდევ რამით თუ ხარ დაკავებული?


— თსუ-ში ვეუფლები ფრანგლ ენას. ასევე ვსწავლობ ხელოვნებათმცოდნეობას. ერთი სიტყვით, პერსპექტიული საპატარძლო ვარ (იციინის). მიმაჩნია, რომ საინტერესოდ და ლამაზად ვცხოვრობ. ჩემი დროის დიდი ნაწილი მეგობრებს და წიგნებს ეთმობა. ვწერ ლექსებს და პროზაშიც ვწვავლებ კალამს (იციინის).

— ჰოროსკოპით ვინ ხარ და თუ ამართლებ შენი ნიშნისთვის დამახასიათებელ თვისებებს?

— ჰოროსკოპით თხის რქა ვარ, რომელიც კარიერისტი და წარმატებაზე ორიენტირებული ნიშანია. ვერ ვიტყვი, რომ კარიერა უმნიშვნელოა ჩემთვის, მაგრამ ოჯახზე წინ არაფერს ვაყენებ. თხის რქა კარგი მეოჯახეა და საოჯახო საქმეები მართლაც კარგად გამომდის (იციინის).

— ქალური ინტუიცია თუ გაქვს განვითარებული?

— საკმაოდ ძლიერი ინტუიცია მაქვს და იშვიათად ვცდები. თუმცა, შეცდომაც დავუშვი ცოტა ხნის წინ, მაგრამ როგორც წესი, მე არ მივტირი წარსულს და მიმაჩნია, რომ რაც დასაკარგია, უნდა დაიკარგოს. ქალურის გარდა „სპორტული



ინტუიცია“ კარგად მაქვს განვითარებული (იციინის).

— როგორც გვითხარი, წარსულს არ მისტირო, მაგრამ როცა „სპორტული ინტუიცია“ გიმტყუნებს, როგორია ამ დროს შენი რეაქცია?

— გახსოვს, წინა კვირას დაბეჭდილი ფოტო, როცა „მილანი“ „ბარსას“ ხვდება? მე პირიქით ვიქნები — ქმრის ადგილზე მიყვარს ფეხბურთი და როცა ვერ ვუყურებ, გული მწყდება.

— როგორ შემოიჭრა შენს სამყაროში ჟურნალი „გზა“?

— „გზას“ დაარსებიდან ვკითხულობ და მის გარდა არც ერთ ჟურნალს არ ვცნობ. იმდენად პატარა ვიყავი, რომ არც გამიცნობიერებია მისი როლი. ისე, პროვოკატორს ვეტრფოდი გამორჩეულად (იციინის).

— იმედი მაქვს, პროვოკატორი შენს ბავშვობის დროინდელ „ტრფობას“ უპასუხოდ არ დატოვებს... :) მოდი, შენი ნიკის წარმოშობის ამბავი გაგვანდე.

— ეს ნიკი უკვე წელიწადზე მეტია, რაც მაქვს. მანამდე პასიური და უსახელო მგზავნელი ვიყავი. პარიჟანკა ფრანგულთან და კლასიკურ ჩაცმულობასთან არის დაკავშირებული და დარწმუნებული ვარ, თუ წინა ცხოვრება არსებობს, მე პარიზში ვცხოვრობდი (იციინის). ისე,

აუცილებლად წავალ იქ და ეს თიკუნი ცარიელ სახელად არ დარჩება (იციინის).

— წარმატებას გისურვებ. ერთი წამით წარმოიდგინე, რომ მარი ჯაფარიძე ხარ. როგორი შეგრძნებაა?

— გმადლობთ, უჰ, ძალიან ძნელი იქნება. ფანტაზია არ მაკლია, მაგრამ ამის წარმოდგენა მიჭირს. მიუხედავად მგზავნელების სიყვარულისა, მარის საქმე ურთულესია და დიდ ნებისყოფას მოითხოვს. მის ადგილზე არც მე დავბეჭდავდი სურათს, რადგან ასე უფრო მიუწვდომელი და მომხიბლავია. მე ის ასეთი „შორეული-ახლობელი“ მიყვარს.

— გაიხარე, დიდი მადლობა, ინტერვიუზე რომ დამთანხმდი. საკმაოდ საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდი. დაბოლოს, რას უსურვებ შენს საყვარელ ჟურნალს?

— მადლობა შენ, ორიგინალური კითხვებისთვის და შემოთავაზებისთვის. „გზას“ მარი ჯაფარიძისნაირ ნიჭიერ ჟურნალისტებს ვუსურვებ და ამით ყველაფერია ნათქვამი. მარიმ კარგად იცის ადამიანების გულეზამდე მისასვლელი გზები. დასასრულ, უღრმესი მადლობა მას, ჩვენი „მეორე სამყაროს“ შექმნისათვის. შეგეწიოთ უფალი ყველას!


თელთობა ღირსუასანიშნოებებით

1. თეთრი სახლი 99 წლით იჯარით, ამერიკელ ფერმერს გადაეცა, რომელსაც წელიწადში სულ რაღაც 100 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა. ეს ფაქტი 1925 წელს დაფიქსირდა. მსხვილფეხა, რქოსანი პირუტყვის ფერმის მფლობელმა საქმიანი გარიგების დადებისთანავე, პირველი წლის შესატანი — 100 ათასი დოლარი გადაიხადა.

2. 1925 წლის მარტში საერთაშორისო ავანტიურისტმა ფრანგულ გაზეთში ამოიკითხა ინფორმაცია, რომელიც იუნყებოდა, რომ ეიფელის კოშკი საშინელ მდგომარეობაში იყო და ხელისუფლებას მისი დემონტაჟი ჰქონდა გადაწყვეტილი. მან საუკეთესო სასტუმროში „ლუქსი“ იქირავა და 5 ყველაზე მსხვილ ჯართით მოვაჭრეს შეხვედრაზე შეუთანხმდა. ეიფელის კოშკი კოლოსალურ თანხად პროვინციელმა საქმოსანმა შეიძინა, რომელმაც ამის შესახებ მხოლოდ წლების შემდეგ განაცხადა, რადგან სირცხვილის გრძნობა ტანჯავდა.

3. ლონდონის ცენტრში მდებარე, ტრაფალგარის მოედანი, ადმირალ ნელსონისა და ლომების ქანდაკებებით, შა-

თუ ვინმე ფუნკულორის ან „ქართველის დედის“ ყიდვას შემოგთავაზებს, ნუ გაგეცინება. წარმოიდგინე, რომ ასეთი რამ სავსებით რეალურია. დღესდღეობით ყველაზე დიდი თალთობები სწორედ არქიტექტურულ ღირსშესანიშნოებებს უკავშირდება.



დრეწებთა და სვეტებითურთ, ამერიკელმა ბიზნესმენმა იყიდა. ის ადგილობრივმა თალთობა დაარწმუნა, რომ ინგლისის ხელისუფლებას სხვა სახელმწიფოების ვალი ჰქონდა, რომლის გადახდასაც ვერ ახერხებდა და იძულებული იყო, ყველაფერი გაეყიდა. ღირსშესანიშნობა 150 მილიონ დოლარად გაიყიდა.

გადაიხადა.


6. სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟი სულ ცოტა, 4-ჯერ მაინც გაყიდეს, ხოლო ფრანგებმა დათვალეს, რომ ლუვრი, მთლიანად და ნაწილ-ნაწილ, 18-ჯერ იყო გაყიდული.

7. ერთხელ, ნიუ-იორკში „თავისუფლების ქანდაკება“ გაყიდეს. ამერიკის სიმბოლოს შექმნის სურვილი ავსტრალიელმა ბიზნესმენმა გამოთქვა. მას ადგილობრივმა თალთობმა საიდუმლოდ გაანდო, რომ ამერიკის ხელისუფლება პორტის გაფართოებას აპირებდა, ქანდაკება კი ამ განზრახვაში ხელს უშლიდა. თალთობი დააკავეს და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მომავალში ის ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა და საკმაოდ დიდი ქონების პატრონიც გახლდათ.

8. ერთმა ამერიკელმა, პიზის კოშკის აშენებაზე ლიცენზიის შექმნა გადაწყვიტა. მას საიდუმლოდ გაუმხილეს, რომ ხელისუფლება ძველის დაშლასა და ახლის აშენებას აპირებდა, რომელიც წინამორბედივით დახრილი იქნებოდა, ოღონდ — უფრო მდგრადი.

4. კოლიზეუმის რესტავრაციის მაცდუნებელ წინადადებაზე ერთდროულად 2 სამშენებლო ფირმა წამოეგო. „იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებს“ თითოეულმა, ქრთამის სახით, საკმაოდ სოლიდური თანხა შესთავაზა. რაღა თქმა უნდა, ქრთამი თალთობებმა დიდი სიამოვნებით მიისაკუთრეს.

5. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ 1929 წელს, ამერიკელმა მამაკაცმა, ბუკინგემის სასახლის საყიდლად ბე — 2 ათასი გირვანქა სტერლინგი



პრობლემა

„მარ, გამარჯობა. ახალი რეალური ძალიან მომწონს და მინდა, ანას წარმატება ვუსურვო. მაგარი ქალია და დარწმუნებული ვარ, რასაც ჩაიფიქრებს, ყველაფერს მიაღწევს. ანა“.



„ვის-ვის და ანასწაირებს კი უმართლებთ, ცხოვრებაში. აგერ, უკვე რამდენი წელია, სამსახურს ვეძებ და ვერაფერს გავხდი. მას კი მშვენიერი ბიზნესი აქვს და სამსახურიც უცებ იშოვა. მარი, ჰკითხე ერთი, ხომ არ სურს, რომ სამსახური დამითმოს? უმუშევარი იურისტი“.

„ანა, ჩემო კარგო, როცა შენი მისამართით მოსულ მესიჯებს ვკითხულობ, ჩემს თავს შენს ადგილზე ვაყენებ ხოლმე. წარმომიდგენია, რას განიცდი, როცა ასეთ რაღაცებს გწერენ. სულ იმის მეშინია, რომ მათი წყალობით რეალურის გაგრძელება არ გადაიფიქრო. ფარ-ხმალი არ დაყარო, ნუ მოუსმენ სხვებს. მე შენი გულშემატკივარი ვარ და აბა, შენ იცი! თამო“.

„კენზო, ალბათ ქმარი ძალიან გაბრაზებს, ხომ? მესიჯის შინაარსს ეტყობა, რომ მისგან გამწარებული ხარ. კარგი, რააა! ნერვებს ნუ იშლი. შენც გააბრაზე და ეგ იქნება“.

„მე ისევ უჩვეულო მამაკაცი ვარ. იცი, მგონი ანა მიხვდება, რომ მისი საქციელი უაზროა და გაჩერდება. აბა, როგორი იყო, როცა მახოს ქალთან ერთად შეუსწრო? ხომ გავარდა შინიდან „პრობლემასავით“? ასე მოუხდება. მარ, უთხარი, 1 საათით პირისპირ მელაპარაკოს, თვალეებს აგუხეულ და ცხოვრებას სხვანაირი თვალისა და დავანახებ“.

ახლა კი კვლავ ამბის გაგრძელება, რომელიც წინა ნომერში იქ შევწყვიტეთ, როცა ანამ ყოფილ ქმარს საუვარელთან შეუსწრო და შინიდან გამოიქცა.

დასაწყისი — „გზა“, №11-17

მარი ჯაფარიძე

„ექვიანობა“? — მკითხა ჩემმა მეორე მემ. „არა, არ ვექვიანობ!“ — გავუპასუხე მე. „კი, კი, როგორ არა, ექვიანობ, შენი მახო ისევ გიყვარს და გინდა, ბოდიშები გიხადოს, შენ წინ მუხლებზე იხობხოს და პატიება გთხოვოს. მაშინ ხომ შეურიგდები?“ „არა, არც მაშინ შევეურიგდები და საერთოდ, მე ახლა დათოზე ვფიქრობ, ეგ შენი მახო სულ ფხვებზე მკიდია და ახლა იმაზე გავბრაზდი, ის კახპა შინ რომ მოიყვანა“. „მე კი გეუბნები, რომ ექვიანობ“...

მანქანა ტროტუართან გავაჩერე და თავი რამდენჯერმე გავაქნიე. თითქოს აბეზარი „მეს“ მოშორება მინდოდა. დავფიქრდი, სად შეიძლებოდა, წავსულიყავი. მოდი, დათოს დავურეკავ და სასეირნოდ ან თეატრში დავპატიჟებ, ვეტყვი, ვითომ ბილეთები მაჩუქეს-მეთქი. ეს აზრი მომეწონა. ჯერ მზიას დავურეკე და გავაფრთხილე, რომ სასწრაფოდ ქალაქიდან გასვლამ მომიწია

და შინ ვერ მივიდოდი. მერე სალოს ველაპარაკე, მოვეფერე, მოვუბოდუშე და დროებით დავემშვიდობე. ამის მერე დათოს ნომერი ავკრიბე. ქალის ხმამ მიპასუხა. მივხვდი, ეკა იყო. დათო ვიკითხე.

— ვინ ხართ? — ექვისგან აკანკალებული ხმით მკითხა ეკამ.

— ანა ვარ.
— რა გნებავდათ?
— თქვენ მდივანი ხართ?
— გაღიზიანებული ხმით ვკითხე.
— არა.
— აბა, რატომ მეკითხები? როცა ყურმილს თვითონ აიღებს, მაშინ ვეტყვი, რაც მნებავს.

ყურმილში ეკას ხმა ისევ მომესმა. რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ აღარ მოვუსმინე და ტელეფონი გავთიშე.

გადავწყვიტე, მამადავითვე ავსულიყავი და თბილისის ხედის ცქერით დავმტკბარიყავი. მანქანა ადგილიდან დავძარი და ნელა გავუყვავი გზას.

ჯერ კიდევ სკოლის დროიდან, ანატომიის გაკვეთილებიდან მახსოვდა, რომ ქალი და მამაკაცი ერთმან-

ეთისგან სრულიად განსხვავებული ინდივიდები არიან; ცხოვრებამ კი ამაში დამარწმუნა და იმასაც მივხვდი, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. როგორ მინდოდა, მახოს აზრების წაკითხვა შემძლებოდა და გამეგო, რას ფიქრობდა ჩემზე...

მამადავითს გაზაფხულის მოსვლა დასტყობოდა. ირგვლივ ყველაფერი გამწვანებული და აყვავებული იყო. ჩემი პირველი სიყვარული გამახსენდა. მაშინ IX კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა ჩემივე სკოლელი ბიჭი შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გამიმხილა, რომ თურმე სხვა შეუყვარდა და ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებული იყო. მაშინ ძალიან განვიცადე ეს ამბავი. ღამეებს ტირილში ვათენებდი. როცა ეს მითხრა, იმ წუთიდან შევიძულე, მაგრამ ქალური თავმოყვარეობა შემელახა და ჩემი ტირილის მიზეზიც სწორედ ეს იყო. მისი ნაჩუქარი ვარდი ბლოკნოტში მქონდა შენახული. ის ვარდი მამადავითზე წამოვიღე და მისი კედლის ძირში დავმარხე.

მაშინ მიმაჩნდა, რომ ვარდთან ერთად იქ ჩემი სიყვარული დავასაფლავე. ახლა თვალთ მოვძებნე ის ადგილი, ახლოს მივედი და ჩემი „სიყვარულის სასაფლაოს“ დავაკვირდი. გამეღიმა. ნეტავ, რამდენი ასეთი გარდაცვლილის ჭირისუფალი ვარ-მეთქი? — გავიფიქრე და მახო გამახსენდა. მის სიყვარულს მიწისთვის ვერ გავიმეტებდი. ის ჩემს გულში დავასამარე და ჩვენს ურთიერთობას სამუდამოდ დავუსვი წერტილი.

მოაჯირს დავეყრდენი და თბილისს გადავხედე. სახლის სახურავები მოჩანდა მხოლოდ. ამ სახურავების ქვეშ უამრავი ოჯახი ცხოვრობს, ყველას თავისი ტკივილი აქვს და სიხარული, თავისი ცხოვრება აქვს და ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრ მათგანს ჩემზე მეტად სტიკვა გული და გაცილებით დიდი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. როცა ქალაქს მალლიდან დავაკვირდი და მისი სიდიდე შევიგრძენი, თითქოს გულზე მომეშვა. თითქოს ჩემი პრობლემა დაპატარავდა, დაილია და ერთ პატარა, შავ ლაქად დარჩა, რომელსაც ძლივს თუ შეამჩნევდი. ჩემს ცხოვრებას თვალი გადავავლე. შვილი... ბიზნესი... უზრუნველი ცხოვრება... სამსახური... მეტი

ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და ხელები გავშალე. ცხოვრება მშვენიერია!

მამადავითიდან სრულიად სხვა ადამიანი წამოვედი — ლალი და თავისუფალი. ის იყო, მანქანა ადგილიდან დაქარი, რომ ჩემმა ტელეფონმა დარეკა. ვიფიქრე, რომ დათო იქნებოდა, მაგრამ შევცდი. უცხო ნომრიდან რეკავდნენ.

— გოგო, სად ხარ, როგორ ხარ, ძლივს გავიგე შენი ტელეფონის ნომერი, — მომაცარა ვილაც ქალმა, როგორც კი ზარს ვუბასუსხე.

— რომელი ხარ? — გამიკვირდა, რადგან ხმით ვერ ვიცანი.

— ირმა ვარ, ვაჩეიშვილი, ვერ მიცანი?

— ვაუ, ირმა? „კაკიმი სუდბამი“? რომელმა ქარმა გადმოგაგდო აქეთ? — მისი ხმის გაგონება გამიხარდა.

— სად ხარ, მითხარი. შემხვდი, თუ გცალია.

— სად მოვიდე?

— რუსთაველზე, ფოსტასთან დაგელოდები.

— o.k. 10 წუთში მანდ ვიქნები.

ირმა ჩემი თანაკლასელია. 10 წელია, არ მინახავს, უცხოეთში ცხოვრობს. მის ამბებს საერთო ნაცნობებისგან ვიგებდი. ბოლო, 2 წლის წინანდელი ინფორმაციით

მივამსგავსე. მანქანა იქვე მივაყენე, მეც გადმოვედი და ერთმანეთს გადავხვით.

— როგორი შეცვლილი ხარ, ქუჩაში რომ შემხვედროდი, ვერც გიცნობდი, — ვუთხარი და თავიდან ფეხებამდე შევათვალე.

— სამაგიეროდ, შენ არ შეცვლილხარ, ისევ ისეთი ანა ხარ, როგორც მახსოვხარ.

ერთმანეთის მოკითხვას რამდენიმე წუთი მოვანდომეთ და გადავწყვიტეთ, მცხეთაში, რესტორანში წავსულიყავით. ორივე ჩემს მანქანაში ჩავსხედით და მცხეთის გზას დავადექით.

მთელი გზა არ გავჩუმებულვართ, ერთმანეთის ამბებს ვიგებდით. თურმე ირმა არჩვენებთან დაკავშირებით, რაღაც საქმეების მოსაგვარებლად ჩამოსულა და მთელი 1 თვე აქ აპირებდა დარჩენას.

როგორც იქნა, მაგიდასთან დავსხედით და მიმტანს შევკვეთაც მივეცი.

— როგორც ვხედავ, წარმატებული ადამიანი ხარ, — მითხრა, როცა ოფიციალტი გაბრუნდა.

— როგორ მიხვდი? — გამეცინა.

— ჩიტმა მომიტანა ამბავი. შენ ის მითხარი, შენი საკუთარი შრომით იშოვე ფული თუ მდიდარი საყვარელი გყავს „ნაშოვნის“?

— მდიდარი კაცი კი არაა, ჩემი საკუთარი კაციც აღარ მყავს...

— როგორ, მახოს გაშორდი?

— კი, შეიძლება ითქვას, რომ გავშორდი. თუ ჩვენი დაშორების ამბავი არ იცოდი, რატომ გაგიჩნდა ეგ აზრი, რომ მდიდარი საყვარელი მყავს?

— რა, არ შეიძლება?

ახლა ხომ ქართველი ქალების უმეტესობა ასე ცხოვრობს? ქმარიც ჰყავთ და საყვარელიც...

— საიდან მოიტანე, გოგო ეს სისულელე?! შეიძლება, ზოგიერთი მართლა ასე ცხოვრობს, მაგრამ ყველაზე ამას ვერ იტყვი, ყველას ერთ ტაფაში ნუ შეწავ.

— შენ გინდა თქვა, რომ ეს მანქანა, ტანისამოსი, რომელიც გაცვია და ვატყობ, რომ არც ისე იაფი ეღირება და ეს სამ-

შენ ის მითხარი, შენი საკუთარი

შრომით იშოვე ფული თუ მდიდარი

საყვარელი გყავს „ნაშოვნის“?

რა უნდა უნდოდეს ადამიანს? ახლა აღმოვაჩინე, რომ ჩემი პრობლემა მხოლოდ პირადი ცხოვრებაა. ეს არცთუ ისე ცოტაა, მაგრამ სანერვიულოდ არ ღირს! არც ერთი კაცი არ არის ღირსი, რომ მის გამო ასე ინერვიულო, თუნდაც, ეს შენი შვილის მამა იყოს. თავში ქვა იხალოს მახომაც, დათომაც და მათი მოდგმის ყველა ინდივიდმაც... დარდისგან მთლიანად გავთავისუფლდი,

ვიცოდი, რომ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, საქართველოს საელჩოში მუშაობდა. ეს იყო და ეს. ადგილზე მისულმა იქურობა მოვათვალე, მაგრამ ირმა ვერსად დავლანდე. გადავრეკე.

— აგერ ვარ, ვერცხლისფერი „მერსედესით“, მოიცადე, გადმოვალ... — მითხრა და მაშინვე შევნიშნე, მანქანიდან გადმოსული ქერა ქალი, რომელიც ირმას ვერაფრით

კაულები, საკუთარი შრომით გაქვს შეძენილი?

— კი, — მოკლედ მოვუჭერი. შთაბეჭდილება ამ ადამიანზე აშკარად გამიფუჭდა. ეს ის ირმა არ იყო, რომელიც მე მახსოვდა. სულ სხვა ადამიანი გახლდათ და ახლა აქ ყოფნა აღარ მინ-

დადგა.

ოფიციალტმა კონიაკის ახალი, გაუხსნელი ბოთლი ჩამოდგა მაგიდაზე.

— ჩვენ არ შეგვიკვეთია, — ვუთხარი და ბოთლი მივაწოდე.

— იმ სუფრიდან გამოგიგზავნეს, — ხელი იმ მამაკაცე-

ირმას საყვედურით სავსე მზერით გადავხედე, მაგრამ მე არ მიყურებდა. მათთან საუბრით იყო გართული.

— თქვენი სახელი, ლამაზო? — მომიბრუნდა ახალმოსული.

— ანა, — ნაძალადევი ღიმილი მივიხატე სახეზე.

— მე ლადო მქვია, ამას — ანდრო, — მითხრა და ხელზე მაკოცა. რამდენიმე წიქა კიდევ დალიეს. ირმა დათვრა და რას ლაპარაკობდა, თვითონაც არ იცოდა. წამოვდექი და ვთხოვე, წავსულიყავით.

— მთვარეზე ხომ არ მიდიხარ, რატომ ჩქარობ? — იდიოტური ღიმილი გადაეფინა ლადოს — აქაოდა, რა მაგარი რამე ვთქვიო.

— რა იყო, შენ ბილეთებს ხომ არ ყიდი? — დამცინავი ღიმილით ვუპასუხე.

— მოიცა, ბიჭებს ხომ არ მივატოვებთ? — გააპროტესტა ირმამ და უარის ნიშნად თავი გააქნია.

თავბედს ვინყევლიდი, ერთი სული მქონდა, იქიდან როდის წამოვიდოდი. ირმას მიტოვება არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა და იძულებული ვიყავი, მის ნებას დავყოლოდი. კიდევ ნახევარი საათი გავიდა. ირმას სასმელი უფრო და უფრო ეკიდებოდა. ბოლოს, როდესაც გავიგონე, როგორ უთხრა ანდრომ, ამაღამ არსად გაგიშვებ, ჩემთან უნდა დარჩეო, ძალიან გავბრაზდი. ფეხზე წამოვდექი, ირმას მკლავში ხელი ჩავავლე და ძალით გამოვიყვანე გარეთ. მანქანაში რომ ვსვამდი, ლადო მომიახლოვდა. მის ბუუტურს ყურადღება რომ არ მივაქციე, გაბრაზდა და მაჯაში ჩამავლო ხელი. მე ხელის გათავისუფლებას ვცდილობდი, ამასობაში კი ანდრო ირმას ეღლაბუცებოდა და მის კოცნას ცდილობდა. თავისუფალი ხელი ჩანთას მივანვდინე, იარაღი ამოვიღე და ლადოს მუცელზე მივაბჯინე.

— ნაბიჭვარო, ხელი გამიშვი, თორემ საიქიოში გაგამგზავრებ, — კბილებში გამოცვერი და მზად ვიყავი, ჩახმანისთვის ხელი გამომეკრა.

გავრძელება შემდეგ ნომერში

თავისუფალი ხელი ჩანთას მივაწვდინე, იარაღი ამოვიღე და ლადოს მუცელზე მივაბჯინე.

დოდა. ჩვენს ბავშვობას ვეცი პატივი და სუფრასთან არ მივატოვე.

— უკვე აღარ გკითხავ, შენ რა საშუალებით შეიძინე ბოლო კლასის „მერსედესი“, რადგან ისედაც გასაგებია, — ტონი აშკარად შემეცვალა.

— არა, „მერსედესი“ ჩემი ფულით ვიყიდე, ეს ფული ჩემი ხელფასიდან დავზოგე, მაგრამ ეს ხელფასი და შესაბამისად — სამსახური კი წამდვილად ჩემი საყვარლის დამსახურებაა.

— ევროპაში ცხოვრებას შეუცვლიხარ, — უარესად მოვიღუშე.

— კარგი რა, რა ცხვირპირი ჩამოგტირის? ამას სჯობია, გავერთოთ, — თქვა და რესტორნის დარბაზი მოათვალიერა. თვალი ერთ-ერთ სუფრასთან მსხდომ მამაკაცებს გაუშტერა, მერე კონიაკის ჭიქა აიღო, მალლა ასწია და მათ დაანახვა, — თქვენ გაგიმარჯოთო, ანიშნა და დალია.

— აქ ასე მოქცევა არ შეიძლება, — შენიშვნა მივეცი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ახლა ის მამაკაცები ადგებიან და აქ მოვლენ, ჩვენთან დასხდებიან და გულს გაგვიწყალებენ.

— მერე რა, მოვიდნენ... ამ ჭიქით ჩვენ გაგიმარჯოს, ჩემო ანა, ჩვენს ბავშვობას გაუმარჯოს, საიდანაც მოვდივართ, — ჭიქა მომიჭახუნა და მეორე სადღეგრძელოც ბოლომდე დალია. მერე მესამეც მიაყოლა. სასმელი მოეკიდა და სიცილის გუნებაზე

ბისკენ გაიშვირა, წელან ირმამ რომ ადღეგრძელა.

— აი, ხედავ? უკვე დაიწყეს, — საყვედურის ტონით ვუთხარი ირმას. გაეცინა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კონიაკის ბოთლს მისი გამომგზავნი მოჰყვა.

— შეიძლება, თქვენთან დაჯდეთ და ერთი სადღეგრძელო შევსვა? — ჩვენს თანხმობას არც დალოდებია, ისე ჩამოჯდა.

— გენაცვალე, რა სიმპოხარ, დაჯექი, — ლამის დადნა ირმა.

— თქვენ ხომ არ ხართ წინააღმდეგი? — ახლა მე მომიბრუნდა. პასუხი არ გავეცი. ოფიციალტს თავისთვის ჭიქა მოატანინა, შეავსო და ჩვენი სადღეგრძელო წარმოთქვა. ბევრი ილაპარაკა ქალის მშვენიერებასა და დანიშნულებაზე, რომ ჩვენ გარეშე ცხოვრებას აზრი არ აქვს, რომ ეშმაკზე 3 დღით ადრე ვართ დაბადებული, მაგრამ მაინც ვუყვარვართ, რომ სიყვარული მაგარი გრძნობაა და კიდევ ათასი ბრტყელბრტყელი სიტყვა მოაყოლა. ირმა თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა. ბოლოს, როგორც იქნა, ლაპარაკს მორჩა და სასმელი გადაკრა. მერე თავის მეგობარს გადაურეკა — რა არის, გასაჭირში მარტო რომ მიმატოვე, აქეთ გადმოჯექი, 2 მშვენიერი ქალბატონის მხურვალეებას მარტო ვერ ვუძლებო. ისიც იმწუთას გვეახლა და მის გვერდით მოკალათდა.

სიცხის ენციკლოპედია



ადამიანი ბუნებით რომ მატყუარაა, ეს უდავოა. ყველამ იცის, რომ ტყუილი ცუდია, სიმართლე – ჯარგი. უხსოვარი დროიდან, მოაზროვნეები და განმანათლებლები ადამიანებს სიმართლის თქმისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ სიცრუე დღემდე ადამიანის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა (მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა). თუმცა, თუ წარმოიდგენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ადამიანი მხოლოდ სიმართლეს იტყუარაებს და გულახდილად იტყვის იმას, რასაც ფიქრობს, მიხვდები, რომ დედამიწაზე უკომარო გარდაუვალია. თუ დაფიქრდები, მიხვდები, რომ არც ისე დიდი სურვილი გაქვს, გაიგო, რას ფიქრობენ შენზე ოჯახის წევრები, მეგობრები და გამვლულები, პრეზიდენტი და ოპოზიცია, გამყიდველები და ყოლეგები, ექიმები და ბავშვები. ასეთ სიტუაციაში ადამიანი ერთ დღესაც ვერ იცოცხლებდა. ამას წყალი არ გაუვა. ასე რომ, ტყუილი ეს არის ცივილიზაციის ულტურული მიღწევა.


ბრაუნი მარხანო

მატყუარა ადამიანი განსხვავებულად აზროვნებს, ვიდრე მართლისმთქმელი. მისი გონება გაცილებით სწრაფად მუშაობს. გაუგებარია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ რაც უფრო ხშირად იტყუებიან ადამიანები, მით უფრო მაღალია მათში შემოქმედებითი და აზრობრივი შესაძლებლობები. მეცნიერებმა გამოიკვლიეს 8500 სკოლამდელი ასაკის ბავშვი და დაადგინეს, რომ ბავშვი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს ამბობს, თავის ტო-

ლებს გონებრივად ჩამორჩება, ხოლო ფანტაზიორები და გამომგონებლები მეცადინეობის დროს არავითარ სირთულეს არ აწყდებიან. თუმცა, თუ მატყუარებს ახალგაზრდობაში სხარტი გონება აქვთ, მოხუცებულობის ფაზს მათ გონება ხშირად უმტყუნებთ ხოლმე. ეს კი იმის ბრალია, რომ არ შეიძლება, მთელი ცხოვრება ერთს ფიქრობდე, სხვას ამბობდე და სულ სხვას აკეთებდე. რეალობასთან ასეთ ურთიერთობას გონება უმოქმედობამდე მიჰყავს და სიმართლისა და

გამოგონილის გარჩევის უნარს აკარგვინებს. სტატისტიკის მიხედვით, დღესდღეობით მოხუცები 7 წლით უფრო ადრე ხდებიან ალცჰაიმერის დაავადების მსხვერპლი.


მატყუარა ადამიანის ტვინის უფრო მეტი უჯრედები მუშაობენ, ვიდრე სიმართლის მთქმელის. ამიტომ, მატყუარები უფრო ცბიერები არიან. მიუხედავად ამისა, ყველაზე პროფესიონალი მატყუარის ამოცნობაც შესაძლებელია. თუ ლაპარაკის დროს ხელები მკერდის წინ გადაჯვარედინებული აქვს, მუშტს კრავს, თითებს ათამაშებს და წარბებს ჭმუხნის, იცოდე, რომ მატყუარაა. მისი ნათქვამი შუაზე უნდა გაყო და მხოლოდ ერთი ნაწილი დაიჯერო. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ გადაჭარბებული მოტორიზმი (მიმიკა, ფესტიკულაცია, სხეულის მოძრაობა) იმაზე მიგვანიშნებს, რომ ორგანიზმი იმ დაძაბულობის მოხსნას ცდილობს, რომელსაც ტვინი ტყუილის თქმის დროს განიცდის.



პროფესიონალი მატყუარა თავის მზერას ყოველთვის აკონტროლებს. ლაპარაკის დროს ის მზერას არ გარდებს და კედელს არ ათვალიერებს. შენ წინაშე თავისსავე ნათქვამში დაჯერებული ადამიანია და დამაჯერებლად იტყუება. ეცადე, გამოცდა მოუწყო. გვერდზე გაიხედე ან კბილებით ფანქრის ღრღნას შეუდექი, დაინტერესდი, რა ფერის სპილო ნახა სიზმარში. თუ მისი მზერა კვლავ ძველებური, შეუშფოთებელი დარჩა, მაშინ უნდა იცოდე, რომ ეს მზერა თავიდანვე ყალბი იყო. ბევრი მატყუარა, იმისათვის, რომ დამაჯერებლად ილაპარაკოს, სათქმელს წინასწარ, ზეპირად სწავლობს. მაგალითად, ადვოკატები, რომლებიც კლიენტს ჩვენების მისაცემად ამზადებენ, ცდილობენ, რომ მსმენელს წინასწარ დაზეპირებული ტექსტის შთაბეჭდილება არ დარჩეს. საუბრის დროს გამოყენებული — „მართლა“, „პატიოსან სიტყვას გაძღვე“, „არ ვიტყუები“, „გეფიცები“ — ნებისმიერი მატყუარის „პარაზიტი“ სიტყვებია, რომლებიც სიმართლის თქმის დროს იშვიათად გამოიყენება.

ფსიქოლოგიაში არსებობს სპეციალური, ნეიროლინგვისტიკური განხრა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სიმართლეს

ცნობილი ტყუილება



„ჩვენს ურთიერთობას სექსუალური ხასიათი არ ჰქონია“ — განაცხადა ბილ კლინტონმა სასამართლოში, როდესაც მონიკა ლევენსკის საქმის გამო ჩვენებას აძლევდა. შემდეგ მან ტყუილის გამო ბოდიში მოიხადა.

„მე დავწვები მატარებლის რელსებზე, თუ პროდუქტზე ფასები გაიზრდება“ — ბორის ელცინი.

„სულელების ქვეყანაში არის ჯადოსნური მინდორი. ამ მინდორში

ორმო ამოთხარე და სამჯერ გაიმეორე — „კრექს, ფექს, პექს“, ორმოში ოქროს მონეტა ჩადე, მიწა მიაყარე, მორწყე და დასაძინებლად წადი. დილით ამ ადგილზე ხე დაგხვდება, რომელსაც ფოთლების ნაცვლად ოქროს მონეტები ექნება.“ — მელია ალისა („ბურატინო“).

„თუ ჩვენ ამ ვაშლს შევჭამთ, არაფერი მოხდება.“ — ევა.

პირველად ეკრანზე მთელი ვაშლი გამოისახება ხოლმე.

არსებობს ასევე კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც მატყუარის ამოცნობა 95%-იანი სიზუსტით შეუძლია.

თერმოსკანერს შეუძლია, მატყუარა, თვალის გარშემო გაჩენილი მონითალო ფერის ლაქების საშუალებით გამოავლინოს, რომელიც ჩვეულებრივი თვალისთვის შეუძინეველი რჩება. ამ მოწყობილობას აეროპორტში, ტერორისტების გამოსავლენად იყენებენ.

თავდაპირველად ეკრანზე მთელი ვაშლი გამოისახება ხოლმე. თუ მოსაუბრე იტყუება, ვაშლი ნელ-ნელა ქრება.

ამბობს, მარცხნივ იყურება. თუ რაიმის წარმოდგენას ცდილობს, — მარჯვნივ. თუ ვიზუალურად ცდილობს რაიმის წარმოდგენას, მზერა ზევით გაურბის, თუ ბგერების წარმოსახვას ცდილობს, — პირდაპირ.

თუ მოსაუბრე იტყუება, ვაშლი ნელ-ნელა ქრება.



ჩამოიკლემო, ჯანმრთელობის
სამინისტროს გაიგებოლოა
ოქვნი ჯანმრთელობია!

მამაკაცი სქესის სისუსტეები

ბრაში მარხანი

მამაკაცებს კომპლექსებთან დამოუკიდებლად ბრძოლა არ შეუძლიათ. მათ ქალის დახმარება სჭირდებათ იმის მიხედვით, თუ რა კომპლექსი აწუხებთ, მიდგომაც სხვადასხვანაირი ესაჭიროებათ.

დავითის სინდრომი

თუ მამაკაცი პარტნიორად ახალგაზრდა, ლამაზ ქალს ირჩევს, ის უსიამოვნებებისთვის მზად უნდა იყოს. მათ შორის ყველაზე უმნიშვნელო უსიამოვნებას წარმოადგენს პასუხი კითხვაზე — „თქვენი შვილია?“ ამ სინდრომმა სახელწოდება ბიბლიური მეფის — დავითისგან მიიღო, რომელიც იმისათვის, რომ გამთბარიყო, ლოგინში ახალგაზრდა ლამაზმანებს იწვევდა. თანამედროვე მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდა პარტნიორის გვერდით თავს თვითონაც ახალგაზრდად იგრძნობენ და ცხოვრებას თავიდან დაიწყებენ. ზოგიერთს, შესაძლოა, ეს გამოსდის კიდევ, მაგრამ უმეტესობას კომპლექსი უჩნდება და მისგან თავის დაღწევას ვერ ახერხებს.

შეფის სინდრომი

მამაკაცის ხასიათი ფაქტობრივად, დაბადებიდანვე ყალიბდება. მშობლები ქვეცნობიერად ცდილობენ მასში მამაკაცური თვისებების განვითარებას და უნერგავენ, რომ ქალთან შედარებით, უფრო მაღალ საფეხურზე დგას. სწორედ ამის გამო მამაკაცს მთელი ცხოვრება საკუთარი უპირატესობის მტკიცება უწევს. მამაკაცების 70%-ს ღრმა დეპრესია იპყრობს, თუ მისი შეფი — ქალია, 64% კომპლექსდება, თუ ცოლს მასზე დიდი ხელფასი აქვს, 58%-ს შური იპყრობს, თუ მისმა მეგობარმა ქალმა პროფესიულ წარმატებას მიაღწია. ამ სინდრომისგან გათავისუფლება პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ნაპოლეონის სინდრომი

ტანდაბლობა მამაკაცისთვის ნამდვილი ტრაგედიაა. ხშირად ეს ნაკლი გიჟური ამბიციითა და პატივმოყვარეობით კომპენსირდება. ამის გამო, ტანდაბალი მამაკაცები ხშირად, წარმატებული ადამიანები

ხდებიან. ნაპოლეონი სიმაღლით 157 სმ იყო, მომღერალი პრინცი — 158-ია, დიეგო მარადონა — 167, დასტინ ჰოფმანი — 163. „ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობს“ — აი, რა უნდა ახსოვდეთ ქალებს, რომლებსაც ტანდაბალი თაყვანისმცემელი ჰყავთ.


დაკარგული დროის სინდრომი

წარმატების მიღწევა და აღიარების მოპოვება 50 წლის მერვე შესაძლებელია — როგორც პაბლო პიკასოს მაგალითი გვიჩვენებს, მაგრამ ადამიანის ბუნება ისეთია,

რომ ეს აბსურდია... სულ სხვა საქმეა, ნებით გადახოტრილი თავი: ის მამაკაცური ძლიერების სიმბოლოა და... მელოტი ადგილების შენიღბვა.

ალექსანდრეს სინდრომი

ალბათ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მამაკაცებს ყველაზე მეტად იმის ეშინიათ, სხვა მამაკაცმა ლაჩრად ან ჰომოსექსუალისტად არ მიიჩნიოს. ამასთან, სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ კაცების 21%-ს შესაბამისი გადახრა აქვს, 30%-ს კი — ახალგაზრდობაში



რომ მას ყველაფერი ადრე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა. ამის გამო, მამაკაცებს ხშირად დეპრესია იპყრობს. ტაქტიან ქალს კი შეუძლია, საყვარელი მამაკაცი ამ სინდრომისგან გაათავისუფლოს.

დონ ჟუანის სინდრომი

ეს ყველაზე გავრცელებული სინდრომია, რომელთან ბრძოლაც შესაძლებელია. არც ერთი ნორმალური მამაკაცი არ დათანხმდება, რომ სასიყვარულო ურთიერთობების დასრულების მომხრე — ქალი იყოს; მიტოვება — ეს მამაკაცის პრეროგატივაა! ახლა შესაძლებელია, რომ ყველაფერი ემანსიპაციას გადააბრალო და ტრავმირებული მამაკაცური გული დაამშვიდო.

კოტოვსკის სინდრომი

როგორ ფიქრობთ — რატომ იპარსავენ თავს მამაკაცები? იმიტომ, რომ გამელოტება — ეს კატასტროფაა. თმის ცვენას ისინი მამაკაცური ძალის დაკარგვას უკავშირებენ, მიუხედავად იმისა,

მიუღია მსგავსი სექსუალური გამოცდილება (ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, რომლის სახელიც აღნიშნულ სინდრომს დაარქვეს).

ჰერკულესის სინდრომი


ეს უკვე ძველი ბერძნული მითოლოგიის სფეროდანაა. ჰერკულესი, რომელმაც უამრავი საგმირო საქმე ჩაიდინა, ამაზონიელთა ქალმერთთან ტყვედ მოხვდა და ის ქალის საქმის კეთებას აიძულებდა... აღნიშნული სინდრომი მაშინ ჩნდება, როდესაც მამაკაცი მატერიალურად მთლიანად ქალზეა დამოკიდებული და ამის გამო, საშინაო საქმეების კეთება უწევს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სინდრომი ქალბატონებს იმის საფუძველს აძლევს, რომ მამაკაცებს გაუფრთხილდნენ. აბა, სცადეთ და ასეთი „სუფთა კაცური“ კომპლექსებით იცხოვრეთ.



მობილიზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



1. ნუთუ აღარ არსებობენ 30 წელს ზემოთ მამაკაცები, ვინც ქალის ნამდვილი ფასი იცის? თუ არსებობთ, გამოუმეხმარეთ, გელოდებით.

2. მინდა შევქმნა რომანტიკულ და დიდ გრძნობებზე დაფუძნებული, ლამაზი ოჯახი. ვარ საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის, ქვრივი ქალი, 40 წლის. სუფთა წარსულით, მორწმუნე და კარგი ადამიანი. მინდა გამოუმეხმაროს ასეთივე სასიამოვნო, სიმპათიური და კარგი ადამიანი, მატერიალურად უზრუნველყოფილი, თბილისში მცხოვრები. უმჯობესია, იყოს ქვრივი. ნინი.

3. ვარ 34 წლის, ლამაზი, სერიოზული, ინტელიგენტი ქალბატონი. განქორწინებული. სამეგობროდ გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, ინტელიგენტ, ყველაფრით უზრუნველყოფილ, თბილისელ მამაკაცს.

4. გთხოვთ დამაკავშიროთ „გზა“ №13, მე-40 გზავნილის ავტორთან. წინასწარ გიხდით მადლობას.

5. ვარ ლამაზი გარეგნო-

ბის, 20 წლის, შავგვრემანი გოგო. ვცხოვრობ დასავლეთ საქართველოში. ოჯახის შექმნისთვის გავიცნობ 20-30 წლის, გულწრფელ მამაკაცს.

6. ვარ ქეთი, 21 წლის. ოჯახის შექმნა მინდა და მინდა გავიცნო 25-33 წლის, სერიოზული მამაკაცი. მყავს ერთი შვილი და არ ვცხოვრობ თბილისში.

7. ვარ 38 წლის, ქვრივი ქალი. გავიცნობდი „გზა“ №16, 35-ე მესიჯის ავტორს. ირმა.

8. გთხოვთ გამომიგზავნოთ „გზა“ №17, 32-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

9. მარი, გთხოვ დამაკავშირე, „გზა“ №17, 25-ე მესიჯის ავტორთან. ახლავე, გთხოვ.

10. 35 წლის, პრიბალტიკელი, ლამაზი ქალი გავიცნობს ასაკოვან, სერიოზულ მამაკაცს.


11. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №17, 23-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

12. ვარ 25/172/62, სუფთა წარსულის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს.

13. მრავალ აღდგომას დაეცნარით! ვარ 35/165/52, სიმპათიური, ეკლესიური, პატიოსანი, განათხოვარი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს, საქმიანს.

14. ვარ 40/172/70, მშვენიერი გარეგნობის ქალბატონი, რომელსაც ღმერთმა ცხოვრება ეკლებად მიქცია და ვინც ეკლებს იებად და ვარდებად გადამიქცევს, დამიმესიჯეთ.

მამაკაცი



15. ვარ ლარიბი, მაგრამ გულით მდიდარი. ცოლს გაცილებული. გავიცნობ 22-25 წლის გოგოს. თუ დაგაინტერესეთ, გამოუმეხმარეთ. ლევანი.

16. ვარ 48/185/99, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად ლამაზი მამაკაცი. მსურს გავიცნო მსგავსი, შესაფერისი, მარტოდ მყოფი საქალბატონე. კარგად შეეცნობა გადაწყვეტს ჩვენს ბედს.

17. გავიცნობ 24-35 წლამდე ასაკის, თბილისელ ან რუსთაველ მანდილოსანს, ლამაზი და საინტერესო ურთიერთობისთვის. ვარ 26 წლის, თბილისელი მამაკაცი. გპირდები, არ ინანებ.

18. ვარ 42 წლის, სიმპათიური მამაკაცი. განქორწინებული. ოჯახის შექმნის მიზნით გამოუმეხმაროს ქვრივი ან განათხოვარი, უშვილო, პატიოსანი ქალბატონი. დანარჩენი — პირადად.

19. ვეხმარები მე-16 ნომერში დაბეჭდილ, მე-15 მესიჯის ავტორს, ანას, დიდი სიბოთით და რა თქმა უნდა, სამეგობროდ. დამიმესიჯეთ, არ ინანებთ. ივიკო.

20. მარი, გთხოვთ გამომიგზავნე „გზა“ №17, მე-16 მესიჯის ავტორის ნომერი.

21. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 30-35-წლამდე ასაკის, თბილისელ, ხალისიან, სიმპათიურ ქალიშვილს. თუ ფულიც ექნება, მით უკეთესი. :) ვარ 39 წლის, 178 სმ, თბილისელი, დასაქმებული, სიმპათიური.

22. გავიცნობ 27-35 წლის ქალბატონს, სამეგობროდ. ვარ 26 წლის.

23. გთხოვთ, მე-16 ნომერში გამოქვეყნებული, მე-16 მესიჯის ავტორის, ევა-22-ის ტელეფონის ნომერი გამომიგზავნოთ. გმადლობთ, წინასწარ.

24. ვარ 24 წლის. სექ-

• დღეიდან ნიკს ვიცვლი, ანუ უბრალოდ სოფი და არა — ვასასი. რატომღაც ასე მომინდა და...

• ბავშვებო, მე ისე, ერთი წუთით შემოვიარე, ყველა ძალიან მენატრებით და მიყვარხართ. ძველებიც და ახლებიც. გაკოცეთ ყველას. ოლეგარიო.

• მარი, გემუდარები, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე, რა... დღეს ძალიან უბედური ვარ, სიკვდილს მართლა ვნატრობ. ჩემმა სიყვარულმა ცოლი მოიყვანა. რატომ? იმიტომ! სოსო, სიგიჟემდე მიყვარდი, საზიზღარო, ახლა კი სხვა გააბედნიერე, მე კი სიკვდილს ვნატრობ.

• ახლა ვნახე ბოას მოკითხვა, ძველ „გზაში“. მონასტრიდან რომ დაბრუნდები, შეგვეხმიანე, რაააა... ჰოდა, იცით, რაა? ძველების დროს უფრო მაგარი იყო! პატარა მაწვ.

• მოვიკითხავ ნელკას, ნიკოლს, კანიბალკას, პრინცესას, რუსკას. ლეო, შენ კი ჩემი გაცნობა თუ არ გინდოდა, გეთქვა უბრალოდ! ჰმ, პატარა მაწვ.

• ქრისტე აღსდგა! მრავალს დაესწარიით! პატარა მაწვ.

• ათენში, ნინო მათურელს მინდა ვუთხრა, რომ პატარა ბაცაცუნაა. ხათო, სკოპელოდან.

• მარი, „გზავნილების“ თემა დაგავინწყდა თუ ჩვენი გულთმისნობა გაინტერესებს? ა, სასწაული, თუ გინდა. გაიგე ახლა შენ, რაზე უნდა დანერო, ან საით მიმართო „წვეტიანი“ აზრები. სექსი დეპეშით მაგარი! თუმცა, რატომ — ქუთაისი, ვერ მივხვდი. ისე, ნახევრად რაჭველი ვარ და ალბათ გვიან, მაგრამ მაინც მივხვდები. გეფერებით ყველას (სხვა „გზა“ არ მაქვს და კვირამდე არც მექნება)! გკოცნით, მარ-ათენი.

• აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ, მარი. ახლა წავიკითხე „გზა“ და შემზარა 24 წლის გიოს მესიჯმა. ძალიან ცუდად მოექცა ნინოს, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. „გზაში“ წავიკითხე ამდაგვარი რამ, შეცდომით რომ გააუპატიურა ბიჭმა გოგო და შემდეგ რომ დაქორწინდნენ. ძალიან მინდა, მათი ამბავიც ასე დასრულდეს. მთავარია, ნინო დაარწმუნოს,

რომ ნამდვილად უყვარს და პატიებაც სთხოვოს. წარმატებებს ვუსურვებ, გიოს. პია.

• სალამო მშვიდობის, მარი. გუშინ სალამოდან დავლიინებ ჩემთვის — „რა ვქნა, რომ ბედი არ მწყალობს“-თქო. არა, ნამდვილად რაღაც ხდება! ან ქართველების გარდა სხვებაც კითხულობენ „გზას“, ან ერთი ადამიანი ხუთ ურუნალს ყიდულობს. აბა, როგორ შეიძლება, დილიდან სალამოს 5 საათამდე ყველა „გზა“ გაიყიდოს? კარგი რა, ხალხო, სხვა ურუნალები იყიდეთ და 1 „გზა“ მეც დამიტოვეთ. ალბათ წინა კვირას ჩემი დებიუტი არ შედგა, მაგრამ მე უფრო სხვისი გზავნილები მაინტერესებდა. ყველას გკოცნით და გეფერებით. სო-ნი.

• კობრა, შენი გამომავლება მაგრად გამიხარდა. ჰოდა, გადავწყვიტე, გაგიცნო, OK? კვირას ომონიაზე გამოვვარდები, აუცილებლად „გზას“ დავიჭერ და ასე შეგხვდები, ჩვენ ხომ ერთმანეთი „გზაში“ ვიპოვეთ. უკარება. გკოცნით, პატარებო, მშუა.

• მარ, მადლობის მეტი რა გვეთქმის, რა... კარგი ადამიანი ხარ, გაიხარე! ჰო, მეორე კვირას გავიცნოთ ერთმანეთი! ხონი მომენატრაააა! გკოცნით. გუ-ათენი.

• ქრისტე აღსდგა, მარ, მრავალ კარგ დღეებს დაეხსნარი. ახლა მთელი „გზა“ გადავქექე, მაგრამ შემდეგი ნომრის თემა ვერსად ვიპოვე. ესეც გულმავინწყობის შედეგი! აბა, გაიხარე. გკოცნე. 13.07.

• „გზა“ ისე მიყვარს, დღეს ორყდიანი ურუნალიც კი შემხვდა. აი, ასეც ხდება ხოლმე. 13.07.

• ლიმოდა-მანიუ, გაიხარე ქალავ, რომ მომიკითხე. კარგი ადამიანი ხარ. ლუნას კი ძალიან დიდი მადლობა, დაბადების დღე რომ მომილოცა. გკოცნით ყველას. ბოტოტა.

• მარიკუნა, გავიცანი გუ-ათენი, ტელეფონით. კარგი ადამიანი ჩანს. მოვიკითხავ ვარდენა ქალს. ასევე, ყველა ემიგრანტს. ბოტოტა.


• პრივეტები, თიანელებს, როგორ ხართ? მინდა მოვიკითხო ჩემი ყოფილი კლასელები, ჩემი დაქალები და ნათესავები. მენატრებით ყველა. ნინო მათურელი, ათენიდან.

• ლერიკო, ეკაზე არ ინერვიულო, თვალისჩინივით

ვუფრთხილდები. არც სჭირდება დარიგება, შენ რომ გაგიხარდება, ისეა. ძალიან გვენატრებით და გვიყვარხარ. ლუ.

• დილა მშვიდობის, საქართველოვ! მარ, ვარდენა და ბოტოტა გავიცანი მესიჯებით და კვირას ველით სულმოუთქმელად, რომ შევხვდეთ ერთმანეთს. მადლობა ვის? შეენ! გუ-ათენი.

• პრივეტები ყველას. კობრა, გამახარე შენი გამომავლებით. მოდი რა, როგორმე შენი ნომერი გამაგებინე, ჰა? ჰო, მართლა, ვარდენა გავიცანი. KISS. უკარება.



• ჩემს საყვარელ მე-უღლეს, ლელა კუპრაძეს მინდა ვუთხრა, რომ ერთადერთი და უკანასკნელი მანდილოსანია, ჩემს ცხოვრებაში. დადუ, მაგრად მიყვარხარ. სანამ პირში სული მიდგას, შენი და ჩვენი შვილისთვის ყველაფერს გავაკეთებ. მთელი ცხოვრების მანძილზე ყველანაირად ბედნიერები მეყოლებით. მინდა, ჩვენი მონატრებული შვილი ჯანმრთელი, სასახელო და საქართველოს საამაყო ვაჟკაცი გაიზარდოს. ღმერთი გვფარავდეს. ვერ გავათიე ვერც ერთი ღამე, შენზე სიზმარი რომ არ მენახა, დაიმახსოვრე, ეს ერთი ფრაზა — ჩემი სიცოცხლე მხოლოდ შენა ხარ. გკოცნი. ათენიდან.

• ზაპესში მცხოვრებო დათო, სიგიჟემდე მიყვარხარ და მენატრები, ჩემი ცხოვრება ხარ და მინდა, სულ ერთად ვიყოთ. მარი15.

• გიო პეტელავა, ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება, ყოველღამე შენს თავს უფალს ვავედრებ, სიყვარული აბა როგორ აგიხსნა, ვთქვა — მიყვარხარ? არა, მე შენ გაღმერთებ! მიორქ. მეუღლე.

• ლიკუნა გოგოლაძე. ძან მიყვარხარ და მენატრები. შემირიგდი, პლიზ!

• მიყვარხარ, ზვიად, არასოდეს დამავინწყდება შენი კოცნა. ის დღე ყოველთვის მემახსოვრება. გკოცნი. ლულუ7.11.

• მინდა ვუთხრა საბა კასრაძეს, რომ მიყვარს. ანა.

• ახმეტაში, 300 არაგველებს უბნელებო, მაგრად მიყვარხართ და მენატრებით. ხათო, ათენი.

• ახმეტელებო, მიყვარხართ! ხათო, ათენი.

• ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩემი სიხარული, ჩემი ოცნება ხარ, ჩემი სიყვარული, ჩემი ხატება ხარ, ჩემი აღმაფრენა, ჩემი დარდი ხარ და ჩემი მონატრება. ქრისტო, მიყვარხარ და სულ მალე ერთად ვიქნებით, ცოტა მოვიტმინოთ. ათენი-23.

• როცა შენ გიხსენებ, რალაც მემართება, თითქოს ჩემი გული ნაზად ილიმება და თუ ახლა შორს ვართ, ამით რა შავდება, ჩვენ ხომ ერთმანეთი მაგრად გვენატრება. ქრისტო, სიხარულო, მენატრები და მიყვარხარ. ათენი-23.

• ახმეტაში, ლალე უძილაურო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. შენ ჩემი სიცოცხლე ხარ და ყოველთვის ჩემი იქნები. შენს თავს არავის დაფუთობ. მენატრები!

• ჩემო სიცოცხლე, სიგიჟემდე მიყვარხარ. თიანელ ვაჟას, ბერძნულასაგან.

• შენ ხან ნატვრა ხარ, ხან გაოცება, ხან სიზმარი ხარ, ჩემი... შენ სიცოცხლე ხარ, სიხარული ხარ, რომელსაც ასე ველი... ჩემი ფიქრი ხარ, ლოცვაზე ლოცვა, ჩუმი დაღვრილი ცრემლი, შენ ჩემი გულის ჯადოქარი ხარ, სიყვარული ხარ, ჩემი! თიანელ ვაჟას, ბერძნულასაგან.


• აუ, მარი, თიანელ ვაჟას უთხარი რა, რომ სიგიჟემდე მენატრებაა! ბერძნულა, ათენიდან.

• ბაჭია, ჩემი ცხოვრება ხარ და მინდა, ისე ძალიან გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ. დადუ, ათენიდან.

• თვალები დაგინახავს, თვალები შეგიყვარებს, თვალები გაგრძობინებს, ძლიერ მიყვარხარო, ტუჩები გაგიღიმებს, ტუჩები გაგრძობინებს, ჩემი სიყვარული მხოლოდ შენა ხარო... მიყვარხარ, თიანელ ვაჟა. ბერძნულა, ათენიდან.

• მიყვარხარ, იმიტომ რომ ულამაზესი ხარ, მჭირდები, იმიტომ, რომ უსაყვარლესი ხარ, მაკლიხარ, იმიტომ რომ ჩემთან არ ხარ, მენატრები ყოველთვის, მაგრამ სად ხარ? ჩემს პატარა ძამიკოს, ვახო ფეტვი-აშვილს, ახმეტაში. ხათო.

**მ
ი
ლ
ე
ს
ა
შ**



• ყაყაო, გილოცავ ალდგომის დღესასწაულს. მიყვარხარ და სამუდამოდ მეყვარები. შენი და, ეთო.

• ჰოოდა, ლეო, მართალია, ამერია 6 და 7, მაგრამ მეპატიება, ხომ? :) გილოცავ, იხარე, იბედნიერე. ჩემევიდე ქუთეისში? :) გკოცნით. მზრუნველი ნიკოლი.

• დედოფლისწყაროში დაბადების დღეს ვულოცავ ვანო უძილაურს. გისურვებ ჯანმრთელობას, უღევ სიხარულს და ბედნიერ მომავალს. დიდი სიყვარულით, შენი დაიკო, თამუნა, ათენიდან.

• ჩვენს საყვარელ, უსაზღვროდ მონატრებულ დედას, ევა ძოძიშვილს ვულოცავთ ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მზია და ნანი.

• ჩემს საყვარელ ნათლულებს თიანეთში, ცირა ოთარაშვილს და ორჯონიკიძეში — ნაირა ნანიევას ვულოცავ ალდგომას.

• ქრისტე ალდგა! ჩემს დიდ, გაუმართლებელ სიყვარულს, ლევანს ვულოცავ ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. უსაშველოდ მიყვარხარ და მენატრები. ლისის ტბა.

• ჩვენს საყვარელ შვილებს, სულხან და თეონა გამთენაძეებს ვულოცავთ ცხოვრების ერთ-ერთ უბედნიერეს დღესასწაულს, ქორწინების დღეს, 10 მაისს. ვუსურვებთ ლამაზი, ტკბილი და ბედნიერი ოჯახის შექმნას, შვილთა სიმრავლეს. გფარავდეთ უფალი ღმერთი, ღვთისმშობელი დედოფალი. გკოცნით უამრავს. მონატრებული დედა და დეიდა. დოდო, ცირა ჩიკვაიძეები, ათენიდან.

• თეონა ბუბუტიშვილსა და სულხან გამთენაძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ დღეგრძელობას, უამრავ სიხარულს, ბედნიერ მომავალს და ლამაზ სიყვარულს. გფარავდეთ უფალი. ნათელა, ათენიდან.

• ლეოს დაბადების დღე აქვს თურმე, სულ მალე. ჰოოდა, მეც მივულოცავ: ლეო, გაიხარე, ბედნიერი იყავი, ჯანმრთელმთარე „გზავნილ-იორკში“, ჩვენთან ერთად. სულ ტკბილად

იცხოვრე. ტოპოლინა.

• გამარჯობათ, მგზავნელებო, სრულიად საქართველოს ვულოცავ ალდგომას. მინდა, ლეო91-ს ვუთხრა, რომ მოხიბლული ვარ მისი იუმორით. წელან „გზავნილებს“ ვკითხულობდი და ლეოს მესიჯზე იმდენი ვიცინე, ჩემმა დამ ურუნალი გამომფლითა ხელიდან. ახლა ველოდები, როდის ინებებს და დამიბრუნებს. ლეო, მაგარი ხარ.

• მინდა, ლეო91-ს მივულოცო დაბადების დღე, 7 მაისი. ლეო, მუდამ ბედნიერი ყოფილიყავი. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ნინი, ქუთაისი.

• ყველას გილოცავთ ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გფარავდეთ. გაკოცეთ ძალიან ბევრი. 13.07.

• ბათუმში ომარ მამასახლისის ოჯახს ვულოცავთ ალდგომის დღესასწაულს. უფალი გფარავდეთ. სიხარული და სიყვარული იყოს თქვენი ოჯახის თანამგზავრი. ათენიდან, დიდი სიყვარულით, მზია და მაკო.

• ჩემს მონატრებულ შვილს, გიორგი ბუხაიძეს ვულოცავ გიორგობის დღეს და დაბადების დღეს. სულ გახარებული მენახე, დე. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნი. ნინო, ათენიდან.

• ჩემს კეთილ და საყვარელ მზია ბებოს ვულოცავ დაბადების დღეს და ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ჯანმრთელობას და უღევ სიხარულს გისურვებ, ბებო. თათია ბალდავაძე.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ათენში გაცნობილ ჩემს მეგობარს. იზა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და იმ შენი ოცნების შესრულებას, რომელზე ფიქრშიც ათენებ და ალამებ — შენი ირაკლის გათავისუფლებას. შენისთანა მეგობარი უცხო ქვეყანაში დიდი იმედია. გკოცნი. თამი.

• ჩემს საყვარელ სიძეს, გიზო ჭკადუას ვულოცავ დაბადების დღეს, 5 მაისს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უღევ სიხარულს, ლამაზ სიყვარულს, ღმერთის წყალობას. მენატრებით. ლია, ათენი.

• ათენში დროებით მცხოვრებ ლაშა გაბრიჩიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 2 მაისს. ლაშუ, გისურვებ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და უღევ სიყვარულს, სოფოსთან

ერთად. ცხოვრებაში არ მოგშლოდეთ მომავლის რწმენა. გისურვებთ ახლო მომავალში შენი სურვილების ასრულებას. ზაირა ბიცო, ათენიდან.

- 28 აპრილს დაბადების დღე მინდა მივულოცო უშანგო გაბუნას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და ლამაზ სიყვარულს, თავის რჩეულთან ერთად. უფალი ფარავდეს, მათ სიყვარულს. ათენიდან, ბიცოლიე.

- ლილი მაისურაძეს ვულოცავ დაბადების დღეს! ლილიკო, გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ყველაფერ საუკეთესოს. სულ გახარებული ყოფილიყავი. დიდი სიყვარულით, ლია, ათენი.

- აღდგომის დღესასწაულს ვულოცავ სრულიად გზავნელების კოლექტივს: აბლახანუმს, კახელ სალომეს, ლეო91, რაჩველს, ფელამუშას, მის რეალს, ბუბუსიკას, თაისს, კიბოს, ლორელაის, ლუჩოს, ბაჭიას, კამელიას, მანაველს, ვაუს, მილანკას, გრუზინს, გრუზინკას, პარიჟანკას, კიკის, თაგუნას, მამაც თოჯინას, ემილის, კანიბალკას, პაველიკას, დუჩის, ჩორი-ჩორის, ამალთეას, გერასიმეს, ათენიომეგას, აბსურდას, აბეზარას, ვიპ-გირლს, ლილი-19-ს, ეკუნა-77-ს, ვერმახტს, ფლამინგოს, ლელუჩიას, კარდიოლოგს, ბოროტს, თინეიჯერ შინაბერას, ბათუმსკი მარის, ლიმონა მანიუს, მეგრელების სარძლოს, იჭრო-სიხჩოს, ჯულის, ხიპიშას, ოხერი-18-ს, ბებერს, პანკუს, პატარა ჟურნალისტკას, სვანჩიკას, კნოპკას, ესმერალდას, ფინტიკოზას, კლინკლინს, გოს, 6262, კონკიას, ბოხოს, კობრას, მესიჯომანს, ტიკტიკას, სუპერსთარს, ჭიკარტას, სეხნოს, ქეთუსიას, ლომკიანს, მის გორს, ეშმაკუნას, ხულიგანკას და ჩვენთვის, ყველასთვის ძვირფას ადამიანს, მარიამ ჯაფარიძეს! აპლოდისმენტები არ მესმის. :) ჭრიჭინა.

- თამუნა დარჩიას! ჩემო საყვარელო დაიკო, გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და დაბადების დღეს. სულ უფლისგან კურთხეული გზით გველოს. შენი დედიკო და დაიკო. ათენი.

- ჩვენს საყვარელ დედას, ეთერ ზაქარაძეს ვულოცავთ 7 მაისს, 80 წლისთავის იუბილეს. ვუსურვებთ უფლის წყლობას, ჯანმრთელ, ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, თავის საყვარელ ოჯახთან ერთად. მონატრებული შვილები, დოდო და

ცირა ჩიკვაძეები, ათენიდან.

- ჩემს ქალიშვილს, ნათია ჯიშკარიანს და სიძეს, დავით მირინოშვილს თელავში ვულოცავ პატარა სანდროს დაბადებას. ვუსურვებ, გაზრდილიყოს ჯანმრთელი და სასახელო ვაჟკაცი. ღმერთი იყოს მარად თქვენი მფარველი. სიყვარულით, თამილა ბებო.

- თელავში, ეკა და გოგიტა შაშურაშვილებს ვულოცავ ვაჟიშვილის, პატარა გიორგის დაბადების დღეს. ვუსურვებ, გაზრდილიყოს ჯანმრთელი და სასახელო ვაჟკაცი. წმინდა გიორგის მადლი გფარავდეთ, მუდამ! გკოცნით და მენატრებით. თამილა, ათენიდან.

- ქუთაისში მცხოვრებ გიორგის, ლაშას და მარის ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მიყვარხართ და მენატრებით. მამუკა და ნინო.

- ყველას გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას. იხარეთ, იბედნიერეთ, უფლის მადლი არ მოგკლებოდეთ. ვერ წავიკითხავ, გურიში მივდივარ, მაგრამ იმედია, დაიბეჭდება. :) სალუკა.

- კახა, სიხარულო, დაბადების დღეს გილოცავ, ღმერთმა კიდევ მრავალს დაგასწროს! იმედია, მალე ვნახავთ ერთმანეთს, ყველას ჯინაზე. თელავიდან, მარი.

- ქრისტე აღდგა! მარი და მგზავნელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გიო-93, გილოცავ დამდეგ გიორგობას. ლეო91, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს! :-) ნონ სტოპ.

- გისურვებ სიყვარულს და ლამაზ სიხარულს, ოცნების ახდენას, ვარსკვლავის ანთებას, ცხოვრების სინათლეს, უვრცელეს სიცოცხლეს. ლეო91, გილოცავ. თათ30.

- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, მგზავნელებო. აგრეთვე მარიამულს, ლიკას და მთელი ჟურნალი „გზის“ კოლექტივს. ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! მეგრელი მეგლო!

- მინდა, ყველას მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. დაესწარიტ მრავალს, ღმერთი გფარავდეთ. მარი, გაიხარე. აბეზარა.

- მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ადამიანს, ლაშა ჩოხელს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ყოველივე კარგს ვუსურვებ. გაიხარე და გაძლიერდი. უცნობი ნაცნობი.

- მსოფლიოში საუკეთესო უფროსს და უიშვიათესი გულის მქონე პიროვნებას, კახა ფოფხაძეს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

- ლიზი გოლავას (26 აპრილი), ქეთი ბასილაშვილს (27 აპრილი), ბიძაჩემ გიასა (28 აპრილი) და მელის (1-ლი მაისი) ვულოცავ დაბადების დღეებს. ashley pcd.

- ათენში მცხოვრებ მარგარიტა, ოთარ, ნინო, ირაკლი და სოფო კბილაშვილებს ვულოცავ აღდგომას. თქვენი გოჭი. P.S. ისევ მოგვლანდებით, ჯერ სად ხართ, ყველაფერი ახლა იწყება.

- ლუკა ზიქარიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, სასახელო კაცი გაზრდილიყოს. სიყვარულით, მარი ბებოსგან.

- სიხარულებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გფარავდეთ ყველას, მუდამ. მიყვარხართ. ჩორი-ჩორი.

- მარი და მგზავნელებო, უტკბილესებო და უსაყვარლესებო, :) გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, მრავალს დაგვასწროთ ღმერთმა, მიყვარხართ! მამაცი თოჯინა.

- ბოტოტას მეც ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში და ვთხოვ, მალე ათენში ჩემი ძმა მიდის და ყურადღება მიაქციოს. გრუზინკა.

- ზურა ქილითაურო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. თამო.



*საჭი მამაჯანი, მამაქსნი
და სხვა მხარის მოსახვედრად
გამოსაყენებელი.*

- აგნეცას, თემოს, ჯაგარას, ქოცას, ჯიბეს, ნოდარას, რობერტას, სტურუას, ქავთარაძეს, ვიტალი ჩოჩიევს, რამაზას, მუშთას ვულოცავ აღდგომას. თამო.

- ნანიკო კელიხაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 აპრილს. ნანკა, ჩემო კარგო, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს, შენს პატარა ნიკოლოზთან ერთად. გკოცნი.

- ვულოცავ დაბადების დღეს 1-ელ მაისს, ათენში, ჩემს საყვარელ ბებიას, ლალი ლარიბაშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ბა, მალე ჩამოდი. დუშეთიდან, დათუჩა.

- ლეო91, წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, ყოველთვის ისეთი მხიარული და კარგი იყავი, როგორც ფურცლებიდან ჩანხარ. გაიხარე! :-) 9122.

- თქვენო სამეფო უპრეტუნებულესობავ, დიდო ბელადო, ლეო91, გილოცავთ იუბილეს (7.05). ცხოვრებაში წარმატებებს გისურვებ. ვინ თქვა, დამავინყდებოო? ჰოდა, ნავედი ახლა. მეგრელი მეგლო.

- ლეო91, გილოცავ დღადადების დღეს. დაესწარი მრავალს. ღმერთი გფარავდეს. აბეზარა.

- ვულოცავ ჩემს პატარა მეგობარს, მარიამ თიკანაშვილს 7 წლის შესრულებას. ჩემო მარიამ, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ყველაფერს კარგს.

- ჩემს საყვარელ დედიკოს, თინა ასლანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 მაისს. სულ გახარებული და ბედნიერი მენახე, მთელი შენი ცხოვრება. გკოცნი. თეა, კახა.

- 28 აპრილს, დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მეგობარს, ფინტიკოზას. მარი, გისურვებ: ზამთარივით სპეტაკ, გაზაფხულივით ლამაზ, ზაფხულივით თბილ და შემოდგომასავით უხვ სიყვარულს.

- მინდა, ჩემს მონატრებულ დისშვილს, რომელსაც 5 მაისს უსრულდება 4 წელი, მივულოცო დაბადების დღე. ჩემო კუდრაჭა სალომე, დიდი გოგო გამეზარდე, სულ ბედნიერი მენახე, შენს საყვარელ მშობლებთან და ძამიკოსთან ერთად. გიგზავნის უამრავ კოცნებს, შენი ღია დეიდა, ათენიდან.

- თელაველ ბექა ბერიშვილს წინასწარ ვულოცავ დაქორწინებას. ღმერთმა ბედ-

ნიერები გამყოფოთ, შენ და ნანუკი. შენი ქიმიური და, ხათო, ათენიდან.

- გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ცხრათვალა მზეს, მზის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს, ბევრს და მაინც გისურვებ ერთს, უზომოდ უყვარდე ღმერთს. ლეო91-ს. უკარება.

- გიორგი ბუხაიძეს მინდა მივულოცო გიორგობის დღე. გია, წმინდა გიორგი იყოს შენი მფარველი. მისი მადლი შეგენიოს. სიხარული და სიკეთე ნუ მოგაკლოს ღმერთმა. თათუ.

- ზუგდიდში მცხოვრებ ზაურ ბიგვაძას ვულოცავ დაბადების დღეს, 4 მაისს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ლალი, ათენიდან.

- დიდი სიყვარულით ვულოცავ 5 მაისს, დაბადების დღეს, ციურა ხახიურს. გისურვებ ჯანმრთელობას და გაძლებას. მალე დაბრუნებულიყავი, საქართველოში. მეგრელო.

- ხევსურთა კოლორიტს, ლალი ბურდულს ვულოცავ დაბადების დღეს, 14 მაისს. გისურვებ ჯანმრთელობას, თავისუფლებას, სიხარულს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. მეგრელო, ათენიდან.

- მარი, ჩემო კარგო, გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, შენ და ყველა მგზავნელს. დიდი მადლობა, რომ არსებობთ და გვილამაზებთ ცხოვრებას აქ, ამ შორეულ ათენში. ლალი.

- ჩემს დედიკოს, მზიას და ჩემს უსაყვარლეს ძამიკოს, იკას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ. მიყვარხართ და მენატრებით. ბოტოტა.


- დაბადების დღე მინდა მივულოცო ჩემს ნათლიას, ნატო პატურაშვილს. გილოცავ, ნათლი, მრავალს დაესწარი, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ნინო, ათენიდან.

- ათენში, მალხაზ შარაშენიძეს 6 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ პირველ რიგში ჯანმრთელობას, მიზნების ასრულებას და უღევ სიხარულს, საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. მალე მენახე საქართველოში დაბრუნებული, შენს ლამაზ შვილებთან, ხვავით და ბარაქით სავსე. ღმერთი იყოს შენი ოჯახის მფარველი. მაია ლომთაძე, ათენიდან.

ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მე-სიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

მეცნიერების კალენდარი




3 მაისი მზის დღე

მზე უახლოესი ვარსკვლავია და დედამიწისთვის კოსმოსური ენერგიის წყაროს წარმოადგენს. მას სინათლე და სითბო მოაქვს და დედამიწის ეკოლოგიას მთლიანად განაპირობებს (რალა მზე და რალა „ნაციონალური მოძრაობა“). 3 მაისს მსოფლიო მზის დღეს აღნიშნავს. პოდა, ჩვენც შევუერთდეთ ამ ზეიმს. სოლარიუმის ნაცვლად მზეს თუ მიეფიცხები ან გამოთქმით იტყვი — „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“, — ჩათვალე, რომ ზეიმის სრულუფლებიანი მონაწილე ხარ.

10 მაისი ველოსიკლისტების დღე

ყველა, ვისაც დღესასწაულის აღნიშვნა სურს, ამ დღეს ველოსიპედზე ამხედრდება და გზას გაუდგება. თურმე სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირად ველოსიპედს პოლანდიაში იპარავენ. ყველას ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს (განსაკუთრებით — ჯუმბერ ლეჟავას) და მყარ ველოსიპედსა და მაღალ სიჩქარეს ვუსურვებ.



12 მაისი მუღდის დღე

ეს მსოფლიო მასშტაბის დღესასწაული ოფიციალურად, 1971 წელს დაარსდა — მაშინ, როდესაც 141 ქვეყნის ექთანები პროფესიონალურ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ. ვულოცავ ფინტიკობას და მის კოლეგებს ამ დღესასწაულს და ზუსტ მიზანსა და „ფართომასშტაბიან“ „სანემსე“ ადგილებს ვუსურვებ.



14 მაისი თამარისა

ქართული ეროვნული დღესასწაულია, რომელსაც 1917 წლიდან (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ) ვხეივობთ. თამარ მეფე (ბაგრატიონი) პირველი ერთპიროვნული მმართველი ქალი გახლავთ საქართველოს ისტორიაში. ყველა თამარს ვულოცავ ამ წმინდა დღესასწაულს!




21 მაისი იოსებ ბოგოსლოვის დღე

მართლმადიდებლური ეკლესია 21 მაისს, იოან ბოგოსლოვის დღეს აღნიშნავს. ეს წმინდანი, რედაქტორების, გამომცემლებისა და ჟურნალისტების მფარველად მიიჩნევა. ის ქრისტეს საყვარელი მოწაფე გახლდათ და ცნობილია, რომ 101 წელს გარდაიცვალა. ამბობენ, ყოველ წელს, ამ დღეს მისი საფლავიდან კვამლი ამოდის, რომელსაც ფერფლი მოჰყვებოდაო. მორწმუნენი აგროვებდნენ მას და სხვადასხვა დაავადებისგან განსაკურნებლად იყენებდნენ.

22 მაისი ბიოლოგიური მსჯავლიერება საქართველოში და

თუ გარშემო მიმოიხედავთ, ნამდვილად შენიშნავთ ბიოლოგიურ სხვადასხვაობასა და მრავალფეროვნებას. ამაში მაშინაც დარწმუნდებით, თუ ამ ტექსტის გასწვრივ დაბეჭდილ ფოტოსა და 14 მაისის გასწვრივ დაბეჭდილ ფოტოს ერთმანეთს შეადარებთ. მაშ, ასე! გაუმარჯოს არაერთფეროვნებასა და ევროპულ ცივილიზაციას!



31 მაისი ქრისტეწმინდის დღე

კაცობრიობის ყველაზე ცნობილია, ყველაზე „ნათელთავიანმა“ და ყველაზე კაშკაშა ნაწილმა, როგორც იქნა, მიაღწია საწაფელს და საკუთარი დღესასწაული აქვს. წყალბადის ზეუბნისა და დალაქის ხელოვნების „მძევლები“, სოლარიუმებისა და სოლიკონის „მბრძანებლები“, ჰიპერქალური ლოგიკის მქონე ქალბატონები უკვე რამდენიმე წელია, ღირსეულად აღნიშნავენ ამ თარიღს. ჩვენც ვუერთდებით მხიარულებას და ვიზიარებთ მათ სიხარულს.

მწვანე ჩაი

კიბოთი დაავადების, სისხლძარღვთა სისტემის დაავადების რისკს ამცირებს. მასში დიდი რაოდენობითაა პოლიფენოლი და ანტიოქსიდანტები, რომლებიც უჯრედებს მავნე ზემოქმედებისგან იცავს და თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზება შეუძლია. ჩაიში ასევე დიდი რაოდენობითაა ფტორი, რომელიც ძვლის სასტემის გამყარებასა და კბილების სიჯანსაღეს უწყობს ხელს. მასში ნული კალორიაა.

პიტნის ჩაი

ორ განიზმს კუჭის პრობლემების დაძლევაში ეხმარება და საჭმლის მონელებას უწყობს ხელს. პიტნას სპაზმების საინააღმდეგო მოქმედება აქვს და შეუძლია, კუნთების ტკივილი მოხსნას. მასში ნული კალორიაა.

1%-იანი რძე

რძე რთულ ნახშირწყლებს, ცილასა და ცოტაოდენ ცხიმს შეიცავს. ამის გამო, ორგანიზმი მას ნელა ითვისებს, ეს კი დანაყრების შეგრძნებას იწვევს. რთული ნახშირწყლების მეშვეობით, სისხლში შაქრის დონე სტაბილური რჩება. კალციუმი, რომელსაც რძე საკმაოდ რაოდენობით შეიცავს, უჯრედებს ცხიმის დანაყრში ეხმარება, რის გამოც, მისი გამოყენება დიეტის დროს ძალზე ხელსაყრელია. 1 ჩ/ჭ რძეში (250 გ) 120 კალორიაა.

სოიის რძე

ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წარმოქმნის რისკს. მასში შემავალი ნივთიერებები ქოლესტერინის დონეს ამცირებს. თუმცა მასში საერთოდ არ არის კალციუმი, რის გამოც, ძროხის რძეს ვერ შეცვლის. სოია შეიცავს ფიტოესტროგენებს, რომელიც მკერდის კიბოს დაავადების ერთ-ერთ წარმომქმნელად მიიჩნევა. ამიტომ, თუ სოიის რძის მიერთმევას გადაწყვეტ, აუცილებლად ექიმს დაეკითხე. 250 გ სოიის რძე 81 კალორიას შეიცავს.

**უცვლადი
სასაჩუბებრი
სასმეობრი**



ცხელი შოკოლადი ან კაკაო

ეს სასმელი განწყობილებას აუმჯობესებს, რაც კაკაოში შემავალი პოლიფენოლების წყალობით ხდება. ეს ნივთიერებები უჯრედებს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისგან იცავს. ცხელი შოკოლადი სეროტონინის დონის ამაღლებას იწვევს. ეს ნივთიერება ადამიანის განწყობილებაზე „აგებს პასუხს“. 250 გ ცხელი შოკოლადი 195 კალორიას შეიცავს.

პომიდვრის უმარილო წვენი

ორგანიზმს კიბოს უჯრედების წარმოქმნისგან იცავს. როგორც ცნობილია, ცოცხალი პომიდვრის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი ლიკოპენის დიდ რაოდენობას შეიცავს. ეს ნივთიერება კი პირის ღრუში, ფილტვებში, კუჭში, ღვიძლში, სარძევე ჯირკვლებში, საშვილოსნოს ყელსა და სწორ ნაწლავზე კიბოს უჯრედების წარმოქმნას უშლის ხელს. გარდა ამისა, ლიკოპენი გულს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისგან იცავს. 250 გ პროდუქტი 43 კალორიას შეიცავს.

ფორთოხლის წვენი

წვენში შემავალი C ვიტამინი იმუნიტეტს ამაღლებს და ბევრი დაავადებისგან იცავს. მათ შორის — კატარაქტისა და კიბოსაგან. ფორთოხლის წვენი ორსულ ქალებში ნაყოფის კარგ განვითარებას უწყობს ხელს. 250 გ პროდუქტი 115 კალორიას შეიცავს.



განცხადება ნაციონალური
ოქისში: „შეკრება 10 საათზე!
ვისაც ელექტრონული საათი აქვს
— 1000-ზე!

ნაფიქციო ანგარიში „წიგნი“ მოხიზვლელი ტიპი და სვანი მესაზღვრეების ფიქციონალი

ცნობილია, რომ სვანები ხშირად კურორტული სიტუაციის გამორეები ხდებიან. შესაძლოა, ეს მათი მძიმე სასიათისა თუ ბუნების, ან იქნებ, რაიმე განსაკუთრებული ნიჭიერებითაც არის გამოწვეული... უკვე თერთმეტი წელია, რაც სვანებთან მჭიდრო ნათესაური კავშირი მაქვს და იმდენი კურორტი ანუ „მარგალიტი“ დამიგროვდა, მოსაყოლად ნამდვილად ღირს (შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს, წიგნიც კი გამოვცე). აქვე, სვანური ტრადიციისამებრ, შემიძლია, სატზე დავიფიცო, რომ ქვემოთ მოყვანილი ყველა ამბავი სრული სიმართლეა და არაფერი — სიმართლის გარდა.

ემა ტუნიაშვილი

პირველი „დარტყმა“ მაშინ მივიღე, როდესაც ფილმ „ტიტანიკის“ ყურებისას, ჩემმა სვანმა ნათესავმა გადმომილაპარაკა: რა ლამაზი ქალი ყოფილა ეს „ტიტანიკი“!.. ერთხელ მახსოვს, გოგი გვახარიას „ფსიქოს“ ვუყურებდით და ფილმში მრავლად იყო ეროტიკული სცენა. სვანი ნათესავი უხერხულად შეიმუშნა, გვერდზე გადააფურთხა და დასჭეჭა: უ, დია მიშქუ ცოდვა! ამხელა ბიჭია და კიდევ ძუძუს ჭამსო!.. მეგონა, ამის შემდეგ ნათესავი ჩემს გოცებას ვეღარ შეძლებდა, მაგრამ მწარედ შევცდი. სიტუაცია კვლავაც ტელევიზორის ეკრანთან განვითარდა, საიდანაც საინფორმაციო გადაცემის წამყვანი იუწყებოდა, რომ რუსეთი ყველა ღონეს ხმარობს, რათა ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს შეუშალოს ხელი. სვანმა ნათესავმა მხრები აიჩეჩა და საქმიანად წარმოთქვა: ვე-

რაფრით გამიგია, რატომ არ მოსწონს რუსეთს ნატო. მახსოვს, კომუნისტების დროს თბილისშიც იყო ჩამოსული, რუსთაველზე გაისეირნა და ყველა გამვლელს კოცნას უგზავნიდაო... დიდ საგონებელში ჩამაგდო, ვერაფრით მივხვდი, ვის გულისხმობდა. ნატო რომ რუსთაველზე „დასეირნობდა“, მე მაშინ პატარა ვიყავი, ამიტომ, დღემდე არ ვიცი, ვინ უგზავნიდა ასე გულუხვად თბილისელებს ჰაეროვან კოცნას... მაგრამ არც ეს იკმარა ჩემმა სვანმა ნათესავმა და მორიგი ტელეხანის დროს, როდესაც „ვიდეოპატრულში“ საზარელ კადრებს უჩვენებდნენ — თუ როგორ იპოვეს პოლიციელებმა პოლიეთილენის პარკში გახვეული ჩვილის ცხედარი, — სვანი, შენუხებული ხმით ჩამეკითხა: კი, მაგრამ ეს პოლიეთილენის პარკი არ გამიგონია და სად არისო? მეც ვუხუმრე: იქვეა, ვაკის პარკთან-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ეწყინა და გაბრაზებულმა მომახალა: რას

მატყუებ?! შენი ბავშვი კი არ ვარ, ვიცი, რომ საზღვარგარეთ არისო... ერთ დღეს კი ნათესავებს მივაკითხეთ მანქანით. დიდხანს ველოდით, ვიდრე მოწესრიგდებოდნენ და შინიდან გამოსვლას იწყებდნენ. სვანი ნათესავი ლოდინმა დაღალა და მძლოლს შეუყვინრა: მიდი, ერთი, დაუპიპინე მაგათო! მძლოლმა მოიბოდიშა: გუშინ ქორწილში ვიყავი და მანქანის სიგნალიზაციის სისტემა გადამეწვავო. მაშინ, სვანმა ნათესავმა მანქანის მინა ჩასწია, თავი გაყო და მთელი ხმით დაიყვინრა: „პი-პი-პიიიიიიიიიი!“

ამბავი, რომელიც დასასრულს მინდა მოგიყვეთ, მესტიელ მესაზღვრეებს შეემთხვათ და საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ამ კურორტს დღემდე ჰყვებიან. ცოტა ხნის წინ, დეპარტამენტიდან მესტიის რაიონის სასაზღვრო სამსახურში სატელეფონო ზარი გაისმა. თანამშრომლებს თბილისიდან ატყობინებდნენ, რომ კომპიუტერული საკადრო ბაზის შესაქმნელად აუცილებელი იყო, ყველა თანამშრომელს გადაეღო სტანდარტული ფოტო — 3/4 და ინტერნეტით გადაეგზავნა თბილისში. სვანი მესაზღვრეები დაინტერესებულან — თუ რომელი სამხედრო ფორმა უნდა სცმოდათ ფოტოს გადაღებისას, რაზეც თბილისიდან ასეთი პასუხი მიუღიათ: სურათი უფორმოდ გადაიღეთო. ის, თუ როგორ მოიქცნენ სვანი მესაზღვრეები, ფოტოსურათებიდან შესანიშნავად ჩანს, მე მხოლოდ ერთს დავამატებ: ჩემი სვანი ნათესავის ინფორმაციით, მსგავსი ფოტოები მესტიის სასაზღვრო სამსახურის თანამშრომელ ქალბატონებსაც გადაუღიათ. რა თქმა უნდა, სვანური კდემამოსილება ქალის ფიზიკური ღირსებების საქვეყნოდ აფიშირებას გამორიცხავს, ამიტომ, მათ ნახევრად შიშველი სხეულები... პლედებით დაუფარავთ. ■



იხანელა გუჩუა ქართულ-სპანსული ლექსიკონი შეადგინა

ფერეიდანში გავრცელებული გამოთქმაა – „დედისენის“ დამკვიცვლებს დამტრელებელი არა ჰყავსო. სწორედ ამ სულისკვეთების წყალობაა, რომ მაჰაბას I-ის მიერ გარეკილ ქართველთა შთამომავლებმა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს ეს „დედისენა“ და უშრეტი სიყვარული ისტორიული სამშობლოს – „დიდი გურჯისტანის“ მიმართ. ამ უდიდესი სიყვარულის ნაყოფია ერთ-ერთი მათგანის – ნავრუზ (ნუგზარ) ლაჩინანის მიერ შედგენილი ქართულ-სპანსული ლექსიკონი, რომელიც სულ ცოცხანის წინ ისპაჰანში გამოიცა.



ნოდარ კოჭლაველი

„წლების წინ, როდესაც პირველად ვესტუმრე საქართველოს, — წერს შესავალში ავტორი, — აშკარად ვიგრძენი ის ნაკლოვანებები, რომელიც საუკუნეობრივი განშორების შედეგად, ირანში მცხოვრებ ქართველთა მშობლიურმა ენამ განიცადა... ჩვენს ენაში, ქართული სიტყვების მარაგი საგრძნობლად შემცირდა და მათი ადგილი ძალაუვნებურად უცხო სიტყვებმა დაიკავა, რომელთა რიცხვი დღით დღე იზრდებოდა.

ამიტომაც დავიწყებას მიეცა დამწერლობა, ენა კი მხოლოდ ზეპირი სახით შემორჩა. სწორედ ამის გამო, თავდაპირველად პირადი სარგებლობისათვის დავიწყე პატარა ლექსიკონის შედგენა, მაგრამ დროთა განმავლობაში საშუაოს მოცულობის ზრდამ და ასევე ჩემი ხალხისა და მშობლიური ენის მიმართ მოვალეობის გრძნობამ დაწყებული საქმის სერიოზული და მეტი მონდომებით გაგრძელებისკენ მიიძღვა.“
პირველად, ლაჩინანის ეს ნაშრომი თბილისში, მეცნატ მერაბ ბოლქვაძის მხარდაჭერით გამოიცა. 2006 წელს ბატონმა მერაბმა ფერეიდანში იმოგზაურა, გაეცნო იქაურ „სისხლსა და ხორცს“ და მათდამი სიყვარული ამგვარად გამოხატა. თბილისური გამოცემისთვის წინასიტყვაობა ამ სტრიქონების ავტორმა დაწერა.
ისპაჰანური გამოცემისთვის შემდეგნაირად ლექსიკონში შესწორებები შეიტანა. წინასიტყვაობა კი თეირანის უნივერსიტეტის სწავლულმა და კავასიოლოგმა, დოქტორმა ბაჰრამ ამირაჰმადიანმა დაურთო. „ირანში დამკვიდრების შემდეგ, ქართველებმა მი-

თანაქვეყნული

უცხოეთის ცის ქვეშ

წერილი მისამ. წინამორბედი წერილები იხ. „გზა“ №16-17




„ილიაობ“ კახში

გიორგი მახარაძე საინგილო

ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან დღევანდელი საინგილოს ტერიტორია ქართველებითა და ქართველთა მონათესავე ტომებით — ჰერებით ყოფილა დასახლებული.
უკვე V საუკუნეში ჰერეთი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა და მის ერთ-ერთ საერისთავოდ იქცა.

ჰერეთი ჯერ XI, შემდეგ კი — XV საუკუნიდან, კახეთის სამეფო საზღვრებში იყო. XV საუკუნიდან ამ ტერიტორიას (კახეთ-ჰერეთისას) მდ. არაგვიდან მდ. გომისწყლამდე კახეთი ეწოდება. მანამდე კი XII საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებელმა კვლავ საქართველოსთან გააერთიანა. XIII საუკუნეში საქართველოში მონღოლები შემოიჭრნენ. 17 წლის მანძილზე რვაჯერ შემოესივნენ ქართველთა თემურლენგის ურდოები. მოსე ჯანაშვილის ცნობით, მონღოლთა სახელები შემორჩა საინგილოს სოფლებს: ალათემური, ემირ-ჯანლო, მულანლო, ფალდარლო, ალიაბათი და სხვ. მონღოლთა შემოსევებს მოჰყვა შაჰ-აბასის არაერთგზის ლაშქრობა.
XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საინგილო დედასამშობლოს მოსწყვიტეს. აღმოსავლეთ კახეთის დაბრუნება ვერ შეძლო თვით ერეკლე მეფემაც, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად დაამარცხა დაღესტნელი ფეოდალების გაერთიანებული ლაშქარი და ჭარ-ბეღელაქნელი ლეკებიც. საქმეს ვერ უშველა რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ (ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“).
1803 წელს რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა ჭარ-ბეღელაქნის შემოერთებისათვის ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგინა, ხოლო

1830 წელს მთლიანად გაათავისუფლა საინგილო ლეკთა ბატონობისაგან.
1921 წელს საინგილო, სამი ადმინისტრაციული რაიონით (კახი, ზაქათალა, ბელაქანი), აზერბაიჯანს გადაეცა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ აზერბაიჯანული მოსახლეობა იქ არ არსებობდა, ქართველთა რაოდენობა კი 35 ათასს აღწევდა.
XIX საუკუნის დასაწყისისთვის ქართველთა უმრავლესობა, ირანის, თურქეთის და ლეკ ხელისუფალთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად, გამაჰმადიანებული იყო. მაგრამ ბევრი ფარულად, ქრისტიანულ ადათ-წესებს იცავდა.
1849 წელს ჰერეთიდან, ივან-ბაბა ბულულაშვილის თავგაცობით კახიდან თბილისში 8 ინგილო ჩამოვიდა და სიონში მართლმადიდებლად მოინათლა, ხოლო მომდევნო წელს — კიდევ 72 კაცი, რის შემდეგაც, სასულიერო ხელისუფლებამ კახში მღვდელი დანიშნა.
საინგილოში ქრისტიანობა აღდგა. ინგილოთა მონათვლამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. მათ ნათლებად მოგვევლინენ: ნინო ჭავჭავაძე, ქერმუხის ეკლესია



ქერმუხის ეკლესია

იღეს ისლამური რელიგია, შერწყმენ ირანულ კულტურას და ირანელებად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს ქართული ენის შენარჩუნება და დღეს, რამდენიმე საუკუნის შემდეგაც კი მათი გარკვეული ნაწილი კვლავ ლაპარაკობს ამ ენაზე... ირანის ქართველთა ენამ სპარსული ენის გავლენით განიცადა ცვლილება, თანამედროვე ქართული ენა კი რუსული ენის გავლენით იყო შეცვლილი. ურთიერთობას ისიც ართულებდა, რომ ირანელებმა ქართველებმა არ იცოდნენ

ირანის ქართველთა ენა სპარსული ენის გავლენით განიცადა ცვლილება



ქართული ანბანი და წერა-კითხვა, ამიტომ ირანის ქართველთა ერთმა ნაწილმა ირანის ქართველთა შორის ქართული ანბანის და წერა-კითხვის გავრცელებაზე დაიწყო ფიქრი... ძირითადი სირთულე სალიტერატურო ქართული ენის შესწავლაში, ლექსიკონის არარსებობა იყო... აღსანიშნავია, რომ ბატონი ლაჩინანი წლების მანძილზე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, სადაც დაიწყო ლექსიკონის შედგენაზე მუშაობა და მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ენათმეცნიერი, მაინც შეძლო უდიდესი საქმის გაკეთება... მიუხედავად იმისა, რომ არც სპარსული და არც ქართული ენის სპეციალისტია, საუკეთესოდ ფლობს ორივე, ასე ვთქვათ, მშობლიურ ენას. სწორედ ამაში მდგომარეობს ავტორისა და მისი მეუღლის წარმატების საიდუმლოება".

...1918 წელს, ახალდაარსებულ თბი-

ლისის უნივერსიტეტში, მისმა ერთ-ერთმა მესაძირკველემ, დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, წამყვან დარგებს შორის, სპარსოლოგია წარმოადგინა. ქართველმა ირანოლოგებმა, თავად ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, არაერთი მეცნიერული ნაშრომი შექმნეს, მაგრამ ქართულ-სპარსული და სპარსულ-ქართული ლექსიკონების შედგენა ვერა და ვერ მოხერხდა, მხოლოდ ერთი, ენ. „ჯიბის“ ლექსიკონი შეადგინა და გამოსცა პროფესორმა ჯემშიდ გიუნაშვილმა. სიმბოლურია, რომ დიდი ხნის ნაოცნებარი ფერეიდუნელმა ქართველმა აქცია რეალობად.

როგორც ითქვა, ლაჩინანი არ გახლავთ ენის სპეციალისტი. უფრო მეტიც — მას ქართული სკოლის კარი არც შეუღია, ხოლო მისი ერთადერთი მასწავლებელი — მშობელი დედა იყო. „იმედია, რომ ეს წიგნი გახდება უკეთესი და სრულყოფილი შრომების საფუძველი სამომავლოდ და იქცევა ხიდად, რომელიც უფრო დაახლოებს ორ უდიდეს, ქართულ და ირანულ კულტურასა და ცივილიზაციას, რათა ორივე ენით დაინტერესებულ ადამიანებს ჰქონდეთ უფრო მდიდარი ლიტერატურული რესურსების გამოყენების შესაძლებლობა“, — დასძენს თავის წინასიტყვაობაში ნუგზარ ლაჩინანი.

ჭავჭავეძე (გრიბოედოვისა), თავადი ანდრონიკაშვილი, გენერალი რუტუი და სხვანი.

1851-დან 1860 წლამდე მთელი საინგილოს მოსახლეობა შეუერთდა საქართველოს ეკლესიას და გაიხსნა სამრევლო სკოლები.

სახელწოდება „ინგილო“ სხვადასხვაგვარად ხსნიან. ერთ-ერთი ვერსიით, „ინგილო“ თურქულად ნიშნავს ახალს, ახალმორჯულებულს. ზოგს კი ყველაზე მართებულად მიაჩნია სახელწოდების დაკავშირება ცნობილ სოფელ ენგიანთან (სა-ენგ-ილ-ო).

საინგილოს ქრისტიანი ქართველები ძირითადად, კახის რაიონის სოფლებში — კახი, თოფახი, ალიბეგლო, ქოთოქლო, დიდალათემური, პატარა ალათემური, მუშაბა, ყორალანი, ქეშხუთანი, ხარაბთალა, ყიმურუ — ცხოვრობენ.

მაჰმადიანი ინგილოები სამივე რაიონში არიან გაბნეულნი. სოფლების — ალიაბადის, მოსულის (სხვათა შორის, XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე იქ ჰქონია სამკვიდრო ჭაჭავაძეთა გვარს), ითითალას მოსახლეთა სალაპარაკო ენა — ქართულია, ძაგამსა და თასმალოში ქართული მხოლოდ ბავშვებმა არ იციან, ხოლო ჰენგიანსა (ენგიანსა) და ქაფანახში მოხუცები დღესაც ქართულად ლაპარაკობენ. მაჰმადიანი ინგილოებს ამჟამად გვარებიც მაჰმადიანური აქვთ. XX საუკუნის 50-60-იან წლებში ზოგმა ქართული გვარი და ეროვნება „ქართველი“ აღიდგინა.

ცნობილია, რომ ქართულად მოლაპარაკე მაჰმადიანი ინგილოები უფრო სალიტერატურო ქართულით ლაპარაკობენ, ვიდრე ქრისტიანი ინგილოები, რასაც იმით ხსნიან, რომ მუსლიმან ინგილოთა სოფლები საქართველოს საზღვართან უფრო ახლოს მდებარეობს.

საბჭოთა წლებში, საინგილოს რაიონებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დედასამშობლოსთან, რასაც დღევანდლობაზე ვერ ვიტყვი, გავისხენით უახლესი წარსული.

1960 წელს მახარაძის (დღევანდელი ოზურგეთის) რაიონის წარმომადგენლები პირველად ესტუმრნენ კახის რაიონს. ორი წლის შემდეგ მახარაძელები კვლავ ჩავიდნენ საინგილოში. მათ ისტორიული ძეგლები დაათვალიერეს, ეწვივნენ სკოლებს და საჩუქრებიც გადასცეს. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი სალუქვაძემ ერთ-ერთი სკოლის სიმღერისა და ცეკვის წრის წევრებსა და მათ ხელმძღვანელს, მასწავლებელ ნანა ჯანაშვილს შეასწავლა სიმღერა „ფარეკობა“, ასევე, აღადგინა ძველი ინგილოური ცეკვა „შიპობა“, რომელიც შემდგომ, ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე წარმოადგინეს.

საინგილოში საქართველოს არაერთი უწყება, ორგანიზაცია და კოლექტივი მონაწილეობდა სამეფო საქმიანობაში: თეატრები, მუზეუმები, გამომცემლობები, უმაღლესი სასწავლებლები, სპორტული ორგანიზაციები აწყარვდნენ იქაურ თანამემამულეებთან ურთიერთობას.

დასასრულს, საგანგებოდ მინდა შევეხო ერთ საკითხს. 1981 წელს, კახის რაიონის ალიბეგლოს კულტურის სახლთან თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ანზორ დოლენჯაშვილის თავაჯობით, დრამატული წრე ჩამოყალიბდა, რომელიც ოთხ წელიწადში — სახალხო თეატრად გადაიქცა. ამ თეატრის სცენაზე დაიდგა გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ჩხაიძის, ნოდარ დუმბაძის პიესები. წარმატ-

თანამემამულენი



ანზორ დოლენჯაშვილი

ბულ სპექტაკლებს შორის, განსაკუთრებული მონონება ხვდა წილად სპექტაკლს — „ალაზანს აქეთ“, რომელშიაც საინგილოს შესახებ სრული სიმართლე ითქვა.

ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ანზორ დოლენჯაშვილმა საინგილოში, კახში, რის შედეგადაც, როგორც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, კახის რაიონი, ეს მივიწყებული მხარე ყველასთვის მოულოდნელად, ქართული კულტურის კერად გადაიქცა. სამწუხაროდ, ამ კოლექტივის სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონია. 2007 წელს გაზეთი სინანულით აღნიშნავდა, რომ თეატრალური დასი კახში თითქმის აღარ არსებობს და თეატრის სცენაზე უმეტესად, პოპმუსიკის კონცერტები იმართება...

წარკვევს საინგილოზე დაჰმათავრებ იქაური მკვიდრის, რამდენიმე წიგნის ავტორის — პოეტ თამარ პაპიაშვილის ლექსით: ო, საინგილოვ, ვერ მოგპოო ვერვინ, არ მოგიხრია მტრების წინ ქედი და გითქვამს ბევრი სიმღერა კარგი, მაგრამ არასდროს — სიმღერა გედის!



ქარის სავიწროო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-17

სპეციალური კვარა

კარი შეღებული დამხვდა, დაუკაკუნებლად შევედი. ბიძინა ტახტზე იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და ჭერს მიშტერებოდა. ჩემს დანახვაზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ არ დავანებე.

— ხედავ, რა დღეში ვარ? პატარა ბავშვივით წარაპარა ვეცემი. ეს რა დამემართა, კაცო.

— როგორ მოგივიდათ, ბიძინა ძია, სად დეეცი?

— ბაღში ვიყავი, ყვავილებს ვრწყავდი. რა ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა, რანაირად მოვხერხე... ე-ჰ, მარტოობას მოუკვდა პატრონი, დავბერდი კაცი და მომხედავი არავინ მყავს. ვის რა უნდა ვუთხრა, ჩემი ბრალია ყველაფერი. ერთი წყალი დამალევივინე, შენს გაზრდას, ოღონდ მაცივრის არ იყოს, ონკანი მოუშვი.

მოვუტანე. საცხე ქიქა სულ-მოუთქმელად დაცალა.

— სიარული სულ არ შეგიძლიათ? — იქვე, სანოლთან ჩამოვჯექი.

— კი, როგორ არა, მაგრამ არ მინდა ძალა დავატანო, იქნებ ცოტათი ჩამიცხრეს. მომკლა ტკივილებმა, ლამეები არ მძინავს. შენ როგორ ხარ, როგორ შეეწყვე თანამშრომლებს, კმაყოფილი ხარ?

— კი, კმაყოფილი ვარ, კარგი ხალხია.

— მიშაც ძალიან კმაყოფილია, კარგი გოგოაო. მიხარია, ასე რომ გაფასებს. ჩემი სახელიცაა, ხომ იცი.

— ჰო, რა თქმა უნდა. სადილი ხომ არ მოგიზადოთ? არსად მეჩქარება, დრო ბევრი მაქვს.

— არა, შეილო, არა, წელან ძალით მაჭამა მიხეილმა, არ მომეშვა, სანამ კარგად არ დამანაყრა. ძველი პერიოდი გამახსენდა, რესტორნებში რომ დავგრი-ალბდით... ავსუს, რა დრო იყო!

— ცოლი არასდროს გყოლიათ, ბიძინა ძია? — მორიდებით ვკითხე.

— არ მყოლია, არა... და ისე ვნანობ, მეტი რომ არ შეიძლება. მთელი ჩემი ცხოვრება ერთ ქალს შევალე. ისე მიყვარდა... როცა მივხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობა არ გამოვიდოდა, თავს პირობა მივეცი, არასდროს შემერთო სხვა ქალი. ჰოდა, აგერ, შევასრულე ჩემი პირობა და დავრჩი მარტო, დისშვილების ამარა. იმათაც თავიანთი საქმეები აქვთ, ჩემთვის ვეღარ იცლიან. ყველას თავისი გასჭირვებია, ხომ იცი, როგორი დროა. ჩემი დაც ავადმყოფობს, ძველებურად აღარ მოსდევს ჯანი. ასეა, შვილო, ასე. ყველა ადამიანი უშვებს შეცდომას ცხოვრებაში. მთავარია, იმ შეცდომას არ გადააყოლო ყველაფერი.

— ის ქალი გათხოვდა? — დამიანტერესა მისმა წარსულმა.

— უკვე გათხოვილი იყო, რომ გავიცანი. ეგ იყო მთავარი უბედურება, ქმრიანი ქალი შემეყვარდა. რომ დავინახე, მივხვდი, ჩემი ბედისწერა ეგ იქნებოდა. ვერაფრით მოვერიე თავს. მიშამ გამაცნო, მაგის ძმაცაცის ცოლი იყო. ეჰ... რად გინდა, გრძელი ამბავია, არ დაგლი მაგის მოყოლით.

— არა, რას ამბობთ, პირიქით, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, სიამოვნებით მოგიხმენ.

ბიძინა წამით ჩაფიქრდა, ნაღვლიანი მზერა მესროლა, ოდნავ ჩემკენ მოტრიალდა, მოხერხებულად მოეწყო ტახტზე და დაბალი ხმით დანიყო.

— ულამაზესი სახელი ერქვა — ანა... თვითონაც თავისი სახელივით უმშვენიერესი იყო. ბავშვის დაბადების დღეზე და-პატიჟეს მიხეილი, ჩვენი მიშა. მეც თან გამიყოლა, კარგი ოჯახი უნდა გაგაცნოო. არ მინდოდა წასვლა, ალბათ გული თუ მიგრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო, მთელი დღე ფხს ვითრევდი. არ მომეშვა, მაინც დამიყოლია, მარტო რა წამიყვანსო. ვიყიდეთ უზარმაზარი შავი ვარდები, ბავშვისთვის სათამაშოები და წავედით.

კარი ანამ გაგვილო... ვერ წარმოიდგენ, რა დამემართა, როცა შევხედე. ლამის ჩავიკეცე ამხელა კაცი. უკეთესს რას ნახავდი. ნეტავ, მაშინვე გამოვტრიალებულიყავი და წამოვსულიყავი უკან... ჩემ გარდა ყველა მხიარულობდა, მღეროდა, ხუმრობდა... მე კი გაოგნებული ვიჯექი და ანას გარდა ირგვლივ ვერავის ვამჩნევდი. მის ნაბიჯებს ვითვლიდი, რომელი მიმართულებით რამდენს გადადგამდა. ისეთი ჰაეროვანი სიარული ჰქონდა... ძალიან ნაზი სურნელის მქონე სუნამო ესხა. უკნიდანაც რომ მომიახლოვდებოდა, იმასაც ვგრძნობდი. თავგზა ამებნა. იმანაც შემატყო, სხვა რაღაც რომ ხდებოდა ჩემს თავს. მგონი, თვითონაც არ დარჩა გულგრილი. თითქოს თვალებით ველაპარაკებოდით ერთმანეთს. რამეს რომ შემატებდა სუფრას, მაინცდამაინც ჩემთან ახლოს მოვიდოდა, მკერდით შემეხებოდა და ისე დგამდა კერძით საცხე თეფშებს მაგიდაზე. რა თქმა უნდა, ამას ჩემ გარდა ვერავინ ხვდებოდა. ავირიე, დავირიე... როგორმე უნდა დამემარტოხელებინა და დავლაპარაკებოდი. სითამამისთვის ბლომად დავუციე. ქიფი დასასრულს რომ მიუახლოვდა, აივანზე გასვლა მოვიმიზეზე, სიგარეტს მოვუკიდე და ჰაერზე გავედი. მიხვდა ისიც, რისთვისაც გავედი. რამდენიმე წუთში უკან მომყვა, რამე ხომ არ გინდათო, მოკრძალებით მკითხა. შენთან ყოფნა მინდა, სხვა არაფერი-მეთქი, პირდაპირ ვაჯახე. განითლდა, თვალები დახარა. ტელეფონის ნომერი მომეცი, ხვალ დაგირეკავ-მეთქი. ჩქარ-ჩქარა მიკარნახა, თან დააყოლა, სამიდან ექვსამდე მარტო ვიქნებო. ეს უკვე თანხმობას ნიშნავდა. არ მეგონა, ასე ადვილად თუ მოგვარდებოდა ეგ საქმე, არაფერი-მეთქი, შემეხარა სიხარულისგან. სუფრასთან რომ დავბრუნდი, მეც ჩავერთე მხიარულებაში, სიმღერაც კი შემოვძახე, მახსოვს... მერე, ქეიფი რომ დამთავრდა, დამშვიდობების დრო დადგა, ჯერ ხელი ჩამოვარტე ოჯახის დიასახლისს, ვეამბორე და მერე ლოყაზე ვაკოცე. როგორ უთრთოდა მთელი სხეული, ვერ წარმოიდგენ. მეც ზუსტად მაგ დღეში ვიყავი. სანამ მიშა სახლამდე მომიყვანდა, მანქანაში ხმა არ ამოიღია, ფიქრებით ანას დავტრიალებდი თავს. მთელი ღამე თეთრად გავათენე, ვბორბავდი, მის სურნელს ვგრძნობდი, თითქოს გვერდით მენვა. დღიდან მოუსვენრად ვიყავი, წამებს ვითვლიდი, როდის გახდებოდა სამი საათი. გაიწელა ეს ოხერი დრო, ჩემი დამემართა. ოთხის თხუთმეტ წუთამდე ვიცადე მაინც, რა იცი, რა ხდება-მეთქი და ხელის კანკალით ავეკრიბე სანუკური ნომერი. ადვლეტული ხმა ჰქონდა, ელოდა ჩემს ზარს. რამდენი რამ მინდოდა მეთქვა, სათქმელს თავი ვერ მოვაბი. მივვიბ-მოვვიბე, მოვიკითხე, მშვენიერი სუფრა იყო, უგემრიელესი კერძები-მეთქი... არადა, ერთი ლუქმა არ გამისინჯავს არაფერი. იმანაც იცოდა, მაგრამ მაინც გადამიხიდა მადლობა. ჩვენთან როდის შემოვივლითო. გავგიჟდი კაცი, იქ მეორედ რა მიმიყვან-

და, ქუდი რომ შეეგდოთ, არ მივიდოდით. იქნებ სადმე გარეთ შევხვდეთ ერთმანეთს-მეთქი, გავხვდეთ და ვუთხარო. სალამოს, შვიდის ნახევარზე, ბავშვი უნდა გავასეირნო, ვაკის პარკში ვიქნებო, — მითხრა. დავთქვით შეხვედრა. ახლა სალამომდე გაიწეა დრო. ლოდინით დავიტანჯე. საათ-ნახევრით ადრე მივედი დათქმულ ადგილას და ბოძივით დავერჩევი. კისერი მომედრიცა ლოდინით. როგორც ჩანს, ისიც ჩემს დღეში იყო, ნახევარი საათით ადრე მოვიდა აფორი-აქებული, ლოყები გასწითლებოდა, თვალები ანთებოდა... შემოდგომის მინურული იდგა, ციოდა ქალაქში. უკვე შეღამებული იყო, პარკში კანტიკუნტად თუ დადიოდა ვინმე, უმეტესად ახალგაზრდა, შეყვარებული წყვილები. გვერდითა შესასვლელთან დავხვდი, ასე მყავდა შეპირებული. შვილი პატარა იყო მაშინ, თვეების. ეტლში ეძინა ბავშვს. ერთი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. როგორც კი მომიახლოვდა, უმაღლე ხელი მოხვდებოდა გიჟივით კოცნა დაფუნჯე... ისიც მკოცნიდა. უკვე გვიყვარდა ერთმანეთი.

არ ვიცი, რა იყო ეს — რა ძალა გვეწეოდა ერთმანეთისკენ, მაგრამ ფაქტია, რალაცამ ნახვისთანავე დაგვაკავშირა ერთმანეთთან. ყველაზე ბნელ ადგილას მდებარე მერხზე დავსხედით, არ გვიღაპარაკია, სად გვეწონდა ლაპარაკის დრო ან თავი. მთელი ნახევარი საათი ერთმანეთის ფერებში გავატარეთ. არც სიყვარული ამისხნია, არც კომპლიმენტი მითქვამს... არაფერი, არაფერი... უთქმელად გვესმოდა იმის, რაც ჩვენს თავს ხდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ აწრიალდა, ქმარი არ იყო მოსული, რომ წამოვედი, მეშინია, ძებნა არ დამინდოდა. დაგებარებინა მაინც, სად მიდიოდი-მეთქი. იცის, ბავშვს რომ ვასეირნებ საღამოობით, მაგრამ მის მოსვლამდე არასდროს გამოვსულვარ სახლიდან, ამიტომაც ვწერდი და ვქარაოვო. რალას გავანდობდი, მივაცილე მეზობელ ქუჩამდე და დავემშვიდობე. დამშვიდობებაც ერთი ხუთი წუთი გაგრძელდა. ვერ ვწყვდებოდი მის სხეულს, ერთიანად გახურებული ვიყავი. არ ვიცი, ასე დანერვილებით რატომ გიყვები, ჩემო სოფიო, მაგრამ ახლა ისე მსიამოვნებს ამის გახსენება, ვერ აგისხნი. შენც ქალი ხარ, ჩემი ახლობელი და ალბათ, თუ ჯერ არ გამოგიცდია, გამოცდი იმას, რასაც სიყვარული ჰქვია. თუმცა ეს უბრალო სიყვარული არ ყოფილა. ეს უგონო სიყვარული იყო, ბოღვა, სიგაფე... არა მგონია, ოდესმე ვინმეს მსგავსი რამ განეცადოს.

ის დღე იყო და ის დღე... ყოველ საღამოს პარკში ვხვდებოდით ერთმანეთს, ყოველი ჩვენი შეხვედრა მოფერებით და ალერსით გამოიხატებოდა მხოლოდ. არავითარი სიტყვა, არავითარი დიალოგი, დამშვიდობების უამს თუ ვეტყვოდით ერთიმეორეს ორიოდ ფრაზას.

სიტყვები მხოლოდ ხელს შეგვიშლიდა ურთიერთობაში, უსიტყვოდ უკეთ ვუგებდით ერთმანეთს. ასე გაგრძელდა დეკემბრის ბოლომდე. მერე ძალიან აცივდა. ასე გაგრძელდა უკვე აღარ შეიძლებოდა. ერთხელაც, როცა შევხვდი, შევთავაზე, სადმე ბინას ვიქირავებ და იქ შევხვდეთ-მეთქი. სასტიკ უარზე დადგა, ბავშვის გარეშე სახლიდან ვერ გამოვალ, არც დამტოვებელი მყავს და რომც მყავდეს, ქმარი იეჭვიანებსო. ოროთახიანს ვიქირავებ და ბავშვი მეორე ოთახში დავტოვებ-მეთქი, მოვიფიქრე. კარგა ხანს ორჭოფობდა, მერე დამთანხმდა. სახლში ვერ მივიყვანდი, მშობლებთან ვცხოვრობდი, რა უნდა მეთქვა, — გათხოვილ ქალთან რომანი მაქვს და პემანს აქ ვუნთხავ-მეთქი? ჰოდა, რალა ბევრი გავაგრძელო და... ვიქირავე ოროთახიანი ბინა. შევცვალეთ შეხვედრის დრო, დილის საათებში გადავიტანეთ. არ დამავიწყდება, პირველად რომ მოვიდა იმ ბინაში. რა სახე ჰქონდა... ამ ქვეყანას არ იყო, შემოიღეს ჰგავდა. სულ ორი საათი



გრძელდებოდა ხოლმე ჩვენი შეხვედრა, მეტხანს ვერ რჩებოდა. თავდაპირველად ყოველდღე ვხვდებოდით, მერე კვირაში სამჯერ, მერე — ორჯერ. ჩემი ქმარი რალაცას ეჭვობს და არ მინდა რამე გაიგოსო. მესმოდა მისი, ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ შემხვედროდა, ოღონდ ჩემთან ურთიერთობაზე უარი არ ეთქვა. გავიდა ნახევარი წელი... ერთი წელი, ბავშვი წამოიზარდა, სიარული დაიწყო... გაძნელდა შეხვედრა. სანამ პატარა იყო და ეტლში იწვა, უფრო გვიადვილდებოდა ურთიერთობა. დააძინებდა ბავშვს მეორე ოთახში და ჩვენ ნეტარებას ვეძლეოდით. ფეხი რომ აიღდა, თან ველარ ატარებდა უკვე, აბა, როგორ გავაჩერებდით პატარას, სულ ბავშვაჯი უნდოდა. ამას მცირე უთანხმოება მოჰყვა. ვუთხარი, ძიძას ვიქირავებ და მინა ნაიყვანოს დროებით, დღეში ორი საათი, რა გახდა-მეთქი. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მეშინია, ვინმემ არ გაიგოსო. ამასობაში ქმარმაც იეჭვა რალაც. როგორც ჩანს, ანა შეიცვალა მასთან მიმართებაში. იძულებული გავხდით, შეგვემცირებინა შეხვედრის სიხშირე. ჯერ კვირაში ერთხელ ვხვდებოდით ერთმანეთს, მერე უკვე — თვეში ერთხელ. დავიტანჯე კაცი.

არადა, სულ მასთან მინდოდა, ვერ ვითმენდი. ხანდახან ისე მომენატრებოდა მისი ხმის გაგონება, სახლში ვურეკავდი. მე-მუდარებოდა, არ დამლუპო და ნუ დამირეკავო, მაგრამ არ შემეძლო სხვანაირად.

ასე გავიდა ორი წელი. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. ვთხოვდი, ქმარს გაშორდი და ცოლად გამომყევი-მეთქი. არც ამაზე მთანხმდებოდა. ბოლოს დარსულდა. გვიან მიხდა, ორსულად რომ იყო, უგუნებობა დასჩემდა. თავიდან შემეშინდა, რამე ავადმყოფობა ხომ არ სჭირს, ცუდად არ იყოს-მეთქი. დავაძალე, ექიმთან გამომყოლოდა. თითქმის ოთხ თვემდე ყოფილა. ეს რომ გავიგე, სიხარულისგან თავებრუ დამეხვა, ადგილს ველარ ვპოულობდი, ისეთი ბედნიერი ვიყავი. კიდევ უფრო დავიშოვე, როცა მითხრა, ბავშვს გავაჩენო. მთელი ორი კვირა ეიფორიაში ვიყავი, თან ვერავის ვუყვებოდი ამ ამბავს, როგორი სათქმელი იყო. ისევ ვხვდებ, გაშორდი იმ კაცს, დაუტოვე ეს შვილი და ჩემთან წამოდი-მეთქი. მაგას ვერ ვიზამ, ვაუა მეცოდებო, გამომიცხადა... კი მაგრამ, ჩემგან რომ შვილს აჩენ, ვის გვარზე უნდა იყოს-მეთქი, დავეკითხე. ჩემი ქმრის გვარზეო, ისე მშვიდად მიპასუხა, თითქოს დიდი არაფერი ხდებოდა. ხომ არ გადაიერიე, ჩემი შვილი სხვის ოჯახში იზრდებოდა, სხვა გვარი ჰქონდეს, რა ნამუსით ვიარო ამ ქვეყანაზე-მეთქი, ახლა მე ვიყვირე.

სახელი ვაუა რომ ახსენა, გული შემიქანდა, თითქოს რალაც მენიშნა. ვაუა ხომ ბექას მამას ჰქვია... იმ ქალს კი ანაო, ასე თქვა ბიძინა ძიამ... ნუთუ ქალბატონ ანიკოზე საუბრობს? ნუთუ... ღმერთო, ნამდვილად ასეა, არ ვცდები. იმანაც ხომ მითხრა მაშინ, ახლაც მარტოა, არც ცოლი შეურთავს და არც შვილები ჰყავს, მარტოობაში ამოხდება სულიო... ისიც თქვა, ბავშვის მიტოვება მთხოვა და არ დავთანხმდიო... ჰმ, რა პატარაა ეს ქალაქი, სადაური ამბავი სად დამიხვდა...

— სოფიო, შვილო, ხომ არ დაგვალე? — ბიძინას ხმამ გამომარკვია ფიქრებიდან.
— არა, არა, ბიძინა ძია, გააგრძელეთ, გულისყურით გისმენთ, ძალიან დამაინტერესა თქვენმა ისტორიამ, — შემცბარმა ვუპასუხე.

— რალა ბევრი გავაგრძელო და... დაიძაბა სიტუაცია. კი დავითანხმე, ქმარს გაყვაროდა, მაგრამ როცა ჩემი ულტიმატუმი ნაუყენე, ბავშვის დატოვება როგორ მომთხოვეო, თავი გაიგო. რა ვიცი, მეც რამ გამომათავანა, წამოყვანა ის ბავშვი, რას ვერჩოდი, მაგრამ მაშინ თავმოყვარე ბიჭი ვიყავი და რალაც-რალაცებს სხვანაირად ვუყურებდი. ჯერ ერთი, არ მინდოდა ჩემებთან პრობლემები შემქმნოდა — ბავშვიანი ქალი მომიყვანა რძლადო, დედაჩემის ყბიდან ვერ ამოვიდოდი, ის ამას არ მაპატიებდა. განათხოვარს კიდევ არა უშავდა, როგორმე შეეგუებოდა. მე-

ორეც — იმ ბავშვს სალ-სალამათი მამა ჰყავდა, ცოცხალი, ჯანმრთელი... რატომ უნდა ყველაზე ღვიძლ მამაზე მეტად? გული ყოველთვის იქითკენ გაუნევდა. გოგონა რომ ყოფილიყო, კიდევ შეიძლებოდა... არ ვიცი, რატომ ვფიქრობდი ასე, მაგრამ... მეგონა, ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. იმ დღესვე დაამთავრა ანამ ყველაფერი. წავიდა და უკან აღარ მობრუნებულა. არც ტელეფონზე მელაპარაკებოდა და არც მხვდებოდა. როგორ არ ვცაადე, დავლაპარაკებოდი, სადმე შევხვედროდი, მაგრამ ახლოს არ გამიკარა. ჩემი შვილის ბედი უფრო მანუხებდა. ნამდვილად არ მინდოდა, ის სხვის ოჯახში, სხვა მამის ხელში გაზრდილიყო. სხვა გამოსავალი არ მრჩებოდა. დავიბარე მიშა და ყველაფერი მოეწყვი. გაფითრდა ვატი, ეს რა მიქენი, რა დღეში ჩამაგდეო. არადა, მეც მისი მეგობარი ვიყავი და ვაჟაც. როგორია?! ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. ვთხოვე, მიშუამდგომლე, მიდა ანასთან და ყველაფერი აუხსენი-მეთქი. უკვე თანახმა ვიყავი, თავის შვილიანად მიმელო, ისე ვიყავი გადარეული. მიხეილმა არ ქნა, ამას ვერ გავაკეთებ, ოღონდ ეს საქმე არ დამავალო და რასაც გინდა, იმას შეგისრულებო. ბოლო იმედიც მომესპო. შეხვედრა მაინც მომიხერხებოდა, ლამის მუხლებზე დაფუჩოქე. ვერც ამაზე დავითანხმე. ასე ადვილად არ ვაპირებდი პოზიციის დათმობას. დღეში ათჯერ ვრეკავდი, ხან მე, ხანაც სხვას ვარეკვინებდი. ბოლოს ჩემს დას ვთხოვე, როგორმე შეხვდი და დაელაპარაკე-მეთქი. სახლთან დაუდინარაჯდა და შეხვდა. აუხსნა, ვინც იყო და რისთვისაც მივიდა. მწარედ გაიცინა თურმე, მე ბავშვს უკვე აღარ ველოდები, აბორტი გავიკეთეო, გამოუტყდა. ამან მთლად გამიცოფა. არ დავიჯერე, მეგონა, მატყუებდა. ახლა მე დავუხვდი სახლთან. მუცელი აღარ ეტყობოდა. მართალი უთქვამს, ხელოვნური მშობიარობა ჩაუტარეს თურმე, მოუცილებია ჩემი შვილი. ისე გავმწარდი, ხელი გავარტყი, უშვერი სიტყვებით ვაგინე, მთელი სადარბაზო შევყარე... ერთი სიტყვით, ძალიან ცუდი ამბები დავატრიალე. მევე მის ქმარს დავურეკე და ვუთხარი, მე და შენს ცოლს ერთმანეთი გვიყვარს და თუ კაცი ხარ, გამოირდი და დამითმე ის ქალი-მეთქი... ახლაც არ ვიცი, რატომ ჩავიდინე ეს. ხომ ვიცოდი, თუნდაც გამოეგდო ვაჟს, მე უკვე აღარ დამიბრუნდებოდა. ალბათ, შურისძიება მამოძრავებდა, სამაგიეროს გადახდის სურვილი... მართლაც მიატოვა ქმარმა. დარჩა მარტო ბავშვიან ერთად... მაინც არ მოვეშვი. ვერა... ვერ მოვარბუნე ჩემკენ. ერთხელ რომ თქვა უარი, აღარ გადაიფიქრა, არ წაიღო თავისი სიტყვა უკან. ის ერთი წინადადება არ მაპატიო. გვიან, ძალიან გვიან მივხვდი, რა შეცდომა დავუშვი. მისი შვილით ვაჭრობა არ უნდა დამეწყო. უნდა მივხვდარიყავი, რომ

შვილზე წინ არ დამაყენებდა. მაშინ ვერ გავანალიზე ეს, ჭკუა არ მეყო. ჰოდა, ჩემი უგუნურებით დავკარგე კიდევ სამუდამოდ. იმ დღიდან სასტიკი სასჯელი გამოუუტანე ჩემს თავს. ქალს არ გავკარგებოვარ სიხსლოვეს, არც ერთი — არც ლამაზი და არც მახინჯი — თვალში არ მომდიოდა, მთელი საქალეთი შევიძულე. პირობა დავდე, უცოლოდ მოვკვდები-მეთქი და შევასრულე კიდევ. მას შემდეგ, აგერ, თითქმის ოცდათექვსმეტი წელი გავიდა და ვერ ვივინყებ. დღესაც ისევე



მიყვარს, როგორც მაშინ, ერთი წამითაც არ გამწვანებია გრძნობა. დღესაც ისეთივე მოუთმენლობით ველი, როგორც მაშინ, ნაქირავებში რომ ბოლოს ვცემდი მის მოლოდინში. ასე მგონია, აი ახლა გაიღება კარი და შემოვა-მეთქი. დარწმუნებული ვარ, არ დავვინყებოვარ, ახლაც ვუყვარვარ. ვიცი, რომ ასეა, ვიცი... იმიტომ, რომ ორივე ერთნაირად ვიყავი ერთმანეთთან, ერთნაირად გვიყვარდა, ერთნაირად განვიცდიდით, ერთნაირად გვანუხებდა ერთმანეთის ტკივილი თუ სიხარული... იმიტომ, რომ ჩვენ ერთნი ვიყავით — ორი ერთმანეთის შემავსებელი ადამიანი, უფრო ერთნაირი, ვიდრე ტყუპისცალები... ჩვენ გულით ვხედავდით ერთმანეთს და ვხედავდით იმას, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი თვალებით ვერ დაინახავს. ასე იყო ეს. მე ყველაზე კარგი შემთხვევა გაუშვი ხელიდან და მხოლოდ იმიტომ, რომ შიში მქონდა, შიში, მშობლების რისხვა არ დამემსახურებინა, პრესტიჟი არ შემლახოდა სამსახურში, კოლეგებთან, საზოგადოებაში... არადა, ძალიან გვიან მივხვდი, რომ შემთხვევა არასდროს უნდა გაუშვა ხელიდან, ის ხომ ყოველდღე არ მოგეცემა. ეს დაიმსხვრე, შვილო, შენ ახლა იწყებ ცხოვრებას, ჯერ ყველაფერი წინ გაქვს. მაგრად უნდა ჩაეჭიო იმას, რაც შენია, რაც ცხოვრებამ გაჩუქა, რაც გამოგიგზავნა განებათ. რის ფასადაც უნდა დაგიჯდეს იგი, უნდა შეინარჩუნო და არ დათმო არაფრით. იდეალური სიყვარული შეი-

ძლება, მთელი ცხოვრება ეძებო და ვერ იპოვო, რადგან თვითონ სიყვარული არ არის სრულყოფილი. ამიტომ ნუ დაიწყებ იდეალური ურთიერთობის ძებნას, დაკმაყოფილი იმით, რაც არის, რაც სტიმულს გაძლევს, ძალას გმატებს. ცოტა დათმე, მაგრამ ბევრი მოითხოვე — ეს საუკეთესო პრინციპია. ასე რომ მოვეცეულიყავი, დღეს ჩვენ ერთად ვიქნებოდით. არ ვიცი, უკეთესი იქნებოდა თუ უარესი, მაგრამ სინანულის გრძნობა მაინც არ შემოიპყრობდა. თუმცა ამაზე უარესი არაა უნდა მომხდარიყო. მე ცოტა სხვანაირი კაცი ვარ. არის ისეთი რამ, რასაც ქალს არ ვაპატიებ. ლალატიც კი შეიძლება ვაპატიო, მაგრამ... იცი, რას ვერ ვაპატიებ ანას? სიმამაცეს. სწორედ თავისი სიმამაცით მაჯობა. ასაკში რომ შედის ადამიანი, მერე უფრო ხვდება თავის შეცდომებს, რა გზა როგორ გაიარა. სიყვარული კარტის თამაშს ჰგავს. ქალი „დამა“, ხოლო მამაკაცი, რომლის გულიც ქალმა უნდა მოიგოს, „კაროლი“ უნდა იყოს და არა — „ვალეტი“. „დამა“ „ვალეტს“ ყოველთვის უგულბებლყოფს. „დამის“ წაყვანა მხოლოდ „კაროლს“ შეუძლია. მე კი აშკარად „ვალეტის“ როლი ვითამაშე, ამიტომაც დავრჩი წაგებულად.
— ბიძინა ძია, მას მერე არასდროს შეგხვედრიათ?
— არასდროს... არც უცდია.
— თქვენ? არც თქვენ გიცდიათ?
— სხვათა შორის, არა. გავიდა დრო და მეც ჩავიქნე ხელი, რადგან ვიცოდი, ვერ დავიბრუნებდი, ვერასდროს — ვერანაირი თხოვნით და ვერანაირი ძალით. ის განსხვავებული ქალია თავისი ყველაფრით. ის არავის ჰგავს.
— არც არაფერი გსმენიათ მასზე? — ისე ვკითხე, ვითომ არ ვიცოდი, ვისზე იყო ლაპარაკი.
— როგორ არა, მსმენია. ქმარს არ შერიგებია, ვიცი, არც გათხოვილა. თავის ვაჟთან ერთად ცხოვრობს და არის... ისე, შენ უნდა... — დაიწყო და აღარ გააგრძელა ბიძინამ, ალბათ უნდოდა ეთქვა, შენ უნდა იცნობდე მის შვილსო.
მეც აღარ ჩავეძიე. არც მსურდა, დაეკონკრეტებინა. ასე ჯობდა, თუმცა კი თავზარდაცემული ვიყავი გაგონილით.
კიდევ დიდხანს ვილაპარაკეთ. მერე ჩემი ამბები გამომკითხა. გათხოვებას არ აპირებო, მკითხა. ჯერ არა-მეთქი, თავი გავაქნე. ქორწილი არ გამომაპარო, გამეხუმრა. ყრუანტელმა დაეძინა, ეს რომ მითხრა. როგორია, ბექას რომ გავყვე ცოლად და იქ დედამისს შეხვდეს... საინტერესოა, რა რეაქცია ექნება? როგორც ჩანს, იცის, ბექა რომ მიხეილთან მუშაობს. ეცოდინება, აბა, რა. ჩვენი ურთიერთობის შესახებაც ხომ არ იცის შემთხვევით? ხომ არ ეტყოდა მთავარი ექიმი? არა მგონია, მაშინ არ მომიყვებოდა თავის ისტორიას.
შინისკენ მიმავალი მხოლოდ ბიძინაზე

ვფიქრობდი. რალაც მომენტში ისე მომინდა ქალბატონი ანიკოს ნახვა, ისე მომინდა, მისთვის მომეყოლა ეს ყველაფერი, რომ ლამის ბექას სახლისკენ გადავუხვიე, მაგრამ გადავიფიქრე. უკვე გვიან იყო და არ ღირდა მისი შეწუხება. მით უმეტეს მაშინ, როცა ბექა სიახლოვესაც არ მიკარებს. რომ დამინახავს, შეიძლება კარიც კი მომიხუროს. გამორიცხული არაფერია.

პირველი, რაც შინ დაბრუნებულმა გავაკეთე, ბექას სახლში დარეკვა იყო. ქალაქის ტელეფონით ასი წელი ვერ მიხდებოდა, ვინ რეკავდა.

— გისმენთ, — მისი ხმა გავიგონე თუ არა, გული შემეკუმშა, მაჯისცემა ამიჩქარდა.

— ალო, გისმენთ, ამოიღე ხმა, რომელი ხარ! — გაბრაზებულმა დამიკიდა ყურმილი.

ისევ დავრეკე, რომ ჩემზე არ მიეტანა ეჭვი. ერთხელ მითხრა, ვილაც ქალები მირეკავენ და ხმას არ იღებენ ტელეფონშიო. ამნუთას მეც იმ ვილაც ქალების როლი გავითამაშე. რამდენჯერმე გამითიშა, მეც ხელმეორედ დავრეკე. იქამდე არ მოვიხვეწე, სანამ მკვდარი და ცოცხალი არ შემაგინა. მხოლოდ ამის მერე გაგწერდი. ცოტა ხანში, აქეთ დარეკა ვილაცამ. კარგა ხანს არ ვიღებდი ყურმილს, ბექა არ იყოს-მეთქი. ზარი არ ჩერდებოდა. ბოლოს ვუპასუხე.

— სოფიო, შენ ხარ? — გაისმა ქალის ხმა, ნიტა იყო.

— ჰო, ნიტა, მე ვარ, როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები, ისევ ისე. შენკენ არაფერია ახალი?

— არა, რა უნდა იყოს.

— ხომ არ გამოჩენილა?

— არა, რა სისულელეა, ხომ გითხარი, ჩემთან აღარ მოვა-მეთქი.

— რა საინტერესოა, სად არის, ვისთან ათევს ღამეს. მობილურის ნომერი გამოუცვლია, რომ აღარ დავურეკო. დღეს სამსახურში მივაკითხე და ლამის გამომაგდო იქიდან, აქ მოსული არ დაგინახო, ახლოსაც არ გამიკარა.

— ჰო. ვერაფერს გეტყვი, მე დღეს შორიდან მოვკარი თვალი მხოლოდ, არ დავლაპარაკებდით. რა დროს იყავი, მე რატომ ვერ გნახე?

— მაღლა არ ამოვსულვარ, ქვემოთ ჩამოვიყვანე. ამაღამ მორიგეა, ნეტავ თუა სამსახურში?

— არ ვიცი, ვერ გეტყვი.

— ხვალ თუ ნახავ, იქნებ დაელაპარაკო, სოფიო?

— არა მგონია, ნიტა, მე ხვალიდან აღარ ვეკლი სამსახურში.

— რატომ? ხომ არ წამოხვედი?

— ჯერ არა, მაგრამ შეიძლება, წამოვიდე. მთავარ ექიმს დროებით დავუთხოვე.

— სანდროს გამო?

— მარტო მის გამო არა, სხვა მიზეზიც მქონდა.

— ჩვენ გამო ნუ იზამ მაგას, გთხოვ. მე ყველაფერი მესმის, მთლად შტერიც

არა ვარ. ვიცი, რომ შენ არაფერ შუაში ხარ, არ გადანაშაულებ არაფერში. ამიტომ, ნუ გაიფუჭებ საქმეს.

— დიდი მადლობა ამ სიტყვებისთვის, მაგრამ მე სხვა პრობლემებიც მაქვს. შეიძლება, სულაც მოსკოვში წავიდე, მამასთან.

— მართლა? ხომ მშვიდობაა, ხომ კარგად არიან?

— კი, კარგად არიან, უბრალოდ, ძალიან მომენატრნენ ყველანი, ახალი წლის მერე არ მინახავს. შეიძლება, ცოტა ხნით გავმგზავრო. ნერვებსაც დავიმშვიდებ. იქამდე აქაც მოგვარდება სიტუაცია.

— ვნახოთ, რა იქნება. სიმართლე გითხრა, უკვე აღარაფრის იმედი არ მაქვს და არც მაინტერესებს. რაც უნდა, ის უქნია. ბავშვები მეცოდება, თორემ ჯანდაბაღდის გზა ჰქონია, ვისაც უნდა, იმას შეეკედლოს.

— მე, ყოველ შემთხვევაში — არა. მაგას ჩემთან არ მოესვლება და ეს ძალიან კარგად იცის.

— ვიცი, მჯერა შენი. ბექა როგორ არის? როგორ ეგუება შენს გადანყვტილებას, ასე ადვილად გიმეტებს სამსახურიდან წამოსასვლელად?

— ჯერ ბოლომდე არ გადამიწყვეტია, ამიტომ, მისთვის არც არაფერი მითქვამს. მხოლოდ მიხეილს ველაპარაკე.

— ის „სტერვა“ დაღის სამსახურში?

— კი, როგორ არა.

— ის ვარ გაგიჟებული, შეიძლება თმით ვითრიო, სადმე რომ შემხვდეს. ჯერ არ შემომხმინებია, მაგრამ თუ კიდევ გაბედა და მოვიდა ან დამირეკა, ისეთ ხასიათზე ვარ, ვიფრენ. შეიძლება, სულაც მაგასთან დაეთრევა ის დეგენერატი, რა ვიცი.

— არა მგონია. რაც მე გითხარი, დიდი ხნის ამბავია, ასე რომ...

— ჰო, მაგრამ, მაგნიარი ქალების ამბავი ხომ იცი. რომ გაიგებს, ცოლს გაეყარა და სახლიდან წამოვიდაო, შეიძლება, შეეცადოს ძველი ურთიერთობის აღდგენას.

— მეექვსეა, მგონი, ახლა ვილაც სხვა ჰყავს, — ყრუდ ვთქვი და ვიგრძენი, როგორ მომენურა გული.

— ისე, გუშინ საღამოს რუსთაველზე დავლანდე. ავტობუსიდან დავინახე, მგონი, ის უნდა ყოფილიყო.

— მარტო იყო? — სუნთქვა შემეკრა.

— არ იყო მარტო... ვილაც ახლდა თან, — ისეთი ტონით თქვა, მივხვდი, ვისთანაც იქნებოდა.

— ბექასთან ერთად იყო? — „წავეხმარე“ ნიტას.

— ...

— რა იყო, რას მიმალავ, ასე იყო? — გაუუმორე შეკითხვა.

— კარგად ვერ დავინახე, მაგრამ მგონი, ბექა უნდა ყოფილიყო.

— ფეხით იყვნენ?

— ალექსანდრეს ბაღიდან გამოდიოდნენ და რა ვიცი, შეიძლება სადმე ეყენათ მანქანა. რა ხდება, სოფიო?

— არ ვიცი, ნიტა, — ამოვიხსრე, —

ჯერ თავადაც ვერ გავრკვეულვარ, რა ხდება. აბა, რა გითხრა, — თვალეზზე ცრემლი მომადგა.

— მაგარი თახსირი ქალია. დარწმუნებული ვარ, შენს ჯინაზე აკეთებს ყველაფერს. ვერ გამოგია, რატომ ითმენ ანდენს? რატომ არ მოსვამ თავის ადგილზე?

— ძალიან გთხოვ, არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

— კარგი, კარგი, ნერვებს არ მოგიშლი. მაპატიე, რომ შეგანუხე. შეიძლება, სხვა დროს კიდევ დაგიჩივო? შენთან საუბარი მაშვიდებს.

— როცა გინდა, მაშინ დამირეკე, რა პრობლემაა. თუ გინდა, გამოდი, მე სულ სახლში ვარ, ეს ათი დღე მაინც.

— კარგი, ჩემო კარგო, ნახვამდის, შეგეხმინებინე ხანდახან.

ყურმილი რომ დაკვიდე, უკვე ლაპალუპით ჩამომდიოდა ცრემლები. ვტიროდი საკუთარ თავს, ჩემს დანგრეულ ცხოვრებას, უღიმღამო ანწყოს და გაურკვეველ მომავალს. ჩემმა ერთმა საბედისწერო შეცდომამ ყველაფერი გამინადგურა. ხვალინდელი დღის იმედი აღარ შემრჩა საერთოდ.

მთელ დღეებს შინ ვატარებდი, არსად გავსულვარ. ორი დღე ისე გავიდა, არავინ შემომხმინებია. მესამე დღეს გინზელამ დამირეკა, ახალი ამბები გაგიგე და შენთან გამოსვლა მინდაო. არ მესიამოვნა, ნანკაზე ხომ არ მელაპარაკებამეთქი, მაგრამ არ ვკითხე. საღამოს გამოდი, შინ ვიქნები-მეთქი, დავპატიჟე. სამსახურის მერე გამოგივლით მე და ნათიაო.

საგანგებოდ მოვემზადე. მარკეტში ჩავედი, ნამცხვრები ვიყიდე, მერე ბაზარში გავვარდი მანქანით, პროდუქტები შევიძინე და სადილიც მოვამზადე, ლამაზად მიწოდდა დავხვედროდი თანამშრომლებს. თან ერთი სული მქონდა, როდის მოსალამოვდებოდა, რომ დროზე მოსულიყვნენ და გამეგო, რა ხდებოდა. ნეტავ, ბექამ თუ მიკითხა? ნუთუ არ დაინტერესდა, რატომ არ დავდივარ სამსახურში? მიხეილმა რა თქვა, რატომ წავიდაო? ერთი სული მქონდა, როდის შევიტყობდი ამ ყველაფერს. ამასთან, მოსვენება დავკარგე, ისე მიწოდდა ქალბატონი ანიკოს ნახვა. ვერ მოვიამენდი, სანამ მას ბიძინა ძიას შესახებ არ მოუყვებოდი. არ ვიცი, რატომ მინდოდა ასე ძალიან ამის გაკეთება, რა ქვენა გრძობა მამომძრავებდა. ბოროტებით რომ არ მომდიოდა, ამაში დარწმუნებული ვიყავი. შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ ბექასთან შეხვედრის შანსი მომცემოდა? ბიძინა რა შუაში იყო? ან რას მოვიგებდი იმით, თუ ანიკოს მის შესახებ მოუყვებოდი? არ ვიცი.

შვიდი საათი ხდებოდა, ნათია და გინზელა რომ მოვიდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფროს „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაჲნ არ გაბაჲჲთ თვალი.

1. უცხოებაში გადახვეწილი ებრაელთა ბიბლიური მამა, აბრაამი საკუთარ ცოლს დადასალებდა. რატომ?
2. ერთხელ ექიმის დაჟინებული რჩევით, ბურგუნდიის პერცოგი ფილიპე კეთილი იძულებული გახდა, თმა გადაეპარსა. რა მოიმოქმედა მან, რომ ამ გარემოებით გამოწვეული უხერხულობა დაეფარა?
3. ნაპოლეონთან ომის დაწყებისთანავე რუსი ოფიცრები იძულებული გახდნენ, სასწრაფოდ შეესწავლათ ეს ენა. კერძოდ, რომელი?
4. რატომ არ ალაგებდნენ ბოშები საყოფაცხოვრებო ნივთებს მიწაზე?
5. 1943 წელს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქალაქ პოზნანეცში „ესესელი“ ოფიცერი პატარა ბიჭს კანფეტით გაუმასპინძლდა. ბავშვმა კანფეტი გამოართვა, ბოროტად მიაჩერდა გერმანელს და სახეში ესროლა. დედა მივარდა ბავშვს და სილა გაანა. „ესესელმა“ დაკვირვებით შეხედა ბავშვს, რომელიც დედის მწარე სილამაც არ აატირა და იკითხა, თუ რამდენი წლის იყო იგი? უპასუხეს, რომ ბავშვი მხოლოდ ორი წლის იყო. ოფიცერმა პირქუშად გაიღიმა და ქალს უთხრა: „თქვენი შვილი დიდი ნაძირალა გაიზრდება“. ჩვენ არ ვაპირებთ იმაზე დავას, გამართლდა თუ არა გერმანელი ოფიცრის ვარაუდი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ბავშვის სახელი და გვარი გვაინტერესებს.
6. ტაისონ-ჰოლივუდის მატჩის ამსახველი კადრები, რომელშიც ტაისონმა მოწინააღმდეგეს ყური მოაჭამა, ერთ-ერთმა ფირმამ საკუთარი რესტორნის რეკლამისათვის გამოიყენა. რა თავისებურებით გამოირჩეოდა ეს რესტორანი?
7. ბაქოში მატარებლით ჩასული ნიაზ დიასამიძე ბაქანზე აყვირდა: — „ნასილშიქი!“ მოვიდა ერთი. ნიაზი მაინც ყვირის: — „ნასილშიქი!“ მოვიდა კიდევ რამდენიმე. ნიაზი თავისას არ იშლის: — „ნასილშიქი!“ მეტარგულები ბლომად მოგროვდნენ. „ვსე ზდეს?!“ — „ვსე!“ — „ვამ პრივეტ ატ ...!“ დაასრულეთ ფრაზა.
8. დაასახელეთ ადამიანი, რომელიც ეკატერინე მეორის მიერ რუსეთის ტახტიდან გადაგდებულ პეტრე მესამედ ასალებდა თავს.
9. „ამ ადამიანს საუკუნეობრივი გაქანება აქვს. მე ნაგიკითხავთ მის ნებისმიერ ტექსტს და თქვენ იტყვი, რომ იგი ნუხელ არის დანერვილი“, — ამბობდა კოტე მახარაძე ამ ქართველი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ, ერთი მსახიობის თეატრში დადგმულ სპექტაკლში. დაასახელეთ იგი.
10. რამდენი წლით იყო ლუარსაბი დარეჯანზე უმცროსი?
11. „სტროგი ვიგოვორ, ლიშენიე პრემილნიხი პერვი ტალონი.. რას მიყურებ, ნადი და იმ-უშაქე!“ — ვის უყვიროდა აეროპორტის უფროსი გივი ივანიჩ გოგლიძე?

ანეკდოტები

კახელმა ოქროს თევზი დაიჭირა. — ოღონდ გამიშვი და სამ სურ-



ვილს შეგისრულებ. მიხო დათანხმდა და ახლა მას სახლში სამი დედალი ვირი ჰყავს.

ცოლი ეკითხება ქმარს: — რას იზამდი, ძვირფასო, მდინარეში რომ ვიხრჩობოდე? — დახმარების სათხოვნელად, სოფელში გავიქცეოდი. — სოფელი რომ შორსაა? — მერე რა? შენი გულისთვის, უფრო შორსაც გავიქცეოდი.

— იმპორტული საქონელი რომ არა, ბევრი ქალი გეოგრაფიის ბაიბურში არ იქნებოდა.

— ბუნებამ ყველაფერზე იზრუნა — მამაკაცის საცდუნებლად საჭიროა ქალი და არ არის საჭირო დიდი გამჭრიახობა.

— გასურს გაიგო საკუთარი ნათესავების ზუსტი რაოდენობა? შეიძინე აგარაკი!

— ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, განსაკუთრებით

მაშინ, თუ პირანიებით არის სავსე.

— არ არსებობს უკანასკნელი ზღვარი, რომელზეც რუსებს არ ჰქონდეთ გადაბიჯებული.

ორი მამაკაცი და ერთი ქალი უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდნენ. როცა ისინი იძულებითი ტყვეობისგან იხსნეს, ჰკითხეს, თუ როგორ იყოფდნენ მამაკაცები ქალს? მათ უპასუხეს:

— სულ ადვილად. კვირაში სამი დღე ერთი — საყვარელი იყო, მეორე — ქმარი, მომდევნო სამი დღე — პირიქით. — მეშვიდე დღეს? — მეშვიდე დღეს ორივე ვცემდით — ღალატისათვის.

— ფიზიკური ნაკლი ადამიანის შესაძლებლობათა მობილიზებას იწვევს. ნაპოლეონი ტანდაბალი იყო და უმაღლესი პოსტები ეკავა. გარინჩას ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა და შესანიშნავად თამაშობდა ფეხბურთს. მაგრამ თქვენ, თქვენი ცხრა შვილით, პირდაპირ სასწაული მოახდინეთ!

გაბრაზებული მიხო მაროს უყვირის: — თავი დამანებე, შე ძროხა! — მამ, მე ძროხა ვარ, არა, შენი ზოოფილი დედა რო ვატირე?!

გურული ალებს ვაგონის კარს, ხედავს, კუპეში სამი ზანგი ზის. — რაია, დეინვა რამე თუ?



ებრაელი შესწივის მეგობარს:
— ცოლმა მიმატოვა! წასვლის წინ კი ასე მითხრა: ჩემო იაშა, შენი ხელფასი ფასიან ტუალეტში ორჯერ შესასვლელად თუ მეყოფა, მესამეჯერ რომ მომინდეს, მერე რაღა ვქნაო?..

— მიხო, სახლში წამოსვლას აღარა ფიქრობ? — ეძახის ცოლი.
— ჰო!
— მერე?
— ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრებ!

— უკვე დროა, კურორტზე დასასვენებლად გამიშვა, — ეუბნება ცოლი ქმარს, — ჩემთვის დასვენება აუცილებელია.
— შე მგონი, არც ისე გადაღლილი ხარ, ჩემო ქეთევან, — ხავსს ეჭიდება ქმარი.
— ჯერ არა, მაგრამ ჩემოდნებს რომ ჩავალაგებ, ხომ დავიდლები?!

დაქალების საუბრიდან:
— რომელია შენი ქვა, ჰოროსკოპით?
— აგური...

— რა აქვს საერთო ქალის მკერდსა და სათამაშო რკინიგზას?
— ორივე ბავშვებისთვის არის შექმნილი, ოღონდ ორივეთი რატომღაც, მამები ერთობიან.

უცხოელი დამკვირვებელი ეუბნება ქართველ პარლამენტარს:
— თქვენს სხდომას დავესწარი და მნიშვნელოვანი დარღვევა აღმოვაჩინე!
— მაინც რა?
— ოთხი ისეთი დეპუტატის გვარი გავიგონე, რომლებიც საერთოდ არ არიან სიაში.
— რომლები?
— ეგერ მინერია: ვირიშვილი, ძალღვივილი, ნაბიჭვარი და ჩემისმო...შვილი.

ერთი კაცი კორპუსის წინ დგას და აივნებს ასძახის:
— სანდრო!
გამოიხედა მეზობელმა.
— ცოტა ხმამაღლა, თორემ ვერ გაიგონებს.
— სანდრო!!
— უფრო ხმამაღლა!
— სანდრო!!!
— კიდევ უფრო...
— რა მოუვიდა, სძინავს?
— არა, სოფელშია წასული.

მეზღვაურებმა ოკეანეში ნაპოვნ ბოთლიდან ბარათი ამოიღეს:



„ვარ დაუსახლებელ კუნძულზე არც მალაზიები, არც მანქანები, არც „სმოგი“, არც ხმაური. გასკდით გულზე!“

გენერალი ჯარისკაცებს მიმართავს:
— მომილოცავს, ხვალ დან ოთხჯერად კვებაზე გადავივარტ.
— ვაშაააააა!!!
— ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი და კვირა!..

ორი კურდღელი ხვდება ერთმანეთს. ერთს ფეხი აქვს ნატყენი.
— ნადირობის დროს?..
— ჰო...
— მონადირემ?
— ჰო...
— გესროლა?
— არა, დამაბიჯა...

გონაგონ სპაჩიკო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. აბრაამს ძალზე ლამაზი ცოლი ჰყავდა და უცხოელთა შური რომ არ გამოეწვია და მის წასართმევად არ მოეკლათ, იძულებული იყო, ცოლი დაე გაესაღებინა.
2. ჰერცოგმა ბრძანება გასცა, მის სამფლობელოში ყველა დიდებულისათვის გადაეპარსათ თავი.
3. რუსული. ფრანგულ ყაიდაზე აღზრდილი რუსი ოფიცრები გულმოდგინებით შეუდგნენ მშობლიური ენის შესწავლას, რათა სამომავლოდ, ფრანგულ ენაზე მოლაპარაკეთ, სობნელეში შეცდომით, საკუთარი ჯარისკაცებისაგან არ მიეღოთ ტყვია.
4. ბოშათა წარმოდგენით, ცა ბოროტი ღვთაება იყო, რადგან თოვლსა და წვიმას მოუვლენდა მათ. მინა კი პირქით — იმდენად წმინდა იყო, რომ შიშობდნენ, მასთან შესვლით, საყოფაცხოვრებო ნეტები წმინდა ნეტებად არ ქცეულიყო, რის შემდეგაც მათ მოხმარებას ვეღარ შეძლებდნენ.
5. ეს ბავშვი სლობოდან მილოშევიჩი გახლდათ.
6. მისი მენუ მხოლოდ ვეგეტარიანული კერძებისგან შედგებოდა.
7. „ტბილისისკის ნასილშიკოვ“
8. ემელიან პუგაჩოვი.
9. ილია ჭავჭავაძე.
10. ერთი წლით.
11. ვალიკო მიზანდარს.

ჩვენი უოსო მხანა

ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ წამოშვებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



დაძინებამდე, შხაპის მიღების შემდეგ, 15 წუთი საკუთარ თავზე ზრუნვას დაუთმეთ. თუ ყველაფერს ისე გააკეთებთ, როგორც სპეციალისტები გირჩევენ, დილაობით კიდევ უფრო მომხიბლავი გაიღვიძებთ.



15 წუთი სილამაზისთვის

სახე: გამწმენდი ლოსიონით ცხვირის წვერიდან საფეთქლებისკენ მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ. შემდეგ სახე თბილი წყლით ჩამოიბანეთ და სახესა და ყელზე დამატენიანებელი კრემი წაისვით.

თვალები: ასაკის მატებასთან ერთად, თვალების ირგვლივ წვერი-წვერილი ნაოჭი ჩნდება. ნაზი კანის სიგლუვის შესანარჩუნებლად, ქუთუთოებისთვის სპეციალური, ანტიმ-ჟანგავების შემცველი კრემი გამოიყენეთ.

ტუჩები: გამომშრალი კანი ასაქერცლი კრემების დახმარებით მოიშორეთ და მკვებავი ბალზამი სქლად წაისვით. დილით თქვენი ტუჩები ვარდის ფურცელივით ნაზი და ხავერდოვანი იქნება.

სახული: მსუბუქი მოძრაობით სუფთა სხეულზე დამატენიანებელი ლოსიონი შეიზილეთ.

ფეხები და ხელი: ფეხის-გულეში ბალახების ექსტრაქტზე დამზადებული, დაღლილობის მოსახსნელი ფეხის საცხი შეიზილეთ და ბამბის წინდები ჩაიცვით. ხელებზე ხელის კრემი წაისვით და ნახად ისრისეთ — ვიდრე მთლიანად არ შეინოვება..

თმა: ნატურალური ჯაგრისით ყველა მიმართულებით გულმოდგინედ ივარცხნეთ. ამით სისხლის მიმოქცევა გაგიუმჯობესდება. თუ ღამით თმა გეწნებათ, ატლასის ბალიშისპირი შეიძინეთ.

ძილი: თუ სახის შეშუპებისკენ გაქვთ მიდრეკილება, დაძინებამდე ერთი საათით ადრე წურაფერს დალევთ. თუ ეს პრობლემა არ განუხებთ, ძილის წინ ერთი ფინჯანი გვირილის ან პიტნის ჩაი მიირთვით.

მომხიბვლოვინა დიდხანს რომ შეინარჩუნოთ

კარგად რომ გამოიყურებოდეთ, პირველ რიგში, ნერვული სისტემა უნდა გქონდეთ წესრიგში. ეცადეთ,

არასოდეს დაკარგოთ ნონასწორობა, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოთ სიმშვიდე, შეძლებისდაგვარად აუღელვებლად შეხვდეთ სხვადასხვაგვარ უსიამოვნებას... ამ ყველაფერს იოლად მიაღწევთ, თუკი სიტუაციის საღად შეფასებასა და გარშემო მყოფებთან ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობის დამყარებას ისწავლით.

კარგი გარემონობის შესანარჩუნებლად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმალურ ძილს. სასურველია, ადრე დაიძინოთ და შესაბამისად, დილითაც ადრე ადგეთ; რაც შეიძლება, მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე; ხშირად გაინიავეთ ბინა, განსაკუთრებით — საძინებელი ოთახი. საწოლ ოთახში ტემპერატურა 17 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ნუ დაიძინებთ ზედმეტად რბილ ბალიშსა და ლეიბზე; ყოველდღიურად, ჭამამდე, ცოტაოდენი ივარჯიშეთ — ისე, რომ არ გადაიღალდეთ; მკაცრად დაიცავით პირადი ჰიგიენა; ჩაიცვით ყოველთვის ამინდის შესაბამისად; იკვებეთ ერთსა და იმავე დროს, თანაც ისე, რომ კუჭი არ გადაიტვიტოს — ადექით სუფრიდან მანამ, ვიდრე დანაყრდებოდეთ.

ცოლ-ქმრის ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღესაც შელაპარაკდნენ და ქალს საყვარელი ადამიანისგან შეურაცხყოფის მთელი კოორანტილი დაატყდა თავს. მეორედ, მამაკაცმა ეს აღარ იკმარა და უდანაშაულო ქალზე ხელიც კი აღმართა; მესამედ რალაცაზე გაბრაზებულმა, ცოლს შინიდან გაგდებაც დაუპირა...

როგორ უნდა მოიქცეთ ამგვარ სიტუაციაში? შესაძლებელია თუ რა აგრესიის განეიტრალება ან მისი თავიდან აცილება?

ასეთი „ბრძოლების“ უმეტესობა, როგორც წესი, შელაპარაკებით იწყება. უნდა შეეცადოთ, მაშინვე აღკვეთოთ იგი და მანამ განმუხტოთ ვითარება, სანამ უთანხმოება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზრდება. თუკი ეს შეუძლებელია, ჯობს, იქაურობას საერთოდ გაეცალოთ.

ერთი რამ კარგად დაიმახსოვრეთ: საკუთარ თავს ჩაუნერგეთ, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს თავს შეურაცხყოფა და ცემა-ტყევა დაგატყდათ, თქვენი ბრალი არ არის — ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ იმსახურებთ. მაშასადამე, საპასუხოდ რაც არ უნდა მოიმოქმედოთ, მანაც მართალი იქნებით. ამიტომ, თუ აგრესორის გამოსწორება გაქვთ მიზნად დასახული, წინასწარ დაგეგმეთ თავდაცვის საშუალებანი. სრული უფლება გაქვთ, ისეთსავე ხერხებით იმოქმედოთ, როგორსაც თქვენი მეტოქე პარტნიორი იყენებს.

ქალი, რომელიც ძალადობისკენ მიდრეკილების მქონე მამაკაცის გვერდით ცხოვრობს, სათანადოდ ვერც კი აცნობიერებს, თუ რა ხდება მის თავს; გაურბის საშუალებას და გარკვეული დროის მანძილზე თავს იტყუებს; უნდა, დაიჯეროს, რომ ამაში არანაყოფი-

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. შაინბეეე აბრიაე	11.65	69.7
4. შაინბეია ცაინბეია	7.00	41.8
5. შაინბეია	4.00	24.0
6. შაინბეია აბრიაე	0.80	19.9
7. შაინბეია		

პრესის გაერთიანების სააგენტო
 ქ. თბილისი
 თბილისის ქ. № 49
 ტელ: 42-43-40;
 38-26-73; 38-26-74.
 ფაქს: 38-26-74
 E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

რჩევები მათთვის, ვისაც შინ ბირანი მეუღლე ჰყავს

ლებრივი არაფერია — პირიქით, ამგვარ საქციელს პარტნიორის ძლიერ სიყვარულს მიაწვდის.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტებმა გარკვეული ტესტი შეიმუშავეს. რაც უფრო მეტ პუნქტს დაეთანხმებით, მით უფრო მალე უნდა განწყვიტოთ კავშირი ამ ადამიანთან. მაშ ასე:

- მეუღლეს ყველაფერში ეთანხმებით, რადგან მისი რისხვის გეშინიათ;
- ცდილობთ სხვებთან გაამართლოთ მისი საქციელი;
- მისი ექვიანობა სიგიჟის ზღვარზეა;
- მას თქვენი ცხოვრების ყოველი წუთის გაკონტროლება სურს;
- ცოფდება, როცა მეგობრებთან ერთად, მის გარეშე ატარებთ დროს;
- მხოლოდ და მხოლოდ მან იცის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს — ქალი იქნება ეს, ბავშვი თუ მამაკაცი;
- თავის წარუმატებლობაში მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ან გარშემო მყოფებს ადანაშაულებს. არასოდეს იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე;
- თქვენი მხრიდან სულ უმნიშვნელო წინააღმდეგობის განწევის დრო-



საც კი მუქარაზე გადადის;

- არავის ენდობა;
 - ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში მისთვის დამანაშავე მხოლოდ დაზარალებულია.
- პასუხების შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ უკვე შეგექმნათ გარკვეული წარმოდგენა, აქვს თუ არა თქვენს ურთიერთობას მომავალი. კარგია, თუ თქვენს მეუღლეს ჯერ არ გადაუღახავს საშიში ზღვარი.
- მაგრამ როგორ უნდა მოიქცეთ, თუ მასთან განშორება ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია, მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდება?

ჯერ ერთი, იმედი ნუ გექნებათ, რომ სხალვე რაიმე შეიცვლება — ეს ასე არ მოხდება, რადგან ძალადობისკენ მიდრეკილება ქრონიკულ ხასიათს ატარებს. მეორეც, თუ ფსიქიკურად ან ფიზიკურად დაინვალიდების პერსპექტივა არ გიზიდავთ, მისი თვალთახედვის არიდან გაუჩინარებისთვის უნდა მოემზადოთ, რადგან გამორიცხული არ არის, წინააღმდეგობის შედეგად, მეუღლემ დევნა და მუქარა დაგიწყოს, თან საწყალობლად გვედრებოდეთ მასთან დაბრუნებას. შიშის ან სიბრაულის გამო კი შეიძლება დათმობაზე წახვიდეთ და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება. ამიტომ ჯობს, ისე წახვიდეთ, რომ მისამართი არავის დაუტოვოთ. შეიძლება მატერიალური პრობლემებიც შეგექმნათ, მაგრამ ამ ყველაფრის კომპენსაცია — თქვენი და თქვენი შვილების უსაფრთხოებაა.

გახსოვდეთ: ჯობს მარტო იყოთ, ვიდრე ისეთი ადამიანის გვერდით იცხოვროთ, ვინც თქვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს.

**რუბრიკა მოამზადა
ქაა გუნთაიშვილი**

მადლიერი პაციენტი

გავისხენოთ გალაკტიონის სიტყვები: „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“ ადამიანი უკვდავი ხდება მაშინ, როცა ამქვეყნად კეთილ კვალს ტოვებს, კეთილ საქმეს აღასრულებს, მაგრამ ამას ვერ შეძლებს, თუ გული სიყვარულით, სინათლით არა აქვს სავსე. სიყვარული ცხოვრების ღირსია. მედიცინის სიყვარულმა, ავადმყოფების დიდ იმედად, ნუგაშად აქცია ექიმი თემურ ბაბაევი.

ჩვენი დუსტერი ცხოვრების ფონზე ძნელია მაღალ იდეალებზე საუბარი, მაგრამ ამქვეყნად მოსვლის მიზეზი ხომ სიკეთის ქმნაა. ერთ დღესაც ყველანი წავალთ ამ ქვეყნიდან და კეთილი საქმეების მეტი არაფერი წაგვყვება.

დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ოსტეოქონდროზით შეწუხებული ადამიანები, რომლებიც იმედის თვალით ელოდებიან დახმარებას ექიმ-რეფლექსოთერაპევტის, კლასიკური და ნერტილოვანი მასაჟის სპეციალისტის, თემურ ბაბაევისგან, რომელიც გულისყურით უსმენს თითოეული ადამიანის ტკივილს, გაჭირვებას, ყველა საშუალებას იყენებს პაციენტების გამოსაჯანმრთელებლად, რომ ისევ შეძლონ, სრულყოფილად დაუბრუნდნენ ცხოვრების რიტმს.

ოსტეოქონდროზს ახლავს აუტანელი ტკივილი, რომელიც მოითხოვს გადაუდებელ მკურნალობას, სისტემატურ კონტროლს, რომ ორგანიზმში შევარდნით ზედმეტი მარილები, რომლებიც პრობლემებს გვიქმნის.

საცოდაობა და სამწუხარო იქნებოდა, რომ ჩვენ გვერდით არ ყოფილიყო შესანიშნავი ექიმი-სპეციალისტი, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს, ემსახურება ამ მძიმე სენით დაავადებულ ავადმყოფებს და სწორად იმარჯვებს ამ ბრძოლაში; ავადმყოფს ახალი ენერჯით ალავსებს, სიცოცხლის, შრომის ხალისს უბრუნებს. ღმერთმა უმრავლეს ასეთი გულისხმიერი ექიმები, თავისი საქმის უზადლო ოსტატები ჩემს პატარა საქართველოს! უღრმესი მადლობა, რომ დამიბრუნეთ სიცოცხლის ხალისი.

არაფერმა არასდროს შეგაფერხოს გზად, თუნდაც ქვეყნის სიმდიდრე რომ გიქციონ ზღვად, იმად დარჩი, ვინცა ხარ, არ გარდიქცე სხვად.

ნათელა შიშნიაშვილი



ლიბორის სახე ურედა ის ახარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-17

იმ ღამით საშინელი თქეში და სეტყვა მოვიდა, რაც არდოტის სუსხიანი ბუნებისთვისაც უჩვეულო იყო. რუები ღელეობდა გადაიქცა, ღელე — მდინარედ, ხევი კი ამღვრეულმა და მგრგვინავმა ნაკადმა გაავსო. ბერდია ჩაფიქრებული იჯდა იმ დროს, შუაღმოსოქლთან. კლდეს დაძგერებულ წყალსა და ყინულს უსმენდა, ნელი მოძრაობით ფხას უსწორებდა ადლიან სატევარს, თითქოს ეფერებო და გუჯაბისძესთან საუბარს იხსენებდა.

— მძიმე ომი მოგველის, ხევისთავო! მთელი მიღეთი ჩვენ წინააღმდეგ დაძრულა. მეფე გიორგი, მისი ძე დავითი, მალიქ შაჰის სელჩუკნი... კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი ივანეს ძეც ბაგრატივანთ მიმხრობია.

— ლიპარიტი?!

გაუკვირდა ბერდიას. რამდენჯერმე შეხვედროდა კლდეკარის ერისთავს და ისიც კარგად იცოდა, რომ ლიპარიტი არასოდეს გაუშვებდა ხელიდან ბაგრატივანათვის სისხლის დადენის შესაძლებლობას.

— ლიპარიტიმა იმერთ მეფეში ძალა იგრძნო... — განაგრძო გუჯაბისძემ. — დიდი ხანია, რაც კახეთ-ჰერეთზე უჭირავს თვალი გიორგი ბაგრატიონს. ლიპარიტიც მოთმინებით ელოდა, ვინ უფრო ძალუმად მოიქნევა ძმალსა. არაგვის ერისთავსაც ეთათბირა: ერთად მიცვეთო მხარი კახთ ბატონს ალსართანს და ლიხთ-იმერეთში გადავრეკოთ ბაგრატივანნიო, მაგრამ სისხლის სუნი დატრიალდა თუ არა, ისევ ბაგრატივანთ მიემხრო. თურქთა ლაშქარმა დააშინა კლდეკარის ერისთავი.

მალიქ შაჰის სიახლოვე იგრძნო!..

ბერდიამ მძიმედ აუსვა სატევარს სალესი და ფიქრი განაგრძო:

„მტაცებელია მთის კალმახიც და ბარის ღლავიც. მაგრამ კალმახი ვაჟკაცის გორდასავით პირდაპირია. ალმა მიუყვება მდინარეს და არც ჩანჩქერს ერიდება და არცა მორევსა... ღლავი კი ორგულის ხანჯალივითაა. ფსკერზე, ლამში ჩაფლული ელის საკბილოს და ზურგიდან ურტყამს...“

ასეთია კლდეკარის ერისთავიც. თურქთა სიმრავლეს დახარბდა და ბაგრატიონებს მიეკედლა. ადვილია ძლიერთან ამხანაგობა... თუ მოიგო, ლიპარიტიც მოგებულ დარჩება... და თუ ნაა-

გო, კლდეკარს შეეფარება, სადაც ვერ მისწვდება არაგველთა და კახთა ხმალი!..

ძნელია მეფეთა საფიქრალის გაგება. ეტყობა, სხვა წესებია სასახლე-დარბაზებში. როგორ ენდობა იმერთ მეფე და მისი ძე კლდეკარის ერისთავს — ორგულს, რომელიც ყოველთვის მზადაა ზურგში ხანჯლის ჩასაცემად?!

ფიცხია ერისთავი შერგილ. ასე მოსდგამდათ არაგველებს და ასაკმაც ვერ დაადინჯა. ისევ ენდო ორგულ ლიპარიტს, მაგრამ რა ქნას იმანაც?.. კლდეკარ-ზედახენსა და კახეთს შორისაა გამომწყვედელი არაგვი. მტრის სახლში მოგერიებას, ლაშქრის ბარში ჩაყვანას არჩევს არაგვის ერისთავი. მეფე გიორგი კი მარტო კახეთით არ დაკმაყოფილდება. ალსართან თუ დააჩოქა, არაგვისკენ მიმართავს ხმალსა. მერე ფხოვს მოადგება. მთა თუ ვერ დაიმორჩილა, მაინც მოგვირღვეს ზურგს. კახეთს და არაგვს გაამაგრებს და ბარს მოგენწყვეტს.

დიდი ომი იქნების. ჯაბან კაცია ალსართან, მაგრამ უსისხლოდ არ დათმობს თავის ქვეყანას. ხმლით თუ ვერ ივარგა, ეშმას მიეყიდების და ქაჯთა ჯარით შეებმის იმერთ. ფხოვსაც არ დაივინყებს. პირველი სიტყვა ძაგანისძეს ათქმევინა. უყვართ ფხოველთ არაგველი ერისთავი. პირიანი კაცია, უღალატო, მაგრამ მაინც უარი უთხრა ხევმა. ალსართან ხედება, რომ ფხოვის გარეშე ვერ შეინარჩუნებს სამეფოს. მთა თუ აირია და დასუსტდა, ციხესიმაგრის ერთი კედელი მოერღვევა კახეთსა. მაშინ ორ მტერთან ერთად მოუწევს ომი კახთ მეფეს...

კიდევ... კიდევ მოვა მაცნე ფხოვსა... ჰერეთელ, პანკისელ აზნაურებს გამოგ-

ზავნის ალსართან. ხევისთავებს, ხევისბერებს დაეთათბირება...

და მაინც დააღვრევენ ფხოვს თავის ნილ სისხლსა...

დიდი ომი იქნების... ბევრი ვაჟკაცი ნააგებს თავსა!..“

ფიქრს ნაბიჯების ხმამ მოსწყვიტა. შუაღმოსოქლთან უშიშა და მუროჩი ჩამოდგნენ. უკვე მოემთავრებინათ სამზადისი. ჯაჭვსა და ჩაბალახში იხსდნენ. ორივეს თვალებში ცეცხლი ირეკლებოდა. ის თვალები გავარვარებულ მუგუზლებად ეჩვენა. მხურვალე და ცეცხლის მფრქვეველი...

„მიეჩქარებათ... პირველი დიდი ომი მათთვის. სავაჟკაცოდ მიუწვეთ გული“, — გაიფიქრა ბერდიამ. მერე სატევარი მოსინჯა. მთის ფხა არნივის თვალივით მჭრელი დამდგარიყო.

დასხედითო, — ანიშნა შვილებს და ორღესული ქარქაშში ჩააბრუნა.

— ღვარცოფმა იმატა. მგზავრობის გადადება მოგვიწევს, — სიჩუმე დაარღვია უშიშამ.

— გათენებისთანავე გავალთ არდოტიდან, — მოსხიბა ბერდიამ, — თქეში არ შეწყდება და დატბორილი ხევი უფრო დაგვიგრძელებს გზასა. არაგვს არ ჩავალთ. იქამდე შერგილ კახეთს იქნება გადასული. პირდაპირ ვეუინს მივალთ. გზები იმერთ ექნებათ შერგული, მაგრამ გუჯაბისძე გაგვეცხება მეგზურად... რაია... თქეშმა ხომ არ დაგაშინათ, ომს მიმავალნი?

— შიშ რა საკადრისია, — იწყინა მუროჩიმ, — ბრაზ მერევის, მამავ. რაის შეცვლის ოც თუ ოცდაათ ვაჟკაცი დიდ ომში?! ამდენ როგორ გაბედა გაფრინდაულმა?..

— ჩემი სათქმელი თქვა ზეზვაი! — გაუკვირდათ ძმებს. თავად წყნად მიიღეს სახენაჩები ფხოველის სიტყვები და თურმე ხევისთავიც იმავეს ფიქრობდა.

— ბრძენი კაცია ზეზვა. მართალ თქვა. ერისთავი შერგილ თქვენი ნათლიაა. სხვა ვალი ხეჯ არა აქვს და ხმალსაც არ მოიქნევს მისთვის. ეგ ჩვენსი საქმეა, დაიაურების. ახლა ბარში ლაშქარი არ გაიგზავნების. შემოდგომაა. ზაფხულამდე ვეღარავინ ამოვა არდოტს. ხევი დაუცველი დარჩება. არ გამოეპარების ძურძუკთ ლაშქრის არყოფნა. შეიძლება, მარბიელი ჯარი გადმოუშვან და ხეობა დალაშქრონ.

— კახნი და არაგველნი თუ დამარცხდნენ, განა ფხოვს არ ამოვლენ იმერნი და თურქნი?

— ჰაი, ჰაი, რომ ამოვლენ, — დაიბუხუნა ბერდიამ, — ბაგრატიონებთან შერიგება არ იქნების. ბევრმა მეფემ ფხოვის დამონება მოინდომა. კახი მეფენი უკეთა გვცნობენ. იციან, არა ჰყოლია ბატონი მთასა და არცა ეყოლების... ბაგრატ მეფის მამის, გიორგის ლაშქრობა ახსრვთ... დიდი მეომარი იყო. იმან

შელენა ფხოვის ციხენი. ხევისთავების ნანილს თავები დააყრევინა. ნანილი შემოირიგა და ერთგულების ფიცი დაადებინა. მაშინ ფიცს უერთგულა ფხოვმა. ბიზანტიის ლაშქრობაში აახლა ლაშქარი. იქიდან გვაქვს მგლის-სახიანი გორდები. გიორგი მეფისგან მიიღეს დაიაურებმა ერთგული სამსახურისთვის. მაგრამ რად ეგონათ ბაგრატიონთ, რომ მაგ გორდებით მიგვაბამდნენ თავიანთ სასახლესა?! გორდაა, განა ბორკილია!.. არა ყოფილა ესე და არცა იქნების. ხევის გარდა, არავის მსახურებს არდოტელი!.. ჩვენ საქართველოს მთის კარიბჭის მცველები ვართ და არა ბაგრატიონთა სახლის ჭიშკრისა. ვერ მიხვდნენ ამას ბაგრატიონნი და ამიტომაც გვიმტრეს. მახვილი ისევ მათ მოიქნიეს პირველმან. ისევ მათ დაღვარეს ფხოველთა სისხლი და ამით მიიღეს ჩვენი მტრობა!.. უძლომელია მეფეთა გული. პაპი ჩვენ, ბალებს ერთი დიდი მეფის ამბავს გვიამბობდა. ეს ამბავი თავად მცხეთაში, ერთი ბიზანტიელისგან მოესმინა. მეფე ყოფილა, სახელად — ალექსანდრე. ყმანვილობაშივე წამოუნყია დიდი ომები და მრავალი ქვეყანაც დაულაშქრავს. შეუქმნია დიდი სამეფო. ისეთი დიდი, რომ თვეები და წლები უნდოდა ერთი ბოლოდან მეორეში ჩასვლას. მათა და ზღვათა მიღმა სწვდებოდა მისი მეფობა. დიდი მეფე და უდიდესი მეომარ ყოფილა. სახელიც ასეთი შეარქვა ხალხმა — ალექსანდრე დიდი! მაგრამ ის სამეფო მისი სიკვდილისთანავე დაიშალა. გაქრა, როგორცა დილის ნამი, მზის ამოსვლისას... ასეთი არიან მეფენი, გინდ — იმერი და გინდა — კახი. მთელი ცხოვრება იქნევენ ხრმალსა და მანამდე არ მოისვენებენ, ვიდრე ერთ ადლ მინას არ მიიღებენ სამეფოდ!.. სიმართლე კი ისაა, რომ არ შეიძლების ყველა ხალხის ერთ სამეფოში ცხოვრება. ფხოველი ვერ გაუგებს იმერს, იმერი — კახს, კახი — მესსს!.. ისევ აიშლება ქვეყანა. ისევ დაიღვრება სისხლი!.. მითა ძლიერი მთა და ხევი. არა გყოლია ბატონი და მეფე. ჩვენვე ვირჩევთ ჩვენსა ხევისთავებს და სხვას არა ვმორჩილებთ. შლეგი შეიძლება აღმოჩნდეს მეფე. ხევი გადაიჩეხოს და ხალხიცა წარიყოლოს. მაგრამ ხევისთავ შლეგი ვერ იქნების. ხევ არ დაუშვებს ამასა. თავად არ მინდა არდოტელთა ბარში ჩასვლა და იმერთ მეფესთან ომი, მაგრამ ხევს უნდა გადაეწვიტა ესე და ესეც სთქვა ზეზვიამ. ჩვენ კი... ჩვენ მარტო ნათლიაობის მადლსა და მირონს გავყვებით

ბარში!.. დილით ომში მიდიხართ და ეს იყო ჩემი სათქმელი. სიტყვისა ერთგული იყავით! ვაჟკაცის ნათქვამი სიტყვისა, არდოტისა, ნათლიაობისა, მირონისა და არა მეფისა და ერისთავისა!.. და კიდევ ერთ სიტყვა დაიმახსოვრეთ: ბარში დაშვებულთ, მზე სახეში შემოგხედავთ და თვალს მოგჭრით. ასე იქნება, ვიდრე ომისკენ ივლით. შინ დასაბრუნებლად კი ზურგი შეაქციეთ მზეს და იქამდე იარეთ, ვიდრე თოვლიან მწვერვალებს არ მოადგებით. იქ, სადაც თქვენი სამშობლოა — არდოტი!..

მაშველი მოულოდნელად გამოჩნდა. დილით ვეჟინს მისულმა მსტოვარმა, მისი ძმისწულისგან ახალი ცნობა მოართვა: მუჰამედ ატ ტავილი თავისი ლაშქრით შეერთებოდა რუსთავის ციხიონს.



თავად თურქი, სელჩუკთა დაუძინებელი მტერი იყო ატ ტავილი. ისპაჰანიდან ჩამოსულმა, მალე მიიქცია თბილისის ამირას — ბანუ ჯაფარის ყურადღება და მისი ახლო მეგობარიც გახდა. მერე შაითანი შეუჩნდა. თავად მოინდომა ამირობა და მეგობრისთვის სანამლავის შეპარება სცადა. დროზე გაუგეს. ბანუ ჯაფარი გადარჩა. ატ ტავილი კი დაიჭირეს და ძელზე გასმა მიუსაჯეს, მაგრამ ალაჰმა არ ინება მისი სიცოცხლის ასე დამთავრება. სიკვდილმისჯილმა მაინც დააღწია თავი დილეგს და მეპურის ტანსაცმლით

გაიპარა შურის ციხიდან. მერე ერთად მოუყარა თავი, ამირასა და სულთანს განდგომილ თურქთა ბრბოებს და საკუთარი ლაშქარი შექმნა.

მოუსვენრად დაძრწოდა ატ ტავილის ლაშქარი საქართველოსა და განძა-შირვანში. ოქროს საფასურად, ყველას მსახურობდა განდგომილი სელჩუკი. ის ეხმარებოდა ლიპარიტს, ვარდან სვანთა ერისთავსა და ქვაბულისძეს, გიორგი მეფესთან ომში. ქუთაისის სასახლის აღებაშიც მონაწილეობდა და მასვე ერგო სამეფო საჭურჭლის წილი.

სამი წელი სომხეთი არბია. შერნამელთა სისხლიც დაღვარა. მერე მეფე გიორგისთან შერიგება სცადა. თავგასულ დიდთავადთა მორჯულებს ჰპირდებოდა. ოქრო მომეც და ერთად ჩაგაბარებ მეფე აღსართანსა და ვეჟინის ციხესო, მაგრამ იბევრა გიორგიმ ატ ტავილის

დასახელებული საზღაური — ოცი ათასი ოქროს ბოტინატი. მაშინ მეორე მხარეს მიადგა სელჩუკი და აღსართანის ძმისწულს, კვირიკეს შესთავაზა სამსახური.

— რამდენი მეომარი ჰყავს ატ ტავილს? — რუსთაველ მსტოვარს ჰკითხა აღსართანმა.

— ხუთი ათასი მხედარი.

— შენ თვითონ ნახე?

— არა... რუსთავის მახლობლად, ჭალაში მალავს ატ ტავილ თავის მხედრობას. დრომდე არ უნდა მათი გამოჩენა.

„გონიერი ნახიჯია. ომის მცოდნეა სელჩუკი. ვადამდე არ გაამჟღავნებს თავის ძალას. ზურგიდან დაჰკრავს გიორგის მხედრობას — მაშინ, როცა თავი გამარჯვებული ეგონება იმერთ მეფეს“, — კმაყოფილმა გაიფიქრა აღსართანმა.

— კიდევ მაქვს სათქმელი, მეფევ ბატონო,

მაგრამ მარტო პირისპირ გეტყვი, — გაუბედავად მოითხოვა მსტოვარმა.

— დაგვტოვეთ! — სწრაფად უბრძანა აღსართანმა ვეჟინის ციხისთავსა და კახ აზნაურებს.

მართლაც, მეტი ჰქონია სათქმელი მსტოვარს. და ისეთი, რომ სხვასთან ვერაფერს ეტყოდა:

რატი ლიპარიტის ძეც რუსთავში ყოფილა.

— რატი ბალვაში?! — ცნობამ ეგზომ გაახარა აღსართანი.

— კლდეკარის ერისთავის ვაჟი.
— შენ თვითონა ნახე?

— არა, მეფეო. ჩემთვისაც არ უნდოდა კვირიკეს, რატის რუსთავს ყოფნის გამხელა.

— მაშ, საიდან იცი ამის შესახებ? — გაუკვირდა ალსართანს.

— კვირიკემ მითხრა: ასე გადაეცი მეფესა — რატი ლიპარიტის ძე ორი ათასი ცხენკეთილი მხედრით შემოუერთდა რუსთავის ციხიონსა და მალე ვეჟინს დაიძვრებო, — უპასუხა მსტოვარმა.

„გულს ხომ არ მიმაგრებს ძმისწული? — ეჭვით გაიფიქრა ალსართანმა. — ვეჟინი რომ არ დავთმო და ბოლომდე შევყვე ომში მეფე გიორგის!.. მე თუ დავკარგე კახეთი, კვირიკეც და კარგავს სამეფო გვირგვინსა. როგორ უნდა იყოს რატი რუსთავში, როცა ლიპარიტი, გიორგის მიემხრო?.. არა... თავგზას მიბნევს ჩემი ძმისწული...“

— კადნიერებაში ნუ ჩამომართმევ, მეფე, — განაგრძო მსტოვარმა, — ის გითხარი, რაც კვირიკემ მიბრძანა და არა მითქვამს, რაც საკუთარი თვალით ვნახე.

— თქვი! — ბრძანა ალსართანმა.

— შენმა ძმისწულმა თავის სამყოფელში მიმიღო. საიდუმლო იყო ჩვენი თათბირი. არავის უნდა სცოდნოდა, რომ ვეჟინს მგზავნიდა კვირიკე. სათქმელი მითხრა და დამითხოვა, მაგრამ აჩქარდა კვირიკე, ჩემზე ადრე გავიდა მეორე კარშია. მაშინ მოვკარი თვალი დარბაზში თათბირად მყოფთ. სამნი იყვნენ, კვირიკეს გამოკლებით. ერთი მაშინვე ვიცანი — რუსთავის ციხისთავი იყო, ალი ბაჰადური, მეორე — ატ ტავილი, მესამე შავ ჯავშანში იჯდა და ოდნავ აენია მუზარადი. სახე არ უჩანდა, მაგრამ მაინც ვიცან. ის იყო, რატი ლიპარიტის ძე!..

— არა სცდები? — გამომცდელად გახედა ალსართანმა.

— არა, მეფეო. ადრეც მყავს ნანახი კლდეკარის ერისთავის მემკვიდრე. მაღალია, ახმახი... მხარ-ბეჭს ძლივს ატევს აბჯარში... ის იყო და ციხეშიაც ვნახე ორი ათასი კლდეკარელი მეომარი. ცალკე უჭირავთ თავი, არავის იკარებენ ახლოსა და თვითონაც არავის ეკარებინან, მაგრამ ვიცი, ლიპარიტის ლაშქარია ის!..

„რატი რუსთავის ციხეშია, — ჩაფიქრდა ალსართანი, — ატ ტავილის ჯარი რუსთავის მახლობლად, მტკვრის ქალებში დაბანაკებულია... დიდება უფალს! არ გაუწირავს კახეთ-ჰერეთი. ლიპარიტმა მართო ბაგრატიონთან თვალის ასახვევად მიიღო უფლისწული დავით და ძველებურად, ბაგრატიონთან სისხლის საღვრელად მოუზიდავს მახვილი. ერისთავი ძაგანისძე არაგვის ლაშქართან ერთად ჩამოვიდა ვეჟინს. ასეთი ჯარით, მეფე გიორგის კი არა, სულთან მალიქ შაჰს დაეპარცებო.“

ერთხილია ლიპარიტი. ელის... ელის, ვისკენ გადაიხრება სასწორი. თავად ავადმყოფობა მოიგონა, მემკვიდრე კი რუსთავს წარგზავნა. ამიტომაც მალავს სახეს რატი. დრომდე არ უნდა სახისა და სახელის გამჟღავნება. ასე დაარიგებდა ლიპარიტი. თუ ვეჟინი დაეცა, უსისხლოდ გაეცლებოდა რატი რუსთავს.

და თუ ჩვენ ვივარგეთ, ზურგიდან დაჰკრავს გიორგის სპათა. მერე ლიპარიტიც ჩაებმის ომში...

მაგრამ გამარჯვების მახვილი ვეჟინს კი არა, რუსთავს უნდა გაიჭედოს. უფლისწული დავითია გიორგის სიმაგრეთა კლიტენი. რას არ დათმობს იმერთ მეფე, მემკვიდრის გადასარჩენად?! იმ მემკვიდრისა, რომელიც ახლა მაშველი ჯარით ვეჟინს მიიჩქარის...“

— კვირიკე პასუხს ელის, — თავმდაბლად შეასხენა მსტოვარმა.

— რა გვარი ხარ?

— აზნაური თარაშისძე, მეფეო.

— დილით რუსთავს გაბრუნდები და იცოდე, აზნაურო: თუ კვირიკეს მიანწვედ ჩემს სიტყვას, თავადობას მიიღებ! — თქვა ალსართანმა და მსტოვარს ანიშნა: დამტოვეო.

დღე გასრულებული არ იყო, როცა ალსართანმა კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მიიღო: ვეჟინის დამცველთ ფხოველნი შემოემატნენ. თავად იხილა ქონგურიდან, როგორ შემოთრახუნდა ციხეში, ჟაჭვსა და ჩაბალახში ჩაჭედისა, ბრვე ფხოველთა რაზმი, რომელსაც წინ ცალთვალა წვეროსანი მოუძლოდა. მერე უამბეს კახმა აზნაურებმა იმ ბრძოლის ამბავიც.

ვეჟინს შემოწყობილ თურქთ ადევნებდნენ თვალს კახი აზნაურები. ლამის თავდასხმის ალაგს არჩევდნენ, როცა ტყიდან ტყავჯუბოსნიანი მხედრები გამოხტნენ. მათში აზნაურებმა ფხოველები ამოიცნეს. გაუკვირდათ. არავინ ელოდა ვეჟინთან მათ გამოჩენას.

შემოდგომა იდგა. გადაუღებელივ წვიმდა. ახლა ფხოვიდან ყველა გზანიღვრით უნდა ყოფილიყო გადაკეტილი. შემოილირი ან მორევში ცურვის ოსტატი თუ შეძლებდა ბარში დამუვებას. მაგრამ ყოფილიყვნენ ფხოვში, ვისაც ერთიცა და მეორეც ახასიათებდათ...

მართლა შემოილირი შეეფერებოდა მათი იერიში. ჩორთით გამოსცდა ტყეს ფხოველთ რაზმი. შორი გზიდან მომავალი იყვნენ. ტალახს დაეფარა ცხენკაცი. ორთქლი სდიოდა ტანმორჩილ და მუხლმგარ ფხოვურ ბედაურებს. ვერ მიხვდნენ თურქნი, ვინ უნდა ყოფილიყვნენ მხარზე ტყავმოსხმული მეომრები. მეფე გიორგის მეომრებად ჩათვალეს, ალბათ — მესხებად და ხელიც კი აუქნიეს, მისასაღმებლად. ამასობაში კი ბედაურები გააქეხეს ტყავჯუბიანებმა, ჩორთიდან ლალ ქენებზე

გადაიყვანეს ბედაურები.

— ჰვა მაგათ!.. — გაისმა ყიყინაც.

ხელის ერთი აქნევით გადაიძვრეს მგლისა და დათვის ჯუბა-მოსასხამები, ქვიშისფერი ჯაჭვი გამოაჩინეს და ფარხმალი მოიმარჯვეს...

გულის გამახარებელი იყო სანახობა. გზააბნეული ბატის ჭუკებივით დაირევს თურქნი ფხოველებმა. ჩანს, არასოდეს ენახათ ასეთი ფიცხელი ომი ბარს შერვეულ სელჩუკებს. აქეთ-იქით გორავდა თეთრჩაღმიანი თავები. ცხენებიდან ცვიოდნენ, ფხოვეური ხინკლის გულვივით აკაფული თურქები.

— ალაა!.. შაითანი!.. — სანყალობლად კიოდნენ თანამომეთა სიკვდილით დაზაფრულები და ახლომახლო ბურქებში დაეძებდნენ სამალავს.

განწირულთა კვილი მთავარ ბანაკს მისწვდა. აბჯრის ჟღერით მოვარდა დამხმარე ჯარი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მინდორზე, ტალახისა და სისხლის გუბებში ეყარნენ დასხებილი სელჩუკები. ფხოველები კი ვეჟინის გალავანს უახლოვდებოდნენ.

ორმოცდაათი მეომარი გამოემეტებინა ფხოვს ალსართანისთვის. იმიერ და ამიერ მთა გამოხმურებოდა შერგილ ძაგანისძეს. არდოტიდან ოცდაათი მოლაშქრით დაძრულიყო ხევისთავი დაიაური, დანარჩენი გზაში შემოერთებოდა.

იცოტავა ალსართანმა. მეტს ელოდა მთიდან. სახელიანი იყო შერგილ ძაგანისძე. ეგონა: წინამებრძოლი რაზმია, უკან ფხოვის ლაშქარი მოჰყვებოდა. მაგრამ ცდებოდა კახთ მეფე. არ აპირებდა მთა, მასა და ბაგრატიონთა შორის ომში სისხლის დაღვრას.

მაგრამ ბრანი ხევისთავებისთვის არ უჩვენებია. ისე შეეგება, როგორც მეფესა და თანამებრძოლს შეეფერებოდა. ხევისთავნი ფხოველთა წესით იმთხვია მკერდზე. დაუყვავა და თურქებთან ბრძოლის ამბავი გამოჰკითხა. ფიცხნი იყვნენ ფხოველნი. თანაც, ჯერაც არ განელეზობდათ იმ ბრძოლის ცეცხლი. იარაღსა და აბჯარზე ახლაც აჩნდათ თურქთა სისხლის შხეფები და ვინ იცის, ვის მოუქნევდნენ მახვილს, განანყენებულნი?!

უპირველესად, ხევისთავი დაიაური მოიკითხა ალსართანმა. მის მხარდამხარ, ორი ახოვანი მეომარი შენიშნა, უცხონი იყვნენ. ოქროსავით უბზინავდათ ჩაბალახს ქვემოთ ჩამოშლილი თმა და ცისა ფერი ჰქონდათ თვალები. აბჯარი და ფარ-ხმალი შვენივით. შორი მგზავრობის ტალახსაც ვერ შეელახა მეომრული პენი.

— ჩემი ნათლულები არიან, ბერდიას ვაჟები, უშიშა და მუროჩი... — უჩურჩულა შერგილ ძაგანისძემ.

— მართო ნათლულები?!

ვერ მიხვდა ერისთავი, რა აინტერესებდა მეფეს.

— ცოტა მინახავს ასეთი მებრძოლენი. ფხოველი ყველა შმაგია ხმალოთავეთებში, მაგრამ ეს ჭაბუკები... ქონგურიდან ვხედავდი ბრძოლას. მთის ვიქივით სცოდნიათ ომი. თითომ სამ-სამი თურქი მაინც ავაფა!.. ვინ აღზარდა ასეთები?

— დაიაურების ჯიში მოსდგამთ. ბერდიას აღზრდილები არიან. ჩემს სასახლეშიც ხშირი სტუმრები იყვნენ და არაგველებთან წვრთნაშიაც გაიკაჟეს მარჯვენა, რომელიც ახლა შენ გემსახურება... — უპასუხა არაგვის ერისთავმა.

— მემსახურონ... ერთგულთ ყოველთვის დაუფასდებათ, — თქვა აღსართანმა. მერე მსახურთუხუცესს უბრძანა: — ფხოველი ერისთავნი და მათი მოლაშქრენი დააბინავე, დააპურე და დაასვენე...

გვიან ღამეში გასტანა აღსართანის, შერგილ ძაგანისძისა და ვეჟინის ციხისთავის თათბირმა. მეფემ თათბირზე სხვათა დასწრება არ ისურვა. იქ თქმული ყოველი სიტყვა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

არ მოეწონა არაგვის ერისთავს აღსართანის სიტყვა. მიხვდა, ღრმად შეეტოპა კახთა ბატონს.

მიხვდა, ამას აღსართანი და ჰკითხა ძაგანისძეს:

— რად მოიღუშე? — ვეჟინის ციხისთავს გახედა ერისთავმა. მიხვდნარა აღსართანი: მისი თანდასწრებით, არაფერს გეტყვიო. გაჯიქდა კახთ მეფე:


— არაფერი მაქვს დასამალი ციხისთავისგან. თქვი და გაათავე!

მაშინ, ცოტა ხნის წინ ნათქვამი შეახსენა ძაგანისძემ: —

უფლისწული მოვკლათო! რუსთაველი მსტოვრის მოსვლაზე, უფლისწულის შესახებ არაფერს ამბობდა აღსართანი. არაგვის ერისთავს მარტო ერთს სთხოვდა: ბაგრატიონი მომიხსტენ და მათ კახეთიდან გაქევებაში მომეც მხარიო! თავის მტრებადაც თვლიდა ძაგანისძე იმერ ბაგრატიონებს, თანხმობა უთხრა კახეთს მოკავშირეობაზე, მაგრამ მაშინ სხვა იყო აღსართანის გეგმა: ჯერ ვეჟინიდან და მერე მთლიანად კახეთიდან უნდა გაერეკა ბაგრატიონები. თუ შეძლებდა, გიორგი მეფესაც დაატყვევებდა და ამით გაუმართავდა იმერთ ვაჭრობას. აღსართანს იმედი ჰქონდა, რომ გიორგის დატყვევება ლიპარტ ბაღვაშისა და გამოაფხიზლებდა და კლდეკარის ლაშქრით ქართლში დაჰკრავდა ბაგრატიონთ.

მაგრამ კვირიკეს მსტოვარმა გეგმა შეაცვლევინა აღსართანს. ხუთი ათასი მძიმედ შეიარაღებული და ბრძოლებ-

ში გამოჯეკილი მხედარი მცირე ძალა არ იყო. ატ ტავილის ჯარი თავისუფლად დაუპირისპირდებოდა უფლისწულ დავითის სპას, რომელიც რუსთავის ციხისკენ მიემართებოდა. მაგრამ ახლა აღსართანი მარტო დავითის განდევნაზე აღარ ფიქრობდა. მსცოვანი არ ითქმოდა მეფე გიორგიზე, მაგრამ რბილი ხასიათი ჰქონდა გვირგვინოსანს. მის მემკვიდრეზე კი სულ სხვა რამ სმენოდა აღსართანს. დღენიდაც აბჯარასხმულია უფლისწული. მეომართ წვრთნის და მომავალი ბრძოლებისთვის ამზადებს ლაშქარს. არ ეტანება სასახლის ფუფუნებასა და გართობას. აბრეშუმისა და ბუმბულის ქვეშავეს, სალაშქრო კარავში, მინაზე დაფენილ ნატზე ძილი ურჩევნია. ამინებდა ასეთი უფლისწულის, გვეგუთის სასახლეში გამოზრდა აღსართანს. თხუთმეტი წლისა იყო და



უკვე ხმლით ხელში მოიწვედა კახეთ-ჰერეთისკენ და რას გააკეთებდა ტახტზე ასვლის მერე?..

იმას, რასაც ცდილობდა მთელი მისი მოდგმა — დალაშქრავდა კახეთს და ეს ომი მანამდე გაგრძელდებოდა, ვიდრე ბაგრატიონი კახეთსაც არ მიუერთებდნენ სხვა სამთავროებს ნაგლეჯილ მიწებს.

— უნდა მოკვდეს უფლისწული! — ხანგრძლივი ფიქრის მერე ბრძანა აღსართანმა.

— მემკვიდრის გარეშე დარჩენილ გიორგის ხელის ნაშეველებაც აღარ დასჭირდება. თავისით გადაიხვეწება იმერთს. ვის მიემხრობა მერე მალიქ შაჰი?..

— ჩვენი... უმემკვიდრო მეფესთან შაჰი საქმეს არ დაიჭერს. ლიპარტიცი იტყვის თავის სათქმელს. ისიც მეგობრობს ისპაჰანის სასახლესთან. იმერთ სამუდამოდ გადავდენით ლისს გაღმა, ერისთავო,

და ყველა სამეფოსა და სამთავროს ძველ საზღვრებს აღვუდგენთ. კახეთ-ჰერეთი ისედაც ჩემი საუფლო იყო და ასედაც დარჩება. მტკვრის მარჯვენა ნაპირს თბილისის ამირა და შირვანელი გაიყოფენ. შენ დაგრჩება სრულიად არაგვი. ლიპარტიცი იმას მიიღებს, რისთვისაც ეომა მთელი ცხოვრება ბაგრატიონთ — ქართლის სამეფო გვირგვინს და ყოველივე ამას მფარველად, თავად მალიქ შაჰი ეყოლება! რასლა დაგვაკლებს მერე ბაგრატიონთა მოდგმა?!

არ მოეწონა აღსართანის სიტყვა ერისთავს. მოიღრუბლა. და მაშინ ჰკითხა კახთა:

— რად შეგიკრავს შუბლი? — ლეთისგან მირონცხეზული სისხლის დაღვრა განგიზრახავს, მეფეო. არ შაგრჩების. ცხრა თაობას გაჰყვება ეგ ცოდვა და ვერ ვიქნები მაგ საქმეში შენი ამხანაგი, — თქვა არაგველი.

— ატ ტავილს გაჰყვება ეგ ცოდვა: ის დაღვრის უფლისწულის სისხლსა. ჩვენი ნაქეზებაც არ სჭირდება. თავადაც სწყურია ბაგრატიონთა სისხლი. ახლა მარტო მისი სწორად დაგეშვა და მონადირე ქორივით მიშვება საჭირო. დანარჩენს თავად გააკეთებს, — უპასუხა აღსართანმა.

— მაინც, როგორ იზამ მაგას? — ჰკითხა ერისთავმა.

— მსტოვრებმა მაცნობეს — ალგეთის მხრიდან მოიწვევს უფლისწულის ლაშქარიო. ნელა მოდის. ალბათ, ორ ან სამ დღეში მოადგება მტკვარს. კარგად ვიცნობ მაგ ადგილებს. საირმის ფონით ყველაზე ადვილი გადმოსაკვეთია მტკვარი. ახლგაზრდაა უფლისწული, სისხლი უდულს.

ალბათ, ძალიან უნდა, პირველივე ომში მოაწონოს თავი მამას, სასახლესა და სპას. არ შეაჩერებს ლაშქარს. მტკვარს გადმოვა და რუსთავის ციხეს შემოენცობა. ამას ურჩევს ლიპარტიანიც, აფხაზეთ-ერისის ერისთავი. მაშინ დაჰკრავს ატ ტავილის ჯარი, საირმის ფონთან ჩასაფრებული. ციხის მხრიდან კი — კვირიკე, ალი ბაჰადურ და რატი მიესევინა... ახლა ჭოჭმანი ყველას დაგვლუპავს, ერისთავო. მეორედ უფლისწული ასეთ შეცდომას არ დაუშვებს. კვირიკეს მსტოვარი სასახლეშია. ამ ღამითვე უკან გავაბრუნებ და ატ ტავილს საირმის ფონთან ჩასაფრებას ვუბრძანებ!.. — თავისი ჩანაფიქრი გაანდო აღსართანმა.

— იქნებ დაგვეტყვევებინა ტახტის მემკვიდრე? — თავისი თქვა ძაგანისძემ.

— არამც და არამც!.. დღეს ბაგრატიონთა თანამებრძოლია მალიქ შაჰი. მამ-

ინვე მოგვთხოვს მის გათავისუფლებას. ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. ვეღარც ომს მოვიგებთ და ვერც დავითს დავიფრენთ კახეთიდან... დამყვი, ერისთავო. რა გაფიქრებს? ომია... განა მეფენი და უფლისწულნი არ დალუბულან ხმალთა კვეთებაში?! მაინც, ატ ტავილს მიენერება ეს სისხლი! ის აგებს პასუხს მალიქ შაჰთან, — არ მოეშვა აღსართანი.

— რაში გჭირდება ჩემი თანხმობა? უარი რომ ვთქვა, განა აღარ გაგზავნი ატ ტავილთან მსტოვარს?! — გაიკვირვა ძაგანისძემ.

— გავგზავნი... მაინც გავგზავნი, მაგრამ მარტო ატ ტავილის იმედად ვერ დავრჩები. ამ ომის ბედი ვეჟინს კი არა, რუსთავს გადაწყდება. გაშმაგებული იომებს უფლისწულის სპა. იქნებ ვერ გასწვდეს ატ ტავილი და რუსთავის ციხიონი. ატ ტავილი მარბიელია და არა სარდალი. ვერც კვირიკე და რატი გაუტოლდებიან ერისთავ ლიპარტიანს. შენ უნდა ნახვიდე რუსთავს. შენ უნდა უსარდლო ყველას! მაგრამ იცოდე, ერისთავო. აქვე უნდა მივცეთ ერთმანეთს პირობა, რომ გიორგის მემკვიდრე ცოცხალი ვეღარ გაბრუნდება გვეშუს!

ბოლომდე თქვა სათქმელი აღსართანმა.

— არა... ეგ არ მოხდების. უკან არ გავბრუნებ, დავატყვევებ... მაგრამ მირონცხებულ სისხლს ჩემს ხმალს არ წავცებ! — ცივად მოუჭრა ძაგანისძემ.

ინყინა აღსართანმა, მაგრამ არაფრით აგრძნობინა ბრაზი. იცოდა, ფიცხი იყო ძაგანისძე და იქნებ უკან გაებრუნებინა არაგველთა ლაშქარი. მარტო ერთიდა სთხოვა შემპარავად: ფხოველთა რაზმიდან დაიაურის ვაჟები დამითმო.

— რაში გჭირდება ჩემი ნათლულები? — გაუკვირდა ერისთავს.

— დამაჯერე შენი სიტყვით, შერგილ. ბაგრატიონანთა უფლისწულის სისხლის დასალერულად ვამზადებთ ატ ტავილს და ვგონებ, მართლაც, არ უნდა ღირდეს, ამ საქმესთან კახეთ-ჰერელებთან დაკავშირება. ჩემი აზნაურები კარგად იცნობენ კვირიკეს მსტოვარს. არ დაიმალება მათი თურქთან მიმოსვლა. მარტო ვერ გავუშვებ და ჩემს აზნაურებსაც ვერ გავაყოლებ. ისეთი ხალხი მჭირდება, რომლებსაც აქაურები არ იცნობენ, არც ომის მერე დარჩებიან კახეთს და ენაც მოკლე აქვთ. ასეთები არიან შენი ნათლულები? — თქვა აღსართანმა.

— ასეთები არიან, — ერისთავი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე დაამატა: — მაგრამ შენ ნურაფერს ეტყვი ფხოველთ. თავად მოველაპარაკები ბერდიას და ჩემს ნათლულებსაც...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქართველებს საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ადგილი ეპყრათ იერუსალიმის აღდგომის ტაძარში

იერუსალიმში, იმ ადგილას, სადაც მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა მოხდა, აღდგომის სახელობის უზარმაზარი ტაძარი აღმართული, რომელიც მეოთხე საუკუნეში აგებული, წმინდა კონსტანტინე დიდისა და მისი დედის — ელენე დედოფლის ღვანლით.


შორენა მერკვილაძე

როგორ აიგო აღდგომის ტაძარი

უფლის ჯვარცმის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მაცხოვრის სხეული ჯვრიდან გარდამოსსნეს, იუდეველებმა ძელი, რომელზეც ქრისტე აღესრულა, იქვე გოლგოთაზე დაფლეს. ამასთან ერთად, დაფლეს ის ორი ჯვარიც, რომლებზედაც ავაზაკები გააკრეს. ქრისტესშობიდან 70 წელს იერუსალიმი რომაელებმა აიღეს. დედაქალაქი წარმართებით აივსო. მალე გოლგოთაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი იყო დაფლული, რომის მეფის, ადრიანეს ბრძანებით, ვენერას სახელობის ტაძარი და იუპიტერის კერპი დადგეს. ქრისტიანები იდევნებოდნენ, ამიტომ ჯვრის ადგილსამყოფელი დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა...

IV საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, ცაზე გამოცხადებული ჯვრის ძალით, არაერთგზის სძლია მტერს, დარწმუნდა ჯვარცმული მაცხოვრის ყოვლისშემძლეობაში, ირწმუნა ქრისტე და თავის დედასთან, ღირსსაქებ ელენესთან ერთად, ქრისტიანული წესით მოინათლა. ამის შემდეგ განიზრახა, ეპოვა უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი. ამ მიზნით, მან აურაცხელი სიმდიდრით ხელდამშვენებული, მსცოვანი დედოფალი ელენე იერუსალიმში წარგზავნა და პატრიარქ მკავრთან წერილი გაატანა თხოვნით, ხელი შეეწყო წმინდა საქმისთვის.

ელენე დედოფალი დიდხანს ეძებდა ცხოველმყოფელი ჯვრის ადგილსამყოფელს. ბოლოს მიაკვლია ერთ იუდეველს, რომლისგანაც ძელიცხოვლის



ადგილსამყოფლის შესახებ შეიტყო. დედოფლის ბრძანებით, ვენერას ტაძარი და კერპი დაანგრის, ბორცვი დაშალეს... მართლაც, იპოვეს აღმოსავლეთის მხარეს, ქრისტეს საფლავი და თხემის ადგილი, შორიახლოს კი — სამი ჯვარი. იქვე აღმოაჩინეს ეკლის გვირგვინი, ლურსმნები და ფიცარი. შავრში საოცარი სურნელება დატრიალდა. იმისათვის, რომ გაერკვიათ, რომელი მათგანი იყო უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. ძელიცხოვლის შეხებისას, მიცვალებული მკვდრეთით აღდგა...

იმ ადგილას, სადაც ცხოველმყოფელი ჯვარი, უფლის საფლავი და თხემის ადგილი იპოვეს, კონსტანტინე დიდის ბრძანებით, აღდგომის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობა ათი წლის მანძილზე გრძელდებოდა. აღდგომის ტაძარი, რომელიც გოლგოთასაც მოიცავდა და უფლის საფლავსაც, 335 წელს, 13 სექტემბერს (ძველი სტილით) იკურთხა.

როგორ გამოიყურება აღდგომის ტაძარი

როგორც მოგახსენეთ, მაცხოვრის ტაძარი უფლის საფლავს — კუვეკლიასაც მოიცავს და გოლგოთასაც.

„კუჭუკლია — რაც ნიშნავს განსასვენებელს, ანუ სამეფო საუნჯეს, ორი ნაწილისგან შედგება — ანგელოზთა ეკვდერისა და უფლის საფლავისგან. იგი დიდ ტაძარში მდებარე, პატარა ეკლესიას წარმოადგენს. კუჭუკლიის შესასვლელი კარი ძალზე დაბალია, როგორც დეკანოზი პეტრე კენჭოშვილი წერს: „შესვლის დროს თავი უნდა მოიდრიკო სრულიად მუხლებამდე... მისი სიგანე იმდენია სივრცით, რამდენზედაც დაეტივა გაშლილი გვაში მიცვალებულისა. თავისუფალი ადგილი საფლავსა და ქვაბის კედლებს შორის შეადგენს ერთსა და ნახევარსა ნაბიჯსა. კლდის სარეცელი, რომელზე განისვენებდა ყოვლად უხრწნელი გვაში იესო ქრისტესი, მდებარეობს მარჯვენა მხარეს შესავლიდან. იგი შემოსილია მარმარილოთი“...

რაც შეეხება აღდგომის ტაძარში არსებულ გოლგოთას, — იგი ტაძრის სამხრეთით მდებარეობს. იქაც აშენებულია სამწირველო. ტრაპეზის უკან აღმართულია ჯვარცმა. მარჯვნივ — მგოდებელი ღვთისმშობელია გამოსახული, მარცხნივ კი — მაცხოვრის საყვარელი მოწაფე, იოანე ღვთისმეტყველი, დამწუხრებული სახით. ტრაპეზის მარჯვნივ მოჩანს გაპობილი კლდე, რომელიც იმწამს გასკვდა, როდესაც მაცხოვარმა სული განუტევა.

გოლგოთის ჩრდილოეთის ნაწილის ქვეშ მდებარეობს ადამის სამლოცველო, სწორედ იმ ადგილას, სადაც ადამის თავის ქალა იყო დამარხული. ჯვარცმისას მაცხოვრის გვერდიდან გარდამოსული სისხლი პირველი მამის — ადამის თავის ქალას დაესხა და განწმიდა პირველქმნილი ცოდვისგან.

ბრძოლა ბაქრისთვის

614 წელს აღდგომის ტაძარი სპარსელებმა დაარბიეს და დაიპყრეს. ტაძარი თითქმის მიწასთან იყო გასწორებული. მალე აღადგინეს. 1010 წელს კვლავ დაარბიეს, ამჯერად — ეგვიპტის სულთანმა. მის აღდგენაზე ზრუნვა ქრისტიანულმა ქვეყნებმა დაიწყეს. მნიშვნელოვანი მოწანილეობა მიიღო საქართველომაც. ამისთვის, ბიზანტიის კეისარმა მეფე ბაგრატ კურაპალატს აღდგომის ტაძარში გოლგოთის ნაწილი უბოძა. მან იქ ქართველი ეპისკოპოსი დანიშნა. ასე რომ, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ქართული წირვა-ლოცვა აღევლინებოდა: — „ქართული წირვა იმართება გოლგოთაზე, სადაც ადამის

თავის ქალა დევს“, — წერდა 1391 წელს დიაკვანი ეგნატე. 1068 წელს პალესტინას თურქ-სელჩუკები დაესხნენ თავს. უსჯულოებმა, აღდგომის ტაძართან ერთად, იერუსალიმის მიწაზე არსებული სხვა ქრისტიანული სიწმინდეებიც ჩაიგდეს ხელში. თითქმის XIII საუკუნის ბოლომდე, აღდგომის ტაძარი მაჰმადიანებს ჰქონდათ დაპყრობილი, თუმცა იყო პერიოდები, როდესაც მათ წმინდა მიწიდან განდევნიდნენ...

1299 წლის შემდეგ, იერუსალიმი ეგვიპტის მამლუქმა სულთანმა დაიკავა. წმინდა მიწის გასათავისუფლებლად, ქართველებიც იბრძოდნენ. 1308 წელს ქართველებმა, ბიზანტიის კეისრის დახმარებით, ეგვიპტის მამლუქ სულთანს გოლგოთის სავანე თავიანთ კერძო საკუთრებად დაამტკიცებინეს. ცხრა წლის შემდეგ, საქართველოს მეფემ, გიორგი ბრწყინვალემ ეგვიპტის სულთანთან ელჩი გაგზავნა. ქართველებმა აღდგომის ტაძრის გათავისუფლებას მიაღწიეს და კარგა ხანს ფლობდნენ

ბრძოლა ამ წმინდა ადგილის ხელში ჩასაგდებად, რამდენიმეწლიანი მცდელობის შემდეგ, 1492 წელს, ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებით, თხემის ადგილი — ადამის სამლოცველო ორად გაიყო. სამხრეთ ნაწილს ფრანგები დაეპატრონენ, ჩრდილოეთი ნაწილი კი, ქართველებს დარჩათ, თუმცა ადვილად არ შეპყრებიან იმ აზრს, რომ უფლის ჯვარცმის ადგილი დაეთმოთ. 1511 წელს კათოლიკეები გოლგოთიდან გამოაძევეს, რაშიც დიდ ღვაწლი მიუძღვის ბენაა შილოყაშვილს: „ნებითა ღმრთისასა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე“... — წერს იგი... ოთხი წლის შემდეგ, გოლგოთის ნაწილი კვლავ მიიტაცეს კათოლიკეებმა, რომელიც შემდეგ, ზოსიმე კუმურდოელმა გამოისყიდა...

მალე პალესტინა თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. მძიმე ჟამი დაუდგათ ქრისტიანულ სავანებს, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იქ მოღვაწე ქრისტიანები, მათ შორის ქართველებიც.

უსჯულოები მძიმე გადასახადებს აკისრებდნენ ეკლესია-მონასტრებს, გადაუხდებლობის შემთხვევაში, ძარცვავდნენ და ხურავდნენ ქრისტიანულ კერებს. როდესაც ქართველთა და კახთა მეფემ, ლევანმა შეიტყო, რომ წმინდა მიწის სიწმინდეებს მძიმე ჟამი უდგა, მათ შორის, უფლის საფლავსა და გოლგოთას — რომლებიც მაჰმადიანებმა განადგურების პირას მიიყვანეს, მათ დასახსნელად, იერუსალიმში დიდძალი საფასით წარგზავნა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იოაკიმე, რომელმაც უსჯულონი „აღავსო საფასითა და აღაშენა საფლავი ქრისტესი და გოლგოთა და განწმიდეს შეგინებული წარმართთაგან წმინდანი ეკლესიანი“... ეს მოხდა 1536 წელს.

მეჩვიდმეტე საუკუნის შუაახეტიდან, ქართველებმა დატოვეს აღდგომის ტაძარი და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადავიდნენ, რადგან ოსმალთა მიერ დაცხრებულ გადასახადებს ვეღარ უძლებდნენ, სამთავროებად დაშლილი საქართველოდან კი დახმარებას ვეღარ იღებდნენ. მალე წმიდა მიწაზე არსებული ქართული სავანეების დატოვებაც მოუხდათ...

ყოველწლიურად, ქრისტეს ბრწყინვალე დღესასწაულის წინადაღეს, დიდ შაბათს, უფლის საფლავზე ზეციური, მადლმოსილი ცეცხლი გარდამოდის. მეოთხე საუკუნის სასულიერო მოღვაწის, ევსები კესარიელის ცნობით, ეს სასწაული პირველად მაშინ მოხდა, როდესაც ელენე დედოფალმა და მეფე კონსტანტინე დიდმა ტაძარი ააგეს.



გოლგოთა. „ქართული წირვა იმართება გოლგოთაზე, სადაც ადამის თავის ქალა ბევს. გოლგოთის ძირში იბერიელთა მიწაა და იბერიელთა წირვები იმართება“.
(დიაკვანი ეგნატე, 1391 წ.)

წმინდა სავანეს. უფლის საფლავზე ლოცვის უფლებას მათგან ითხოვდნენ, შემდეგ სომხებმა, ქრთამის მეშვეობით, გოლგოთის დაპატრონება მოახერხეს. რამდენიმე წელი მათ ხელთ იყო.

საბოლოოდ ქართველებმა, მეფე ალექსანდრე დიდის დახმარებით, კვლავ დაიბრუნეს გოლგოთა, მაგრამ ამის შემდეგ, — კათოლიკეებმა დაიწყეს

„მობილური“ სიყვარული

ღვა სუხპირიკა

ბარათაშვილის ხიდს სწრაფი ნაბიჯით მივუყვები, აბუზარ წვიმას გამომწვევად ვუშვერ სახეს და ვცდილობ, უქოლგობა არ შევიმჩნიო. ოდესღაც დუდუნა და ანკარა მტკვარი იქნებ დუდუნებს კიდევ, მაგრამ დიდი ქალაქის ხმაურში ბევრი სხვა რამ მნიშვნელოვანიც გვეკარგება. ხიდის შუაწელთან, იქ, სადაც მოაჯირზე შემოსკუპებული ბრინჯაოს ფიგურებიც ინუნებინან, ჩემმა ტელეფონმა დასჭექა. Don't worry, be happy... ე.ი. ძმა მირეკავს. თუ არ ვუპასუხებ, აღელდება. მერე ეს თელვა ნერვიულობაში გადაუვა... მხოლოდ ჟინჟლაღვს, ჰოდა, ხელს მოვაფარებ აპარატს და წვიმა ვერაფერს დააკლებს.

— სად ხარ, დასველდი?

— არა, უკვე „მარშრუტკაში“

ვვადები, მალე მოვალ.

მარტივი საუბარი, მარტივი დასასრულით.

ჭუჭყიან მტკვარს გადავხედე, ქუჩა გადავირბინე და ბარათაშვილის ძეგლთან სოფელ გლდანულასკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსის, გასვლამდე ერთი წამით მივუსწარი. ჩავვჯექი თუ არა, წვიმამ მოიმატა და მსხვილი წვეთებით ახმაურდა მანქანის სახურავზე.

მგზავრებმა ყველა ფანჯარა ჩაგმანეს და, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო სურნელში აღმოვჩნდი. წინ დიდი გზაა. მძღოლის უკან, სახით მგზავრებისკენ ვზივარ და ძალაუნებურად, ყველას ვხედავ. ჩემ წინ 15-16 წლის გოგონა ზის, ტელეფონს ჩასცქერის და დაკეტილი თითებით რაღაცას წერს. დანერა, გადაიკითხა, ტუჩები დამანჭა და გაგზავნა. ნკიპ-ნკიპ! — ეს ჭკვიანმა აპარატმა აცნობა, რომ ადრესატმა მისი უსტარი მიიღო. გოგო გამაღებთ დასცქერის ტელეფონს, პასუხი კი არ ჩანს. ის ახალი ნერილის აკრებს იწყებს, გუმანით ვხედები, რომ ამ წერილის ადრესატი სხვაა. ეს გულის მოსაფხანი მესიჯია. გზავნის და გასაოცარი სისწრაფით პასუხსაც იღებს. ისევ წერს და გზავნის. აშკარაა, დაქალს ეჭორავება...

მის უკან ორი მსუქანი ქალბატონი ჩაჭექყილა. ვერ გაიგებ, ერთად არიან, თუ — არა. მხრებში ანურულიები სხედან, რადგან ადგილი საკმაოდ მცირეა, მათი გარშემოწერილობა კი — სოლიდური. უცერად, სადღაც შორიდან ბესო კალანდაძის ტკბილი ხმა ჩამესმის. ერთერთი ამ ქალთაგანი იხრება, ტანჯვით იღებს ფეხებში მომწყვდეულ მოზრდილ ხელჩანთას და შიგ ქექვას იწყებს. გახსნილი ჩანთიდან „ტირიფები“ იღვრება... — ვერ მოვასწარი, ქალო, — მიმარ-

თავს მეორეს, ტელეფონი ხელში უჭირავს და ისევ რაღაცის ძებნას განაგრძობს. სათვალე... ხომ უნდა ნახოს, ვინ ურეკავდა... თავად კრებს ნომერს:

— აბა, როგორ დავაგვიანე, კაცო! ხომ გითხარი, ხუთამდე ვერ გამოვალ-მეთქი!.. ალბათ, ოჯახმა მოიკითხა.

სამარშრუტო ტაქსი „ქმინავს“ და გზას ტანჯვა-ვაებით მიიკვლევს. „დინამოს“ სტადიონს გავცდით, მგზავრების ახალი შემადგენლობა მივიღეთ, ჩავინ-ჩამოვიინეთ და ზოგი ცალ ფეხზე და ზოგიც



გვერდულად, მაგრამ მოვთავსდით.

ეს მეგრული პოპურის ჰანგებია. ტკბილი? კიდევ უფრო მეტიც! სამწუხაროდ, არ მაცდიან მოსმენას. ისევ ქალბატონს ურეკავენ. ის თავისი კაცურად დაკოჟირილი თითებით დასაკვეც აპარატს ხსნის და მეგრულად საუბრობს. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით...

— კაი, აბა, მოვალ ანი სახლში.

სოხუმელია, მათი აქცენტი არ შემეშლება... თიშავს თუ არა, მაშინვე ისევ ურეკავენ.

— იყიდე უკვე? კაი, გოგო, მე ვერ მოვიტანდი? რატომ გაინვალე თავი?

კი, სოხუმელია ნამდვილად. ხელები ნაჯავი და ნაშრომი აქვს, სახეც — გადაღლილი, მაგრამ ეს მის გარეგნობაში დისონანს არ ქმნის, რადგან ის ასეთია: მშრომელი, გამრჯე და დაღლილი... თუმცა ეს ხომ მხოლოდ ჩემი ფიქრებია...

„ტანგო“!

„ტანგო“ გლდანულასკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსის მთლიანად ავებს და

თითქოს ატობს კიდევ... თბილი ხმა:

— ჰო, მოვალ მალე... უკვე... რამე გინდა?.. კი, გიყიდე... ჩურჩულით: — მეც... ჰო, ახლოს ვარ... მერე ხმამალა: — გამიჩერე, ერთი.

იმ მობილურის პატრონმა მამაკაცმა, რომელსაც „ტანგო“ საყვარელ ქალს ახსენებს, ტელეფონი გულის ჯიბეში ჩაიდო და მანქანიდან წვიმიან ქუჩაში გადავიდა. ეს კაცი სახლში სიხარულით მიდის. მე რა ვიცი?.. ვხედავ და მესმის!

წერეთელზე ორი განუწული გოგო დგას და ხელებს გვიქნევს.

— ჩავსვამთ? — კითხულობს მძღოლი, რადგან ადგილი მხოლოდ ერთია.

— ჩავსვამთ, მა, მანდ ხომ არ დააგდებ?! — ყველას ნაცვლად პასუხობს ერთ-ერთი, თავისი ბარიტონით. ამ ხმის პატრონს რომ ვერ ვხედავ?! ის მძღოლს უზის გვერდით... პრინციპში, ის სხვის ხარჯზე ახლა გულმონყაღე. გოგოები ამოვიდნენ და ერთი ადამიანის ადგილი დაიკავეს. თხელები კი არა — წვრილები არიან.

ნკიპ-ნკიპ, — ახმიანდა თითებდაკნეტილი გოგონას მობილური. გოგო გადაფითრდა და წერილი გახსნა. ფერი ვერ დაიბრუნა, მაგრამ თვლები კი აუცილებლად სიხარულით. ახალი მესიჯის აკრებს შეუდგა, მაგრამ თითები აებლანდა, აირია და აპარატი ყურთან მიიტანა.

იღუმალი ხმით:

— ჰო, მივიღე!.. ჰო, მოვალ და მოგიყვები... „მარშრუტკაში“ ვზივარ-მეთქი... მაგარია...

მეც მაინტერესებს, რა არის ეს მაგარი ამბავი, მაგრამ მე ვინ მეტყვის?! მთავარია, რომ ჩემ თვალწინ ადამიანმა ის მიიღო, რასაც ელოდა.

...ეს „სონი-ერიქსონის“ ზარია, Old phone რომ ჰქვია, სწორედ ის. მკვდარივით რომ გეძინოს, გაგაღვიძებს, ნებისმიერ სხვა ხმაში, ხმაურსა და ყიჟინაში გააჩქერე, რადგან ტვინს სწორედაც რომ ბურღავს.

— ე, დღეს რამდენი ხალხი რეკამს, ბესო?! — რიტორიკულ კითხვას უსვამს მძღოლს, რომელიც ეტყობა, ბესოა და, — ჰოუ! — პასუხობს ტელეფონს... — არ გადამრიო ახლა, დადენებოდი, როო?! — ჩასძახის ყურმილს. — ჰოუ, ჰოუ! ახლა ფიზიკური როგორ უნდა ვიყვე?! მოვალ და ერთად დავლიოთ... დავლიოთ და დავლიოთ... — აგრძელებს ორანჯოვანად.

იქიდან რას პასუხობენ, რას გაიგებ, მაგრამ ეს ხმაურიანი კაცი ტელეფონს შეძახილით — ჰოუ, ჰოუო! — თიშავს

და მძლოს მთელი „მარშრუტის“ გასაგონად თავის ამბავს უყვება!

— ბიჭი მყავს, რა ბიჭიიი! სამი კილო და რვაასი! ბოხ ხმაზე ტირის, მშიაო. ისე, კაცივით წევს და სძინავს, ჯანმრთელია ხარივით. ჯარისკაცია, ჯარისკაციიი!

კისერს ვღრეც და ბესოს გვერდით წამოსკუპებულ მგზავრს ვათვალიერებ... თითქოს ვიცნობ... არა, აბა, საიდან?! იქნებ თვითონაა ჯარისკაცი და ასეთი გახარებული ამიტომაცაა?! ასაკით რომც უნდა იყოს მიტანებული. თუ ასეა, ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი წაგებული ომის დამარცხებული ჯარისკაცი იყოს...

ჰოდა, ჯარისკაცს ჯარისკაცი შეეძინა და მე მისი სიხარულის მოწმე გავხდი?! ნეტავ, მართლაც ასეა?... მოულოდნელად სამარშრუტო ტაქსიში საქართველოს ჰიმნი აგუგუნდა... ღმერთო, რა დამთხვევაა!.. უკანა სკამზე ჩაკუჭულმა, თხელნაკვეთბინამა კაცმა ტელეფონს დახედა, ჩაახველა და უპასუხა:

— დიახ, გისმენთ... დიახ, ბატონო ზურაბ, პრაქტიკულად, დავადგინეთ აბერაციის მიზეზი... დიახ, აბსორბენტიც გამოვიყენეთ და ახლა აბსორბციას ველით... რა თქმა უნდა, პროდუქტიული დღე იყო, მცირე კაზუსებს თუ არ ჩავთვლით... დიახ, ტკივილი, ფანტომური ტკივილი! მე ვივალდებულე მისი სახლში გადავიყვანა... პოზიტიურად, პოზიტიურად...

საქმიანი ზარი იყო, მგზავრები აშკარად უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან ამჯერად, ვერაფერიც ვერ გაიგეს...

თხელნაკვეთბინას ეტყობა, მათი წყენინება არ უნდოდა, რადგან მისმა ტელეფონმა ახლა ცნობილი ფრანგული მელოდრამის, „სათამაშოს“ მელოდია დააფრქვია ირგვლივ მყოფთ.

— ჰო, მამიკო!.. მელოდები, ხომ?... ძალიან ცოტა ხანი... კარგი მამიკუნა, ერთად გავაკეთოთ.

შესძლება დალოცვილს, ადამიანური მეტყველება...

სახლამდე, როგორც იქნა, მივალნიე. გააჩერე-მეთქი, — ვთხოვე მძლოს, მუჭით ხურდა მივანოდე და ჩავედი... „დონ ვორიი“, — ისევე ამღერდა ჩემი ტელეფონი... სანამ ჩანთას გავხსნიდი, ჩვენი სახლის რკინის ჭიშკართან, უზარმაზარი ქოლგით შეიარაღებული მამაჩემი დავინახე. მე მელოდა.

— მამა, იცი, რატომ გვიყვარს მობილური ტელეფონები ქართველებს? — დავსვი კითხვა და თავადვე ვუპასუხე: — იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთი „მობილურად“ გვიყვარს...

სახლამდე მთელი ეზო, დიდი ქოლგის ქვეშ შეყუჟულმა გავიარე... მსხვილი წვეთებით წვიმდა. ჩემს სამარშრუტო ტაქსიში, ალბათ, ისევე ჭუჭყის სუნია და მობილური ტელეფონები, რომლებიც ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს აქვს საქართველოში, მოკითხვის ნიშნად, ნაირ-ნაირ მელოდიას აფრქვევს.

ლოგენის დამბუნება

აღმოსავლური ორთაბრძოლის ორი ყველაზე პოპულარული ოსტატი — ჯეტ ლი და ჯეკი ჩანი — გადასალე მოედანზე ერთმანეთს პირველად შეხვდნენ. სტუდიის — Lionsgate ახალ ფილმს — „აკრძალული სამეფო“ საკმაოდ ბანალური და შტამპებით „მდიდარი“ სიუჟეტი აქვს. მთავარი გმირი, ჰონკონგურ ბოევიკებზე თავდავიწყებით შეყვარებული, ნორჩი ბოსტონელი ჯეისონი ჩინური კვარტალის ბინადარ, ლომბარდის მოხუც მეპატრონეს გაიცნობს, რომელიც ბოევიკების DVD დისკებით ვაჭრობს. მცირეწლოვანი დამნაშავეები ფიქრობენ, რომ მოხუცი ჩინელი მდიდარია, ამიტომ, მის გაძარცვას გადაწყვეტენ და ჯეისონს აიძულებენ, „საქმეზე“ მათთან ერთად წავიდეს. ძარცვის დროს ბანდის თავზე ხელაღებული მეთაური ლუპო მოხუცს მძიმედ დაჭრის. დაჭრილი ჩინელი ჯეისონს ჯადოსნურ ჭოკს გადასცემს. ჯეისონი თავს გაქცევის შველის და სასწაულებიც აქედან იწყება...

ფილმის რეჟისორია ყოფილი ანიმატორი, დისნეის სტუდიის კლასიკად ქცეული მულტფილმის — „მეფე-ლომის“ ერთ-ერთი ავტორი რობ მინკოფი, რომელმაც ხმაურიანი სტარტის შემდეგ, რამდენიმე საშუალო დონის ფილმი გადაიღო, მათ



შორის — მოლაპარაკე თეთრი წრუნუნას თავგადასავლების ამსახველი „სტიუარტ ლიტლი“.

„აკრძალული სამეფო“ სათავადასავლო ზღაპარია, რომლის ყველა პერსონაჟი ჩინური მითებიდან, ლეგენდებიდან და პოპულარული ფილმებიდან არის ნასესხები. სცენარი ნ-ჯერ გადაინერა და ძირითადად, გადაღებების დროს იქმნებოდა. საბრძოლო ქორეოგრაფიის მრავალი სცენის შემცველ ამ სურათში მყურებელი სიუჟეტურ უზუსტობებს ყურადღებას ნაკლებად მიაქცევს, მას უფრო მეტად, ჯეტ ლისა და ჯეკი ჩანის ფერიული ხელჩართული ბრძოლები დაინტერესებს. მსახიობების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მყურებელს მართლაც რომ თვალისმოჭრულ სანახაობას სთავაზობენ. საგულისსმოა ის ფაქტი, რომ ფილმი „აკრძალული სამეფო“ ჯეკი ჩანის პირველი ამერიკული სურათია, რომლის საბრძოლო სცენების დამდგმა ამჯერად სხვამ განახორციელა და არა თავად სახელგანთქმულმა მსახიობმა.

ფილმის კიდევ ერთი უდავო ღირსებაა ისიც, რომ ნანარმოებში, რომელიც თავისთავად, ერთი დიდი შტამპია, ავტორებმა ერთდროულად რამდენიმე ცნობილი სურათის პაროდია წარმოადგინეს. მაგალითად: ჯეკი ჩანის პერსონაჟი ერთგვარი გაგრძელებაა იმ სახისა, რომელიც მსახიობმა პირველად, სურათში „მთვრალი ოსტატი“ შექმნა. ჯეტ ლიმ საკუთარი თავის პაროდია შექმნა: „აკრძალული სამეფოს“ ეპიზოდები „გმირისა“ და „ჩასაფრებული დრაკონის“ კადრებს მოგვაგონებს, ჯეისონისა და ლუპოს დაპირისპირება კი სურათის — „კარატე-კიდი“ — ანალოგიურ სცენებს წააგავს.

და კიდევ ერთი დეტალი, რომლის გამოც მყურებელმა ფილმი „აკრძალული სამეფო“ აუცილებლად უნდა ნახოს — ეს ჯეტ ლის მოლიმარი, უფრო მეტიც — გაბადრული სახეა! ჯეკი ჩანი კომედიის ოსტატად დიდი ხნის წინ აღიარეს, პირქუში ჯეტ ლი კი მუდამ გასაოცარი სერიოზულობით ანადგურებდა მონინალმდევს. ასე რომ, მისი კომედიური ნიჭის აღმოჩენა მყურებლისთვის ნამდვილი სიურპრიზია!



„ამერიკელი სილამაზის“ შემქმნელი ახალი თილის გადაღებებს იწყებს



„ოსკაროსანი“ ფილმის — „ამერიკული სილამაზე“ — რეჟისორმა სემ მენდესმა კონექტიკუტის შტატში კინოსტუდიისთვის — Focus Features — ახალი კომედიის გადაღებები დაიწყო. თავდაპირველად, პრესა იუწყებოდა, რომ სურათის სავარაუდო სახელწოდება — This Must Be the Place — უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ჯერჯერობით ფილმის სახელწოდება შერჩეული არ არის. სემ მენდესის ახალი სურათის მთავარი გმირები — მამაკაცი და მისი ორსული მეგობარი გოგონა ამერიკაში მოგზაურობენ და ისეთ ადგილს ეძებენ, სადაც ფეხის მოკ-

იდებასა და ოჯახის შექმნას შეძლებენ... ფილმში მთავარ როლებს ჯონ კრასინსკი (სერიალი „ოფისი“) და მაია რუდოლფი (სერიალი „შაბათის ღამის ცხოვრება“) ითამაშებენ. მაცურებელი მსახიობ ტონი კოლეტსაც იხილავს, რომელმაც კომედიაში — „პატარა მისის ბედნიერება“ — ოჯახის დედის როლი შეასრულა. ამჟამად სემ მენდესი კინოსტუდია Dream Works-ის ახალ პროექტზე — „ცვლილებათა გზა“ — მუშაობას ამთავრებს. სურათში მთავარ როლებს ლეონარდო დი კაპრიო და კეიტ უინსლეთი თამაშობენ.

ჯონ ლენონის თაყვანისმცემლობა ითვთნის წინააღმდეგ საბრძოლო შიფტს

ჯგუფის — The Beatles — მემკვიდრეობის კოლექციონერთა საზოგადოებამ Worldwide Video (ახალი ინგლისი) ჯონ ლენონის ქვრივის, იოკო ონოს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამერიკელი კოლექციონერები იოკოს, ფილმის — „ცხოვრების სამი დღე“ საავტორო უფლების ხელყოფაში ადანაშაულებენ. ეს დოკუმენტური ფირი იოკო ონოს ყოფილმა მეუღლემ, ენტონი კოქსმა 1970 წელს, ჯგუფის დაშლამდე რამდენიმე კვირით ადრე გადაიღო. ფირზე ლენონის მიერ ორი სიმღერის შექმნის ფრაგმენტები

და ლენონისა და იოკოს საუბარია აღბეჭდილი, სადაც „ბითლი“ ცოლს ამერიკის პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონისთვის ჩაიში ნარკოტიკის ჩაყრას სთავაზობს. ფილმის არსებობა დიდხანს უცნობი იყო და ეს კადრები ფართო საზოგადოებას დღემდე არ უნახავს. 2000 წელს კოლექციონერთა საზოგადოებამ კოქსისგან ჩანაწერი და საავტორო უფლება 1 მილიონ დოლარად გამოისყიდა. შარშან Worldwide Video მენის



შტატის ერთ-ერთ სკოლაში ფილმის პრეზენტაციის მოწყობას აპირებდა, მაგრამ იოკო ონოს ადვოკატებმა ჩვენება ჩაშალეს.

მაძმბა სტრეიჯანდმა ისტაგლს უადი უთხდა...



ცნობილმა მომღერალმა და მსახიობმა ბარბრა სტრეიჯანდმა ისრაელის სახელმწიფოს შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა ვარსკვლავი საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღ-

ბად პირადად მიიწვია. მომღერალს ზეიმის გახსნაზე ებრაული ლოცვა — „ავინ მალკეინი“ („ჩვენი მამა, ჩვენი მეფე“) უნდა შეესრულებინა. დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე უარი ბარბრა სტრეიჯანდმა პირადი გარემოებებით ახსნა, მაგრამ ებრაული გაზეთი Maariv, შიმონ პერესის ადმინისტრაციიდან გამოსულ ხმებზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ მომღერლის უარი საზეიმო ღონისძიებებში ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მონაწილეობას უკავშირდება, რომელსაც სტრეიჯანდი მუდამ აკრიტიკებს. საზეიმო ღონისძიებები ისრაელში 13-15 მაისს ჩატარდება.

ჯენიფერ გაბნები და ჰიუ ჯუმანი უბტპის დასაწყბტმად უბზარემიან



სტუდიის — Warner Brothers — ახალ ფილმში — „3 დღე ევროპაში“ მთავარ როლს მსახიობი და პროდიუსერი ჯენიფერ გარნერი ითამაშებს. პროექტში მამაკაცის მთავარ როლს ჰიუ ჯეკმანი შეასრულებს, რომელიც ამავე დროს, სურათის პროდიუსერიც იქნება. ფილმის სიუჟეტი, რომელიც ენტონი ჯონსტონის კომიქსის მიხედვით იქმნება, ოჯახური წყვილის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც წმ. ვალენტინის დღის შესახვედრად ევროპაში გაემგზავრა და მრავალი ხათაბალა გადახდა თავს. აღსანიშნავია, რომ ეს მსახიობები კომიქსების მიხედვით შექმნილ სურათში პირველად არ მონაწილეობენ. ჯენიფერ გარნერმა ფილმებში — „ყაჩაღანა“ და „ელექტრა“ ელექტრა განასახიერა, ჯეკმანმა კი ტრილოგიაში — „ადამიანები-X“ — როსომახი.

ცბმ უბტპის უაჟიშეილის ღემიუცი ღიდ უბბანჭე

ჟურნალი People იუნწყება, რომ მალე დიდ ევრანზე ტომ კრუზისა და ნიკოლ კიდმანის შვილობილის, 13 წლის კონორ კრუზის დებიუტი შედგება. სურათი — „შვიდი გირვანქა“ მაყურებელს დანაშაულის გრძნობით გატანჯული ადამიანის შესახებ მოუთხრობს,

რომელსაც უილ სმიტი განასახიერებს. კონორ კრუზის მითის გმირის ახალგაზრდობის წლების ეპიზოდებში ითამაშებს. დებიუტანტმა მსახიობმა სურათში ეპიზოდური როლის მისაღებად, სავალდებულო შესარჩევ კონკურსში სახელგანთქმული მშობლების დაუსმარებლად გაიმარჯვა. ჟურნალი წერს: „ტომ კრუზი ძალზე ამაყობს იმით, რომ ბიჭუნამ ყველაფერს თავად მიაღწია“. რეჟისორ გაბრიელე მუჩინოს ახალ სურათში უილ სმიტის გარდა, როზარიო დოუსონი და ვუდი ჰარელსონიც ითამაშებენ.



კინოსტუდიის Fox მბაიან რე პალმას „სიშმაგის“ ბიბიიქს გადაიღუმს

კინოსტუდიამ 20th Century Fox ბრაიან დე პალმას საშინელებათა ფილმის — „სიშმაგე“ რიმიქის სცენარის შესაქმნელად, ავტორები მიიწვია. სურათის ახალ ვერსიაში მთავარი მოქმედი პირი — ტელევიზიის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდაა, რომლის უჩვეულო უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მასზე სამთავრობო აგენტები ნადირობენ... ჯონ ფერისის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით 1978 წელს გადაღებულ ფილმში მთავარი როლები კერკ დუგლასმა და ჯონ კასავეტისმა ითამაშეს.



დედინასკლას და გაუფრთხილ სსსლ შორის „ბაჭრილი“ გიჭუნა და თქვენი სსსლური შინაგანით მოხვედრილი

ამ მსახიობმა ისეთი შთამბეჭდავი სახეები შექმნა კინოში, რომ მას დღესაც მათთან აიგივებენ. მისი სასცენო პარტნიორები იყვნენ ლეგენდარული ქალბატონები: ბელა მირანაშვილი, ლია ელიავა, სოფიკო ქიაურელი. ბევრს დღესაც ჰგონია, რომ მხოლოდ იმიტომ არის ბატონი ბრიშა ნიტაიშვილი მარტო, რომ ვერ ნახა ისეთი ქალი, რომელსაც „მჭადის გამოცხოვა მინც ეცოდინება“, ხოლო მის ტანსაცმლის კარადაში საპატიო ადგილი უკავია „გამძლეობით გამორჩეულ ბუკლეს კოსტიუმს“. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ფილმის — „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ — ერთ-ერთი მთავარი გმირი გერასიმე, რომელიც ბატონმა გრიშამ განასახიერა.



მანანა ჭირაქაძე

ის წყნარი, მოკრძალებული ადამიანია. ხოლო ვისაც მის შესახებ არავითარი ინფორმაცია არა აქვს, „ვუდებუშებთ“, რომ ღვთის შენეებით, გრიგოლ ნიტაიშვილი ცოცხალია და კარგ ფორმას ინარჩუნებს, ცხოვრობს დიღმის მასივში, კინოსტუდიის თანამშრომელთა რეასარტულიანი სახლის მეშვიდე სართულზე, ერთოთახიან ბინაში. მისი მთავარი სიმდიდრე — ნიგნები და კინოტეილებია, რომლებიც მის მდიდარ შემოქმედებით ცხოვრებას ასახავს. ყოველ დილით ბატონი გრიშა დარბის დიღმის ტყეპარკში (უფრო სწორად — ტერიტორიაზე, რომელიც ამ ტყეპარკისგან დარჩა), შაბათ-კვირას ესწრება იქვე, კინოსტუდიის ეზოში აგებული, წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვას. არის კომუნიკაბელური და საინტერესო პიროვნება და თუ მიმზიდველ შემოთავაზებას მიიღებს, დარწმუნებული ვარ, დათანხმდება და კიდევ ერთ დაუვიწყარ ეკრანულ სახეს შექმნის.

ბუნებრივია, განვლილ ცხოვრების გზაზე საუბარი ბატონმა გრიშამ ბავშვობით დაიწყო:

— დავიბადე ბათუმში 1937 წლის 28 თებერვალს. ჩემი ცხოვრება თავიდანვე არ აუწყო: ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლები დასცილდნენ ერთმანეთს, მამამ მეორე ცოლი შეირთო. 1938 წელს დედა დაიჭირეს. მე ხან ბებიამ მზრდიდა, ხან — მამიდა და ხანაც — დეიდა... მეორე ცოლის გარდაცვალების შემდეგ მამას ქალიშვილი

დარჩა. შეერთო მესამე ცოლი და მეც და ჩემი ნახევარდაც თავისთან წაგვიყვანა. დავიწყეთ ასე ცხოვრება. ჩემი პატარა იყო, თავისი დედა კარგად არ ახსოვდა, ამიტომ ადვილად შეეგუა დედინაცვალს და დედას ეძახდა. მე ამას ჯიუტად არ ვაკეთებდი, არადა, ამ ქალს თავისი შვილები არ ჰყავდა, მან მამაჩემის გულსთავის მიატოვა ქმარი, ოჯახი, მოუწია სამსახურიდან წამოსვლა (ისიც, მამაჩემივით, იურისტი იყო). მოკლედ, მე და ჩემს დედინაცვალს სულ ჩხუბი გვქონდა. არა, ცუდი ქალი არ იყო. გვზრდიდა, გვპატრონობდა, მაგრამ მე მას ვერაფრით შევეგუე.

— პატარა ბავშვის საიდან გქონდათ ასეთი წინააღმდეგობის განცევის უნარი? რით დამთავრდა ეს კონფლიქტები?

— დამთავრდა იმით, რომ მონახეს გამოსავალი და მე უპატრონო ბავშვთა სახლში მიმაბარეს. ეს სახლი მახინჯაურში მდებარეობდა. მთაზე ერთი ძველი, მიტოვებული ციხესიმაგრე იდგა და იქ იყვნენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, ომში დაღუპულ მოქალაქეთა შვილები. რა ეროვნების ბავშვს არ ნახავდით ამ თავშესაფარში, რა ენაზე არ ლაპარაკობდნენ?! იყო სიცხე, შიმშილი. ყველას თავი გვქონდა გადახოტრილი: ომის პერიოდი იყო, საპონი არ იშოვებოდა და ტილები გვჭამდა. დავდიოდით ლასლასით, ფეხშიშველები, მშვივრები, მივემართებოდით საშუალო სკოლისკენ,

რომელიც მახინჯაურის ცენტრში მდებარეობდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა განსხვავება იყო ჩვენსა და ადგილობრივ ბავშვებს შორის?.. ერთი ეპიზოდი მახსენდება: ზამთარში ფეხები მომეყინა, ვტიროდი, ვიკლავდი თავს. დამლაგებელმა ქალმა ამიყვანა ხელში. შევეცოდე, დამიწყო მოფერება და ტირილი: ამ საცოდავს აქ რა უნდა? დედაც ცოცხალი ჰყავს და მამაცო! ისე ცუდად გავხდი, რომ ლოგინში ჩამაწვინეს. სიცხემ ამინა, ხმა დავკარგე, მაგრამ მინც ვტიროდი. ჩემი პატრონი არავინ იყო. ბოლოს ერთ ბავშვს გამოათანეს, ღრმა თევზით, წვნიანი — ცხელი, მარილიანი წყალი, რომელშიც პატარა კარტოფილი და ერთი მაკარონი ტივტივებდა. არც პური მოუტანია და არც კოვზი, დადგას ის „ტაბურეტკაზე“ და წავიდა. რა უნდა მექნა? ხმა მე არ მქონდა და ძალა, რომ მეყვირა, — არიქა, კოვზი და პური მომიტანეთ-მეთქი! მივიჩროე სკამი, ავიღე მაკარონის „მილი“ და როგორც ახლა კოქტეილს წრუპავენ, ისე შევხვრიპე მთელი წვნიანი და კარტოფილის ნაჭერი და ეს ერთი ღერი მაკარონიც ზედ დავაყოლე. ისე ტკბილად ჩამეძინა, მას შემდეგ ისე აღარ მძინებია. დილით, გამოჯანმრთელებულს გამეღვიძა. არც ყელი მანუხებდა და ხმაც დამიბრუნდა. ეტყობა, ცხელი, მარილიანი წყალი წამლად შემეგრგო.

— ეტყობა, ძალიან ამტანი ბავშვი იყავით. რამდენი წელი დაყავით მახინჯაურში?

— ორი წელი. მერე მამაჩემი იძულებული გახდა, წამოვეყვანე მახინჯაურიდან და მოვხვდი ისევ იმ ჩემს დედინაცვალთან.

— ალბათ საკმაოდ გულცივი კაცი იყო მამათქვენი...

— არა, არ იყო გულცივი. ერთხელ დაინახა, რომ დედინაცვალმა ხელი გამარტყა და სამი დღე არ ელაპარაკებოდა მას.

— რომელ სკოლაში დადიოდით ბათუმში?

— თითქმის ყველა სკოლა შემოვიარე, ვერ ვეგუებოდი გარემოს, რთული ბავშვი ვიყავი. ბოლოს შევჩერდი ძერჟინსკის სახელობის რუსულ, სპორტულ სკოლაზე. სხვათა შორის, ფეხბურთს ვთამაშობდი კარგად. მერე მოხდა ისე, რომ თბილისში გადმოვედი.

— როდის მოხდა ეს და რა შემთხვევამ განაპირობა თქვენი თბილისში გადმოსვლა?

— მამაჩემი თანამდებობის პირი იყო. იურისტი გახლდათ, პრინციპული,

მცოდნე ადამიანი და თბილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ. ათარბეგოვის ქუჩაზე, სადაც უზენაესი სასამართლოა, აი, იმ ეზოში ვცხოვრობდით, ერთი ოთახი მისცეს. მამა ხშირად დადიოდა მივლინებაში, მთელი საქართველოს სასამართლოებს კურირებდა. მე შეექვსე ვაჟთა სკოლაში შემიყვანეს. და ეს იყო უბედნიერესი ხანა ჩემს ცხოვრებაში. ისე კარგად მიმიღეს ბავშვებმა და მასწავლებლებმა, რომ თავიდან დავიბადე და მე, რომელსაც ყველაზე მაღალი ნიშანი — სამიანი მყავდა, ფრიადოსანი გავხდი. სამი მეოთხედი ვსწავლობდი ამ სკოლაში, მეექვსე კლასში.

— როგორ? კიდეც სხვაგან გადახვედით საცხოვრებლად?

— დიახ. მამაჩემი წარმოშობით, გურიიდან იყო, მახარაძიდან (ამჟამად — ოზურგეთი), მთელი ნათესავები იქ ჰყავდა და თვითონ მოინდომა იქ დაბრუნება, სამსახურიც იქ დაიწყო.

— ე.ი. მახარაძის საშუალო სკოლაში გადახვედით?

— (იცინის) დაიცათ, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს... არ ვიცი, როგორ მოვახერხე, მაგრამ მამა დავაჯერე, რომ ბათუმში უკეთესად ვიცხოვრებდი, მარტო და... ჩამსვა მახარაძე-ბათუმის მატარებელში და სამ საათში ბათუმში ვიყავი. ამის შემდეგ, სკოლის დამთავრებამდე, ბათუმში ვცხოვრობდი მარტო, ჩემი თავის ბატონ-პატრონი თვითონ ვიყავი... ერთ ეპიზოდს გავიხსენებ კიდეც, თუ შეიძლება: ბათუმში რომ დავბრუნდი, სახლში მისვლამდე, ჩემს რუსულ, ძერჟინსკის სახელობის სკოლას მივაკითხე. შევედი სკოლის დირექტორის

კაბინეტში და ამაყად გავუწოდე ნიშნების ფურცელი, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ მეექვსე კლასის სამი მეოთხედი ფრიადზე დავამთავრე. დირექტორი მაშინ იყო არაჩვეულებრივი პიროვნება — შუტუ მდივანი, ჩვენთვის — სევერიან ისიდოროვიჩი. გაგიჟდა კაცი, იმხელაზე იყვირა, კედლები ზანზარებდა.

ნადი, შე უსინდისო, თვალით არ დამენახვოო!.. არ დამიჯერა. იცით, მაშინ საკანცელარიო მალაზიებში იყიდებოდა მოსწავლის ნიშნების ფურცელი, 2 კაპიკი ღირდა და ალბათ ეგონა, რომ მე იქ ვიყიდე და ნიშნებიც თვითონ ჩავენერე. ტირილი-ტირილით წამოვედი ბებიჩემთან, მოვუყვიე ყველაფერი. ჩემმა მამიდაშვილმა დამამშვიდა: გამოვიტხოვოთ შენი საბუთები თბილისის სკოლიდან და შენი სიმართლაც დადასტურდებო. არ დამაინწყებდა ჩემი კლასელებისა და მასწავლებლების სახეები, როდესაც სკოლაში დამიბარეს. ჩემი საბუთები ჩამოსულიყო და პასუხიც მოვიდა, რომ მე ფრიადოსანი ვიყავი. ბატონმა შუტუმ თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: ყოჩაღ, შვილო, თურმე რა კარგი ბიჭი ყოფილხარო!..

— თეატრალურ ინსტიტუტში როგორ მოხვდით? მსახიობობაზე ბავშვობაში არ გიოცნებია?

— იცით, რა არის... როგორც უკვე გითხარით, ჩემი თავის ბატონ-პატრონი ყოველთვის თვითონ ვიყავი. ვაცდენდი სკოლას, დილით ზღვაზე ვცურავდი, მერე კინოში მივდიოდი, აი, საღამოს კი ბათუმის თეატრში სპექტაკლს არ ვაცდენდი. მიყვარდა თეატრი, მაგრამ მსახიობობაზე არ მიფიქრია.

— აბა, როგორ? ისიც შემთხვევითობამ განაპირობა, რომ მსახიობი გახდით?

— სწორედ-აქ რომ შემთხვევითობამ. სკოლის დამთავრების შემდეგ მე და ჩემი მეგობარი — ბერდია ინწკირველი თბილისში ჩამოვედით. მას გადწყვეტილი ჰქონდა, თეატრალურში ჩაბარება, მე კი სხვაგან რომ ვერსად მოვიარე ჩემი თავი (ისეთი საგნები ბარდებოდა, რაც მე არ მისწავლია), მასთან ერთად გადავწყვიტე ჩაბარება.

ბის შემდეგ მე და ჩემი მეგობარი — ბერდია ინწკირველი თბილისში ჩამოვედით. მას გადწყვეტილი ჰქონდა, თეატრალურში ჩაბარება, მე კი სხვაგან რომ ვერსად მოვიარე ჩემი თავი (ისეთი საგნები ბარდებოდა, რაც მე არ მისწავლია), მასთან ერთად გადავწყვიტე ჩაბარება.



ბელა მირიანაშვილთან ერთად

— რა შანსები გქონდათ, რომ ყოველგვარი მომზადების გარეშე თეატრალურში მოხვდებოდით?

— მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არ ვსწავლობდი, კითხვა მიყვარდა. ყველა ბიბლიოთეკაში ვიყავი ჩანწერილი. ასე რომ, ზოგადი განათლება, შეიძლება ითქვას, თვითონ, დამოუკიდებლად მივიღე. ინსტიტუტში პირველსავე წელს მოხვდი, როგორ მოვახერხე, ახლაც მივირს. იცით, მაშინ რამხელა კონკურსი იყო? თეატრალურის გამოცდები მაშინ იწყებოდა, როდესაც ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები უკვე დამთავრებული იყო და ამდენი ჩაჭრილი ახალგაზრდა თეატრალურს მიაწყებოდა ხოლმე.

— თუ გახსოვთ, საგამოცდო კომისიაში ვინ შედიოდნენ?

— როგორ არა, კაცო?! ბატონი დიმიტრი ალექსიძე იყო კომისიის თავმჯდომარე და ჯგუფიც იმ წელს მასვე აჰყავდა. კომისიის წევრებს კი რა დამავინყებს?! აკაკი ვასაძე, მიშა თუმანიშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ფალავა, ლილი იოსელიანი. მომავალში ისინი ჩემი პედაგოგები იყვნენ, მნიშვნელოვანი ხალხი ჩემს ცხოვრებაში.

— ვინ იყვნენ თქვენ ჯგუფელუბი?

— არაჩვეულებრივი ადამიანები და მომავალში საუცხოო მსახიობები: მალხაზ გორგილაძე, თენგიზ დაუშვილი, სოსო გოგიჩაიშვილი, იმედა კახიანი, ბელა მირიანაშვილი. ისინი პირველი კურსიდანვე პოპულარულები იყვნენ. ბელამ და იმედამ ფილმ „საბუდარელ ჭაბუკში“ სწორედ პირველ კურსზე სწავლისას ითამაშეს.

— თქვენ როდის მოხვდით კინოში?



კადრი ფილმიდან „წუთისოფელი“



მსახიობმა შთამბეჭდავი სახეები შექმნა კინოში...

— მე, მართალი გითხრათ, ყოველთვის თეატრს ვეჭვობდი. ჩემი პირველი კინოროლი უკვე მოგვიანებით, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გუგული მგელაძის „ცისკრის ზარებში“ შევასრულე.

თეატრალურის შემდეგ სად გაგანაწილეს?

— რუსთაველის თეატრში, სადაც მე და ჩემი თანაკურსელი ბიჭები სტუდენტობის დროსაც გამოვდიოდით „მასოვეკებში“. მაშინ ბატონი დიმიტრი ალექსიძე, ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო და იმან დაგვასაქმა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მე და ჩემი მეგობრები ლილი იოსელიანს გავეყვით გორის თეატრში: იქ მთავარ რეჟისორად დანიშნეს. სწორედ იქ დადგა ქალბატონმა ლილიმ სპექტაკლი „წვიმის გამყიდველი“, რომლითაც მთელი საქართველო მოვიარეთ. გორის თეატრში ჩვენმა მოღვაწეობამ ერთი წელი გასტანა.



ყოველთვის იმ ადგილს ვეძებდი, სადაც კარგად ვიგრძნობდი თავს

— ბატონო გრიშა, ამ რუბრიკის სტუმრები, თავისი ცხოვრების შესახებ თხრობისას, ყოველთვის განსაკუთრებულად აღწერენ ძველ ეპოქას — კომუნისტურ იდეებს, შეზღუდვებსა და აკრძალვებს. თქვენზე ყოველივე ეს როგორ მოქმედებდა?

— იცით, მე ამას ნაკლებად ვაქცევდი ყურადღებას. მქონდა ჩემი სამყარო, საქმე, არ მქონდა ამბიციები, არც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიფიქრია. ასე რომ, იმ დროის „კომუნისტური“ პრობლემები ნაკლებად შემეხო. თუმცა მინდა ერთი სატელევიზიო სპექტაკლი გავიხსენო — „იუპიტერი იცინის“. ჩემი პარტნიორი, მედეა კუჭუხიძე იყო. ამ სპექტაკლში შეყვარებულ ექიმებს ვთამაშობდით. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი თეატრალური კრიტიკა ტელესპექტაკლებს სერიოზულად არ უყურებდა, იმის გამო, რომ სპექტაკლი ძალიან წარმატებული გამოვიდა, მან დიდი რეზონანსი გამოი-

წვია. ხომ იცით როგორ არის — კარგს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება ხოლმე. მასსოვს, სახელმწიფო ტელევიზიის სააქტო დარბაზში შევიკრიბეთ, იყო ერთი ამბავი. ძირითადად, მე და მედეას გვაკრიტიკებდნენ, ჩვენ ხომ მთავარ როლებს ვასრულებდით. ბოლოს ბატონი კაკო ბაქრაძე გამოვიდა, მას არასოდეს ეშინოდა განსხვავებული აზრის გამოთქმა. დადებითად შეაფასა, როგორც მთლიანად სპექტაკლი, ისე ჩემი და მედეა კუჭუხიძის ნამუშევარი.

ვიდრე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შტატთან თანამშრომელი გახდებოდათ, რომელ თეატრში მოღვაწეობდით?

— თითქმის ყველგან: „რუსთაველში“, „მარჯანიშვილში“, „გრიბოედოვში“, კინოსახიობთა თეატრში და კიდევ, იცით, სად?... სანკულტურის თეატრში!

სანკულტურის რას ნიშნავს?

— რას ნიშნავს და — სანიტარიული კულტურის თეატრს, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს ექვემდებარებოდა.

ამ თეატრში ყველა „სანიტარიულად კულტურული“ იყავით თუ მხოლოდ სანიტრებისთვის დგამდით პესებს?

— (იცინის) გაგიკვირდებათ და იცით, რა ხდებოდა, ვიდრე სპექტაკლი დაიწყებოდა? ექიმები გამოდიოდნენ და ლექციებს კითხულობდნენ. მერე დაიშალა ეს თეატრი, დაუფინანსებლობის გამო.

ამდენი თეატრი როგორ მოიარეთ? ყოველთვის რთული იყო თეატრში მონაწილეობა.

— ალბათ ჩემი ხასიათის „ბრალი“ იყო — არავის არც ერთი თეატრიდან არ გამოვუვდივარ. პირიქით, მეუბნებოდნენ — არ წახვიდეთ. მაგრამ რა ვქნა, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. მიზეზი ალბათ, ჩემს წარსულში იმალება, ბავშვობაში: ყოველთვის იმ ადგილს ვეძებდი, სადაც კარგად ვიგრძნობდი თავს, მაგრამ ვერ ვიპოვე...

ბოლო კითხვა — თუ რაზე სწავლება გული და რა იყო მის ცხოვრებაში ფასეული? — აღარც დამისვამს, ისედაც ყველაფერი ნათელია...

P.S. ჩემს დღევანდელ რესპონდენტს, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია, არც ტელეეკრანზე გამოჩენილა და არც კინოში, მაინც ბევრი თავყანისმცემელი ჰყავს. ბევრი კეთილისმსურველი ჰყავს იქ, თავის უბანშიც, ახმეტელის ქუჩაზე: ის ხომ ჩვენი კოლორიტი, ნიჭიერი, კეთილი ადამიანი — გრიშა ნიტიამვილი.

სოფელ ბოდბისხევში, იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმი დგას. დგასო, — საზგასმით იმიტომ ვამბობთ, რომ შესაძლოა, მალე ნანგრევებად იქცეს... მოშლილია ლობე, შესაკეთებელია ქერო, კედლები; ჩამტვრეულია ფანჯრები და ვიტრინები, სადაც ჩვენი გამოჩენილი წინაპრის პირადი ნივთები და სამუზეუმო ექსპონატები ინახება. წვიმისგან ყველაფერი დაზიანებული და განადგურებულია. კულტურის ამ მომცრო კერის ერთგული დარაჯი და ექსკურსიამძღოლი, იროდიონ ევდოშვილის ძმის — თომას შვილიშვილის მეუღლე, 69 წლის მარინა სოსიტაშვილია. ის, როგორც საკუთარ შვილებს, ისე უფლის და ესათუთება თითოეულ ნივთს. გული სტკოვა იმის გამო, რომ კულტურის სამინისტროს წერილობით რამდენჯერმე მიმართა და იქიდან არანაირი პასუხი არ მიუღია...

თორნიკე ყაჩიშვილი

— 1970 წლის აპრილში გავთხოვდი. ჩემი მეუღლე — იროდიონის ძმის შვილიშვილი, პაპის მოსახელე თადეოზ სოსიტაშვილია. მას შემდეგ მუზეუმის ეზოშივე არსებულ სახლში ვცხოვრობ და სახლ-მუზეუმის მეთვალყურე გახლავართ. აქ მოსული და აქაურობის მხილველი ნებისმიერი ადამიანი, არა მგონია, კმაყოფილი დარჩეს. მუზეუმი 1952 წელს გაიხსნა, ფუნქციონირება კი მოგვიანებით — 1955 წელს დაიწყო. უამრავი დამთვალეირებული მოდიოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს, რაც კიბე ჩამოინგრა და მეორე სართულზე დამთვალეირებლის მიღება საშიში გახდა, მუზეუმი დაკვეთეთ. ახლა თუ ვინმე გამოჩნდა,



მუზეუმი 1952 წელს გაიხსნა

„სანამ ერთ მუჭა მიწად ქცეულა მუზეუმი, მიწდა, კულტურის მინისტრს მივბარო...“

მხოლოდ პირველ სართულზე გამოფენილ ექსპონატებს ვათვალისწინებთ. ბევრჯერ მივმართეთ თხოვნით, როგორც კულტურის სამინისტროს, ასევე — ადგილობრივ გამგეობას. შეგვიპირდნენ, კიბეს და ჭერს შევაკეთებთო, მაგრამ შემდეგ, ხან რას იმიზეზებდნენ და ხან — რას, ვითომ ფინანსები არ ჰქონდათ და სამომავლოდ გადადებდნენ ხოლმე საქმეს... მოკლედ, დაპირება დაპირებად დარჩა. როცა აქაურობას ვალაგებ, მეშინია, თავზე რაჟე არ დამეცეს. უკვე რამდენიმე წელია, ამინდი რომ იცვლება, გული მიწუხდება:



მინები მთლიანად ჩამგრეულია და ღამით მაწანწალა ძაღლები შემოდიან

ძალიან მგრძობიარე სიტყვებს ამბობდა: „რა უნდა მომიზნალოთ? ბოდბისხევური მიწა, ჩემი გამჩენი და სატანჯველად გამზრდელი ერთი მუჭა მიწა“. სანამ მართლაც, ერთ მუჭა მიწად ქცეულა მუზეუმი, მიწდა, კულტურის მინისტრს მივმართო: მე, როგორც იროდიონის შთამომავლის მეუღლეს, გული მტკივა, რომ დღეს მუზეუმი ასეთ მდგომარეობაშია. 69 წლის ქალი ვარ და ჩემი ახალ-

წვიმის დროს, როგორც გარეთ, მუზეუმშიც ისევე წვიმს. ეს საყრდენ კედლებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. რამდენ ხანს გაუძლებს ეს შენობა ამას, არ ვიცი. ამასთან, თავგებობიც გაჩნდნენ და ყველაფერს ანადგურებენ. მინები მთლიანად ჩამტვრეულია და ღამით მაწანწალა ძაღლები შემოდიან. იროდიონის პირადი ნივთები ღია ვიტრინებშია — თითქმის ყველა დაზიანებულია. აქაურობას არც ღამის დარაჯი ჰყავს.

— **ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში, რამდენი ჯგუფია აქ ექსკურსიაზე ნამყოფი?**

— წლების წინ, დღეში ექვს-შვიდ ჯგუფს ვიღებდით, მათთან ლაპარაკით ვიღლებოდი, მაგრამ ამისგან დიდ ენერჯიას ვიღებდი კიდევ. ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, რომ არ მოგატყუოთ, ალბათ, ოთხი-ხუთი ექსკურსია თუ იქნება აქ ნამყოფი. ისე, რომ ვთქვათ, შეიძლება, ამ პირობებში ვინმეს შემოყვანა?! რა დავათვალისწინებთ?!

— **რამდენი თანამშრომელი ჰყავს მუზეუმს?**

— სამნი ვართ: დირექტორი, ერთი მეცნიერი მუშაკი და მე — მეთვალყურე. სამივე ყოველდღე ვიკრიბებით, ვსხდებით და ვფიქრობთ, როგორ მოვიქცეთ, ვის მივმართოთ, როგორ გადავარჩინოთ აქაურობა!

— **რამდენი გაქვთ ხელფასი?**

— პირადად მე — 17 ლარი. 36 ლარი აქვს დირექტორს, 33 — მეცნიერ მუშაკს. ამ მიზერულ ხელფასს ყოველთვე ვიღებდით, მაგრამ 3 თვეა,

ისიც არ აგვიღია. ახლა ხელფასების მომატებაზეა ლაპარაკი, მაღე აიღებთო, — გვეუბნებიან. 17 ლარით არსებობა ხომ შეუძლებელია! ამიტომ, ჩემი შემოსავლის წყარო — ვენახია. მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი, როგორც შემოქმედი, მუზეუმს ვუპატრონო, თუმცა იმდენი შემოსავალი არ მაქვს, რომ შენობის ჭერი საკუთარი სახსრებით შევაკეთო.

— **იროდიონის შვილთაშვილები სად არიან? ყურადღებას არ აქცევენ?**

— ორი შვილთაშვილი ჰყავდა. ისინი თბილისში ცხოვრობენ. ერთერთი — იროდიონის მოსახელეცაა, პროფესიით ფსიქიატრია. 1992 წლის შემდეგ, რაც იროდიონ ევლოშვილის ნაწარმოები სკოლის სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს, ისინი აქ აღარ ჩამოსულან...

— **უცხოელი დამთვალისწინებელი თუ გყლიათ სტუმრად?**

— როგორ არა?! უცხოელები უფრო, კომუნისტების პერიოდში გვსტუმრობდნენ... იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როდესაც დამთვალისწინებლებს შენი ქვეყნის საამაყო შვილის შესახებ, მათთვის მანამდე უცნობ ამბებს უყვები. აქ ძალიან ბევრი აცრემლებული თვალიც მასხოვს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმ პერიოდზე ვლაპარაკობდი, როდესაც იროდიონს გადასახლებაში გზავნიდნენ. მასთან თურმე უამრავი მნახველი მიდიოდა და ეკითხებოდა: „იროდიონ, რა მოგიზნალოთ, რას ნაიღებ გადასახლებაში?“ ის კი,

გაზრდობა ამ მუზეუმის მოვლაპატრონობაში ვავატარე. ხვალ შეიძლება, აღარ ვიყო ამქვეყნად და აქაურობა, რომელსაც წლების განმავლობაში ბავშვივით ვუვლიდი, შეიძლება, საბოლოოდ განადგურდეს... ვთხოვ კულტურის სამინისტროს — იქნებ, გულთან ახლოს მიიტანოს ჩვენი გულისტკივილი და დანგრევის პირას მისული მუზეუმი გადავარჩინოთ, რათა მომავალ თაობას შემოვუნახოთ ჩვენი ისტორიის ერთი ფურცელი.



ახლა თუ ვინმე გამოჩნდა, მხოლოდ პირველ სართულზე გამოფენილ ექსპონატებს ვათვალისწინებთ

მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმერ სუხოდაევი



დასანწყისი იხ. „გზა“ №44-17

ბილწაული გამარჯვების საფასური

დიდი სამამულო ომის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემა — მასში მიღწეული გამარჯვების ფასია. ეს პრობლემა ძალზე მჭიდროდა დაკავშირებული სტალინის, როგორც დიდი სამამულო ომის მხედართმთავრის მოღვაწეობის შეფასებასთანაც. განსაკუთრებული სიმწვავე გამარჯვების ფასის საკითხმა ამ უკანასკნელ წლებში შეიძინა მასზე მსჯელობისას, როგორც ფოკუსში, ისე კონცენტრირდება მთლიანად ომისა და მისი ცალკეული პერიოდებისა თუ ოპერაციების შეფასების უმნიშვნელოვანესი ასპექტები. ამასთან, ემოციური დამოკიდებულება პრობლემის არსს ფარავს და მცდარ შეფასებებს წარმოშობს. ხშირად ეს საკითხი პოლიტიკური სპეკულაციის საგნად იქცევა, რაც ძალზე შორსაა მისი გადამწყვეტისადმი მეცნიერული მიდგომისგან.

მაგალითად, ჟურნალისტებისა და ისტორიკოსების გარკვეული ნაწილი ყველანაირად აზვიადებს მითს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა დიდ სამამულო ომში გამარჯვებისკენ ისე მიდიოდა, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დანაკარგებს, მსხვერპლს, მიაბიჯებდა სისხლის ზღვაში და მტერს თავისი ჯარისკაცე-

ბის გვამებში მარხავდა. ამ აზრის დამკვიდრებაში თავისი წვლილი შეიტანა დმიტრი ვოლკოგონოვმაც. მისი თქმით, „სტალინის საესებო უგრძობი იყო ომით გამოწვეული აურაცხელი ტრაგედიის მიმართ. ის მიისწრაფოდა იმისკენ, რომ მაქსიმალური ზარალი მიეყენებინა მტრისთვის და არასოდეს ფიქრობდა იმაზე, თუ რა ფასად დაუჯდებოდა ეს საბჭოთა ხალხს. ათასობით, მილიონობით სიცოცხლე მისთვის კარგა ხანია, მშრალ, ბიუროკრატიულ სტატიკად ქცეულიყო“. ვოლკოგონოვის მოსაზრებას იმეორებენ „დემოკრატიული“ ბანაკის სხვა წარმომადგენლებიც. მაგალითად, ა. მერცალოვი და ლ. მერცალოვა წერენ, რომ „სტალინისა და მის ხელქვეითებს გამარჯვების ფასი არ აინტერესებდათ“. მწერალი ასტაფიევი ირწმუნება: „დაიხ, ბერლინამდე ჩვენ მივალნიეთ, მაგრამ როგორ? ხალხი, რუსეთი კოცონში დანვებს, სისხლში ჩახარჩვს. ბრძოლა არ ვიცოდით, მხოლოდ 1944 წელს დავამყარეთ წესრიგი და დავიწყეთ ტყვია-ნაშლის, ჭურვების, სიცოცხლის აღრიცხვა... მაგრამ სანჯავის, ჭურვების, ტყვია-ნაშლის არსებობა ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა, ხოლო ხალხისა — უკანასკნელ ადგილზე“.

ახლა ვნახოთ, რამდენად საფუძვლიანია ეს მოსაზრებები. უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ, შეიძლება თუ არა ასე მისდგომოდა ომში განცდილ დანაკარგებს, გამარჯვების ფასს საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობა და შეიარაღებული ძალების სარდლობა.

გამარჯვების დიდი საფასური მუდამ იმალებოდა გამარჯვების დამარცხებად გადაქცევის საშინელ საფრთხეში. ეს ჭეშმარიტება კაცობრიობამ ჯერ კიდევ უძველეს ხანაში აითვისა, მეფე პიროსის მაგალითზე. ჩვ.წ.აღ-მდე 279 წელს, აუსკულთან, ჩრდილოეთ აშულიაში (იტალია) სასტიკი, ორდღიანი ბრძოლა გაჩაღდა. მეორე დღის დასასრულს, მეფე პიროსმა რომაელთა წინააღმდეგობა გატეხა. მაგრამ მისი დანაკარგები იმდენად დიდი იყო, რომ მას ასეთი რამ ათქმევინა: „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და არც ერთი მებრძოლი აღარ დამარჩება“. იმ დროიდან მოყოლებული, გამოთქმა — „პიროსის გამარჯვება“ — საყოველთაოდ ცნობილი გახდა — ის ნიშნავს გამარჯვებას, რომელსაც უდიდესი გაუმართლებელი მსხვერპლი მოჰყვა, გამარჯვებას, რომელსაც გამარჯვებულმა მხარემ საკუთარი ძალების გამოფიტვის ხარჯზე მიუღწია და რომელმაც ის შემდგომში, მარცხისთვის გამოიწვია.

სწორედ „პიროსის გამარჯვების“ ფარული საფრთხე იქცა საშინელ საფრთხილედ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეთა და

მხედართმთავართათვის. ასეთ გამარჯვებას არმიის დამარცხებამდე, უბედურებამდე მიჰყავდა ქვეყანა. სწორედ ასეთი შედეგების საშიშროებას ითვალისწინებდა კუტუზოვი 1812 წელს, როდესაც მიიღო მძიმე გადაწყვეტილება — არ გაეგრძელებინა ბოროდინოს ბრძოლა და მოსკოვი დაეტოვებინა მტრისთვის. არმიის შენარჩუნებით ის რუსეთის გადარჩენას ლამობდა. ისტორიამ მისი გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა...

ალსანიშნავია უინსტონ ჩერჩილის გამონათქვამი ამ საკითხთან დაკავშირებით. მოლოტოვთან მოლაპარაკების დროს, 1942 წლის ივნისში, ის ამბობდა: „ომის მოგება შესაძლებელია წარმატებული ოპერაციებით. თუ წარმატების მცირედი შანსი მაინც არ იქნება, მაშინ არასოდეს წამოვიწყებ ოპერაციას. უმაღლესად ვარ, დავეტოვო პრემიერ-მინისტრის პოსტი, დაე, ვინმე სხვამ აიღოს პასუხისმგებლობა მსგავს ნაბიჯზე. თუ ოპერაციის წარმატების რაიმე შანსი მაინც დავინახავ, მაშინ მზად ვარ, ამ წარმატების საფასური მსხვერპლით გადავიხადო. მზად ვარ, გამარჯვებისთვის ნებისმიერი საფასური გავიღო“.

ზემოჩამოთვლილ მიზეზთა გამო, ვერც ერთი სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა გულგრილად ვერ მოეციდება ომში დანაკარგების საკითხს, გამარჯვების საფასურს.

იბადება კითხვა — იცოდა კი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ ეს, თითქოსდა ანბანური ჭეშმარიტება? შეგვიძლია კი იმაზე მსჯელობა, თუ როგორ განიხილავდა სტალინი ამ პრობლემას? არსებობს მთელი რიგი დოკუმენტებისა და ფაქტებისა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი გავცეთ: ქვეყნის ხელმძღვანელობას პრობლემა საკმარისად ღრმად ჰქონდა გააზრებული და სერიოზულად განიხილავდა ომში დანაკარგების საკითხს ჯერ კიდევ ომამდელ წლებში.

1940 წლის 17 აპრილს წითელი არმიის ხელმძღვანელთა თათბირზე გამოსვლისას, სტალინი დაბეჯითებით, მკაცრად მიუთითებდა იმის აუცილებლობაზე, რომ საჭირო ზომები მიიღოთ დანაკარგების შესამცირებლად, მოსალოდნელ ომში. იგი ამბობდა: „...ლაპარაკი იმაზე, რომ საჭიროა მიზანში მოსვლა და არა მოედნების მიმართულებით, საჭიროა ჭურვების დაზოგვა, — ისეთი სისულელეა, რომელსაც შეუძლია დაგვლეუროს. თუ საჭიროა, რომ დღეში 400-500 ჭურვი გავუშვათ, რათა მოწინააღმდეგის ზურგი გავანადგუროთ, რათა მტრის წინა ხაზი გავანადგუროთ, რათა სიმრდიე წავართვათ მას, არ მიეცეთ საშუალება დაიძინოს, — ამისთვის ჭურვები და ტყვია-ნაშაბი არ უნდა დაეზოგოთ...“

ვისაც სურს, ომის სათანადოდ, თანამედროვედ წარმართვა და გამარჯვების მოპოვება, ის ვერ იტყვის, რომ საჭიროა ყუმბარების დაზოგვა. სისულელეა, ამხანაგებო. რაც შეიძლება მეტი ყუმბარა უნდა დაეუშინოთ მოწინააღმდეგეს, რათა გავაყრუოთ იგი, ამოვაყრავოთ მისი

ქალაქები, — მხოლოდ ამ შემთხვევაში მივალნევეთ გამარჯვებას. რაც უფრო მეტ ჭურვს, მეტ ტყვიან-ნამალს მივცემთ ჩვენს ჯარისკაცებს, მით უფრო ნაკლები იქნება ადამიანთა მსხვერპლი. თუ დავინანებთ ტყვიან-ნამალს და ჭურვებს, მსხვერპლი მეტი იქნება. არჩევანი ასეთია: მეტი ჭურვი და ტყვიან-ნამალი მივცეთ ჯარს, დავზოგოთ ჩვენი არმია, შევინარჩუნოთ ძალები, მინიმუმამდე დავიყვანოთ მსხვერპლი თუ დავზოგოთ ყუმბარები, ჭურვები?.. საჭიროა, დავუშინოთ მეტი ჭურვი, და ტყვიან-ნამალი მოწინააღმდეგეს, დავზოგოთ საკუთარი ადამიანები, შევინარჩუნოთ ჩვენი არმიის ძალები... თუ დავზოგავთ ყუმბარებს და ჭურვებს, მაგრამ არ დავზოგავთ ადამიანებს, ნაკლები მებრძოლი გვეყოლება. თუ გინდათ, რომ ომში ნაკლები სისხლი დავლავართ, ნუ დაზოგავთ ნაღმებს“.

მონოდება, დაზოგავთ ადამიანები, შევინარჩუნებინათ არმიის ძალები, ებრძოლათ ნაკლები სისხლით, ბელადის გამოსვლაში შელოცვასავით ჟღერდა. და შემთხვევითი როდი იყო, რომ ლოზუნგი — „ვიბრძოლოთ მცირე სისხლით, სხვის ტერიტორიაზე“ — ომამდელ წლებში მონოდებასავით ჟღერდა, რომელსაც სავალდებულო ხასიათი მიენიჭა.

დანაკარგების საკითხს, გამარჯვების საფასურის საკითხს სტალინი უდიდეს ყურადღებას ომის წლებშიც აქცევდა. ეს ახლა გაეხსნათ მის კრიტიკოსებს ჭარბი ბულალტრული მიდგომის გამოვლენის მადა. უგულბებლყოფენ ყველაფერს — კონკრეტულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციას, სტრატეგიული და ტაქტიკური ოპერაციების მიზნებს, მათ საბრძოლო უზრუნველყოფას და ა.შ. სტალინი პოლიტიკოსი იყო, კონკრეტული სიტუაციის შეფასებაც შეძლო და მომავლის განჭვრეტაც. ის საბოლოო გადაწყვეტილებებს კონკრეტული, მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის შესახებ იღებდა. საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს ძლიერების შენარჩუნების ამოცანას, რათა საბჭოთა კავშირი ომიდან მძლავრი გამოსულიყო და ძლიერი არმია შეენარჩუნებინა. ეს კი უშუალოდ ომის შედეგებს უკავშირდებოდა, იმას, თუ რა ადგილს, რა პოზიციებს დაიკავებდა ჩვენი სახელმწიფო ომის შემდგომ მსოფლიოში.

იმას, რომ საბჭოთა კავშირის დანაკარგების საკითხი სტალინის დიდ ყურადღებას იწვევდა, მრავალრიცხოვანი დოკუმენტები ადასტურებს. მაგალითად, 1942 წლის 27 მაისს, 21 საათსა და 50 წუთზე სტალინმა ტიმოშენკოს, ხრუშჩოვსა და ბაგრატიანს ასეთი დეპეშა გაუგზავნა:

„უკანასკნელი 4 დღის განმავლობაში უმაღლესი შტაბისგან ითხოვთ ახალ-ახალ შეიარაღებას, ახალ დივიზიებსა და სატანკო შენაერთებს შტაბის რეზერვებიდან. გაითვალისწინეთ, რომ შტაბს არ გააჩნია საბრძოლველად მზადყოფი ახალი დივიზიები, რომ ეს დივიზიები ჯერაც გაუწვრთნელია და ახლა მათი ფრონტზე გაგზავნა იმას ნიშნავს, რომ მტერს იოლი გამარჯვება „მივართვით“. გაითვალისწინეთ, რომ

ჩვენი რესურსები შეიარაღების მხრივ, შეზღუდულია და ისიც გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ფრონტის გარდა, ჩვენ სხვა ფრონტებზეც გვაქვს. განა არ დადგა დრო, ისწავლოთ ბრძოლა ისე, რომ ცოტა სისხლი დაღვაროთ, როგორც ამას გერმანელები აკეთებენ? ბრძოლა რიცხობით კი არ უნდა წარმართოთ, არამედ — მოხერხებულობით. თუ თქვენ არ ისწავლით ჯარების უკეთ მართვას, მთელი შეიარაღებაც კი არ გვეყოფათ, რომელსაც მთელ ქვეყანაში ვანარმოვებთ.

გაითვალისწინეთ ყველაფერი ეს, თუკი გსურთ, ოდესმე ისწავლოთ მტრის დამარცხება და ის, რომ არ „მიართვათ“ მას იოლი გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიარაღება, რომელსაც უმაღლესი შტაბიდან მიიღებთ, მტრის ხელში გადავა, როგორც ეს ახლა ხდება“.

ყველა ომი, გამარჯვებისთვის გასაწევი საფასურის თავისებურებით გამოირჩევა. ეს მით უმეტეს ეხება დიდ სამამულო ომს, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს — არც ბრძოლის დაძაბულობითა და სისასტიკით, არც ფრონტის კოლოსალური მასშტაბითა და ა.შ.

მამ, რა შეიძლება ითქვას ამ საკითხზე, დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით?

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ მთელი რიგი ობიექტური ფაქტორების გამო, გამარჯვება ამ ომში არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც იოლი და არც ნაკლებსისხლიანი. საბჭოთა არმია ებრძოდა უძლიერეს სამხედრო კოალიციას, რომელსაც ფაშისტური გერმანია ედგა სათავეში. ის ყვრდნობოდა ევროპის დაპყრობილ ქვეყანათა რესურსებს. ვერმანტის შეიარაღებაში იმ დროისთვის ყველაზე მონინავე ტექნიკა იყო. მისი გასაოცარი შესაძლებლობები განუზომლად უფრო დიდი იყო, ვიდრე პირველ მსოფლიო ომში. როცა გერმანიამ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ომი დაიწყო, ის საკუთარი ძლიერების პიკში იმყოფებოდა და ისეთი ძალის დარტყმა მიაცენა მას, როგორც მანამდე არავის ეწვინა.

თუ 1940 წლის დასაწყისში, როცა გერმანიამ თავისი აგრესია საფრანგეთის წინააღმდეგ (ოპერაცია „გელბი“) წარმართა, მას დასავლეთის ფრონტზე 136 დივიზია ჰყავდა (მათგან 17 — სატანკო და მოტორიზებული), საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთვის (ოპერაცია „ბარბაროსა“) გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა უკვე 190 დივიზიას მოუყარეს თავი (მათგან 33 — სატანკოს და მოტორიზებულს). ძალების ასეთივე მკვეთრი ზრდა მოხდა სხვა მაჩვენებლების მიხედვითაც: პირადი შემადგენლობა: 3,3 მილიონი კაცი და — 5,5 მლნ; ტანკი დაახ-

ლოებით 2,6 ათასი და 4,3 ათასი; საბრძოლო თვითმფრინავები — 3,8 ათასი და — 4980. საბჭოთა კავშირი ამ ძალას მარტოდმარტო დაუპირისპირდა, მაშინ, როცა 1940 წელს საფრანგეთის მხარეს, მისი მოკავშირეებიც იბრძოდნენ.

ერთ-ერთი ინგლისელი პარლამენტარი 1941 წლის აგვისტოში წერდა: „მკანკალებს იმის გაფიქრებაზეც კი, თუ რა ბედი შეიძლებოდა სწვეოდა დიდ ბრიტანეთს, თუ მარტოდმარტო მყოფებს, თავს დაგვესხმოდნენ ისეთივე ძალებით, როგორითაც ჰიტლერმა რუსეთის წინააღმდეგ დაიწყო შეტევა“.

გარდა იმისა, რომ 1941 წლის ზაფხულისთვის მკვეთრად მოიმატა ფაშისტური ბლოკის საბრძოლო ძლიერებამ, ვერმანტსა და მის გენერლებს კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ — ეს იყო მსხვილმასშტაბიან საომარ ოპერაციებში გამარჯვების მიღწევის გამოცდილება, რომელიც ევროპის სხვა ქვეყნებთან ომებში დაუგროვდათ. ამგვარად, 1941 წლის შუახანების ვერმანტი ბევრად ძლიერი იყო, ვიდრე 1939 წელს, პოლონეთთან ომის დროს და 1940 წელს — საფრანგეთთან ომის დროს. 1944 წლის შუახანებში, როცა, ბოლოს და ბოლოს, ევროპაში მეორე ფრონტი გაიხსნა, მისი საუკეთესო დივიზიები უკვე გადასროლილი იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ასე რომ, უძლიერეს მტერთან ბრძოლისას საბჭოთა არმია ვერაფრით გაეცეოდა დიდ მსხვერპლს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ. გვ. 8

რამდენი იზარალა საქართველოს ბიუჯეტმა იმის გამო, რომ აფხაზეთსა და ენ. სამხრეთ ოსეთში მათი კავშირი არ ვრცელდებოდა. მაშინ რუსულ გაზეთში, „კომერსანტი“, მახსოვს, რუსული ფიჭური კომპანიების თავის მართლების შემცველი კომენტარები გამოქვეყნდა: ფიზიკური პირები თავად ავრცელებენ აფხაზეთში, თორემ ჩვენ ოფიციალურად არ ვმუშაობთ და თუ ამ საკითხს საქართველო სტრასბურგში დააყენებს, პრობლემები შეგვექმნებაო. ამის შემდეგ კი რუსულმა ფიჭურმა კომპანიამ სისხშირე ოფიციალურად, საქართველოში შეისყიდა და ეს კავშირი კონფლიქტურ ზონებში ვრცელდება.

— თვითონ სეპარატისტები კი აფხაზეთში ნლების განმავლობაში მოქმედებდნენ...

— დიას, სეპარატისტული ხელმძღვანელობა სწორედ იმ კომპანიების მეშვეობით აპირებდა ბიზნესის წარმოებას. რამდენადაც მახსოვს, ბალაფში წინასაარჩევნოდ, 50 მილიონის ინვესტირებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ჩვენი მოთხოვნის შემდეგ ეს პროექტი შეჩერდა. რაც შეეხება მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრას, — იმ შემთხვევაში, თუ ინტერპოლი ამ საქმით დაინტერესდა, მათ დასასჯელად, საკმაო არგუმენტები გვაქვს.

პაატა დავითია, კონფლიქტოლოგი:

— სეპარატისტებისა და რუსი ბიზნესმენების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ჯერ კიდევ 2002 წლიდან ვითხოვდი. მაშინ ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, სიტუაცია აქამდე არ მივიდოდა. რაც დამოუკიდებელ იურისტს შეეძლო, ყველაფერი გააკეთე, ჰააგაში დიდი ბრძოლის შემდეგ ამ საქმეს კვალიფიკაცია მიეცა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ ჩემი ხეწნა-მუდარა არაფერად ჩააგდო. ამიტომაც მივიდა აქამდე რუსეთი, ამიტომაც გათავხედდა ასე და ლამის თავის პროვინციად გამოაცხადა აფხაზეთი. მაშინ ჩვენი ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებდა: მთავარი დამნაშავე, სერგეი შამბა „მედიანში“ აქეიფეს, ეგონათ, აფხაზეთს დაუბრუნებდა... ახლა ასეთი ქმედებები, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულია. მაგრამ თუკი ამ საქმეს ბოლომდე გაჰყვებიან, 2-3 თვეში შეიძლება, შედეგსაც მივაღწიოთ.

— მიგაჩნიათ, რომ ინტერპოლი რუსი ბიზნესმენების წინააღმდეგ მართლა აღძრავს საქმეს?

— რატომაც არა?! მაგრამ ამას სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება და თუ ასე მოხდა, იზოლაციაში მოვაქცევთ სეპარატისტებს და მოსკოვის მერია და მთავრობა აფხაზეთში ოფიციალურ ხელშეკრულებებს ვეღარ გააფორმებენ. რაც შეეხება აფხაზ სეპარატისტებს, — იმ შემთხვევაში, თუ ინტერპოლმა მართლა აღძრა მათ წინააღმდეგ საქმე, არც მათი დაკავება იქნება პრობლემა. თუ ისინი დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას, მათი აყვანა უპრობლემოდ შეიძლება.

„ხელისუფლების არ მხარს, როგორცის არ მჭარა!“

ცნობილი მწერლის ნათქვამის მოტივება აგებული, ამომრჩავლის ბაზილ-მწარე ფიქრები...

მორენა ჭიჭიჭიძე

ხომ გაგიგონიათ ანდაზა — ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი? მერე ვილაცას დაუმატებია, — ოღონდ იმდენი არ ზომო, რომ შემდეგ გაჭრა სულ დაგავიწყდესო... მგონი, ჩვენს მმართველ პარტიასაც ზუსტად ასე მოუვიდა: იფიქრესიფიქრეს და კინაღამ დეპუტატობის კანდიდატთა სიის შედგენა არ დაავიწყდათ?! ისე, ან თავად რას წარმოიდგენდნენ, რომ ასე გაუჭირდებოდათ 200 ერთგული ტაშისდამკვერელის ამორჩევა, თორემ წინასწარ არ იხალისებდნენ, — „გაერთიანებული ოპოზიციონერები“ საპარლამენტო სიების შედგენისას ერთმანეთს დაჭამენო. ავად თუ კარგად, მათ ამ ამოცანას მაინც დროულად გაართვეს თავი. აი, „ნაციონალებმა“ კი თავიანთი სიები, ექვს რომ სამწუთ-ნახევარი აკლდა, ზუსტად მაშინ შეიტანეს ცესკოში, სირბილ-სირბილით. თანაც, ის სიები ასევე სირბილით შედგენილი რომ იქნებოდა, ამას თუნდაც №1 კანდიდატის ბოლო წუთს გაკეთებული განცხადება მოწმობს.



თუკი მაინც წასვლა ჰქონდა ჩაფიქრებული, თავის დროზე რაღას დაწყვიტა ის ხალხი შიმშილით

ისე, პარლამენტის თავმჯდომარემ, როგორც თავად განაცხადა, კონსენსუსს თანაგუნდლებთანაც (უკაცრავად, ყოფილ თანაგუნდლებთან) ვერ მიიღწია და ოპოზიციის ლიდერებთან რას მოახერხებდა?! ჩვენში დარჩეს და, თუკი მაინც წასვლა ჰქონდა ჩაფიქრებული, თავის დროზე რაღას დაწყვიტა ის ხალხი შიმშილით, მის გადადგომას რომ ითხოვდა?.. კარგო, — ეთქვა მაშინ ეს ერთი სიტყვა და მისი საქციელიც უფრო ადეკვატური იქნებოდა, ხოლო ნანინანატრი კონსენსუსი, ბოლოს და ბოლოს — მიღწეული. მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ უგულავა ბურჯანაძის მეგობარია, ბურჯანაძე კი ალარავის ემეგობრება და მაშინ, როცა ხელისუფლებაში ცალმხრივი მეგობრობა აქვთ, ბუნებრივია, ამას შედეგებიც ცალმხრივი მოჰყვება. ისე, ქალბატონმა ნინომ მახსოვს, ადრევე გამოხატა თავისი უკმაყოფილება „ერთიან გუნდთან“ დაკავშირებით — ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების დროს — და მაშინ ამას ქუთაისში რამდენიმე კაცის დაპატიმრების ცნობილი შოუ მოჰყვა. მერე კი ალბათ დარჩენილი მხარდამჭერების უსაფრთხოების მიზნით, კარგა ხნით ჩაიგუბა პირში წყალი, მაგრამ, როგორც ჩანს, დღეს უკვე საბოლოოდ გაუწყდა მოთმინების ძაფი. მართალია, განცხადება გუნდიდან წასვლის თაობაზე ისე კორექტულად გააკეთა (ტყუილად კი არ ჰქონდა, კარგა ხანს, ყველაზე კონსტრუქციული და თავშეკავებული პოლიტიკოსის იმიჯი), ერთი საყვედურიც არ დასცდენია ხელისუფლების მისამართით. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ გავიხსენოთ: მმართველი გუნდიდან ირაკლი ოქრუაშვილის წასვლაც ასევე კორექტულად მოხდა, რაც მოგვიანებით გადაიზარდა „თვალებიდან ცეცხლის ფრქვევაში“. ასე რომ, დიდად არ გამიკვირდება, თუ ერთ



ოპოზიციონერებმა ბევრი ცალახი ესროლეს ერთმანეთს...

დღეს ქალბატონ ნინოს კვლავ პოლიტიკაში დაბრუნებულს ვიხილავთ, ოღონდ ამჯერად — გმირი ქალის იმიჯით...

იმიჯის შეცვლაზე გამახსენდა — ამას წინათ ძველ გაზეთებში ვიქექებოდი და ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილის ერთ საინტერესო ინტერვიუს გადავანწყდი. უფრო ზუსტად, ამ ინტერვიუში ერთ საინტერესო წინადადებას: „გამორიცხულია, რომ მე ვიყო სხვა პარტიის „ბეტერი“, გარდა „მოქავშირისა“ და ამის ილუზიები ნურავის ექნება“. რა ამის პასუხია, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობას თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ქალბატონი ხათუნა მართლაც, კვლავაც რჩება „მოქავშირის“ „ბეტერად“. და პარლამენტის წევრთა კანდიდატების სიაშიც, ყოველგვარი ილუზიის გარეშე, მუდმივად გარანტირებული ადგილი აქვს. თანაც, როგორც ჩანს, ჯერ ისევ საბრძოლო მზადყოფნაშია და გუნდის „გადიარაღებისას“, „საწყობში“ გადაბარგება არ ეშუქრება — ზოგიერთი, ძალზე ცნობილი და პოპულარული (თუ ექსპოპულარული?) სახისგან განსხვავებით...

ვიდრე „ნაციონალები“ საპარლამენტო სიების გამო არჩევნებში კინალამ თამაშარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ამასობაში ოპოზიცია — ტრადიციულ ქართულ სადღეგრძელოს დავესხები — „დამლა-არმოშლის“ სტრატეგიამ სულ მთლად გადაიყვანა ჭკუიდან და საითაც გაიხედავენ, ყველგან მტრები ელანდებათ. მაგალითად, ლეიბორისტები, რომლებიც გუშინ გაერთიანებაზე ლაპარაკობდნენ, დღეს თავიანთ ლოზუნგს ახალ მოწოდებ-

ბას ამტებენ: „საქართველო „ნაცმოძრაობის“ და რესპუბლიკელების გარეშე!“ ბატონ ელიზბარ ჯაველიძესთან ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, სიმაართლე გითხრათ, ტანზე ეკლებმა დამაყარა და რესპუბლიკელების მისამართითაც, შეშინებულმა, — ფუი, ეშმაკს-მეთქი! — ვიძახე. ახლა გაერთიანებულ ოპოზიციას არ იკითხავთ?! როგორც იქნა, ძლივს „შეკონინდნენ“ ისევ, მაგრამ — რად გინდა?! გიორგი გუგავამ ყოფილი თანამოაზრეების ქმედებებზე სულ „პოლიტიკური პროსტიტუცია“ იძახა (ისე, ორივე, უძველესი პროფესია კია და თუ დავუფიქრდებით, აქვს ერთიმეორესთან რალაც საერთო...). მისაშვილი კი დიდი ხანია, უკვე „გამყიდველის“ სტატუსით სარგებლობს, თუ არ ვცდები — იმაზე უფრო დიდი ხანი, ვიდრე ერთიანი ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, „ახალი მემარჯვენეებიც“ მოლაღატებდად გამოცხადდებოდნენ, მანამ, ვიდრე მოგვიანებით, გმირები გახდებოდნენ, იმიტომ, რომ იმიშვილეს იმის გადადგომის მოთხოვნით, ვინც შემდეგ, საკუთარი ნებით გადადგა, რადგან საკუთარ გუნდთან კონსენსუსს ვერ მიაღწია (არადა, სულ ცოტა ხნის წინ ოპოზიციასთან ცდილობდა მის მიღწევას). გაიგეთ რამე?.. მაინცდამაინც, თავსაც ნუ აიტკივებთ, საინტერესო მაინც არაფერია.

მოკლედ, ამ ოპოზიციონერებმა ერთმანეთს იმდენი ტალახი ესროლეს, თითქოს ხელისუფლებისგან არ ჰყოფნიდეთ, რომ ლამისაა, ირაკლი წერეთელს დავეთანხმო, — ქართველი ხალხი მანამ იქნება უგუნური, სანამ პრეზიდენტად არ

ამირჩევენო...

ბატონი რეზო ჭეიშვილი გულისტკივილით ამბობს: „ხელისუფლების არ მწამს, ოპოზიციის არ მჯერა!“ ოხუნჯობის ხასიათზე რომ ვიყო, შეგვადრებდი ქართველ პროზაიკოსს, — ვისაც გვეჯერა, ისინი მაინც გაგვატარეთ-მეთქი, — მაგრამ ვაი, რომ სახუმაროდ ნაკლებად გვაქვს საქმე და ბატონ რეზოსაც უხმოდ ვეთანხმები.

P.S. პოლიტიკოსთა ბოლოდროინდელი გამოსვლებიდან, ყველაზე მეტად, ბატონი გიგი უგულავას დაპირება დამამბსოვრდა: ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს არც თავის ცოდვებზე დაფუნყებთ დავას და არც მამამისისა და მისი მეუღლის საქმიანობის ქექვას შეეცდება ვინმეო. ხომ გაგიგონიათ — აღდგომა და ხვალეო?! პოდა, ორივე ძალიან ახლოსაა. ძლიერნი ამა ქვეყნისა ქება-დიდებას არც ან უკვე შერისხული სხვა თანაგუნდელების მიმართ იშურებდნენ, მაგრამ გაფრენილ სიტყვას თუ მერე უკან ვეღარ აბრუნებდნენ, ყოველ შემთხვევაში, მისი შეცვლაც არ წარმოადგენდა დიდ პრობლემას. ამიტომაც, ნუ გაფუნყრებთ მოვლენებს, დაველოდოთ: თუ პარლამენტის თავმჯდომარე (სულ მალე — ყოფილი), თუნდაც შეპარვით, მაგრამ მაინც გააგრძელებს ლაპარაკს ხელისუფლების შეცდომებზე, კვლავ ძალაში დარჩება თუ არა „ცალმხრივი“ მეგობრებისგან ხელშეუხებლობის პირობა... თუმცა, თუ იმდენი მოახერხა და ქვეყნის პირველი პირის უკმაყოფილება დაიმსახურა, სამაგიეროდ, შესაძლოა, ერთიან ეროვნულ საბჭოშიც კი მიიღოს „განახლებული ლიდერის“ ადგილი... ■

გაპოვიდა პაისის ნომერი!

№5 **საქართველო** **საქართველო**

თბილისი

• მამია ჰამიაშვილი-100

პრობა

- ნეკეა მუხაძე
- ნინო მუხაძე
- ენა ქაი
- შიშა ნიქელა

პოეზია

- მანანა ჩიქოძე
- ნეკეა მუხაძე
- ქეთი მუხაძე
- ენა ქაი

თარგმანი

- ენა ქაი
- ნინო მუხაძე

ლოცვა

- ნინო მუხაძე
- ენა ქაი

თქვენ სოციალური მედიის მეშვეობით...



ნარკომაფია

მილიციის თანამშრომლებმა მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტში ტაჯიკეთის მოქალაქე, 58 წლის ქალბატონი დააკავეს, რომელიც 3,5 კგ ჰეროინის გატანას ცდილობდა. მოსკოვის პოლიციამ გამოძიება დაიწყო. სამართალდამცველები ნარკოტიკების წყაროსა და რეალიზაციის არხების დადგენას ცდილობენ.

რობოტების სამყარო

ამერიკელი ტელემაყურებელი უკვე კარგად იცნობს ატლანტელ პაბის მფლობელს, რომელმაც ძველი სკუტერის, საოჯახო სიგნალიზაციისა და დამსხვრეული ავტომობილების უსარგებლო ფარებისგან მცველი-რობოტი შექმნა, რომელიც ადამიანებს ელაპარაკება და პაბს წყლის ქვეშის მეშვეობით იცავს... თუ ნაგავსაყრელზე მოგროვებული ჯართით ასეთი რთული მექანიზმის შექმნა შეიძლება, ძნელი წარმოსადგენი არაა იმ რობოტების შესაძლებლობები, რომლებსაც ლაბორატორიებში ათასობით სპეციალისტის თავდაუზოგავი შრომის ფასად ქმნიან! ფანტასტთა მიერ წიგნებში აღწერილი მომავალი თითქმის კარს



მოგვადგა. მეცნიერებმა უკვე ნებისმიერი დანიშნულების რობოტები შექმნეს. მათ ყველაფერი ძალუძთ: აუზის დასუფთავებით და თოვლის განმწმენდით დაწყებული, მეგობრული ურთიერთობით და ფეხბურთის თამაშით დამთავრებული...

500-პროიანი ჯარიმა – 167.000-ად ღირებული ავტომობილის დამსხვრევისთვის

როგორც ცნობილია, „ბონდიანის“ ახალი ფილმის გადაღებისთვის განკუთვნილი ავტომობილი — Aston Martin DBS — მძღოლის გაუფრთხილებლობის გამო, ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთ ტბაში ჩაიძირა. მძღოლმა მანქანიდან თავის დაღწევა და ამოყვინთვა შეძლო. დაზარალებული, უმნიშვნელო ტრავმებით, საავადმყოფოში მოათავსეს. დამსხვრეული ავტომობილი 167.000 ევრო ღირდა. აგენტი 007-ის თავგადასავლებისადმი მიძღვნილი, რიგით 22-ე ფილმის Quantum of Solace („მოწყალების კვანტუმი“) რეჟისორი — მარკ ფოსტერი, მთავარ როლს კი კვლავ დენიელ კრეიგი („ბონდიანის“ 21-ე ფილმი, „კაზინო როიალი“) შეასრულებს. სურათი ეკრანებზე 2008 წლის ნოემბერში გამოვა.



კულტურის სამინისტრო ჰალსტუხების „დაბავრას“ აპირებს

უნგრეთის კულტურისა და განათლების სამინისტრო ქვეყანაში ჰალსტუხების გაყიდვაზე გადასახადის შემოღებას აპირებს! პოლიტიკოსი მარია შნეიდერი აცხადებს, რომ ჰალსტუხებს და ე.წ. პეპელა ჰალსტუხებს დიზაინერები ქმნიან, დიზაინერები კი შემოქმედნი არიან და შესაბამისად, მათი შემოსავლები კულტურისა და ხელოვნების დასაფინანსებლად უნდა დაიბეგროს. „კარგი დიზაინი კულტურაზე მეტყველებს, ამიტომ სავესებით სამართლიანი ნაბიჯი იქნება, თუ ამით კულტურის სფეროს შემოსავლების გაზრდას მოვახერხებთ“, — აცხადებს პოლიტიკოსი ქალბატონი, რომლის გათვლებით, უნგრეთში ჰალსტუხებით ვაჭრობა 0,8%-ით უნდა დაიბეგროს.

საბავშვო ფეხსაცმელი, რომლის კატრონთან ერთად იზრდება

დიდ ბრიტანეთში სარეალიზაციო ქსელში გამოჩნდა ფეხსაცმელი, რომელიც მშობლებს ფულის დაზოგვის საშუალებას მისცემს. ფეხსაცმლის ლანჩზე დამაგრებულ ლილაკზე ხელის უბრალო დაჭერით, ფეხსაცმელი, მის მფლობელთან ერთად, მთელი ზომით იზრდება! არაჩვეულებრივი ფეხსაცმლის შემქმნელები ფიქრობენ, რომ მათი ნაწარმი მშობლების ფინანსებს საგრძნობლად დაზოგავს. ისინი იმედოვნებენ, რომ ფეხსაცმლის ინოვაციური დიზაინი უფროსებს პრაქტიკულობით მოხიბლავს, ბავშვებს კი სილამაზითა და ნათელი ფერებით გაახარებს. „ბავშვებთან ერთად მზარდი“ ფეხსაცმელი მალაზიებში უკვე იყიდება. ერთი წყვილის ფასი 100 დოლარია.



Bentley-ს ელექტრომობილი

ცნობილი ბრიტანული ავტომწარმოებლის — Bentley — ცხრა ავტოსტა-ფიორისგან შემდგარმა გუნდმა საკუთარი ელექტრომობილი აწყო, რომელსაც Continental DC ეწოდა. ამ მანქანით გუნდ-ვედში გამართულ ტრეკ-ში ახალგაზრდებმა სერი-ის — F24+ — სეზონის პირველი რბოლა მოიგეს. შეჯიბრება ანალოგიური ავტომობილების შემქმ-ნელებს შორის გაიმარ-თა და მასში სულ 25 გუნდი მონაწილეობდა.



მომცრო ზომის

ელექტროავტოს — Continental DC — კონ-სტრუქციაში ფართოდაა გამოყენებული კარბონი, რომლისგანაც დამზადებულია შასი და 16-დუიმიანი საბორბლე დისკები. ეს კომპონენტები სპეციალურად ამ მან-ქანისთვისაა შექმნილი. ერთადგილიანი სიახლე 0,5 ცხ.დ. სიმძლავრის ელძრავითაა აღჭურვილი, რომელიც ორი 12-ვოლტ-იანი ტყვიამყავური აკუმულატორით იკვებება. მისი მაქსიმალური სიჩქარე 64 კმ/

სთ-ია. „ბენტლის“ წარმომადგენელთა თქმით, ამჟამად Continental DC-ისთვის მუხრუჭების ანტიბლოკური სისტემა და სენსორის დის-პლეის ხელსაწყოთა პანელი იქმნება, რომელზეც ელექტრომობილის მდგომარ-ეობის შესახებ ინფორმაცია გამოისახება. სარბოლო სერია F24+, რვა 90-წუთიანი რბოლისგან შედგება, რომელთაგანაც მიმდინარე წლის სეზონში ბოლო შეჯიბრება გუნდების ტრეკზე ოქტომბერში შედგება.

უსაფრთხოების ბალიშები ველოსიპედისტებისთვის

ჰოლანდიის ველოსიპედისტთა ფედერაცია, ავტომობილების მწარმოებლებს მიმარ-თავს და მანქანების გარედან უსაფრთხოების მიზნით, სპეციალური ბალიშების დამონ-ტაჟებას სთხოვს, რაც ავარიის შემთხვევაში, ფეხით მოსიარულეებსა და ველოსიპედის-ტებს დაიცავს. ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, მანქანის კაბოტებზე ასეთი უსაფრთხოების ბალიშების გამოყენება, ყოველწლიურად ჰოლანდიაში ავტოკატასტრო-ფებისას 60-მდე ფეხით მოსიარულისა და ველოსიპედისტის სიცოცხლეს გადაარჩენს, 1500-ზე მეტს კი, სერიოზულ ტრავმას აარიდებს. საგულისხმოა ის, რომ შევდურმა კომპანიამ, — Autoliv, — უკვე შეიმუშავა უსაფრთხოების ბალიში, რომელიც შეჯახების მომენტში, წინა შუშის ქვედა ნაწილიდან იხსნება. გარდა ამისა, ამჟამად Jaguar და Nissan სერიული ავტომობილების წარმოებისას ე. წ. მსტუნავ კაბოტებს იყენებენ, რაც ადამიან-თან შეჯახებისას დარტყმის ენერჯისა და შესაბამისად, ფეხებზე ან თავზე ტრავმების მიღების რისკის შემცირებას უწყობს ხელს.

უსინათლო, მართვის უფლების მოწოდების არქონა და თანას მთვრალი...

ქალაქ ტარტუში ესტონეთის პოლიციამ მთვრალი უსინათლო მძღოლი დააკავა, რომელსაც მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც არ გააჩნდა. ანალოგიურ კანონდარღვევაში გასულ წელს, იგი უკვე ორჯერ იყო მხილებული. 21 წლის ადგილობრივი მცხოვრები, სახელად კრისტიანი, რომელიც არასაგზაო Opel Frontera-ს მართავდა, ინსპექტორებმა კვირას, დილით ადრე გააჩერეს. პირველად ის პოლიციელებმა 2007 წლის 5 აგვისტოს დააკავეს, ხოლო სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ, კვლავ სამართალდამცავთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მაშინ კრისტიანი, მგზავრთა კარნახის მეშვეობით, რომლებსაც მართვის უფლების დამ-ადასტურებელი მოწმობა ასევე არ გააჩნდათ, Audi 80-ს მართავდა. ამჯერად კი, მოკარნახის როლს არასაგზაოს მფლობელი ასრულებდა, რომელიც თავადაც ნასვამი ყოფილა. პირველი დაკავების შემდეგ, კრისტიანს ჯარიმის სახით, 6 ათასი კრონი (დაახლოებით 600 აშშ დოლარი) გადაახდევინეს, ხოლო მეორე შემთხვევა-ში, მას ხუთი დღე-ღამე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამჯერად, ახალგაზრ-დის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, Opel Frontera-ს მფლობელს, რომელმაც მართვის უფლების არმქონე, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირს მიანდო თავისი ავტომობილი, 18 ათასი კრონის (დაახლოებით, 1800 აშშ დოლა-რი) ოდენობის ჯარიმა ემუქრება.

BMW-ს ახალი კონცეპტ-ავტო

კომპანიამ, — BMW, — დიზაინის იტა-ლიურ კონკურსზე, — Concorso d'Eleganza Villa d'Este, — ახალი კონცეპტ-ავტო, M1 წარადგინა. ავტომობილი ამავე სახელწოდე-ბის საშუალო მოტორის მქონე სპორტუ-ლი კუპეს 30 წლისთვის აღსანიშნავად შეიქმნა. ეს მანქანა 1978 და 1981 წლებში გამოდიოდა. კონცეპტ-ავტოს დიზაინი ორიგინალური BMW M1-ის მოტივებზეა შეს-რულებული, რომლის ძარაც სადიზაინერო ატელიეში, — Giugiaro, — შეასრულეს. ახალ კონცეპტ-ავტოს და M1-ს, რომელიც 30 წლის წინ აიწყო, მსგავსი ძარას წინა ნაწილი, კაბოტზე ანალოგიური ჰაერის ცხაური და ბორბლების დისკები აქვთ. M1-ს პროტოტიპი ამჟამად მხოლოდ მაკეტია. BMW-ის წარმო-მადგენელთა თქმით, ამ ავტომობილის სე-რიული გამოცემა ჯერჯერობით არ იგეგ-მება. სპორტ-ავტო BMW M1 პირველად ფარ-თო პუბლიკას პარიზის მოტორშოუზე, 1978 წელს წარუდგინეს. მანქანა 3,5-ლიტრიანი, ექვსცილინდრიანი, 277 ცხ. d. სიმძლავრის მქონე ძრავით იყო აღჭურვილი. 100 კმ/ სთ სიჩქარის განვითარება მას 5,6 წამში შეეძლო, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩ-ქარე 260 კმ/სთ იყო. ასეთი მანქანა სულ 456 ეგზემპლარად გამოუშვეს.

ტიუნინგიკაბული



Opel Corsa

რამდენიმე დღის წინ, გერმანულმა სა-ტიუნინგო კომპანიამ — Steinmez — რომელ-იც Opel-ის ავტომობილების მოდერნიზება-ზეა სპეციალიზებული, გაავრცელა ინფორ-მაცია ჰეჩბეკის — Opel Corsa — გასახლე-ბლად შემუშავებული პროგრამის შესახებ. ტიუნინგირებულ Opel Corsa OPC-ს, საბაზო ავტომობილისგან რადიატორის ახალი ცხ-აური, განსხვავებული წინა სპოილერი, ძარას გვერდებზე დაკრული, ატელიეს — Stein-mez — ლოგოტიპები, სანჯავის აფხის ალუ-მინის თავსახური, აგრეთვე 16-დან 19 დუიმიამდე ზომის საფირმო საბორბლე დისკები განასხვავებს. 1,6-ლიტრიანი ბენ-ზინის ტურბომოტორის სიმძლავრე ტიუნ-ინგ-კომპანიის სპეციალისტებმა, ახალი აირ-გამწოვი სისტემის წყალობით, 9 ცხ.დ-ით გაზარდეს — 192-დან 202-დღე. გარდა ამისა, გარკვეულწილად ავტომობილის ინტერიერიც შეიცვალა. ასეთი სპორტავტოს ფასი ჯერ-ჯერობით უცნობია.

ლუჩანო მოჯი: „სისფრებო, შორს ფეხბურთისგან!“

ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი პრეზიდენტი, ლუჩანო მოჯი (რომლის გამოც კლუბი გასულ სეზონში სერია B-ში აღმოჩნდა და მოპოვებული ჩემპიონის ორი ტიტულის გარეშე დარჩა), ტრადიციული და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელ ფეხბურთელთა უფლებების გათანაბრების კატეგორიული წინააღმდეგია. „ფეხბურთში ცისფრები არ უნდა იყვნენ. არ ვიცი, მათ მიმართ როგორ არიან განწყობილნი რიგითი მოთამაშეები, მაგრამ მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. გუნდებში, რომლებშიც მიმუშავია, ცისფრები არასოდეს ყოფილან“, — დასძენს მოჯი, რომელიც მიიჩნევს, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მოთამაშეთათვის შეუსაბამოა თვით საფეხბურთო სამყაროში არსებული ვითარება: „ძველმოდური შეხედულებების კაცი ვარ. საფეხბურთო სამყაროს კარგად ვიცნობ და მიმაჩნია, რომ იქ ცისფრები თავს ვერ გაიტანენ. არ შეიძლება, ფეხბურთელი ჰომოსექსუალისტი იყოს. ეს სფერო მათთვის არ არსებობს, აქ განსაკუთრებული ატმოსფეროა“. ამ მომენტისთვის, წამყვანი საფეხბურთო ევროპული ქვეყნების ჩემპიონატებში არც ერთი პროფესიონალი ფეხბურთელი არაა ცნობილი, რომელიც თავისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ ოფიციალურად განაცხადებდა. აი, გასული საუკუნის 80-იან წლებში კი, ინგლისში ასპარეზობდა ჯასტინ ფაშანუ, რომელმაც სახელი ჰომოსექსუალისტობით გაითქვა...



სისფრებმაც არ დააყოვნეს!

...და აი, როგორც ირკვევა, ლუჩანო მოჯის მიერ წამოწყებული, ცისფრების საწინააღმდეგო კამპანია უსაფუძვლო სულაც არ ყოფილა. ჰომოსექსუალისტ ფეხბურთელთა ინგლისის ასოციაცია ყოველწლიური ტურნირის ჩატარებას აპირებს, რომლის გამარჯვებულიც ეროვნული თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირი იმ საზეიმო ღონისძიებებთან იქნება დაკავშირებული, რომლებიც ეძღვნება ლივერპულის, როგორც 2008 წლის „ევროპის კულტურულ დედაქალაქს“. ინისის დასაწყისში, ინგლისის ყველა კუთხის წარმომადგენელი ჰომოსექსუალი ლივერპულში შეიკრიბება, ხოლო შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდს, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ რომელიმე პირველობაში ასპარეზობის უფლება მიეცემა. მომავალი „ცისფერი ბატალიების“ ფავორიტებად გუნდები — ლივერპულის „მერსის მაროდერები“ და ლიდის „იორკშირელი ტერიერები“ — არიან მიჩნეული. კონკურს-გარეშე მონაწილეობისთვის საზღვარგარეთულ გუნდებსაც ინვენი. ხოლო კოლექტივის მიერ საჭირო ვირტუალური შენატანი 25 გირვანქა სტერლინგია. ცისფრების საფეხბურთო ასოციაციის ოფიციალური საიტი იუნყება, რომ მსურველებს შეუძლიათ, მსაჯის რანგშიც მოსინჯონ საკუთარი ძალები.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსკლვლად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ფ.ფ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	3.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	3.55	51.2




პრესის
გაერთიანების
სააგენტო
საქსპალიტრა

ქ. თბილისი
თბილისის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

E-mail: elva@svrisspalitra.com



ინგლისელს შორის საუკეთესო... ფრანგი

სახელგანთქმული ფრანგი ფეხბურთელი ერიკ კანტონა, რომელიც წლების განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა, პოპულარული გამოცემის — Four four Two — მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგის მიხედვით, ინგლისის პრემიერლიგის ისტორიაში საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად აღიარეს. კანტონა „მანჩესტერის“ მაისურით გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში, ხუთი სეზონის განმავლობაში გამოდიოდა. კლუბის შემადგენლობაში ფორვარდი ოთხჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი და ორჯერ — ქვეყნის თასის გათამაშების გამარჯვებული. იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელადაა აღიარებული. აგრეთვე ინგლისის 1994 (ფეხბურთელების ვერსიით) და 1996 (სპორტული ჟურნალისტების ვერსიით) წლების საუკეთესო მოთამაშეა. ინგლისის პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო უცხოელ მოთამაშეთა შორის, მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად, დენის ბერგკამპმა („არსენალი“, ჰოლანდია) და ტიერი ანრიმ („არსენალი“, საფრანგეთი) დაიკავეს.

სადო-მაზონის მოსლის ისევ უბავნ

ცოტა ხნის წინ ისრაელის მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ამ ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით ჩასვლაზე უარი განუცხადა FIA-ს (საერთაშორისო საავტომობილო ასოციაცია) პრეზიდენტ მაქს მოსლის. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა კადრები სკანდალური ვიდეო-ფილმიდან, რომელშიც ასახულია მოსლის სადო-მაზონისტური სექსუალური ურთიერთობა მეძავებთან. „ამ გადაწყვეტილების მიზეზი და ებრაელი მინისტრის პოზიცია კარგად მესმის. ვიმედოვნებ, რომ ჩემ შესახებ გავრცელებული სიცრუის გაბათილების შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება“, — განაცხადა მოსლიმ. პრესა მომხდარის თაობაზე ჯერჯერობით ფრთხილ კომენტარებს აკეთებს, თუმცა ბევრი გამოთქვამს ვარაუდს, რომ აგორებული სკანდალის გამო, უახლოეს მომავალში მაქს მოსლის, თანამდებობიდან გადადგომა მოუწევს.



პელე, მარადონა თუ... რომარიო?!



ამასწინათ, გაზეთისთვის — Estado de Sao Paulo — მიცემულ ინტერვიუში პელემ დიეგო მარადონაზე საკმაოდ აგრესიულად გაილაშქრა. „მარადონას ყველა ტიტული უნდა ჩამოერთვას. რატომ? იმიტომ, რომ იგი თავისი აქტიური სპორტული კარიერის პერიოდში, დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. ოლიმპიურ ჩემპიონებს, რომლებიც აკრძალულ პრეპარატებს მოიხმარდნენ, მედლებს ართმევენ, ხოლო მარადონა თავის ჯილდოებს ინარჩუნებს, რატომ?“ — განაცხადა პელემ და ეჭვგარეშეა, თავისი საქციელით „მარადონისტებს“ კიდევ უფრო შეაძულა თავი. მით უმეტეს, რომ „ფეხბურთის მეფემ“ დონ დიეგო არა მარტო ნარკოტიკებისადმი ლტოლვის გამო, არამედ წმინდა საფეხბურთო ასპექტშიც გააკრიტიკა: „მარადონა კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მას მარჯვენა ფეხით ფინტების შესრულება არ შეეძლო და თავითაც ცუდად თამაშობდა“. დიეგო მარადონა კოკაინის მოხმარებისთვის პირველად 1991 წელს დააკავეს, ხოლო 1994 წელს, აშშ-ში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, სისხლში აკრძალული სტიმულატორის — ეფედრინის კვალი აღმოუჩინეს. ეს ფაქტი არგენტინის ნაკრების ლიდერს დისკვალიფიკაციის ფასად დაუჯდა.


საბოლოოდ, თეთრ-ცისფერმა ისურიანები მერვედფინალური ეტაპიდან გამოეთიშნენ ტურნირს, ხოლო ბრაზილიის ეროვნული გუნდი მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. იმ მუნდიალზე „დიეგო და კომპანია“ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, რაც მის ქომაგთა მრავალრიცხოვანი არმიისთვის, FIFA-ს იმჟამინდელი პრეზიდენტის, ბრაზილიელი ჟოაო აველაზისადმი საკმაოდ სერიოზული ბრალდების წაყენების საფუძვლად იქცა. ეს მარადონასა და ზოგადად, არგენტინული ფეხბურთის „ჩასაძირად“ მოწყობილი, დიდი შეთქმულება იყო, — მსგავსი განცხადებები არაერთხელ გაუკეთებიათ დიეგოსაც და მის გულშემატიკურებსაც.

ვიდრე დიეგოსა და პელეს ბანაკებს შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში შედის, „ფეხბურთის მეფის“ ტიტულის კიდევ ერთი მსურველი გამოჩნდა. ბრაზილიელმა რომარიომ, რომელმაც საკუთარი სტატისტიკური მონაცემით, შარშან კარიერაში მე-1000 გოლი გაიტანა, ხოლო სულ ცოტა ხნის წინ ოფიციალურად დაასრულა დიდი ფეხბურთის თამაში, განსხვავებული „პიპოთეზა“ წამოაყენა, რასაკვირველია, — მისთვის ხელსაყრელი: „არ მინახავს, როგორ თამაშობდა პელე, ამიტომ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა შორის, საკუთარ თავს პირველ ადგილზე დავაყენებდი. თავის მხრივ, პელეც და მარადონაც უნიკალურები არიან, მაგრამ ჩემი მსგავსი მოთამაშეც მეორე არ არსებობს. მეტოქის საჯარიმო მოედანზე თამაშისას შეუდარებელი ვარ“, — აღნიშნა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორმა ბრაზილიური გამოცემისთვის — Globo Esporte — მიცემულ ინტერვიუში.





				1 პიუგოს რომანი	2 მხარე გერმანიაში	3 ვიბრაცია	4 შეტად მკრეული	5 ნოუტბუკი	6 ქთიმე- ის ოჯახის გარეული ფრინველი
				7 ინგლისის ფენზბურთის გუნდი					
				8 იაპონიის პირველი დედაქალაქი					
				9 ცელქი				10 იაპონური ჭილაობა	11 ქვეყანა აზიაში
12 ორსართული- ანი ავტობუსი	13 ქვეყანა აზიაში	14 შვედური ავტომობილი		15 გერმანიის ავტომობილი					18 სკათოთვე
16 პანგი				17 ზნე ხასიათი					
				19 ... ნაიტლი			20 წამლის ფორმა		
21 კურტი თურქეთში	22 მკურნალი			23 მოსკოვის ერთ-ერთი აეროპორტი					
24 რეჟისორი ფელმისა „ფასაბი“				25 ლოკატორი					
			26 ისრაელის პარლამენტი	27 იტალიელი ფერმწერი					
28 სინათლე		29 ... ჯაგერი	30 კოლუმბის აღმოჩენა	31 შვეიცარიის დედაქალაქი			32 რუსი ილუ- ზიონისტი	33 მინი- რესტორანი ესტრადლი	34 მოგება ნარდში
	35 აღვირახსნი- ლი ღრუბა						36 მონადირე ძაღვის ჯიში		
	37 ილა ჭაკვაუბის პოემა	38 შოკოლადის ნაკრები							
	39 კომპოზი- ტორი ... ყმწელი						40 ლუდის სასმისი		
							41 შუაშელი ფილოსოფოსი	42 ბილარდის ჯოხი	



წინა ნომრის სკანსორდის პასუხები

1. მავრიკი; 2. სამაია; 3. მენამული; 4. ვერაგი; 5. ნარამარა; 6. მაცოლა; 7. ემიგრაცია; 8. ულიანოვი; 9. გონდოლა; 10. მალიბუ; 11. ნადული; 12. ვიზიტი; 13. გინეკოლოგი; 14. მირკანი; 15. კალა; 16. ნიყვი; 17. მღვიმე; 18. ლიბანი; 19. კოტიტა; 20. ღორი; 21. აბატი; 22. ტეკილა; 23. კინო; 24. კლიო; 25. არია; 26. ორე; 27. რევილუცია; 28. კაირო; 29. მაგნატი; 30. აბი; 31. სპიკერი; 32. სოფოკლე; 33. გელოვანი; 34. მარუტი; 35. უბინო; 36. ტაბუ; 37. თონე; 38. ყრუანტელი; 39. თავლა; 40. ელი.

სურათებზე: ნურნუშია; სეფაშვილი.

როგორ გარემო გპირდებათ ნაყოფიერად მუშაობისთვის?

1. უქმე დღეებში დროს ყველაზე კარგად ატარებთ:

- ა) ექსტრემალურ სიტუაციაში, მაგალითად, რთული სათხილამურო ტრასიდან დაშვებისას;
- ბ) კულტურულ გარემოში, ვთქვათ, საინტერესო სპექტაკლის ნახვით;
- გ) მხიარულ გარემოში — მოდურ კლუბში სტუმრობით;
- დ) მყუდრო გარემოში — უცხო თვალისგან მოშორებით.

2. როგორია თქვენი სამოსი?

- ა) ორიგინალური, რათა ყველასგან გამოვიჩიქოდე;
- ბ) სოლიდური და ხარისხიანი;
- გ) მოდური — ყველაზე ბოლო კოლექციებიდან;
- დ) მოსახერხებელი, უფრო ხშირად სპორტული.

3. პრობლემების მოგვარების ყველაზე კარგი გზაა:

- ა) მოსაგვარებელი არაფერია, რადგან შეიძლება ითქვას, რომ პრობლემები არ მაქვს;
- ბ) გამონვლილვით სიტუაციის შესწავლა;
- გ) მათი ერთი ხელის მოსმით გადაჭრა;
- დ) რა საჭიროა ამით თავის შენუხება — „არ გარდავა გარდუვალი მომავალი საქმე ზენა“.

4. გსიამოვნებთ, როცა თქვენ:

- ა) ნებისმიერ კომპანიაში თავისიანად მიგიჩნევენ;
- ბ) საიმედო, უღალატო ადამიანად მიგიჩნევენ;
- გ) ღირსეულ, მისაბაძ ადამიანად მიგიჩნევენ;
- დ) განსაკუთრებულ, ყველასგან გამორჩეულ ადამიანად მიგიჩნევენ.

5. საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისადმი როგორ დამოკიდებულეხა გაქვთ?

- ა) მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უგულვებელყოფ;
- ბ) ვიცავ ამ ნორმებს, რადგან, მიმანია, ჭკვიანი ხალხის დადგენილია;
- გ) ვითვალისწინებ ამ ნორმებს, რათა ყოველთვის სათანადო შთაბეჭდილება მოვახდინო;
- დ) ნებისმიერი ნორმა პირობითია.

6. როგორი რეაქცია გაქვთ, როცა მუშაობისას ვინმე თვალყურს გადევნებთ?

- ა) ეს არ მალიზიანებს;
- ბ) თუკი ჩემგან მოშორებით და თანაც ჩუმად ზის, ამას არაფრად დაგიდევთ;



- გ) გააჩნია, როგორ მიმდის საქმეები...
 - დ) ნამდვილად ვერ გადამიჩიქება.
7. გონებაში ხშირად გებადებათ:
- ა) თამამი აზრები;
 - ბ) მნიშვნელოვანი, სერიოზული წინადადებები;
 - გ) ორიგინალური აზრები;
 - დ) ისეთი იდეები, იმ დროისთვის სიახლეს რომ წარმოადგენს.
8. რომელ საქმიან თვისებებს აფასებ საკუთარ თავში?
- ა) ენერგიულობასა და კომუნიკაბელობას;
 - ბ) პასუხისმგებლობასა და სიზუსტეს;
 - გ) საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას;
 - დ) საკითხისადმი ფილოსოფიურად მიდგომის უნარს.

ტენტის შედეგები

როცა „ა“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს: ნაყოფიერად მუშაობისთვის თქვენ ფართო და კარგად მონყობილი კაბინეტი გჭირდებათ. ადვილად შეეღიეთ მორუხო-მოყავისფრო-მოშავო საოფისე გამას და ნურც გული დაგწყდებათ, რადგან, სადა, მოხერხებული და მკვეთრი შეფერილობის ავეჯის გარემოცვაში უკეთ იმუშავეთ. თამამად გაავეთ კაბინეტი ისეთი ნივთებით, რომლებსაც თქვენს პროფესიონალურ მოღვაწეობასთან არანაირი შეხება არა აქვს. გაითვალისწინეთ, უამრავი ბრწყინვალე იდეა გონებრივი შტურმის მეშვეობით მიიღწევა. საამისოდ კი ადამიანს არაფორმალური გარემო სჭირდება.

როცა „ბ“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს: თქვენთვის კაბინეტის ზომას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესია, რომ ამ კაბინეტში ზედმეტი არაფერი იყოს, რადგან ე.წ. „მხატვრული უნესრიგობა“ ყურადღების კონცენტრირებაში გიშლით ხელს. სწორ ხაზზე განლაგებული, გამოკვეთილი, კუთხოვანი ფორმის მაგიდა და სკამები, ვერტიკალური უალუზები ან გეომეტრიული სილუეტის ფარდა, წიგნის თაროებზე დაწყობილი დოკუმენტების საქალაღდეები თუ წიგნები — ამგვარად მონყობილ კაბინეტში თავს ზედმიწევნით კარგად იგრძნობთ.

როცა „გ“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს: მხატვრის სტუდიაში ყოფნისას შესანიშნავი განწყობილება გეუფლებათ, მაგრამ ჭეშმარიტად, შემოქმედებითი ნატურის ადამიანი, საკუთარ შესაძლებლობებს ოფისშიც ადვილად გამოავლენს: უჩვეულო ფერთა გამის ფარდები, ორიგინალური სანათურები, ეგზოტიკური მცენარე და ყვავილების თვალში საცემი კომპოზიცია — თვითგამოხატვის არეალი ძალზე დიდია. ასევე გამოგადგებათ ძველებური ჩარჩოში ჩასმული დიდი სარკე, რომელიც კიდევ უფრო გააღიღებს სივრცეს.

როცა „დ“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს: მართალია, განდევილი არ ხართ, მაგრამ ასკეტურ, ნახევრად ცარიელ ოთახში თავს კომფორტულად გრძნობთ. კაბინეტის კედლები ღია, დამამშვიდებელი ფერის, ხოლო წიგნის კარადები დახურული (უვიტრინო) უნდა იყოს. თქვენთვის სრულიად ზედმეტია სამშვენივები და სარკე. მაგრამ ასკეტურ სენაკს რომ არ დაამსგავსოთ ოთახი, შეგიძლიათ, გამხმარი ტოტით გაკეთებული იკებანა შეუკვეთოთ. რაც შეეხება ძვირფასი ადამიანების ფოტოსურათებს, ადგილს ალბათ მაგიდის ზედა უჯრაში გამოუქებნით — უცხო თვალი ვერ შეამჩნევს, თავად კი ხელთან ახლოს გექნებათ.

შიროსკოპი

(1 - 7 მაისი)

ფაჩი:

ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კარგ შედეგს გამოიღებს ვარჯიში. თუ ბევრ ახალ შემოთავაზებას მიიღებთ, ეცადეთ, ყველა შესაძლებლობით და მერე თქვით მასზე პასუხი. თუ დასასვენებლად გაემგზავრებით, დროს მხიარულად და შთაბეჭედავად გაატარებთ. ვინც სახლში დარჩება, მას ადვილად მოუგვარდება საოჯახო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები.

კუჩი:

კარიერასთან დაკავშირებული საკითხები სასიკეთოდ წარიმართება. მნიშვნელოვანი საქმეები უპრობლემოდ დასრულდება. თუ არ იზარმაცებთ, ბევრ სასიკეთო საქმეს მოასწრებთ და ახალ სიმაღლეებსაც დაიპყრობთ. ეცადეთ, მეტად პედანტური იყოთ და ნუ შეგეშინდებათ შესაძლო ცვლილებების.

ცუხუჭები:

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას ადვილად მოიპოვებთ და თუ მას მართებულად გამოიყენებთ, შეძლებთ დიდი ხნის ოცნების ასრულებას. საქმეებისაგან და მგზავრობისგან გადაღლის შემთხვევაში, ეცადეთ, სრულფასოვნად დაისვენოთ, რათა არ გადატვირთოდ გონება. შემოქმედებითმა ადამიანებმა შესაძლოა ღირებული მხატვრული ნაწარმოებები შექმნან.

კიჩხობა:

ამ პერიოდში წარმატებები გარდაუვალია. შესაძლოა, დაფიქრდეთ ოჯახში სიტუაციის გაუმჯობესებაზე ან სულაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე. გამარტივდება ყველა სირთულე და გაირკვევა ყველა დაფარული სიტუაცია. იყავით აქტიური და თავდაჯერებული!

ღიმი:

ფინანსური და მატერიალური საკითხების გადაწყვეტისას კონსერვატიული მეთოდებით იხელმძღვანელეთ. მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბარი მრავალ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას მოგანვდით.

უახვედი:

ამ პერიოდში ფორტუნა გაგიღივებთ, ამიტომ, როგორც პირადი, ისე საქმიანი საკითხების შესრულება ადვილი მოგეჩვენებათ. კარგი დროა დასასვენებლად, ოღონდ ამისათვის უცხოეთში ნუ გაემგზავრებით. ამ პერიოდში შეგიძლიათ გამოასწოროთ ადრე დაშვებული შეცდომები, დაიბრუნოთ დაკარგული ადამიანები.

სახსრობი:

იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლებთ საყვარელ ადამიანთან იდილიური და დამოუკიდებელი ურთიერთობის შექმნას, დამოკიდებული იქნება თქვენს განწყობილებაზე. უძრავ ქონებაში ფულის დაბანდება ჯერ ნაადრევია. კოლეგებს კი შესაძლოა დაუპირისპირდეთ ფინანსებში გაურკვეველი სიტუაციის გამო.

მორიანი:

საზოგადოებრივი საქმეები უამრავ დროს წაგართმევთ. ამიტომ, ხშირად განმარტოვებით, რათა რიგიანად მოდუნდეთ და დაისვენოთ. ბედი გაგიღივებთ და უამრავ სიამოვნებას გაჩუქებთ როგორც საქმეში, ისე — სასიყვარულო ურთიერთობაში.

ფხვიდღოსხვი:

ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას წყენას გულში ნუ ჩაიდებთ, რადგან ეს ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. მეგობრებისა და ახლობლების წრეში გატარებული დრო სილალეს შეგმატებთ, ოღონდ სპირტიან სასმელებს ნუ მიეცანებით. ხელსაყრელი დროა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის.

თხილ ჩუხ:

მეტი იოცნებეთ, რათა იცოდეთ, რისკენ მიისწრაფვით. სიყვარულში გაგიმართლებთ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კი ჯობს, დახმარება დროულად სთხოვოთ უახლოეს მეგობრებს. ეს კარგი დროა ახალი პარტნიორული კავშირების დასამყარებლად.

ფაჩხუდი:

მუდმივი კონტაქტები და წვრილმანი საქმეები გართობისათვის დროს არ დაგიტოვებთ. ახალი რომანტიკული ურთიერთობებისთვის სჯობს, წინასწარ მოემზადოთ და იმიჯი ცოტათი მიინც შეიცვალოთ. ნუ უსაყვედურებთ მეგობრებს, რათა საჭირო მომენტში პრეტენზიები არ წამოგიყენონ.

თავჯი:

ამ პერიოდში ძალზე დაბნეული და დალოლი იქნებით. ხშირად ილოცით, მორიდდით ალკოჰოლსა და გამაბრუნებელ სამკურნალო საშუალებებს. სასიყვარულო პარტნიორებისაგან დიდ მხარდაჭერას მიიღებთ.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

9	7	2	1	4	3	5	8	6
1	6	8	5	7	9	4	3	2
5	4	3	6	8	2	1	9	7
8	2	9	7	6	5	3	1	4
6	1	5	9	3	4	7	2	8
7	3	4	2	1	8	6	5	9
4	5	7	8	9	1	2	6	3
2	8	6	3	5	7	9	4	1
3	9	1	4	2	6	8	7	5

9	2	3	1	5	8	4	6	7
4	8	5	6	3	7	2	1	9
7	1	6	9	2	4	5	3	8
8	6	9	2	4	3	7	5	1
1	7	2	5	8	6	9	4	3
5	3	4	7	9	1	8	2	6
3	4	7	8	6	2	1	9	5
2	9	8	3	1	5	6	7	4
6	5	1	4	7	9	3	8	2

7	1	5	3	8	9	4	2	6
6	2	9	7	4	1	8	3	5
3	8	4	5	6	2	1	7	9
9	7	3	8	2	4	6	5	1
4	6	2	1	9	5	3	8	7
1	5	8	6	7	3	9	4	2
2	4	7	9	3	6	5	1	8
8	9	1	4	5	7	2	6	3
5	3	6	2	1	8	7	9	4

*** მარტივი**

	9	3			2	
	3			2	8	
	7			4	5	1
	6		7	9		
5			8		6	
	1	4	9		5	
4	6	1			8	
9		4			7	
1			5	3		


**** საშუალო**


	4			6		9
				2		8
1		4				7
8		1			4	
	2			3	9	
	9	7	4			8
	3			5		6
	1		6			
9	8					5

***** რთული**

	4		9			6
	2				5	4
1			6			
8				6	3	2
5			1			7
6	3					5
				1		6
		9	2			3
	1			9		8

ჟოკოკუჩიომზები





1 კხაღი
ბეღი
1 კხაღი
ფორმა

სიხაღი!

1 NOW 1 NESCAFÉ